

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი
HUMANITARIAN-SOCIAL FACULTY
OF THE TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA
ГУМАНИТАРНО-СОЦИАЛЬНЫЙ ФАКУЛЬТЕТ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

ISSN 1512-1305

თემიდა

სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი

THEMIS

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

ФЕМИДА

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

№4(6)-2010

**თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ
2010**

შეხაძლოა მე არც ვი ვიცოდე ცხოვრების სახრის,
მაგრამ ჩემს ცხოვრებას ამ სახრისის ძიებას მივუძღვი.
ბურდაევი

*May be I do not realize meaning of the life,
but I will devote the life to search of this sense.*
Burdaev

*Возможно я не осознаю смысл жизни,
но я посвящу свою жизнь поиску этого смысла.*
Бурдаев

სარგებლებით კოლეგია:

ქ. ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ნ. გაბრიჩიძე (თავმჯდომარის მოადგილე),
ჯ. ხეცურიანი, პ. კუბაშვილი, გ. ხუროშვილი, ზ. რუხაძე, ზ. დზლერიშვილი,
ზ. როგავა, ლ. შაიშმელაშვილი, ზ. გაბისონია, თ. შომერუსი, ა. ბრანტი.

Editorial Board:

K. Kokrashvili (chairman), n. gabrichidze (vice-chairman),
J. Khetsuriani, P. Kublashvili, G. Khuroshvili, Z. Rukhadze, Z, Dzlierishvili,
Z. Rogava, L. Shaishmelashvili, Z. Gabisonia, T. Shomerus, A. Brant.

Редакционная коллегия:

К. Кокрашвили (председатель), Н. Габричидзе (зам. председателя),
Дж. Хецуриани, П. Кублашвили, Г. Хурошвили, З. Рухадзе, З. Дзлиеришвили,
З. Рогава, Л. Шаишмелашвили, З. Габисония, Т. Шомерус, А. Брант.



© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2010
<http://gtu.ge/temida/index.html>

ყველა უფლება დაცულია. ურნალის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.
სავტორო უფლებების დაზღვევა ისკება კანონით.

ზეიად გაბისონია

**საერთაშორისო სავაჭრო ემბარგო და კერძოსამართლებრივი
ხელშეკრულებების მოქმედების შეზღუდვა**

1. საკითხის დასმა

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ხშირია იმგვარი ბერკეტების გამოყენება, რომელიც მეორე სახელმწიფოს აიძულებს გარკვეულ დათმობებზე წავიდეს. ამით ცდილობს მაქსიმალურად შეზღუდოს მეორე სახელმწიფოსთან საომარი მოქმედების დაწყება და გარკვეული ეკონომიკური თუ სხვაგვარი ბარიერების შექმნით აიძულოს მეორე მხარე მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღოს. ამის მაგალითები თანამედროვე საქართველოშიც ხშირია.

ერთ-ერთი ამგვარი ფორმა საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადებაა. სავაჭრო ემბარგო საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე პირობებშიც და მიიჩნევა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის პოლიტიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად.

იურიდიული და ეკონომიკური თვალსაზრისით, ცნება “სავაჭრო ემბარგო” საქმაოდ რთული განსასაზღვრია, რადგან მოიცავს სავაჭრო აკრძალვის მრავალ ფორმას. ზოგადი განმარტებით, **სავაჭრო ემბარგო არის ერთი ქვეყნის მიერ მეორის სავაჭრო სფეროში ბლოკადის გამოცხადება, რომელიც პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმით ვლინდება.** სავაჭრო ემბარგოს სამართლებრივ ბუნებას ქვემოთ დეტალურად განვიხილავ და ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდები.

საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადებას ახლავს მრავალი სამართლებრივი შედეგი. იზღუდება ან უქმდება სახლმწიფოთა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებების მოქმედება. ბათილად ცხადდება ემბარგოგამოცხადებულ ქვეყანასთან უოგელგვარი სავაჭრო გარიგებების სამართლებრივი შედეგები. თანამედროვე პირობებში მრავლადაა ფაქტები, როდესაც კომპანიები გაკოტრებამდე მისულან იმის გამო, რომ მათმა ქვეყანამ სავაჭრო ემბარგო გამოუცხადა მათი პროდუქციის გასაღების ქვეყანას ან პირიქით, ემბარგო-გამოცხადებული ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი საწარმოები კოტრდებიან იმის გამო, რომ მათი ძირითადი ექსპორტიორი ქვეყანა სწორედ ემბარგოს ინიციატორი სახელმწიფოა.

ამ მოკლე მიმოხილვიდან თვალნათლივ ჩანს, თუ რამდენად რთულ სამართლებრივ პრობლემებს წარმოშობს საერთაშორისო სავაჭრო ემბარგო. ამიტომ ვფიქრობ, უფრო დეტალური განხილვა ბევრ სამართლებრივ შეკითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას მოგვცემს.

2. სავაჭრო ემბარგოს ისტორიული წინაპირობა

სავაჭრო ემბარგოს წარმოშობა და განვითარება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანას უკავშირდება¹. ძველი საბერძნეთის ისტორიიდან ცნობილია ფაქტი, როდესაც ძვ.წ. 445 წელს ათენმა საკვები პროდუქტების შემოტანა აუკრძალა მეზობელ ქალაქ-სახელმწიფო მეგანას მისი ისტორიული მტრის სპარტის გამო. ამით სურდა მისი კარგი გეოგრაფიული განლაგება გამოეყენებინა და მეგანასთან ვაჭრობის აკრძალვით სპარტი აეძულებინა გაერთიანებულიყო ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა კავშირში². მსგავსი ქმედებებს ხშირად მიმართავდა ძველი რომის იმპერიაც ბარბაროსებთან ბრძოლის დროს ა.ხ.წ. 364–378 წლებში.

სავაჭრო ემბარგოს გამოცხადების ისტორიული მაგალითები არსებობს ევროპის ტერიტორიაზეც. ასე, მაგალითად, 1260–1263 წლებში პაპისა და იმპერატორის ხელისუფლებებს შორის დაპირისპირებისას ხშირად მიმართავდნენ ერთმანეთის ტერიტორიაზე გარკვეული საქონლის შეტანის აკრძალვის პოლიტიკას. ამით აიძულებდნენ მოწინააღმდეგე მხარეს გარკვეულ დათმობაზე წასულიყო³.

ევროპის ტერიტორიაზე სავაჭრო ემბარგო უფრო მასშტაბური ხასიათი მე-19 საუკუნეში შეიძინა. ამ დროს ჩნდება პირველი მაგალითები ე.წ. „კოლექტიური ემბარგოსი”, რომლის დროსაც რამდენიმე სახელმწიფო ერთდროულად უცხადებს სავაჭრო ემბარგოს რომელიმე ქვეყნას. ასე, მაგალითად, კოლექტიური სავაჭრო ემბარგო იქნა გამოყენებული რესერის, თურქეთისა და შვედეთის მერ 1810 წელს ინგლისის წინააღმდეგ. სავაჭრო ემბარგოს მიმართავდა ნაპოლეონიც ინგლისთან ომის დროს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა მასშტაბურმა ემბარგომ გარკვეულწილად საპირისპირო შედეგებიც მოიტანა. ემბარგოს გამო ინგლისი იძულებული გახდა მთელი ძალები მიემართა საზღვაო-სავაჭრო ფლოტის გაძლიერებისაკენ, რათა ზღვის მეშვეობით მოეძებნა სავაჭრო პარტნიორები. ამან საბოლოო ჯამში ინგლისი ევროპის უძლიერეს საზღვაო ვაჭრობის სახელმწიფოდ აქცია⁴.

ისტორიულად ემბარგოს ცნება წარმოდგება ესპანური სიტყვიდან “embargar” (შეჩერება, ხელის შეშლა, ამოდება). მაგრამ ის გამოიყენებოდა, როგორც ინსტრუმენტი “გემების ემბარგოსი” (Sciffembargos), რომელსაც ცოტა რამ თუ ჰქონდა საერთო სავაჭრო ემბარგოსთან.

ტერმინი “ემბარგო” პირველად აშშ-ის მიერ ოფიციალურად იქნა გამოყენებული 1807 წელს “ამერიკის ემბარგოს აქტში” (American Embargo Act). აღნიშნული აქტი ძირითადად საზღვაო ვაჭრობაზე იყო ორიენტირებული და ინგლის-საფრანგეთის ომში ნეიტრალიტეტის დაცვას ისახავდა მიზნად. ემბარგო მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდებოდა, თუ რომელიმე მეომარი ქვეყნა აშშ-ის წინააღმდეგ

¹ Rolf Hasse. Theorie und Politik des Embargos, Köln, 1973, S.3.

² Robert Franke. Der Wirtschaftskampf dargestellt an Hand seiner Historischen Entwicklung und in seiner Verwendung als Sanktionsmittel nach Artikel 16 des Völkerbundpakts, Leipzig, 1931, S.8.

³ Robert Franke. Der Wirtschaftskampf dargestellt an Hand seiner Historischen Entwicklung und in seiner Verwendung als Sanktionsmittel nach Artikel 16 des Völkerbundpakts, Leipzig, 1931, S. 9-12.

⁴ Christian Detlev Dicke. Die Intervention mit Wirtschaftlichen Mitteln im Völkerrechts, Baden-Baden, 1978, S. 209.

დაიწყებდა საომარ მოქმედებას, რაც განხორციელდა კიდევ ინგლისთან 1812 წელს მთის დაწყების შემდეგ¹.

აშშ-ში “ემბარგოს” ცნება პრეზიდენტ ფილსონის მიერ მოგვიანებით იქნა გამოყენებული მექსიკაში იარაღის ექსპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ფაქტობრივად დამკვიდრდა კიდევ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში².

სავაჭრო ემბარგო დღემდე რჩება სახელმწიფოთა ყველაზე პოპულარულ ინსტრუმენტად, აიძულოს მეორე სახელმწიფო რაიმე ქმედებაზე ან ქმედებისაგან თავის შეკავებაზე.

3. საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს სახეები

საერთაშორისო სავაჭრო სამართალში საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს რამდენიმე სახე დასრულდება: ა) **ტოტალური ემბარგო (Totalembargo)** და **ნაწილობრივი ემბარგო (Teilembargo)**, ბ) **კოლექტიური ემბარგო (Kollektivembargo)** და **ინდივიდუალური ემბარგო (Individualembargo)**, გ) **მრავალსაფეხუროვანი ემბარგო (Mehrstufiges Embargo)** და დ) **ბოიკოტი (Boycott)**³. მოკლედ განვიხილოთ თითოეული.

ა) **ტოტალური ემბარგო (Totalembargo)** და **ნაწილობრივი ემბარგო (Teilembargo)**. ტოტალური ემბარგოს დროს სახელმწიფო ცდილობს მასშტაბური სახე მისცეს სხვა ქვეყანასთან ვაჭრობის აკრძალვას და ემბარგოს ავრცელებს სხვადასხვა სფეროსა თუ სახის საქონელზე ერთდროულად, კუმულაციურად. ამ დროს ფაქტობრივად მასშტაბურად იკრძალება ემბარგოგამოცხადებულ ქვეყანაში სხვადასხვა სახის საქონლის ექსპორტ-იმპორტი, ფინანსური ტრანზაქციები, ტრანსპორტირება და კომუნიკაცია. ემბარგოს ინიციატორი სახელმწიფო ტოტალურად წყვეტს სავაჭრო ურთიერთობებს ემბარგოგამოცხადებულ ქვეყანასთან. ბათილად ცხადდება მოცუმელი ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გაფორმებული კერძოსა-მართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებები. მსგავსი ღონისძიებები ძირითადად გამოიყენება მეომარ ან მტრულად განწყობილ სახელმწიფოების მიმართ და ატარებს ქვეთობად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს.

ტოტალური ემბარგოსაგან განსხვავებით, **ნაწილობრივი ემბარგო** გამოიყენება არა ყველა სახის საქონლით ვაჭრობის მასშტაბური აკრძალვის გზით, არამედ მხოლოდ კონკრეტული სახის საქონლით ვაჭრობის აკრძალვისას. ნაწილობრივ ემბარგოს, შესაძლებელია, პოლიტიკურ მოტივაციასთან ერთად, კონომიკური მოტივაციაც ახლდეს. ეს განსაკუთრებით შეეხება კ.წ. “სტრატეგიული დანიშნულების” საქონელსა და ნედლეულს. ასე, მაგალითად, ნაწილობრივი ემბარგო იქნა გამოიყენებული 1935–1936 წლებში ერთა კავშირის მიერ იტალიის მიმართ კ.წ. “აბესინის კონფლიქტის” (Abessinkonflikt) დროს, რომლის დროსაც აიკრძალა კაუჩუკის,

¹ Bernd Lindemeyer. Schiffsembargo und Handelsembargo: Völkerrechtliche Praxis und Zulässigkeit, Baden-Baden, 1975, S.215.

² O.V. Editorial Comments, Secretary Bryans's Peace Plan, 8. Am. J. Int.'l 580, 1914.

³ Nicola C. Neumann. Internationale Handelsembargos und Privatrechtliche Verträge, Baden-Baden, 2000, S.34-40.

ალუმინის, ქრომის, ნიკელის, მაგნიუმის და ვოლფრამის შეტანა იტალიის ტერიტორიაზე¹. გარდა ამისა, ნაწილობრივი ემბარგო შეიძლება განპირობებული იუს ქვეყნის უსაფრთხოების ზომების გაძლიერების მოტივით. ამის კლასიკური მაგალითია “იარაღის ემბარგო” (*Waffenembargo*). “იარაღის ემბარგოს” პრაქტიკაში გამოყენება ხდება არა მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოს, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მიერაც. ასე, მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ “იარაღის ემბარგო” გამოყენებულ იქნა 1977–1994 წლებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ და 1992 წელს ლიბერიის წინააღმდეგ².

ნაწილობრივი ემბარგოს შემდეგი მაგალითია “ნავთობის ემბარგო” (*Ölembargo*). “ნავთობის ემბარგოს” დროს შესაძლებელია როგორც “ნავთობის ექსპორტის ემბარგო”, რომლის დროსაც იკრძალება ემბარგოგამოცხადებულ ქვეყანაში ნავთობის შეტანა, ასევე “ნავთობის იმპორტის ემბარგო”, რომლის დროსაც იკრძალება ქვეყნიდან ნავთობის გამოტანა. “ნავთობის ექსპორტის ემბარგოს” მაგალითად გამოდგება მე-20 საუკუნის 70-იან წლებში OPEC-ის ქვეყნების მიერ ისრაელის და მისი მხარდაჭერი ქვეყნების წინააღმდეგ გამოცხადებული ემბარგო, “ნავთობის იმპორტის ემბარგოს” მაგალითად კი – 1990 წლის 6 აგვისტოს გაეროს 661-ე რეზოლუციით ერაყის წინააღმდეგ ნავთობის იმპორტის აკრძალვის გამოცხადება³.

ნაწილობრივი ემბარგოს კიდევ ერთი მაგალითია ე.წ. “შაქრის ემბარგო” (*Zuckerembargo*), რომელიც აშშ-ის მიერ იქნა გამოყენებული კუბაში ფიდელ კასტროს რეჟიმის წინააღმდეგ.

ბ) კოლექტიური ემბარგო (*Kollektivembargo*) და ინდივიდუალური ემბარგო (*Individualembargo*). კოლექტიური ემბარგოს დროს საერთო ინტერესების მქონე რამდენიმე ქვეყანა ერთიანდება და ემბარგოს უცხადებს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს. ამის ნათელი მაგალითია OPEC-ის ქვეყნების მიერ ისრაელისათვის 1973 წელს გამოცხადებული “ნავთობის ემბარგო”. კოლექტიური ემბარგოს ნაირსახეობას წარმოადგენს აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო გაერთიანებების მიერ რომელიმე სახელმწიფოსთვის გამოცხადებული ემბარგო. ასე, მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სავაჭრო ემბარგო 14-ჯერ იქნა გამოცხადებული სხვადასხვა სახელმწიფოს მიმართ. აქედან ორი (როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ) ჯერ კიდევ ცივი ომის დამთავრებამდე, დასრულების შემდეგ ერაყის, ყოფილი იუგოსლავიის, სომალის, ლიბიის, ანგოლის, პარაგვაის, რუსეთის, სამხრეთ კინას, სამხრეთ კარებისა და ავღანეთის წინააღმდეგ. სავაჭრო ემბარგო იქნა გამოყენებული ევროკავშირის მიერაც არგენტინის წინააღმდეგ ე.წ. “ფალკლანდური კონფლიქტის” დროს.

¹ Bernd Lindemeyer. Schiffsembargo und Handelsembargo: Völkerrechtliche Praxis und Zulässigkeit, Baden-Baden, 1975, S.234-235.

² Sanchez Rzdelski. Die nichtmilitärischen Sanktionen der Vereinigten Nationen, RIV 1995, S. 803-804.

³ Nicola C. Neumann. Internationale Handelsembargos und Privatrechtliche Verträge, Baden-Baden, 2000, S.35.

კოლექტიური ემბარგოსგან განსხვავებით, **ინდივიდუალური ემბარგო** ცხადდება ერთი ქვეყნის მიერ მეორის მიმართ და, როგორც წესი, ატარებს ორმხრივ ხასიათს.

გ) **მრავალსაფეხუროვანი ემბარგო (Mehrstufiges Embargo).** მრავალსაფეხუროვანი ემბარგოს ცნება შემოღებულ იქნა აგლო-საქსურ სამართალში და საფუძვლად დაედო გამონათქვამი “primary, secondary and tertiary boycotts”¹. მრავალსაფეხუროვანი ემბარგო მიზნად ისახავს ეტაპობრივად ე.წ. “საფეხურებრივად” ქვეყნისთვის ემბარგოს გამოცხადებას. საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს “პირველ საფეხურზე” წყდება ეკონომიკური ურთიერთობები ემბარგოს ინიციატორ და ემბარგოგამოცხადებულ ქვეყნებს შორის. ემბარგოს ინიციატორი ქვეყანა უკრძალავს მის იურისდიქციაში მყოფ იურიდიულ პირებს² სავაჭრო ხელშეკრულებები გააფორმონ ემბარგოგამოცხადებული ქვეყნის კომპანიებთან. “მეორე საფეხურზე” ემბარგოს ინიციატორ ქვეყანას ე.წ. “შავ სიაში” შექმავს ის უცხოური კომპანიები, რომლებიც იმყოფებიან მესამე ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ და არ წყვეტენ სავაჭრო ურთიერთობებს ემბარგოგამოცხადებულ ქვეყანასთან. ამგვარი “მეორე საფეხურის” ემბარგო იქნა გამოყენებული, მაგალითად, არაბეთის ლიგის მიერ ისრაელის წინააღმდეგ³. მრავალსაფეხუროვანი ემბარგოს “მესამე საფეხურზე” ემბარგოს ინიციატორი ქვეყანა ცდილობს აიძულოს მესამე ქვეყნები, რათა მათ არა მხოლოდ ემბარგო გამოუცხადონ შესაბამის სახელმწიფოს, არამედ “შავ სიაში” შეიყვანონ ის კომპანიები, რომლებიც აგრძელებენ ვაჭრობას ემბარგოგამოცხადებულ ქვეყანასთან⁴.

ნათელია, რომ მრავალსაფეხუროვანი ბოიკოტის წარმოება მხოლოდ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძალიან ძლიერ სახელმწიფოებს შეუძლია. შესაბამისად, მისი პრაქტიკაში განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მრავალსაფეხუროვანი სავაჭრო ემბარგოს ინიციატორ ქვეყანას აქვს მძლავრი ბერკეტი მესამე ქვეყნების მიმართ, რათა ისინი აიძულოს მისი ნება-სურვილის მიხედვით გამოუცხადოს ემბარგო რომელიმე ქვეყანას.

დ) **ბოიკოტი (Boycott).** ტერმინი “ბოიკოტი” მომდინარეობს 1880 წლიდან, როდესაც ირლანდიის საგრაფო მაიოში მოიჯარები, მუშები და კომერსანტები აუკანედნენ მკაცრ და დაუნდობებულ მმართველს კაპიტან ჩარლს ბოიკოტს და უარი განაცხადეს მის მმართველობის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის წარმოებაზე⁵.

მთავარი განსხვავება “ბოიკოტსა” და “ემბარგოს” შორის შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ბოიკოტი დაფუძნებულია ერთი ქვეყნის პირთა კერძო ინიციატივით განხორციელებულ ეკონომიკურ პროტესტზე სხვა ქვეყნის ან მისი მოქალაქეების მიმართ, რაც გამოიხატება მათთან გარკვეული სახის პროდუქტით ვაჭრობაზე

¹ Trade v. Baldrige. 552 F. Supp. 1378, Western District of Wisconsin, 1983.

² იურიდიული პირების იურისდიქციის განსაზღვრის შესახებ იხ. ზ. გაბისონია. საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია. თბ., 2002წ.

³ Andreas F. Lowenfeld. “... Sauce for the Gander”: The Arab Boycott and United States Political Trade Controls, 12 Tex. Int'l. J. 25, 1977.

⁴ Benno Engels. Die Zukunft des Embargos in den internationalen Beziehungen, Hamburg, 1981, S.16.

⁵ Yehuda Z. Blum. Economic Boycotts in International Law, 12 Tex. Int L. J. 5, 1977.

უარის თქმით (მაგალითად, არ შეიძენენ იმ ქვეყნის ნაწარმოებ პროდუქტს), მაშინ, როცა ემბარგოს დროს წინა პლანზე დგას სახელმწიფოს ინტერესი და ის შეიძლება არ დაემთხვეს მის მოქალაქეთა პირად ინტერესებს¹.

4. საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს შედეგები კერძოსამართლებრივ ხელ-შეკრულებებზე. საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს ახლავს მრავალი სამართლებრივი შედეგი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა. სავაჭრო ემბარგოს გამოცხადების დროს იკრძალება არა მარტო ახალი კერძოსამართლებრივი კონტრაქტების გაფორმება ემბარგოს ინიციატორი ქვეყნის კომპანიებსა და ემბარგოგამოცხადებულ ქვეყნის კომპანიებს შორის, არამედ საფრთხე ექმნება უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებას.

შესაბამისად, როდესაც საუბარია სავაჭრო ემბარგოს გამოცხადებისას კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებების პრობლემატიკაზე, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულებათა ორი ჯგუფი: ა) ხელშეკრულებები, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადებამდე იქნა დადგებული; ბ) ხელშეკრულებები, რომლებიც შეიძლება დაიდოს საერთაშორისო სავაჭრო ბოიკოტის გამოცხადების შემდეგ. ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული.

ა) ხელშეკრულებები, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადებამდე იქნა დადგებული. ის ხელშეკრულებები, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადებამდე იქნა გაფორმებული, თავის მხრივ, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს.

პირველ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ის ხელშეკრულებები, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადებამდე იქნა დადგებული და მხარეებმა მოახწერეს აღნიშნული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებები არა მხოლოდ ნამდვილია, არამედ მათ ჯეროვან შესრულებას საფრთხე აღარ ემუქრება და, შესაბამისად, მათი როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე კოლიზიურ-სამართლებრივი საკითხები აღარ განიხილება.

სხვაგვარადაა საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც ემბარგოს ინიციატორი ქვეყნის კომპანიასა და ემბარგოგამოცხადებულ ქვეყნის კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, მართალია საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადებამდე იქნა დადგებული, მაგრამ მხარეებმა ვერ მოასწრეს მათი შესრულება. ამ შემთხვევაში თავს იჩენს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე კოლიზიურ-სამართლებრივი პრობლემები.

იმის გამო, რომ სავაჭრო ემბარგოა გამოცხადებული, მხარეები ვერ ახდენენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას. წარმოიშობა დავა კომპანიებს შორის ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო.

¹ Klaus Bockslaff. Das Völkerrechtliche Interventionsverbot als Schranke außenpolitisch motivierter Handelsbeschränkungen, Berlin, 1987, S. 20-21.

ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, წინა პლანზე იწევს ორი კოლიზიურ-სამართლებრივი ასპექტი: ა) რომელი ქვეყნის იურისდიქციას ექვემდებარება აღნიშნული დავა; ბ) რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული.

როგორც წესი, თანამედროვე ტიპის ხელშეკრულებებში მხარეები წინასწარ ითვალისწინებენ ორივე ასპექტს და, შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე თავად ირჩევენ თუ რომელი ქვეყნის იურისდიქციას დაექვემდებარება დავის შემთხვევაში აღნიშნული კონტრაქტი და რომელი ქვეყნის სამართალი იქნება გამოყენებული სახელშეკრულებო დავის განხილვის დროს. უფრო მეტიც, მხარეები ხშირად ორივე სამართლებრივ ასპექტს ნეიტრალურად წყვეტის: დავას უქვემდებარებენ მესამე ქვეყნის სასამართლოს ან რომელიმე ავტორიტეტულ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟს და გამოსაყენებელ სამართლად რომელიმე განვითარებული კერძო სამართლის მქონე ქვეყნის სამართალს ასახელებენ.

საკითხი იმის შესახებ, უნდა ჩაითვალოს თუ არა საერთაშორისო სავაჭრო ემბარგო სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან გათავისუფლების ან ვალდებულების შესრულების გადავადების საფუძვლად მთლიანად დამოკიდებულია დავის განმხილველ ორგანოზე და მის მიერ გამოყენებული სამართლის სწორ ინტერპრეტაციაზე. ის, რომ გამოსაყენებელი ქვეყნის სამართალი ცნობილია, ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ მის მიმართ მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი ნორმები უნდა იყოს გამოყენებული¹. ხელშეკრულების გამოსაყენებელი სამართალი, პირველ რიგში, რიგში, გულისხმობს იმ ქვეყნის კერძოსამართლებრივი ნორმების გამოყენებას, რომელსაც ეყრდნობა შესაბამისი კონტრაქტი².

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დავის განმხილველი ორგანო თუნდაც სამართლებრივი თვალსაზრისით ვერ გაექცევა იმ ფაქტს, რომ ქვეყნებს შორის ემბარგოს გამოცხადებამ არ შეიძლება ხელი არ შეუშალოს მხარეებს სახელშეკრულებო ვალდებულებათა ჯერვან შესრულებაში. გარდა ამისა, ნათელია, რომ ნებისმიერი ქვეყნისათვის საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადება არ შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი განცხადების გაკეთებით. მას ახლავს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში სპეციალური იმპერატიული ნორმების მიღება, რაც სავალდებულო წესით უნდა იყოს გამოყენებული მხარეთა მიერ. როგორც ცნობილია, საერთაშორისო კერძო სამართალში ამგვარი ნორმები “იმპერატიულ წესებად” მიიჩნევა და “საჯარო წესრიგის” (*ordre Public*) შესახებ დათქმაში³ პოვებს ასახვას. ეს უკანასკნელი კი ხასიათდება პრიორიტეტულობით სახელშეკრულებო ნორმების მიმართ და მისი უბულებელყოფა დავის განმხილველი ორგანოს მიერ საფლოა რომ მოხდეს.

¹ Christoph Reithmann. Dieter Martiny. Internationale Vertragsrecht, Das internationale Privatrecht der Schuldverträge, 5. Aufl., Köln, 1996, S. 227.

² Julius von Staudinger. Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetze. U. Magnus Kommentar Art.34 EGBGB, Rn. 14-18.

³ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იხ. ზ. გაბისონია. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2006წ.

ბ) ხელშეკრულებები, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადების შემდეგ იქნა დადგებული. საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, რა სამართლებრივი საფუძველი შეიძლება პქონდეს იმ კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებს, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადების შემდეგ იქნა დადგებული.

ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, რა სახის “ემბარგო” იქნა გამოცხადებული ემბარგოს ინიციატორი სახელმწიფოს მიერ. თუ სახეზეა ტოტალური ემბარგო (*Totalembargo*), მაშინ ნებისმიერი სახის კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება გაფორმდეს ემბარგოს ინიციატორი ქვეყნისა და ემბარგოგამოცხადებულ სახელმწიფოს იურისდიქციებში მყოფ კომპანიებს შორის შიგასახელმწიფოებრივი მატერიალური სამართლის (ძირითადად, სამოქალაქო კოდექსის) საფუძველზე დადგების მომენტშივე ბათილად მიიჩნევა¹. ამ დროს იმ სახელშეკრულებო ნორმების მოქმედებას, რომლებიც გამომდინარეობენ შესაბამისი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსის დანაწესიდან, ფარავს შესაბამისი ქვეყნის იმპერატიული კანონი საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს გამოცხადების შესახებ².

სხვაგვარადაა საკითხი იმ შემთხვევაში, თუ ემბარგოს ინიციატორი ქვეყანა აცხადებს ნაწილობრივ ემბარგოს (*Teilembargo*). ამ დროს, როგორც აღვნიშნე, იკრძალება ვაჭრობა მხოლოდ ცალკეული სახის პროდუქტებზე (ნედლეულზე, საქონელზე და ა.შ.). ამ შემთხვევაში ბათილ ხელშეკრულებებად უნდა იქნეს მიჩნეული მხარეთა შორის გაფორმებული მხოლოდ ის ხელშეკრულებები, რომლის საგანიც სწორედ ემბარგოდადებული პროდუქციაა.

შესაბამისად, ნაწილობრივი ემბარგოს დროს ინიციატორი ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და ემბარგოგამოცხადებულ ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის დადგებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებები, რომლებიც არ გულისხმობს ემბარგოდადებული პროდუქციით ვაჭრობას, ნამდვილად უნდა იქნეს მიჩნეული. აქედან გამომდინარე, ამგვარ ნივთებზე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა არ იწვევს დამრღვევი მხარის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულებების მიმართ არ უნდა იქნეს გაზიარებული მხარეთა შესაძლო მითითება “სავაჭრო ემბარგოს” გამოცხადების შესახებ იმპერატიულ მოთხოვნებში და ის არ უნდა მოთავსდეს “საჯარო წესრიგის” შესახებ დათქმის ჩარჩოებში.

¹ Kommentar §134 BGB, Rn.2. Otto Palandt. Bürgerliches Gesetzbuch, 60. Aufl., München, 2001.

² Michael Metschkoll. Eingriffe in Außenhandelsverträge, Die Privatrechtliche Bedeutung außenwirtschaftlichen Maßnahmen in Warenverkehr, München, 1992, S.82.

**საერთაშორისო სავაჭრო ემბარგო და
კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებების
მოქმედების შეზღუდვა**

ნაშრომი შეეხება თანამედროვე სავაჭრო და საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას – საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს დაწესების სამართლებრივ პრობლემებს და ემბარგოს პირობებში კერძოსამართლებრივი კონტრაქტების მოქმედების შეზღუდვის ფარგლებს.

განხილულია საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს არსი და წინაპირობები, მათი სამართლებრივი რეჟიმები. სავაჭრო ემბარგოს დაწესების ისტორიული წინაპირობები, მათი სამართლებრივი ბუნება და კერძოსამართლებრივი კონტრაქტების მოქმედების არეალი ემბარგოს პირობებში.

გარდა ამისა, მოცემულია ემბარგოს ცალკეული სახეები და მათი სამართლებრივი თავისებურებები, კერძოდ: ა) ტოტალური ემბარგო და ნაწილობრივი ემბარგო; ბ) კოლექტიური ემბარგო და ინდივიდუალური ემბარგო; გ) მრავალსაფეხუროვანი ემბარგო და დ) ბოიკოტი.

საერთაშორისო სავაჭრო ემბარგოს პირობებში ავტორი იკვლევს კერძოსამართლებრივი კონტრაქტების მოქმედებას როგორც ემბარგოს დაწესებამდე, ისე ემბარგოს დაწესების შემდეგ.

ნაშრომი შესრულებულია 2008 წლის ზაფხულში პამბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო მივლინების პერიოდში და გამოყენებულია საერთაშორისო კერძო და სავაჭრო სამართლის ევროპელ და აშშ-ის მეცნიერთა თანამედროვე მიდგომები.

Zviad Gabisonia
Doctor of law

**INTERNATIONAL TRADE EMBARGO AND LIMITATION
OF ACTIONS OF PRIVATE LEGAL AGREEMENTS**

The article describes one of the important problems of international modern trading and international private legal problem of establishing the international trade embargo and limitation of private legal contract actions within embargo conditions.

There is given the concept of international trade embargo and its backgrounds, its legal regimes and historical preconditions, the legal nature and action area of the private legal contracts within embargo conditions under embargo circumstances.

Besides, the article describes specific types of embargo and their legal character, particularly
a) total embargo and partial embargo. b) collective and individual embargo, c) multi-stage embargo.
d) boycott

The author of the article is researching the acting of the private legal agreements under
embargo circumstances, before embargo establishment as well as after it.

The present article is prepared during the scientific vacation at Hamburg university legal
faculty in summer 2008. The author used the modern access of European and American scientists to
international private and trade law.

Звиад Габисония,

доктор права

МЕЖДУНАРОДНОЕ ТОРГОВОЕ ЭМБАРГО И ОГРАНИЧЕНИЕ ДЕЙСТВИЙ ЧАСТНО-ПРАВОВЫХ ДОГОВОРОВ

Публикация касается одной из важнейших проблем международного торгового и
международного частного права – о правовых проблемах установления международного
торгового эмбарго и об ограничении действий частно-правовых договоров во время действия
эмбарго.

В публикации даются понятие международного торгового эмбарго и его предпосылки;
его правовые режимы; исторические предпосылки торгового эмбарго и проблемы
ограничения действий частно-правовых договоров.

Кроме того, в публикации изображены частные виды эмбарго и его правовые
особенности. В частности: а) тотальное эмбарго и частичное эмбарго; б) коллективное
эмбарго и индивидуальное эмбарго, в) многоступенчатое эмбарго и г) бойкот.

Автор исследует действия частно-правовых договоров до и после установления
эмбарго.

Работа была написана летом 2008 года на юридическом факультете Гамбургского
Университета во время научной командировки.

არბიტრაჟის განვითარების ისტორიული რაკურსი

დღეისათვის უცნობია, თუ როდის ჩატარდა ისტორიაში პირველი საარბიტრაჟო განხილვა, მაგრამ დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ არბიტრაჟისმაგვარი წესით საქმის გადაწყვეტა უფრო ადრე ჩამოყალიბდა მსოფლიოში, ვიდრე სასამართლო. ისტორიული ნარკევებიდან ჩანს, რომ დავის გადაწყვეტის მეტ-ნაკლებად ამგვარ წესს იცნობდნენ როგორც ძველი ეგვიპტეში (განსაკუთრებით გამოიყენებოდა უმაღლესი სასულიერო პირთა და მოსახლეობას შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად), ასევე საბერძნეთსა და ძველ რომში. მაგალითად, ათენელი პოლიტიკური მოღვაწის თემისტოკლეს ბიოგრაფიაში უაღრესად საინტერესო ცნობაა დაცული: ათენელებისაგან დევნილი თემისტოკლე კუნძულ კერკირაზე გაიქცა, რადგან ამ კუნძულზე მცხოვრებთ თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია, არბიტრად გაჰყვა კორინთელთა წინააღმდეგ დავაში და ამ უკანასკნელთ 20 ტალანტის გადახდა დააკისრა.

არბიტრაჟის პირველი დოკუმენტური გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა ინგლისში 1610 წელს, ხოლო ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო დავა, რომელიც წარმოიშვა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ვალებისა და საზღვრების შესახებ გადაწყვეტილ იქნა სწორედ საარბიტრაჟო სასამართლოს მეშვეობით. როგორც ცნობილია, საარბიტრაჟო სასამართლო ძალაში შევიდა ე.წ. „Jay Treaty“-ს ხელშეკრულებით, ხოლო დავა 7 წელი გრძელდებოდა. შედეგების კანონიერებამ და სამართლიანობამ დაადასტურა, რომ ეს იყო საკმაოდ ეფექტური მექანიზმი ასეთი სახის დავების გადასაწყვეტად.

თანამედროვე სახით კერძო არბიტრაჟი XX საუკუნის ბოლოს, კერძოდ, მის უკანასკნელ მეოთხედში, გლობალური ეკონომიკური განვითარების ფონზე ჩამოყალიბდა. ცნობილია, რომ ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟმა ჯერ კიდევ 1892 წლიდან დაიწყო დავების განხილვა, სტოკოლმის სავაჭრო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო ინსტიტუტი თავის ისტორიას 1917 წლიდან ითვლის. თანამედროვე სახის კერძო არბიტრაჟის რეგულირება, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, შედარებით ადრე დაიწყო. 1923 წლის უკნევის ოქმი და 1927 წლის უკნევის კონვენცია სწორედ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმის შექმნის პირველ მცდელობას წარმოადგენს და იმ დროისთვის საკმაო ფუძემდებლური და პროგრესული როლი შეასრულა ამ მნიშვნელოვანი და სასარგებლო ინსტიტუტის განვითარების საქმეში.

საინტერესო და რთული აღმოჩნდა არბიტრაჟის ცნების ჩამოყალიბების პროცესი მსოფლიოში. განსხვავებული პოზიციები დაიკავეს ეპროპელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა.

ევროპის კონტინენტზე არსებული სამართლებრივი ტრადიციის შესაბამისად, იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია აბსტრაქტული განსაზღვრების ჩამოყალიბება და არბიტრაჟის ძირითად მახასიათებლებზე უურადღების გამახვილება. მაგალითად, ბერგერის მიხედვით, არბიტრაჟი შეიძლება განიმარტოს, როგორც დავების გადაწყვეტის კონკრეტული მექანიზმი, რომელიც იქმნება ორ ან მეტ მხარეს შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად. ამ ხელშეკრულებით მხარეები თახმდებიან, რომ არბიტრების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოო იქნება. გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი პროცესის შედეგად და უნდა ექვემდებარებოდეს იძულებით აღსრულებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დეფინიციის მიზნით, არბიტრაჟის ნიშნების დეტალური ჩამოთვლის ნაცვლად უპირატესობას უფრო ზოგად ფორმულირებებს ანიჭებენ. ერთ-ერთი ასეთი განმარტების თანახმად, არბიტრაჟი არის დავის კერძო, არაფორმალური და არასასამართლო წესით გადაწყვეტის პროცედურა (Arbitration is a private, generally informal and nonjudicial trial procedure for adjudicating disputes). აშშ-ის კანონმდებლობაში განმარტებები და ცნებები იშვიათობაა. ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ ამ ქვეყნის საარბიტრაჟო სამართალი არბიტრაჟის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს.

არბიტრაჟის დეფინიციის საკითხში კონტინენტურ-ევროპული და ამერიკული მიღგომების განსხვავება ადასტურებს, რომ არბიტრაჟის ერთიანი, უნიფიცირებული ცნების ჩამოყალიბება საკმაოდ რთული პროცესია. სავსებით საკმარისია იმ ძირითადი ნიშნების გამოყვეთა, რაც არბიტრაჟს ახასიათებს და რომელთა გარეშე ამ ინსტიტუტის არსებობა წარმოუდგენელია. ასეთ ნიშნებად უნდა ჩაითვალოს:

- საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა, რომლის თანახმად მხარეთა შორის წარმოშობილი დავა უნდა განიხილოს ერთმა ან მეტმა არბიტრმა;
- არბიტრის ან არბიტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა მხარეებისათვის;
- ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით დაიშვება არბიტრთა გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, როცა საუბარია არბიტრაჟის ცნებაზე, იგულისხმება მისი ძირითადი ნიშნები და ის პრინციპები, რომელთა ჩამოყალიბება არბიტრაჟის ისტორიულმა განვითარებამ და პრაქტიკამ უზრუნველყო. რაც შეეხება საკანონმდებლო დონეზე არბიტრაჟების რეგულირების თანამედროვე ტენდენციებს, ამ ინსტიტუტის აბსტრაქტული ლეგალური დეფინიციის ჩამოყალიბების მცდელობა არცთუ ისე მიღებულია საერთაშორისო მეცნიერთა და იურისტთა მიერ და სადაცორჩება.

არბიტრაჟის ისტორიიდან და უხვი პრაქტიკიდან გამომდინარე, მსოფლიოში დაგროვდა მრავალი სხვადასხვა ტიპის საარბიტრაჟო ინსტიტუტი. მათი განსხვავება

და ფორმების იდენტიფიკაცია შესაძლებელია მოვახდინოთ შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

- პირთა წრე;
- პერიოდულობა;
- სპეციალიზაცია.

იმის მიხედვით, არბიტრაჟი ყველა საქმეს განიხილავს, თუ მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციის ან მის წევრებს შორის წარმოშობილ დავტს, განასხვავებენ „დახურულ” და „დია” სახის არბიტრაჟებს. ამგვარი წესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად განისაზღვრება არბიტრაჟის სადამფუძნებლო დოკუმენტით. არბიტრაჟი „დახურულია”, თუ მისი კომპეტენცია მხოლოდ პირთა განსაზღვრული წრის წარმომადგენლებს შორის დავტის განხილვით შემოიფარგლება, „დია”, თუ მას აქვს ნებისმიერ სუბიექტებს შორის წარმოშობილი დავის განხილვის უფლებამოსილება.

თუ არბიტრაჟი შექმნილია ერთი კონკრეტული დავის გადასაწყვეტად, ხოლო ამ დავის დასასრული ავტომატურად ნიშნავს არბიტრაჟის ფუნქციონირების დასასრულსაც, ასეთ არბიტრაჟებს Ad-hoc უწოდებენ. მათ საპირისპირო მხარეს წარმოადგენენ მუდმივმოქმედი ანუ ინსტიტუციური არბიტრაჟები, რომლებიც იქმნებიან განუსაზღვრელი ვადით. უმრავლეს შემთხვევაში, მუდმივმოქმედი არბიტრაჟები იქმნება სავაჭრო პალატებთან, ბირჟებსა და ასოციაციებთან და მოქმედებს საქმეთა წარმოების დადგენილი საკუთარი წესებით. მათი საქმიანობის წესი და ორგანიზაცია ძირითადად მათივე წესდებით რეგულირდება, ამავე წესით არის განსაზღვრული ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სტატუსი და ფუნქციები. წესდებასთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არსებობისათვის აუცილებელია საარბიტრაჟო რეგლამენტი.

ცნობილი გერმანელი პროფესორი Rolf Shutze ჩამოთვლის ინსტიტუციური არბიტრაჟების დამახასიათებელ ნიშნებს, კერძოდ:

- საკუთარი და დამოუკიდებელი ადმინისტრაცია;
- არბიტრთა შემადგენლობის ფორმირებაში მონაწილეობა;
- საარბიტრაჟო პროცედურის რეგულირება (საკუთარი საარბიტრაჟო რეგლამენტის შემუშავება და მხარეებისათვის შეთავაზება);
- საარბიტრაჟო ხარჯებისა და არბიტრთა პონორარების საკითხის რეგულირება;
- სტანდარტული საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის შემუშავება და „კლიენტებისათვის” მათი შეთავაზება.

გარდა აღნიშნულისა, ყველა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს აქვს არბიტრთა სია, საიდანაც მხარეები აკეთებენ არჩევანს.

საარბიტრაჟო რეგლამენტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საწესდებო დოკუმენტია არბიტრაჟის სამართლებრივი ფორმულირებისთვის. როგორც წესი,

საარბიტრაჟო რეგლამენტით განისაზღვრება დავების განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურა, საარბიტრაჟო ხარჯების განსაზღვრისა და მათი განაწილების წესი და მოდელური საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი, რაც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს იმ მხარეებისათვის, რომლებიც გადაწყვეტებ მათ შორის წარმოშობილი დავა განსახილველად გადასცენ ამ არბიტრაჟს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, განასხვავებენ აგრეთვე არბიტრაჟის მესამე სახესაც, რომელიც შუალედურ პოზიციას იკავებს მუდმივმოქმედ და დროებით არბიტრაჟთა მიმართებაში. იგულისხმება ე.წ „ადმინისტრაციული არბიტრაჟები“. მათი ფუნქციონირების პრინციპი აგებულია იმაზე, რომ კომერციული ორგანიზაციები ან მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ინსტიტუტები სპეციალურ რეგლამენტებში მითითებული საფუძვლის არსებობისას ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს ad hoc არბიტრაჟისათვის. ასეთი „ადმინისტრაციული არბიტრაჟის“ ფუნქციას ასრულებს (მაგალითად) რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული მუდმივმოქმედი არბიტრაჟი იმ დაინტერესებული პირებისათვის, რომლებსაც სურთ მათ შორის წარმოშობილი დავა UNCITRAL-1976 საარბიტრაჟო წესებით იქნეს განხილული.

ამგვარი პროცედურის დახვეწის მიზნით, საერთაშორისო დონეზე მიღებულ იქნა მრავალი რეგლამენტი. დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ad hoc რეგლამენტებია, კერძოდ:

1. ევროპის ეკონომიკური კომისიის 1963 წლის საარბიტრაჟო რეგლამენტი;
2. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1976 წელს მიღებული UNCITRAL საარბიტრაჟო რეგლამენტი;
3. გაეროს ეკონომიკური კომისიის 1966 წლის საარბიტრაჟო რეგლამენტი ევროპისათვის;
4. გაეროს ეკონომიკური კომისიის საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის წესები აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის, 1966წელი.

როგორც აღვნიშნეთ, დროებითი არბიტრაჟი ერთი კონკრეტული დავის გადაწყვეტის მიზნით იქმნება, ამიტომ საარბიტრაჟო განხილვის მონაწილენი ცდილობები მაქსიმალურად გაითვალისწინონ ამ დავის სპეციფიკა. ამ შემთხვევაში მხარეები თავისუფლები არიან შეათანხმონ დავის გადაწყვეტის ყველა შესაძლო მეთოდი, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ახდენენ კიდევაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ad hoc არბიტრაჟები გავრცელებულობითა და პოპულარობით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებიან ინსტიტუციურ არბიტრაჟებს და ამას თავისი მიზეზები აქვს. როგორც წესი, მუდმივმოქმედი არბიტრაჟების მიერ ორგანიზებული საარბიტრაჟო განხილვების ხარისხი გაცილებით მაღალია, რასაც დაგროვილი გამოცდილება და პროფესიონალების უწყვეტი მუშაობა განაპირობებს. ad hoc არბიტრაჟის შექმნა და ფუნქციონირება დაკავშირებულია კონკრეტულ დავასთან, რომლის დასრულების შემდეგ არბიტრაჟი წყვეტს ფუნქციონირებას. გარდა ამისა, მუდმივმოქმედი არბიტრაჟები ყოველნაირად ცდილობენ მიმზიდველი

გახადონ თავიანთი მომსახურება, რისთვისაც კლიენტებს მომსახურებისა და ანაზღაურების სხვადასხვა სისტემას სთავაზობენ.

არბიტრაჟის მესამე სახეა საერთო და სპეციალიზებული არბიტრაჟები. სპეციალიზებული არის არბიტრაჟი, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული სახის დავების განხილვაზე და ამგვარი დავების განხილვისათვის სპეციალური რეგლამენტი აქვს შემუშავებული. ასეთი არბიტრაჟების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის საგაჭრო-სამრეწველო პალატებთან არსებული საზღვაო-საარბიტრაჟო კომისიები. საზღვაო გადაზიდვებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების საქმაოდ ავტორიტეტულ არბიტრაჟიდ მიიჩნევა კოუნიაგნის საარბიტრაჟო კომისია. აქვე უნდა აღინიშნოს ორი მნიშვნელოვანი საერთაშორიო ორგანიზაციის – საერთაშორისო საგაჭრო პალატისა (ICC) და საერთაშორისო საზღვაო კომიტეტის (Comitee Maritime International) ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი სპეციალური საზღვაო არბიტრაჟი.

სპეციალიზებული არბიტრაჟების საქმის წარმოება შესაძლებელია განსხვავდებოდეს ზოგადისაგან სხვადასხვა ასევექტში. მაგალითად, საერთაშორისო სამშენებლო პროექტებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები საარბიტრაჟო შეთანხმებასთან ერთად ხშირად ითვალისწინებს პირობას, რომლის თანახმად, დავის წარმოშობის მიუხედავად, თითოეული მხარე ვალდებულია განაგრძოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას.

სპეციალიზებული არბიტრაჟების საქმიანობა მხოლოდ საზღვაო და სამშენებლო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვით არ შემოიფარგლება. ამერიკულ საარბიტრაჟო ასოციაციას (AAA-არბიტრაჟი) აქვს სამშენებლო ინდუსტრიაში წარმოშობილი დავების გადაწყვეტისათვის შემუშავებული სპეციალური რეგლამენტი.

ზოგადად, სპეციალიზებულ არბიტრაჟებს გარკვეული უპირატესობა აქვს საერთო სახის არბიტრაჟების მიმართ, რაღაც ისინი წლების განმავლობაში აგროვებენ დავების განხილვისა და გადაწყვეტის გამოცდილებას მხოლოდ ერთ სპეციფიკურ სფეროში. ამგვარი კვალიფიკაცია შეიძლება ითქვას, მათ მაღალ პროფესიონალიზმსა და არბიტრაჟის მაღალ დონეზე ორგანიზებას უზრუნველყოფს.

მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟების დაყოფას ზოგად და სპეციალიზებულ არბიტრაჟებად თავისი ობიექტური საფუძველი აქვს, ასეთი კლასიფიკაცია მაინც პირობითია. დღეისათვის არსებობს ზოგადი და სპეციალიზებული არბიტრაჟების სინთეზური ვარიანტებიც. ამ სახის სინთეზი საშუალებას იძლევა საარბიტრაჟო ცენტრმა გააფართოოს მომსახურების სფერო და უფრო მრავალფეროვანი არჩევანი შესთავაზოს მომხმარებლებს. ასეთი არბიტრაჟის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სტოკოლმის საგაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელსაც, გარდა მირითადი რეგლამენტისა აქვს ცალკე რეგლამენტი დაზღვევის სფეროში წარმოშობილი დავებისათვის.

არბიტრაჟის განვითარების ისტორიული რაკურსი

განხილულია საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოშობისა და განვითარების ისტორია, ასევე თანამედროვე პერიოდში მისი საქმიანობის თანამედროვე ასპექტები. საინტერესოა ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის, სტოკოლმის სავაჭრო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო ინსტიტუტისა და ზოგადად საერთაშორისო არბიტრაჟის რეგულირების საკითხი. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის მაგალითზე წარმოდგენილია თანამედროვე კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმის დახვეწის ეტიოლოგია წარმოშობიდან დღემდე.

Levan Khetsuriani
Student of Doctorate in Law

HISTORICAL ASPECT OF ARBITRATION DEVELOPMENT

There is considered history of the arbitration court origin and development, as well as modern aspects of its activities. It is interesting to consider London international arbitration, arbitration institution of Stockholm trade chamber and the international arbitration on the whole regulation issue. On the background of various countries law and practice there has been considered aetiology of the modern private arbitration decisions fulfillment mechanism from its origination to the present.

Леван Хецуриани,
докторант права

ИСТОРИЧЕСКИЙ РАКУРС РАЗВИТИЯ АРБИТРАЖА

Рассмотрена история возникновения и развития арбитражного суда, также современные аспекты его деятельности. Представляет интерес вопрос регулирования Лондонского международного арбитража, Института арбитража, существующего при Стокгольмской торговой палате, и в целом международного арбитража. На примере законодательства и практики различных стран представлена этиология совершенствования механизма исполнения решений современного частного арбитража с момента его возникновения по сей день.

**მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ინსტიტუტის განვითარების
თავისებურებათა მოქლე დახასიათება**

მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება კერძო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომლის მიხედვით ხდება განსაზღვრული მოცულობის უფლებათა და მოვალეობათა გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე.

საქართველოში მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ინსტიტუტები სამოქალაქო კოდექსის სანივთო სამართლის ნაწილის შესაბამისი ნორმებით რეგულირდება. ფაქტობრივად, სამოქალაქო კოდექსის სისტემის გათვალისწინებით, საკუთრების შემცნის სანივთო-სამართლებრივ საშუალებებად იქნა მიჩნეული. ზოგადად, არც მოთხოვნის დათმობა და არც ვალის გადაკისრება არ ცვლის მხარეთა შორის არსებული ძირითადი ურთიერთობის შინაარსს. იცვლებიან მხოლოდ მოთხოვნისა და ვალის სუბიექტები. თუ მოთხოვნის დათმობა წარმოიშვა ერთი პირის საკუთრებას ამ მოთხოვნაზე, სამაგიეროდ ამავე მოთხოვნის შემძენი იძენს მასზე საკუთრებას. სწორედ ამიტომ, ეჭვს არ იწვევს, რომ სახეზეა სანივთო-სამართლებრივი გარიგება¹ (იმავე აზრს იზიარებს უცხოეთის არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა).

მოთხოვნის დათმობა, ჩვეულებრივ, მოთხოვნის მფლობელსა (ძველ კრედიტორს) და მესამე პირს (ახალ კრედიტორს) შორის დადებული ხელშეკრულებით ხდება. ამ ხელშეკრულებით კრედიტორი მოთხოვნის უფლებას გადასცემს უფლების დათმობის მესამე პირს. თავდაპირველი კრედიტორის ადგილს მესამე პირი იჭერს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). დათმობის დაუშვებლობისას მოვალესთან შეთანხმება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსადები ინტერესი. ასეთ შემთხვევებში თავდაპირველი მფლობელის ადგილს მესამე პირი იკავებს (მუხ. 199).

მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით, ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველ მოვალეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს მოთხოვნის მფლობელისა და მესამე პირის ამ შეთანხმებას და თვითონ გადაიხადოს ვალი (მუხ. 203).

საინტერესოა მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების, როგორც პრაქტიკაში ხშირად გამოყენებადი სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტების წარმოშობისა და განვითარების თავისებურებათა მოქლე მიმოხილვა.

იერინგის მიერ შემუშავებული ცნების თანახმად, „უფლება – სამართლებრივი სიკეთეა, სხვა სიტყვებით, უფლებამოსილი პირის სამართლებრივად დაცული

¹ ბ. ზოდე. სანივთო სამართლი. თბ., 1999., გვ. 16.

ინტერესების ობიექტი”.¹ ამ განსაზღვრებაში, ცხადია, ნებისმიერი ინტერესი არ იგულისხმება, არამედ მხოლოდ „სამართლის სუბიექტის აღიარებული „ობიექტური ინტერესი”.² სამართლის მეცნიერება უფლებათა კონკრეტიზაციის პრინციპს უყრდნობა, რაც გულისხმობს, რომ უფლება და მოვალეობა ყოველთვის კონკრეტულ შესაძლებობაში უნდა გამოიხატოს.³

სუბიექტური უფლება და მოვალეობა ობიექტური სამართლის ნორმებზე დაფუძნებული მართლზომიერი მოქმედების საზღვრებია. ამ ფორმულირებაში სულ მცირე თრი გარემოება აისახება, კერძოდ:

1. სუბიექტის მოქმედება მოქცეულია სამართლებრივ სფეროში;
2. სუბიექტის განსაზღვრული მოქმედება ყოველთვის კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებს შეესაბამება.

ერთი პირის უფლებას, როგორც წესი, მეორის ვალდებულება უპირისპირდება. თუმცა არამართებულად მიმაჩნია მტკიცება, რომ „პირის ნებისმიერ ვალდებულებას აუცილებლად განსაზღვრული უფლება შეესაბამება” (მერკელი, გირკვ, რეგელსბერგი). მართალია, ნებისმიერი პირი ვალდებულია არ შელახოს სხვისი ქონებრივი უფლებები, თუმცა ამ ვალდებულებას ყოველთვის არ უპირისპირდება სუბიექტური უფლებებით აღჭურვილი განსაზღვრული პირი.

უშუალოდ მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების სამართლებრივი ფესვები ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოდის, სადაც ეს ინსტიტუტები მემკვიდრეობის ჭრილში განიხილებოდა. რომის სამართალი თავდაპირველად იცნობდა კრედიტორთა მოთხოვნის უფლების გადასვლას მემკვიდრეზე მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში; პირთა ასეთი შეცვლა ერთგვარად უყრდნობოდა „მისტიკურ” თეზისს: „მემკვიდრე მამკვიდრებლის პიროვნების გამგრძელებელია.”⁴ აღსანიშნავია, რომ მემკვიდრეზე გარდაცვლილის ყველა უფლება გადადიოდა, მკაცრად პირადულის გარდა. სამკვიდრო მთელი შემადგენლობით ერწყმოდა მემკვიდრის ქონებას. მემკვიდრე ხდებოდა მემკვიდრეობით მიღებული მოთხოვნების კრედიტორი და მემკვიდრეობით მიღებული ვალების მოვალე.⁵

რომის სამართალი იცნობდა უნივერსალურ და სინგულარულ მემკვიდრეობას. უნივერსალური იყო ისეთი მემკვიდრეობა, როდესაც მემკვიდრეობით გადადიოდა სამკვიდროს დამტოვებლის უფლებები და დაკისრებული მოვალეობები, ხოლო სინგულარული მემკვიდრეობის ძალით მემკვიდრეზე გადადიოდა მხოლოდ ცალკეული უფლებები (მაგალითად, ლეგატი).

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა ისტორიულად სხვადასხვა ქავენაში მოქმედი მემკვიდრეობითი სამართლის ნორმების რადიკალური სხვაობა სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ფუნქციათა გათვალისწინებით. ასე,

¹ Ihering R.V. Der Geist des römischen Rechts auf den verschiedenen Stufen seiner Entwicklung, Teil 3, 1, 9. Aufl. 1968. §60.

² Schwars, Arch BR 32, S. 37.

³ Pawłowsk, AT, Rn. 107.

⁴ Новицкий И.Б. Римское право. М., 1993. с. 141

⁵ Покровский И.А. История римского права. М., 1915. с.549

მაგალითად, თანამედროვე კონტინენტური ევროპის კანონმდებლობით, მემკვიდრეობა განიხილება, როგორც უნივერსალური უფლება-მონაცელება, რომლის შედეგად გარდაცვლილის ქონება მთელი მოცულობით (აქტივი და პასივი) გადადის მის მემკვიდრეებზე.

ძველი რომის სამართალი გალდებულებით ურთიერთობებს განიხილავდა, როგორც მკაცრად პირადულს. ამიტომ, გალდებულებაში პირთა შეცვლა წარმოდგენილი იყო, როგორც ვალდებულების სრული მოცულობითი შეცვლა. კრედიტორის სიცოცხლეში მოთხოვნის დათმობის მიზნით გამოიყენებოდა ე.წ. „ნოვაცია”, რაც გულისხმობდა, რომ კრედიტორის, მოვალის და მოთხოვნის უფლების მიმღები მესამე პირის საერთო თანხმობით, დებდნენ იმავე შინაარსის გარიგებას. მოგვიანებით ჩნდება ე.წ. „ცესიის” ინსტიტუტი, რომლის საფუძველს ცედენტსა და ცესიონერს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა (შემდგომში, ცესია ხელშეკრულების დამოუკიდებელ სახედ იქცა). აღნიშნული წესით სრულდებოდა ასევე მოვალის მიერ ვალის გადაკისრება („Schuldsübernahme“) მის სიცოცხლეშივე ქონებრივ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად იცვლებოდა წარმოდგენა ვალდებულებათა შესახებ.

იურიდიულ ლიტერატურაში აღწერილია ვალდებულებათა ბუნების ევოლუცია მკაცრად პირადულიდან ქონებრივი ელემენტის შეძენამდე. ჩნდება ახალი პოსტულატი: „მოთხოვნის დათმობა შესაძლებელია ყველა ვალდებულებაზე, გარდა მკაცრად პირადულისა.” იგივე ტენდენცია შეიმჩნევა ევროპაშიც. ფრანგი მეცნიერი ჟულიო დე ლა მორანდერი წერდა: „დიდი ხნის განმავლობაში პირთა შეცვლა ვალდებულებაში დაუშვებელი იყო, რამეთუ მხარეთა ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებანი მკაცრად პირადულ ხასიათს ატარებდა. ამასთან, ვაჭრობის განვითარებასთან ერთად მოთხოვნის დათმობა ეტაპობრივად აღიარებულ იქნა.”¹

მსოფლიო მასშტაბით საფაჭრო ბრუნვის განვითარება-გართულებასთან ერთად ცესიის მნიშვნელობა თანდათან იზრდება, თუმცა ასეთი სახის ოპერაციების უმრავლესობა ხორციელდება არა სამოქალაქო-სამართლებრივი ცესიით, არამედ ფასიანი ქაღალდების გადაცემის საშუალებით.²

ვალის გადაკისრების მიზნით ფრანგული სამართალი იყენებს „ნოვაციის” და „დელეგირების” (“délégation”) ინსტიტუტებს. ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დელეგირების ინსტიტუტი პირს არა მარტო ათავისუფლებს ვალდებულებისგან, არამედ წარმოშობს ახალ ვალდებულებას, რომელიც კავშირში არ არის ძველთან (მუხ. 1275-1278). ვალის გადაკისრებისგან განსხვავებით, დელეგირების დროს ახალ მოვალეს არ შეუძლია წარადგინოს ძველი მოვალის კუთვნილი პრეტენზიები, თუმცა, მორანდიერის აზრით, ნოვაცია ვალის გადაკისრებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, კერძოდ:

- ნოვაცია იწვევს ვალდებულების შეწყვეტას და მის ნაცვლად სხვა, ახალი ვალდებულების წარმოშობას;

¹ Жулио де ла Морандьер. Гражданское право Франции. т. II. М., 1960. с.594-611

² Гражданское и торговое право капиталистических государств. / ред. Е.А. Васильев. М., 1993. с.308

- ნოვაცია მოითხოვს მასში კრედიტორის სავალდებულო წესით მონაწილეობას.¹ რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, ინგლისსა და აშშ-ში, მამკვიდრებლის ქონება პირველ ეტაპზე მინდობილი საკუთრების უფლებით გადადის გარდაცვლილის ე.წ. „პირად წარმომადგენელზე”, რომელიც შემდგომ მემკვიდრეებს სამკვიდროს მხოლოდ იმ ნაწილს გადასცემს, რაც მამკვიდრებლის კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩება.²

აშშ-ის სამართლის მიხედვით, უფლების გადატანა სხვა პირზე დასაშვებია, თუ იგი განხორციელდება ცესიონერის მიერ მოვალის დამატებითი ტვირთის დაუკისრებლად. ამასთან, სახელშეკრულებო ვალდებულებათა სხვა პირზე გადასვლა დაუშვებელია.³ „ვალდებულების ტვირთი შეიძლება გადაცემულ იქნეს იმ მხარის თანხმობით, რომელიც უფლებამოსილია სარგებელზე, სხვაგვარად გაცემა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია §1466-ში”⁴ (Civil Code of California.1872.§1457). ხელშეკრულებიდან სარგებლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, როგორც წესი, კრედიტორია, მაშასადამე, ვალდებულების ტვირთის გადაცემა შეიძლება მხოლოდ კრედიტორის თანხმობით, რომელიც ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე, უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს – მოვალეს, ვალდებულების შესრულება.

კალიფორნიის შტატის ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში ((1947) 35. C.L.R. 577) მითითებულია ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა გადაცემის კონკრეტული პირობები, კერძოდ:

- განხორციელებული დათმობა არც პირდაპირ აკრძალული და არც მხარეთა განხრახვიდან (Contemplation) არ უნდა მომდინარეობდეს;
- გადაცემის ფაქტი არსებით ზიანს არ უნდა აყენებდეს ხელშეკრულების მეორე მხარის უფლებებს.

ერთი პირის (ცედენტის) მიერ მეორე პირზე (ცესიონერზე) ვალდებულების გადაცემით, ცედენტი არ თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან და პასუხს აგებს ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე ცესიონერის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.⁵

წარმოდგენილი მცირე ისტორიული ექსპურებს მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაცისრების, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტების დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობასა და სხვადასხვა ქვეყანაში მათი განვითარების ეტაპების მსგავსებას.

¹ Гражданское и торговое право капиталистических государств. / ред. Е.А. Васильев. М., 1993. с.609.

² დაწმოილებით იხ.: Piotet P. Droit Successoral. Trait de droit prive suisse. T. IV. 3 Ed. L., 1977; John G., Ross M. Family Provision: Law and Practice. 2 ed. L., 1985

³ იხ. Ласк Г. Гражданское право США (право торгового оборота). М., 1961.

⁴ §1466-ის თანახმად: „არავინ, უბრალოდ იმ საფუძვლით, რომ შეძენილ იქნა უფლება (ან estate), რომელიც დატვირთველია მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ვალდებულებებით, რომლებიც მიყვება მას, - არ არის ვალდებული საკუთრების უფლების შეძენამდე დარღვეული ვალდებულებისათვის ან მას შემდეგ, რაც პირი გავიდა ვალდებულებიდან, ან შეწყვიტა მისი სარგებლის გამოყენება.“

⁵ Wiseman v. Sklar. 1930.

ლაშა გორგაძე
სამართლის დოქტორანტი

**მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების
ინსტიტუტის განვითარების თავისებურებათა
მოკლე დახასიათება**

განხილულია მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტების წარმოშობისა და განვითარების ტენდენციები. შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული ინსტიტუტების ევოლუციური თავისებურებანი.

Lasha Gorgadze
Student of Doctorate in Law

**SHORT CHARACTERISTIC OF FEATURES OF THE INSTITUTE
ABANDONMENT REQUESTS AND DEBT TRANSFERRING**

There is considered the abandonment of the requests and debt transferring as the origin of the tendency of civil legal institutions and development. There is revealed the evolutionary characteristics of the mentioned institutions in several countries on the basis of comparative legal analysis.

Лаша Горгадзе,
докторант права

**КРАТКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ОСОБЕННОСТЕЙ РАЗВИТИЯ
ИНСТИТУТА УСТУПЛЕНИЯ ПРОСЬБ И ОБРЕМЕНЕНИЯ ДОЛГОМ**

Рассмотрены уступление просьб и перенаправление долга, как тенденции происхождения гражданских правовых институтов и развития. На основе сравнительного правового анализа представлены эволюционные особенности упомянутых институтов в некоторых странах.

ამხანაგობის ტიპის იურიდიული პირის ცნება და სახეები

ამხანაგობის ტიპის საზოგადოების ერთ-ერთი ფორმა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა (სპს). სპს ერთ-ერთი ძეგლი და საკმაოდ გავრცელებული სავაჭრო საზოგადოებაა. იგი დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყნის სამართლისთვისაა ცნობილი. გერმანიაში მას ეწოდება OFFENE HANDELS-GESELLSCHAFT და მისი სამართლებრივი მდგრმარეობა განმტკიცებულია გერმანიის სავაჭრო კოდექსში. საფრანგეთში SOCIETE EN NOM COLLECTIF ეწოდება და მოწესრიგებულია სავაჭრო კოდექსით და 1966 წლის 24 ივლისის კანონით სავაჭრო ამხანაგობათა შესახებ. ინგლისის 1890 წლის კანონი ამხანაგობათა შესახებ ამ საზოგადოებას PARTNERSHIP უწოდებს, ხოლო რუსეთში ცნობილია, როგორც მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ПОЛНОЕ ХОЗЯЙСТВЕННОЕ ТОВАРИШЕСТВО, რომელიც პარტნიორთა სოლიდარულ პასუხისმგებლობაში მდგრმარეობს, ქართულმა კანონმდებლობამ მას სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება უწოდა. აქედან გამომდინარეობს მისი ლეგალური დეფინიციაც: “სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალე, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ”¹.

სპს-ის დაფუძნებას სჭირდება სულ მცირე ორი ფიზიკური პირის შეთანხმება. ამ შეთანხმების პირობები უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში. ამასთან, მათ არ მოეთხოვებათ საწესდებო კაპიტალის შეტანა. აღსანიშნავია, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციისას კანონი არ ითვალისწინებს თავად შეთანხმებას ანუ ხელშეკრულებას, როგორც აუცილებელ დოკუმენტს, რომელიც განაცხადს უნდა ერთვოდეს.

სპს-ის მიზანია, რომ ორი ან მეტი პირი ერთობლივად ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას საერთო საფირმო სახელწოდებით. ამასთან, საზოგადოების თითოეული წევრის საქმიანობა განიხილება, როგორც მთელი საზოგადოების საქმიანობა.

იქიდან გამომდინარე, რომ სპს-ის ყველა პარტნიორს შეუძლია საზოგადოების საქმეების ერთობლივად გამდოლა, მას სპეციალური მართვის ორგანოების შექმნა არ მოეთხოვება.

იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, იღებს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრება. კრების მოწვევის უფლება ყველა პარტნიორს აქვს. კრების მონაწილენი თავიანთი წრიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ კრების თავმჯდომარეს. კრებაზე ყველა პარტნიორს თითო ხმა აქვს. თუ გადაწყვეტილება შექმნება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დაგას, მაშინ ამ პარტ-

¹ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. მუხლი 20.1.

ნიორს ხმის უფლება არა აქვს. გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს ოქმს.

საზოგადოების გალდებულებებზე პასუხს აგებს მისი ყოველი წევრი-პარტნიორი. პასუხს აგებს არა მხოლოდ განცალკევებული ანუ საზოგადოებისათვის წინასწარ განკუთვნილი, არამედ მთელი თავისი ქონებითაც. აქედან გამომდინარე, ამ საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე იგება. მაგალითად, საზოგადოების სახელით გარიგება შეიძლება დადოს ერთ-ერთმა წევრმა (ამის უფლება კანონით ყველა პარტნიორს აქვს), ხოლო ქონებრივი პასუხისმგებლობა დაკისროს სხვას, თუ გარიგების დამდებს სათანადო ქონება არ გააჩნია. კრედიტორს უფლება აქვს გალის გადახდა მოთხოვოს ერთ-ერთ პარტნიორს, ხოლო ამის შემდეგ პარტნიორს უფლება აქვს რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს საზოგადოების სხვა წევრებს იმ წილის პროპორციულად, რაც თითოეულს მოგებიდან უნდა მიედო.

ნებისმიერ პარტნიორს აქვს საზოგადოების კონტროლის უფლება. შეუძლია პირადად გაცენოს საზოგადოების საქმეებს, საბუღალტრო წიგნებს და სხვა პარტნიორებს მოსთხოვოს საზოგადოების წინაშე არსებული გალდებულებების შესრულება.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს, ბალანსის საფუძველზე, დგინდება წლიური მოგება ან ხარალი და გამოითვლება ყოველი პარტნიორის წილი.

ყოველ პარტნიორს წლიური მოგებიდან ეკუთვნის, პირველ ყოვლისა, თავისი წილი კაპიტალის ოთხი პროცენტის რაოდენობით. თუ წლიური მოგება ამისთვის საქმარისი არ არის, მაშინ წილი განისაზღვრება უფრო დაბალი პროცენტით.

სპ-ის ლიკვიდაციის რამდენიმე გზა არსებობს, ესენია:

ა) ვადის გასვლა; ბ) პარტნიორთა გადაწყვეტილება; გ) საზოგადოების საბანკროტო წარმოების გახსნა; დ) სასამართლოს გადაწყვეტილება.

საზოგადოების ფუნქციონირების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება აგრეთვე აქვს პარტნიორთა პირად კრედიტორებსაც, რომლებიც მიზნად ისახავენ მიიღონ დაკმაყოფილება იმ თანხიდან, რაც პარტნიორებს მიეცემათ საზოგადოების გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში.

საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის ან მისი გარიცხვის შემთხვევაში მისი წილი დაემატება სხვა პარტნიორებს. პარტნიორები ვალდებულები არიან გასული ან გარიცხული წევრი გაათავისუფლონ საზოგადოების გალებისაგან და საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში გადაუხადონ მისაღები თანხა.

საზოგადოების პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი დაემატება დანარჩენ პარტნიორებს იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილს არ ჰყავს მემკვიდრეები. თუ გარდაცვლილს ჰყავს მემკვიდრეები, მაშინ ყოველ მემკვიდრეს შეუძლია საზოგადოებაში დარჩეს იმის მიხედვით, მიენიჭება თუ არა მას კომანდიტის სტატუსი და ჩაეთვლება თუ არა სამკვიდროს დამტოვებლის საწევრო შენატანიდან მისი კუთვნილი წილი საკომანდიტო შენატანად.

ამხანაგობის ტიპის საზოგადოების კიდევ ერთი წარმომადგენელია კომანდიტური საზოგადოება. იგი პირთა წევრობაზე დაფუძნებულ სავაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ფორმაა და სპს-ის მოდიფიცირებულ სახეს წარმოადგენს.

გერმანიის საგაჭრო კოდექსში იგი ცნობილია KOMMANDITGESELLSCHAFT-ის სახელით. ფრანგულ სამართალში SOCIETE EN CONNANDITE ეწოდება, ხოლო ინგლისის 1907 წლის კანონი LIMITED PARTNERSHIP-ს უწოდებს.

კანონის თანახმად, კომანდიტური არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლექტარები).¹

კს-ის დაფუძნების პროცედურა და წესდება თითქმის ემთხვევა სპს-ისას. მაგრამ კს-ის დაფუძნებისას კანონი ითვალისწინებს დამატებით მოთხოვნებს: წესდებაში მითითებული უნდა იყოს ყოველი კომანდიტის შესატანის რაოდენობა, ასევე ფორმა (ფულადი თუ არაფულადი) და საბუთი განხორციელებული შესატანის რაოდენობის შესახებ.

კომპლექტარი არაფრით განსხვავდება სპს-ის პარტნიორისაგან და მისი პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეუზღუდავია, ხოლო კომანდიტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირიც. მისი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ შეტანილი თანხით ან ქონებით. რადგან ეს შესატანი პასუხისმგებლობის ზომას განსაზღვრავს, კანონი მკაცრად აკონტროლებს მისი შეტანისა და შენარჩუნების პროცედურას, კერძოდ, დაუშვებელია მისი თვითნებურად გატანა ან შემცირება. მისი რაოდენობა რეგისტრირებული უნდა იყოს რეესტრში.

კს-ის დაფუძნებისას სავალდებულოა მინიმუმ ორი პარტნიორის არსებობა, რომელთაგან ერთი უნდა იყოს კომპლექტარი, ხოლო მეორე კომანდიტი. ამიტომა, რომ ერთ-ერთის გასვლა იწვევს საზოგადოების დაშლას.

კს-ის ცნებიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

- კს არ არის კაპიტალის გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საზოგადოება, არამედ პარტნიორთა წევრობის საფუძველზე შექმნილი;
- საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საფირმო სახელწოდება, რომელიც შეიცავს მინიმუმ ერთი კომპლექტარის სახელსა და გვარს;
- ვინაიდან კს არის პირთა წევრობის საფუძველზე შექმნილი საზოგადოება, მას არ სჭირდება მინიმალური საწესდებო კაპიტალი. თუმცა საზოგადოების წესდებაში უნდა იყოს მითითებული კომანდიტის შესატანი, რაც აუცილებელია კომანდიტის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის.

¹ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. მუხლი 34.

თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში. თუმცა წესდება შეიძლება ანიჭებდეს მათ ამგვარ უფლებამოსილებას. კომანდიტი საზოგადოებაში შეიძლება საქმიანობდეს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

კომანდიტს არა აქვს უფლება, ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში გამოვიდეს კომპლექსურარის მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ, გარდა გამონაკლისისა, როცა ეს მოქმედება სცილდება ამ ფარგლებს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

თუ ერთ-ერთ კომანდიტს წესდებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, რომ განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, იგი პასუხს აგებს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი.

იმ შემთხვევაში, თუ კს-ში რამდენიმე კომანდიტია, წესდებით შეიძლება კომანდიტების უფლებამოსილების განხორციელება ერთ-ერთს დაეკისროს. ამ დროს ხდება მხოლოდ უფლებების განხორციელება ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით.

თუ კომანდიტს მინიჭებული აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება და ამის საფუძველზე იღებს ანაზღაურებას, ეს უნდა აღინიშნოს საზოგადოების წესდებაში.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კს-ში საკონსულტაციო საბჭოს არსებობას. ამ საბჭოს შეიძლება დაეკისროს როგორც საკონტროლო ფუნქცია, ისე პარტნიორებს შორის წამოჭრილი დავის განხილვის და გადაწყვეტის ფუნქციაც. საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ როგორც კომპლექსურები, ისე კომანდიტები.

კომანდიტს აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მოთხოვნის უფლება. არ შეუძლია მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი წილი კაპიტალი ზარალის შედეგად ან ანგარიშსწორების გამო შესატანის დათქმულ თანხაზე ნაკლებია. აგრეთვე არ არის ვალდებული დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო.

კომანდიტს არა აქვს საზოგადოების სალაროდან საკუთარი ხარჯებისათვის ფულის გამოტანის უფლება. კომპლექსურარს აქვს უფლება ამ მიზნით გამოიტანოს ბოლო სამეურნეო წელს მისთვის დადგენილი წილი – კაპიტალის ოთხ პროცენტამდე რაოდენობის თანხა და თუ ეს საზოგადოებას აშკარა ზიანს არ მიაყენებს, მოითხოვოს ბოლო წლის მოგებიდან თავისი წილი მოგების გამოტანა, რომელიც ზემოხსენებულ თანხას შეიძლება აღემატებოდეს.

კომანდიტის წილი შეიძლება გასხვისდეს და მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. წილის დათმობისათვის საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება.

ამხანაგობის ტიპის იურიდიული პირის ცნება და სახეები

განხილულია ამხანაგობის ტიპის იურიდიული პირის სახეების ცნება და განმარტება. კერძოდ, საუბარია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე (სპს) და კომანდიტურ საზოგადოებაზე (კს).

განმარტებულია ზემოთ აღნიშნული საზოგადოებების არსი, ისტორიული წინაპირობები, მათი სამართლებრივი ბუნება, თანამედროვე დეფინიციები.

გარდა ამისა, დეტალურადაა განხილული სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) და კომანდიტური საზოგადოების (კს) დაფუძნების წესები და პირობები, მათი ნორმალური ფუნქციონერებისათვის საჭირო აუცილებელი მოთხოვნები, მართვის ორგანოების ჩამონათვალი და ფუნქციები, საზოგადოებების პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და ფუნქციები, ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ.

მიუხედავად ამ ორი საზოგადოების ურთიერთმსგავსებისა, ნაშრომში აღნიშნულია მათი განმასხვავებელი ნიშნებიც.

Giorgi Gelashvili
Master of law

DEFINITION OF PARTNERSHIP TYPE OF LEGAL ENTITY

The following work concerns the concept and definition of partnership type of legal entity. In particular, Partnership and Limited Partnership.

There is discussed the concept, historical backgrounds, legal nature and modern definitions of above-mentioned legal entities.

Except this in details is discussed the foundation terms and conditions, obligatory demands of normal functioning, management organ enumeration and functions, rights, obligations and functions of partners, issues of liquidation and etc. for partnerships and limited partnerships.

In spite of the resemblance of these two types in the text there is discussed their distinguishing characteristics.

Георгий Гелашвили,
магистр права

ОПРЕДЕЛЕНИЕ ЮРИДИЧЕСКИХ ЛИЦ ТИПА ТОВАРИЩЕСТВ

Работа касается концепции определения юридических лиц типа товариществ. В частности товариществ и коммандитных товариществ.

Рассматриваются суть вышеупомянутых сообществ, исторические предпосылки и их правовая природа, современные дефиниции.

Кроме этого, подробно обсуждаются условия основы, обязательные требования для нормального функционирования, перечисление органов управления и функций, права, обязанности и функции партнеров, вопросы ликвидации и т.д. для товариществ и коммандитных товариществ.

Несмотря на сходство этих двух сообществ, в работе отмечены и их отличия.

**ინვესტიციის ცნება და მისი
საკანონმდებლო რეგლამენტირება**

„ინვესტიცია“ ინგლისური სიტყვა (Investments) და „კაპიტალდაბანდებას“ ნიშნავს, ამიტომ ისინი სინონიმებად უნდა მივიჩნიოთ. ინვესტიციები ანუ ინვესტირება არის თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდება ფინანსური ან მატერიალური სიმდიდრის სხვადასხვა ფორმით. ინვესტირებისას საჭიროა, რომ „ინვესტორმა მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ან ნახესხები ქონებრივი და/ან ინტელექტუალური ფასეულობის სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობაში ჩართვის თაობაზე“¹.

ინვესტიციის ცნების დეტალურ სამართლებრივ დეფინიციას შეიცავს საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბრის კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ.“ ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს. კანონის მიზანია დაადგინოს ინვესტიციების ხელშეწყობი სამართლებრივი რეგიმი. აღნიშნული კანონის პირველ მუხლში აღნიშნულია:

“ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.

ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს: а) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; ბ) უძრავი და მოძრავი ქონება – მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა; გ) მიწით ან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კომპენსაცია), პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰოუ“, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა; დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ინვესტიციების საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული ერთიანი დეფინიცია არ არსებობს, თუმცა ასეთ განსაზღვრებათა მირითადი ნიშნები ფაქტობრივად, როგორც წესი, ერთმანეთს ემთხვევა.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოთ მოყვანილი მუხლის შინაარსიდან ირკვევა, რომ ინვესტიცია არის ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდება მოგების

¹ რომან შენგელია. საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები (I ნაკვეთი), თბ., 1992წ., გვ.21.

მიღების მიზნით, ხოლო, როცა უფლებაზე გვაქვს საუბარი, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ საკუთრების უფლებას. აქედან გამომდინარე, საკუთრების უფლება გარკვეულწილად ამოსავალ წერტილად გვევლინება ინვესტიციის განხორციელების პროცესში.

ინვესტიციის ეს საკანონმდებლო განსაზღვრება, როგორც ვნახეთ, შეიცავს ქონებრივი თუ ინტელექტუალური ფასეულობების ფართო, მაგრამ არასრულ ჩამონათვალს, რომელთაგან თითოეულს უნდა პქონდეს მინიმუმ თრი თავისებურება: 1) იგი (ფასეულობა) დაბანდებული უნდა იყოს სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობაში; 2) ასეთი დაბანდების მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოგებისა და დადებითი სოციალური ეფექტის მიღება.¹

პოსტსოციალისტური სახელმწიფოების უმრავლესობაში საინვესტიციო პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისკენ არის ორიენტირებული, რაც ძირითადად უცხოური კაპიტალის შემცველი საწარმოებისათვის სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათების მინიჭებაში გამოიხატება. სწორედ ამგვარ პოლიტიკას დაადგა საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში. ამით იყო განპირობებული ის, რომ 1991 წლის 10 აგვისტოს და 1995 წლის 30 ივნისის კანონები უცხოური ინვესტიციების შესახებ უცხოელ ინვესტორებს გაცილებით ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა, ვიდრე ადგილობრივ მეწარმეებს.² ასეთი პრეფერენციული რეჟიმის თაობაზე 1996 წელს პროფ. ლ. ჭანტურია აღნიშნავდა: “შეხედულება უცხოელი მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ მცდარი მგონია. სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის რეალური საერთო-სამართლებრივი საფუძვლის შექმნა და მისი უზრუნველყოფა.” ამ არგუმენტირებულმა მოსაზრებამ შემდგომში საკანონმდებლო ხორცების პოვა საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ კანონში “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ”, რომლის მეორე მუხლის თანახმად, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად ანუ ინვესტორად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში. უცხოელ ინვესტორად ითვლება: ა) უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქე; ბ) მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე; გ) საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ; დ) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ.

¹ თამაზ ინაშვილი. ინვესტიციების ცნება და მისი სამართლებრივი მოწესრიგება. ქურნ. „მაცნე“, 1998წ., №1, გვ.47.

² ზეიად გაბისონია. „საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია“. გამომც. „მერიდიანი“. თბ., 2002. გვ. 35-36.

შევეხოთ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და გნახოთ, როგორაა ეს საკითხი მოგვარებული ქართული კანონმდებლობით.

“საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლი სწორედ ინვესტორის უფლებებს შეეხება, რომლის თანახმადაც:

საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი. ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის ვალუტით გახსნას მიმდინარე ან სხვა ანგარიშები. ასევე უფლება აქვს აიღოს სესხი საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებული საბანკო და საფინანსო დაწესებულებებიდან ან ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან. ინვესტორი არ არის შეზღუდული აქციების, ობლიგაციებისა თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენაში.

უცხოელ ინვესტორს გადასახადებისა და სავალდებულო მოსაქრებლების გადასახადის შემდგა აქვს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საქართველოს საბანკო დაწესებულებაში საბაზრო კურსით კონვერსიისა და საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპარიაციის უფლება. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკოტრების, დანაშაულის ჩადენის ან სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. ინვესტორს უფლება აქვს ასევე საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.

რაც შევხება ინვესტორის მოგალეობას, კანონში პირდაპირაა აღნიშნული, რომ იგი ვალდებულია საქმიანობას ეწეოდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად.

უცხოელ ინვესტორს სახელმწიფოსაგან სჭირდება რეალური, მყარი გარანტიები, რომ მის მიერ განხორციელებული კაპიტალდაბანდებები “მთლიანად და უპირობოდ” იქნება დაცული კანონმდებლობით. ამიტომ თანამედროვე მაღალგანვითარებული და განვითარებადი სახელმწიფო უცხოური ინვესტიციების დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. უცხოური ინვესტიციების დაცვის უპირველესი სამართლებრივი გარანტი ქვეყნის კონსტიტუციაა. თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების ძირითადი კანონები საკუთრებას (რომელიც ფართო გაგებით გამოიყენება და, რა თქმა უნდა, უცხოურ ინვესტიციებსაც მოიცავს) ადამიანის ერთ-ერთ ძირითად (თანდაყოლილ, ფუნდამენტურ, ბუნებით და ა.შ.) უფლებად მიიჩნევს და მისი ხელშეუხებლობისა და დაცვის მყარ გარანტიებსაც ქმნის. როგორც

გერმანელი მეცნიერი ბომერი აღნიშნავს, ცნებები საკუთრების “ხელშეუხებლობა” და მისი “გარანტირებულობა” სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა საკუთრების ობიექტში სახელმწიფოს ჩარევისას კომპენსაციის გათვალისწინება.¹

სწორედ, ასეთ ნორმას შეიცავს “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, რომლის თანახმად, ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და მისი ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

უკანასკნელ შემთხვევაში კომპენსაცია, რომელიც მიეცემა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. კომპენსაცია უნდა გაიცეს ყოველგვარი შეფერხების გარეშე და უნდა მოიცავდეს იმ ზარალსაც, რომელიც ინვესტორმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე.

გარდა ზემოაღნიშნული კანონისა, საქართველოში 2006 წლის 1 აგვისტოდან მოქმედებს საქართველოს კანონი “ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”, რომლის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კანონით დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშეწყობი დონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციად, ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ჩაითვლება ინვესტორის ქმედება, რომელიც გეგმავს განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 8 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ასეთ შემთხვევაში, ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს მთავრობისგან მოითხოვოს მის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება, რომელიც ხდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ანალოგიური სტატუსი მიანიჭოს მაღალმთიან რეგიონებში განხორციელებულ ინვესტიციას, რომლის საერთო

¹ Bohmer, NJW., 1988, S. 2562, ციტირებულია: ლადო ჭავჭავაძე, უძრავი ნივთების საკუთრება, გვ. 95.

რაოდენობა აღემატება 2 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციური და სტრატეგიული თვალსაზრისით დადგებით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. სააგენტო არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორთან ურთიერთობაში. 2002 წლის 19 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ”, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის სფეროში არსებული საჯარო მიზნების განხორციელების სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს და მათი განხორციელების კონკრეტულ მექანიზმს. ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება სახელმწიფოს მონაწილეობით შემუშავებულ ყველა სახის საწარმოო-საინვესტიციო პროგრამაზე და მათ განხორციელებაში მონაწილე სუბიექტებზე, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით და საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

ამ კანონის მიზნებია:

ა) საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისი საწარმოო-საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ეფექტიანი ხარჯების მექანიზმის შექმნა და მათი მართვის უზრუნველყოფა;

ბ) საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებისას საწარმოო-საინვესტიციო პროექტების წარმდგენი ორგანიზაციებისადმი სამართლიანი და არადისკრიმინაციული დამოკიდებულების უზრუნველყოფა;

გ) საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების საჯაროობის უზრუნველყოფა;

დ) საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებისა და სახელმწიფო ხელშეწყობის სისტემის შექმნის უზრუნველყოფა;

ე) საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებისათვის ხელის შეწყობა და ამ მიზნით სამართლებრივი საფუძვლის შექმნისათვის საჭირო წინადაღებების შემუშავების ხელშეწყობა.

სააგენტოს საქმიანობისას ჩამოვალიდი და ჩამოყალიბებულია მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომელთაგან აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: ფონდის სახსრების რაციონალური მართვა და განაწილება თავდებობის, სუბვენციისა და სუბსიდიის სახით საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების ან მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად, პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკების წარმოება საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციების

ბისა და გრანტების მოზიდვის მიზნით, საწარმოო-საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციების ანგარიშების საფუძველზე საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების სფეროში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, გაანალიზება და საქართველოს პრეზიდენტის მიერ სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად წინადადებების მომზადება, იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა აქმაყოფილებდეს საწარმო საწარმოო-საინვესტიციო პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის უფლების მისაღებად, საინვესტიციო გარემოს შექმნისა და მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების მიზნით წინადადებების მომზადება, სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება, გამოცემა და მისი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია, განხორციელებული საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, საწარმოო-საინვესტიციო პროექტის წარმდგენი ორგანიზაციისათვის საექსპერტო და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა.

ინვესტიციის ცნება და მისი საკანონმდებლო რეგლამენტირება

ნაშრომი შექება თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს – საინვესტიციო სამართლს და მის საკანონმდებლო რეგლამენტირებას ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით.

განხილულია ინვესტიციის ცნების დეტალური სამართლებრივი დეფინიცია. აღნიშნული დეფინიცია დაფუძნებულია საქართველოს კანონის “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” საფუძვლიან შესწავლასა და ანალიზზე.

ასევე განხილულია როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და გარანტიები, ამ საქმიანობის სუბიექტები და მათი სამართლებრივი მდგომარეობა ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ჩამოთვლილია მათი ძირითადი უფლებები და მოვალეობები.

საუბარია ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, რასაც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო ახორციელებს.

Giorgi Misabishvili
Master of law

THE CONCEPTION OF AN INVESTMENT AND ITS LEGAL DEFINITION

This work is dedicated to one of the most important area of a modern international private law. More specifically, to the Investment law and its legal definition by Georgian legislation.

There is given the detailed legal definition of the investment. Previously mentioned definition is based on the Georgian legislation, more specifically on “**Law on Investment Promotion & Guarantees of Investment Related Activities**”’s fundamental study and analysis.

Moreover, there is examined foreign and local investments legal basis, guarantees as well as its representative’s legal condition based on Georgian legislation. Furthermore, their major rights and responsibilities are classified as well.

In addition, one of the main points which are discussed in the work is to provide the investment, which is supported by the state, more specifically, The Georgian National Investment Agency.

Гиоргий Мисабишвили,
магистр права

ИНВЕСТИРОВАНИЕ И ЕГО ПРАВОВОЕ РЕГЛАМЕНТИРОВАНИЕ

Работа посвящается одной из важнейших областей современного международного частного права - инвестиционного права и его правового регламентирования по законодательству Грузии.

Обсуждена детальная правовая дефиниция самой инвестиции. Данная дефиниция основана на фундаментальном изучении и анализе закона о гарантиях вспомогательных и инвестиционных работ Грузии.

Также обсуждены правовые основы и гарантии осуществления как внутренних, также внешних инвестиций, субъекты данной деятельности и их правовое положение на основе грузинского законодательства; приведены их основные права и обязательства.

В работе внимание уделяется осуществлению государственной поддержки инвестирования, при участии национального инвестиционного агентства Грузии.

ფრენშაიზინგი – პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა ახალი მექანიზმები. ერთ-ერთი ასეთი ეკონომიკური მექანიზმია ფრენშაიზინგი.

დღესდღეობით ფრენშაიზინგი არის ერთადერთი ცნობილი „ინსტრუმენტი“, რომლის საშუალებით შეიძლება ბიზნესის ეფექტურობა გავზარდოთ. მისი განვითარების ისტორია საუკუნე ნახევარს ითვლის, მას შემდეგ, რაც ზინგერმა გამოიყენა საკერავი მანქანების გაყიდვების სფეროში. ამ ინსტიტუტის მიმართ ინტერესი გაფართოვდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ფრენშაიზინგი სრულიად ახალი ინსტიტუტია ქართული სამართლისათვის. გამოიყენება საქონლის წარმოების, გასაღების და მომსახურების თითქმის ყველა სფეროში, საცალო ვაჭრობასა და კვების ინდუსტრიაში. ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მსხვილი კომპანია, ზოგჯერ ტრანსნაციონალური კორპორაციაც (ფრენშაიზის მიმცემი), რომელიც ბაზარზე სარგებლობს საქმიანი რეპუტაციით და გამოირჩევა მაღალი სამრეწველო ან კომერციული პოტენციალით.¹ ასეთებია: კოპა-კოლა, მაკდონალდსი, პროქტერ ენდ გემბელი, კოლგეით-პალმოლივი და სხვები. ეს კორპორაციები თავად კი არ ხსნიან საწარმოებს, არამედ სხვის საკუთრებაში არსებულ დამოუკიდებელ საწარმოებს ხელშეკრულების ვადით გადასცემენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. მეორე მხარედ კი ყოველთვის ფრენშაიზის მიმღები გვევლინება. ფრენშაიზინგი ეხმარება ფრენშაიზის მიმცემს გააფართოოს ბიზნესი სხვისი კაპიტალის ხარჯზე, ხოლო ფრენშაიზის მიმღებს საშუალებას აძლევს გახდეს დამოუკიდებელი მეწარმე, გამოიყენოს უკვე ნაცალი ბიზნესმოდელი, ბაზარზე კარგიდ ცნობილი საფირმო სახელწოდება და სასაქონლო ნიშანი, რაც მთავარია ზოგავს დროს, დრო კი ფულია. მაგრამ საქმე ყოველთვის არ ამართლებს. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს:

1. პროდუქტი;
2. მომსახურება;
3. მწარმოებლობითი პროცესი;
4. ბიზნესპროცესი;
5. კომპლექსური საქონელი.

ფრენშაიზინგი² არის მეწარმეობის ფორმა, დაფუძნებული ურთიერთობების სისტემაზე, გამყარებული შეთანხმებებით (ხელშეკრულებით), რომლის ძალითაც ერთი ქვეყანა (ფრენშაიზის მიმცემი) სთავაზობს სხვა ქვეყანას (ფრენშაიზის მიმ-

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, გვ. 202.

² www.bishelp.ru.

დებს) სასყიდლიან უფლებას იმოქმედოს თავისი სახელით (საქონლის რეალიზაცია), გაყიდვების გაფართოებული ბაზრის საშუალებით. ფრენშაიზინგს ხშირად შეღავათიან მეწარმეობასაც უწოდებენ.

ფრენშაიზინგი ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამჟამად იგი მსოფლიოს 80 ქვეყანაში წარმატებით გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბიზნესის წარმართვისათვის ყველაზე მისაღები და წარმატებული ხერხი იყო და არის, მაინც განვითარების საკმაოდ რთული გზა განვლო. მიუხედავად ამისა, პვლავ გადაუჭრელი რჩება პრობლემები ამ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომელთაგან ორი განსაკუთრებით არსებითია.

ადსანიშნავია ამ სფეროში არსებული სამართლებრივი უზუსტობები. ფრენშაიზინგთან დაკავშირებული საკითხები არ არის სამართლებრივად მოწესრიგებული ისე, როგორც უნდა იყოს. ეს ყოველივე გამომდინარეობს იქიდან, რომ თვით ფრენშაიზინგის სამართლებრივი ბუნება არასათანადოდაა შესწავლილი. მწარმოებლობითი, გასაღების (გაყიდვის), მომსახურების (სერვისული) ფრენშაიზინგი წარმოგვიდგენს, თავის მხრივ, კოოპერაციის სხვადასხვა ფორმას, რომელთაც ზოგჯერ განსხვავებული ეკონომიკური შინაარსი და ფუნქცია აქვს. მეორე პრობლემა დაკავშირებულია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე განსაკუთრებული უფლების გადაცემასთან და მის სამართლებრივად წერილობით სწორად გაფორმებასთან. ასეთი უფლებები აუცილებლად უნდა იყოს სათანადოდ დამოწმებული და აღიარებული ფრენშაიზინგის მიმღების მიერ. ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით მეორე მხარეს შეიძლება გადაეცეს განსაკუთრებული უფლებები სავაჭრო ნიშანზე, საფირმო სახელწოდებაზე, ნოუ-ჰოუ. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოში ნორმატიული ბაზა ამ სფეროში ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაზეა. აუცილებელია შესაბამისი კანონების შემუშავება, კვლევების ჩატარება, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ გამოიყენება ფრენშაიზინგის ხელშეკრულება პრაქტიკაში, როგორ ხდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გადაცემა და სხვა. წარმოშობის მიზეზების მიხედვით ძირითადი პრობლემები საქართველოში ფრენშაიზინგის განვითარებასთან დაკავშირებით შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. ეკონომიკური პრობლემები: ეკონომიკის არასტაბილური განვითარება საქართველოში;

2. ორგანიზაციულ–სამართლებრივი პრობლემები.

ფრენშაიზინგის ძირითადი პრობლემები საქართველოში დღესდღეობით თავს იყრის სამართლის სფეროში, რაც გამოწვეულია იმით, რომ ფრენშაიზინგს, როგორც ურთიერთობების სისტემას, საფუძვლად უდევს სახელშეკრულებო სამართალი და იგი აუცილებლად უნდა იყოს გამყარებული სერიოზული სამართლებრივი ბაზით. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა: ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ის რვა მუხლი, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსშია წარმოდგენილი სრულიად საკმარისია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების

სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, ზოგიერთი სულ სხვა აზრს ავითარებს და ამტკიცებს, რომ ეს მუხლები არასაქმარისია ამ სამართლებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად.¹ ვფიქრობ, უკანასკნელი მოსაზრება უფრო მართებულია, ვინაიდან რაც უფრო სრულყოფილად იქნება დახასიათებული ფრენშაიზინგის ინსტიტუტი, ხელშეკრულების სხვადასხვა პირობები, სახეები, ფრენშაიზის მიმცემისა და მიმღების ვალდებულებები და სხვა მათგან გამომდინარე ურთიერთობები, ეს საშუალებას მისცემს ქართველ მეწარმეებს სრული წარმოდგენა იქონიონ ფრენშაიზინგის სისტემაზე და უფრო გაძელებულად დადონ ასეთი ხელშეკრულებები უცხოელ თუ ადგილობრივ ინვესტორებთან. სამოქალაქო კოდექსში სასურველი იქნებოდა ფრენშაიზინგის განმარტება უფრო ამომწურავად ყოფილიყო მოცემული, მისაღები იქნებოდა თუ არა კოდექსი, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტები მაინც თუ მოგვცემდა ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საგნის ამომწურავ ჩამონათვალს, ისეთ ძირითად ცნებებს და ტიპოლოგიებს, როგორიცაა საქონელი, ფრენშაიზინგის ობიექტი და სუბიექტი; ფრენშაიზინგის ფორმებისა და მათი გამოყენების განსაკუთრებულობა, როიალტის ცნება და სხვა. იგივე შეიძლება ითქვას ვადებზე. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ხანგრძლივობის ვადები სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არ არის. სასურველი იქნება თუ საცდელი ურთიერთობის ვადა ფრენშაიზის მიმცემსა და მიმღებს შორის განისაზღვრება 3-დან 5 წლამდე. მართალია გრძელვადიანი ურთიერთობაა, მაგრამ მხარეები თუ არ მოისურვებენ ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას, სამოქალაქო კოდექსი ასევე უნდა აძლევდეს მათ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლებასაც წინასწარი წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე, დავუშვათ, 6 თვით ადრე წინასწარი შეტყობინებით.

იმისათვის, რომ გაიზარდოს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ეფექტურობა და განვითარდეს, საჭიროა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, თუნდაც ცალკეული კანონების მიღება. ეს მიიღწევა შემდეგი მიზნების განხორციელებით:

1. საჭიროა შეიქმნას პირობები ფრენშაიზინგის სისტემის რეალური კონკურენციისათვის;
2. ტრადიციული საქონლის რეალიზაციის მექანიზმთან მიმართებაში;
3. ფრენშაიზინგის ურთიერთობის მონაწილეთათვის საკანონმდებლო აქტების ხელსაყრელად გამოყენება;
4. უზრუნველყოფილ იქნეს ფრენშაიზინგის სისტემის და მისი ელემენტების გამჭვირვალობა;
5. შეიქმნას ორგანო, რომელიც აღრიცხავს იმ კომპანიებს, რომელთაც ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით შემოაქვს ბრენდები საქართველოში და ახორციელებს მასზე მკაცრ კონტროლს, რაც ესოდენ საჭიროა დღეს გაუთვითცნობიერებელი მომხმარებლისათვის, რომლებიც საკმაოდ ბევრი არიან. მაგალითად,

¹ ს. ჯორგენაძე. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, 1999 წ. გვ. 3.

მყიდველი შედის მაღაზიაში, რომ იყიდოს ყავა „ნესკაფე“, გამყიდველი მას აძლევს არა ყავას იმ სავაჭრო მარკით, რაც მყიდველმა მოითხოვა, არამედ სხვა „ნესკაფეს“, რომელიც ფასითაც ნაკლები ღირს და, რა თქმა უნდა, ხარისხითაც ვერ შეეძრება მოთხოვნილ პროდუქტიას. აქ ადგილი აქვს სხვისი უფლებების შელახვას. ამ უკანასკნელს ეს პროდუქტია გამოაქვს კანონდარღვევით ბაზარზე გასაყიდად, თანაც ფაქტობრივად რეალურ კონკურენციას უწევს ნამდვილ ბრენდს. ეს კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ კანონმდებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით დასახვეწია. იგივე შეიძლება ითქვას ვისოდის ბენზინგასამართ სადგურებთან დაკავშირებით, ადიდასის ბრენდთან დაკავშირებით და სხვა უამრავი მაგალითი.

ფრენშაიზინგის სისტემის საქართველოში წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია გადაეხედოს საგადასახადო კოდექსს, რაც ერთობ მნიშვნელოვანია მეწარმეებისათვის. მეწარმეს უნდა ჰქონდეს შედაგათიანი გადასახადები და საქმიანობის ხელსაყრელი პირობები. ჩვენ ქვეყანაში ამ მხრივ მეწარმეებს ზოგჯერ კაბალურ მდგომარეობაშიც კი აყენებენ. ამის ნათელი მაგალითებია შეუსაბამოდ მაღალი გადასახადები. ქვეყანაში ფრენშაიზინგის ინსტიტუტის განვითარებისათვის ასევე აუცილებელია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდეს აღნიშნული ინსტიტუტი და ზემოხსენებული ურთიერთობები. კომპანიებზე არ უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლა.

მსოფლიოში ცნობილი კომპანია „Procter&Gamble“-ის პროდუქტიის სასაქონლო ფრენშაიზინგით გაყიდვის უფლება საქართველოში აქვს კომპანია დიპლომატს (ისრაელი) შპს Diplomat Georgia-ის სახით, იგი ფრენშაიზის მიმღებია და დიდი ნდობით სარგებლობს აშშ-ში. ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით მწარმოებელი „Procter&Gamble“ გადასცემს საკუთარი პროდუქტის გაყიდვის უფლებას ფრენშაიზის მიმღებ „Diplomat“-ს, ბუნებრივია, მხოლოდ საკუთარი სასაქონლო ნიშნის გამოყენების პირობით, განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში (ჩვენ შემთხვევაში საქართველოში). „Procter&Gamble“-ს აქვს სავაჭრო მარკების საკმაოდ კრცელი ჩამონათვალი, როგორიცაა მაგალითად, Ariel, Tide, Ace, Comet, Fairy, always, Camay, Safeguard და სხვა ბრენდები. დაახლოებით 300-მდე სავაჭრო ბრენდს წარმოადგენს ეს კომპანია მსოფლიოს 160-მდე ქვეყანაში ბაზარზე გასაყიდად. იგივე შეიძლება ითქვას Colgate-Palmolive Company-ზე და სხვა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრენშაიზინგის ანალიზისას, საჭიროა პრობლემას იმ თვალსაზრისით შევხედოთ, რომ ფრენშაიზინგის განვითარებას საქართველოში საკმარისად ფართო არეალი აქვს. შესაძლებლობების პრაქტიკულად რეალიზაციისათვის კი აუცილებელია შესაბამისი პირობები შეიქმნას.

ფრენშაიზინგი – პრობლემები და განვითარების პერსპექტივა

ნაშრომში სამართლებრივი კუთხით დახასიათებულია საქართველოსათვის (ქართული სამართლისათვის) სრულიად ახალი ინსტიტუტი – ფრენშაიზინგი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში, როგორც ბიზნესის ეფექტური და სწრაფი განვითარების ფორმა საქონლის წარმოების, გასაღების და მომსახურების თითქმის ყველა სფეროში. განხილულია ხელშეკრულების არსი, ურთიერთობის მონაწილე სუბიექტები და ინტელექტუალური საკუთრების ის ობიექტები, რომელთა გადაცემა აღნიშნული ხელშეკრულებით ხდება. გაანალიზებულია ის პრობლემები და წინააღმდეგობები, რაც არსებობს ფრენშაიზინგის განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოში.

ახსნილია ზემოხსენებული პრობლემების წარმოშობის არა მხოლოდ მიზეზები, არამედ შემოთავაზებულია მისი გადაჭრის გზები და ხერხები, ყურადღებაა გამახვილებული ფრენშაიზინგის ინსტიტუტთან დაკავშირებული მყარი სამართლებრივი ბაზის არარსებობაზე და ამ მხრივ გასატარებელ ცვლილებებზე. მოხსენიებულია ის კომპანიები, რომლებიც უკვე წლებით წარმატებით საქმიანობს აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე. საუბარია ასევე იმ პირობებზე, რომელთა არსებობა ფრენშაიზინგის ინსტიტუტის კიდევ უფრო მეტად განვითარების და დახვეწის გარანტი იქნება.

Tamila khurtsidze
Student of Doctorate in Law

FRANCHISING - PROBLEMS AND PERSPECTIVES OF THE DEVELOPMENT

In the given article from the justice side is presented new for Georgia and Georgian Law institution– franchising, that is successfully used over the world as an effective business ability for production, sale and service. At the same time the author of the article shows some questions of making agreement, relationship between the subjects of the both sides and those objects of the intellectual privacy, which are transmitted according to the given agreement.

There are also presented the actual problems of the development of franchising in Georgia, analyzed the reasons of their being and ways for their solving. The justice side of the problem is

underlined. According to the successful experience of some companies are given conclusions of possibility, necessarily developing of franchising in Georgia.

Тамила Хурцидзе,
докторант права

ФРЕНЧАЙЗИНГ – ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ

В статье с правовой стороны представляется новый для Грузии и грузинского правоведения институт – френчайзинг, используемый во всем мире как эффективное средство успешного бизнеса в целях производства, сбыта и сервиса. При этом автором освещаются вопросы заключения договора, взаимоотношений субъектов сторон и те объекты интеллектуальной собственности, передача которых происходит благодаря данному договору. В работе представлены актуальные проблемы развития и распространения френчайзинга в Грузии, приводятся не только причины существования такого рода проблем, но и пути их решения. При этом подчеркивается правовой вопрос решения данных проблем, юридическая сторона их разрешения. На примере успешной деятельности некоторых френчайзинговых компаний, делаются выводы о возможности, необходимости развития френчайзинга в Грузии.

საჯარო სამართლი

ლალი შაიშმელაშვილი

საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულის (ქართული დიასპორის)

სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულებთან (ქართულ დიასპორასთან) ურთიერთობების გაღრმავება.

საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს თვისებრივად ახალ მიღებობას ქართული დიასპორისადმი. დიასპორა განიხილება, როგორც საქართველოს დემოგრაფიული, ინტელექტუალური და ეკონომიკური რესურსი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულებისათვის დახმარების გაწევა, მათი კანონიერი ინტერესების დაცვა საქართველოსა და ადგილსამყოფელ ქვეყანას შორის უფლებისა და თავისუფლების უზრუნველყოფისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 თებერვლის №127 ბრძანებულების თანახმად, 2007 წელი გამოცხადდა დიასპორის წლად, ხოლო 27 მაისს დაწესდა ქართული დიასპორის დღე¹.

2008 წელს საქართველოს პარლამენტი შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულებთან ურთიერთობის კომიტეტი.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 თებერვლის №18 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულებთან ურთიერთობის გაღრმავების მიზნით შეიქმნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომლის ძირითადი ამოცანებია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულებთან კავშირებისა და ურთიერთობების დამყარება-გაფართოება, მათ შორის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების ხელშეწყობა, მათ შესახებ ერთიანი საინფორმაციო-ანალიტიკური ბაზის შექმნა, ერთობლივი ეკონო-

¹ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 თებერვლის №127 ბრძანებულება.

მიკური, კულტურული, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება და ა.შ¹.

2010 წელს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ძირითადი პრიორიტეტებია: დიასპორული ინვესტიციების მოზიდვა, შრომითი მიგრანტების დანაზოგების და ინვესტიციების საქართველოს ეკონომიკაში მოზიდვის ხელშეწყობა, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მათთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და პოპულარიზაცია, საკვირაო სკოლების დახმარება, ფოლკლორული ანსამბლების მხარდაჭერა, კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, საზღვარგარეთ ქართული სატელევიზიო და სხვა მედია პროექტების შექმნა/პოპულარიზაცია და ა.შ.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან საქართველოს პარლამენტის ურთიერთობის კომიტეტის და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნა ადასტურებს ქართული სახელმწიფოსათვის საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის გაღრმავების, მათი ერთიან ურთვნულ და სოციალურ-კულტურულ სივრცეში ინტეგრაციის პრიორიტეტულობას.

არაოფიციალური მონაცემებით, უცხოეთში 1.600.000 ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. აქედან საქართველოს მოქალაქეა 1.120.000, უცხოეთის მოქალაქე – 480.000. ოფიციალურად დარეგისტრირებულთა რაოდენობა – 1.008.207.

დღეისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი ქართველოლოგიური სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ცენტრების, დიასპორების, სათვისტომოების, სხვა სახის ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მონაწილეობისა და როლის გაზრდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში, რაც შესაძლებელია მათთან ფართო სპექტრის კავშირების დამყარებისა და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საშუალებით.

საქართველოში არ არსებობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან თუ დიასპორებთან ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სამართლებრივი სტატუსი. საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები.

თუმცა, სასურველია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკა და პრინციპები უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებ-

¹ იხ. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 თებერვლის №18 დადგენილება.

თან მიმართებაში, ჩამოყალიბდეს საქართველოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის საფუძვლები ამ პოლიტიკის განხორციელებაში, ასევე განისაზღვროს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სამართლებრივი სტატუსი. ეს ხელს შეუწყობს და უფრო მჭიდროს გახდის უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულების ურთიერთობას სამშობლოსთან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ცნება „დიასპორას“ არ იცნობს.

ცნების დადგენისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართული დიასპორის თავისებურებები. მაგალითად, უნდა გაიმიჯნოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ან დროებით ცხოვრობს უცხო სახელმწიფოში, უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ა.შ: „საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულე“ („ქართული დიასპორა“) – საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, სხვა ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ეთნიკური, ისტორიული, კულტურული, მსოფლმხედველობითი კავშირებით დაკავშირებულია საქართველოსთან და თავისი თავისუფალი არჩევანის შესაბამისად ახდენს თვითიდნტიფიკაციას, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულე.

შესაძლებელია დიასპორის წარმომადგენლებს მიენიჭოთ განსაკუთრებული სტატუსი, რის შემდეგაც ისარგებლებენ გარკვეული შეღავათებით საქართველოში. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეობის მიღების (ორმაგი მოქალაქეობის) სურვილის შემთხვევაში გამარტივებული პროცედურებით სარგებლობის უფლება, მრავალჯერადი ვიზის საფუძველზე, დამატებითი მოწვევის გარეშე, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა, ყოფნა, სატრანზიტო გავლა და საქართველოს ტერიტორიიდან გასვლა.

კანონით უნდა განისაზღვროს სახელმწიფო ორგანო (სახელმწიფო ორგანოები), რომელიც განახორციელებს საერთო კოორდინაციას დიასპორების საქმიანობაზე. მიზანშეწოდია, ასეთ ორგანოდ განიხილებოდეს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

აუცილებელია ოფიციალური რეესტრის (ბაზის) შექმნა, სადაც შეიტანება მონაცემები როგორც დიასპორული ორგანიზაციების, ისე დიასპორის ცალკეული წარმომადგენლების შესახებ.

საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართულ დიასპორასა და დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განხორციელებისათვის ოპტიმალურ გარიანტად მიგვაჩნია

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულტო დაწესებულებებში დამატებითი შტატის შექმნა, რომელზე დანიშნული პირის ძირითადი ფუნქცია იქნება ქართული დიასპორისა და საზღვარგარეთ განლაგებული ქართული დიასპორის ორგანიზაციების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა. ამ კუთხით მომუშავე დიპლომატიური თანამდებობის პირი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა, იმავდროულად ანგარიშვალდებული იქნება დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წინაშეც.

აღსანიშნავია, რომ „დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულებით შემოღებულ იქნა ახალი თანამდებობა – დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელი. ამ თანამდებობის შემოღების მიზანს საზღვარგარეთ ქართული დიასპორისა და დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობისათვის ხელშეწყობა, საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ დიასპორას შორის ურთიერთობების გაღრმავება და განვითარება წარმოადგენს.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს შესაძლებლობა მიეცემა სხვადასხვა ქვეყანაში დანიშნოს დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლები ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ქართული დიასპორის საერთო კოორდინაციის განხორციელების მიზნით¹.

დიასპორების სამართლებრივი რეგულირებისას საჭიროა გავითვალისწინოთ უცხოური ქვეყნების გამოცდილება და მათი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, გინაიდან მითითებულ სფეროში არ არსებობს ტრადიციული ინსტიტუციური სისტემა.

საინტერესოა საზღვარგარეთული გამოცდილება დიასპორების სამართლებრივი რეგულირების კუთხით.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დიასპორებთან ურთიერთობის საკითხებს კოორდინაციას უწევს დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც 2002 წელს შეიქმნა. კომიტეტი ხელს უწყობს უცხოეთში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს დიასპორული ორგანიზაციების შექმნაში, აფინანსებს და ემბარება დიასპორულ ორგანიზაციებს სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. მარტო საქართველოში არსებული აზერბაიჯანული ორგანიზაციების დასაფინანსებლად და სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად კოველ წელიწადს

¹ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 სექტემბრის №761 ბრძანებულება.

დაახლოებით 1 მლნ აშშ დოლარი იხარჯება. 2002 წლის 27 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი „უცხოეთში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ“. კანონში ჩამოყალიბებულია აზერბაიჯანის სახელმწიფო პოლიტიკა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულებებთან მიმართებით.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა კანონის რამდენიმე პუნქტი:

ა) საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და კონკრეტული სახელმწიფოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, უცხოეთში მცხოვრები აზერბაიჯანელებისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნაში დახმარების გაწვევა;

ბ) აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ორგანიზაციებისა და უცხოეთში მოქმედი აზერბაიჯანელების კომერციული ორგანიზაციების ერთმანეთთან დაკავშირება;

გ) უცხოეთში მცხოვრები აზერბაიჯანელებისათვის ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციის ჩასადებად ხელსაყრელი პირობების შექმნა;

დ) იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ვინც უცხოეთში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ფინანსურ დახმარებას გაუწევს, კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება საგადასახადო, საბაჟო და სხვა შეღავათები დაუწესდეს;

ე) აზერბაიჯანის ან სხვა სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უცხოეთში მცხოვრები აზერბაიჯანელებისათვის ქველმოქმედების გაწვევა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხრიდან წახალისდება¹.

სომხეთის დიასპორის სამინისტრო 2008 წელს დაარსდა.

სომხეთის დიასპორის სამინისტრო, პრეზიდენტის საერთო ხელმძღვანელობით, მოწოდებულია განახორციელოს მთავრობის პოლიტიკა სომხეთის და დიასპორის ურთიერთობების გაღრმავების, დიასპორის პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების, რეპატრიაციასთან დაკავშირებული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების კუთხით. სამინისტროს უპირველესი ამოცანაა უცხოეთში მოღვაწე სომხური ორგანიზაციების ავტორიტეტის ამაღლება, შესაბამისი პროგრამების შემუშავება, საერთო-საგანმანათლებლო და საკვირაო სკოლების განვითარებისთვის დახმარების გაწვევა.

სამინისტროს ამოცანებია:

ა) სამშობლოში დაბრუნების მსურველთა რეპატრიაცია;

ბ) სომხური დიასპორის ახალგაზრდა წარმომადგენლებისთვის პილიგრიმული მოგზაურობების ორგანიზება სომხეთის წმინდა ადგილების მონახულების მიზნით;

¹ იხ. www.diaspora.az.

გ) დიასპორის წარმომადგენელ მეწარმეთათვის ეკომონიკური პროგრამების განხორციელებაში ხელის შეწყობა, რაც დაეხმარება მათ ეფექტიან ინტეგრირებას და მოღვაწეობას სომხეთში;

დ) შესაბამისი სტრუქტურებისათვის დახმარების გაწევა დიასპორის წარმომადგენლებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მოპოვებისთვის მარტივი და მკაფიო მექანიზმების შემუშავებაში.

ე) „სომხეთი-დიასპორას“ კონცეფციის შემუშავება;

ვ) ორი საზოგადოების – სომხეთის რესპუბლიკისა და სომხეთი დიასპორის მაქსიმალური ინტეგრაცია.

სამინისტროსა და დიასპორის თანამშრომლობა დაფუძნებულია სამპრინტები: გაცნობა, ნდობა, თანამშრომლობა¹.

ისრაელის ინფორმაციისა და დიასპორის სამინისტრო 2009 წელს დაარსდა. სამინისტროს ფუნქციებში შედის მსოფლიოში არსებულ ებრაულ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებთან თანამშრომლობა. ინფორმაციისა და დიასპორის მინისტრი განიხილება, როგორც „მეკავშირე ისრაელსა და ებრაულ დიასპორას შორის“.

მსოფლიოს ებრაელთა შორის ურთიერთობა ემყარება თანასწორ თანამეგობრობას. ისრაელის და უცხოეთში მყოფი ებრაელები მუშაობენ ერთობლივად, რათა ერთმანეთისაგან ისწავლონ და საერთო მიზნებს მიაღწიონ. ისრაელის ხელისუფლების მიზანია, ისრაელის და უცხოეთში მყოფ ებრაელთა შორის ეფექტიანი და უწყვეტი კომუნიკაციისა და დიალოგის გაადვილება, მსოფლიოს ებრაელთა პრობლემების ისრაელის ხელისუფლებამდე მიტანა.

ისრაელის სახელმწიფო, მინისტრის აპარატის მეშვეობით, ხელს უწყობს ისრაელის და უცხოეთში მცხოვრებ ებრაელთა დაახლოებას, მათ შორის ურთიერთობის გაფართოებას და გაუმჯობესებას.

მინისტრის აპარატი ხელს უწყობს მსოფლიოს ებრაელთა გაერთიანებას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

ყოველივე ეს ემსახურება ებრაელი ხალხის არსებობისა და მომავლის დაცვას².

¹ ი. ს. www.president.am; www.mindiaspora.am.

² ი. ს. www.mfa.gov.il.

**ლალი შაიშმელაშვილი
სამართლის დოქტორი**

**საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულის
(ქართული დიასპორის) სამართლებრივი
სტატუსის ზოგიერთი საკითხი**

განხილულია საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულის (ქართული დიასპორის) სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი. განმარტებულია საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულის (ქართული დიასპორის) ცნება. შესწავლილია საზღვარგარეთული გამოცდილება დიასპორების სამართლებრივი რეგულირების კუთხით.

Lali Shaishmelashvili
Doctor of law

**SOME LEGAL STATUS ASPECTS OF THE COMPATRIOT
(GEORGIAN DIASPORA) LIVING ABROAD**

There are highlighted some legal status aspects of the compatriot, living abroad (Georgian diaspora). The concept of the compatriot, living abroad (Georgian diaspora) is interpreted. The experience, gained abroad is studied from the point of view of diasporas' juridical regulations.

Лали Шаишмелашвили,
доктор права

**НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПРАВОВОГО СТАТУСА
СООТЕЧЕСТВЕННИКА (ГРУЗИНСКОЙ ДИАСПОРЫ),
ЖИВУЩЕГО ЗА ГРАНИЦЕЙ**

Рассматриваются некоторые вопросы правового статуса соотечественника (грузинской диаспоры), живущего за границей. Определено понятие соотечественника (грузинской диаспоры), живущего за границей. Изучен заграничный опыт, с точки зрения правовой регуляции.

თვითგამორკვევის უფლება და ტერიტორიული პრინციპები

საერთაშორისო სამართალში აღიარებული ტერიტორიული პრინციპების განხილვა ხალხისა და ერების თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ რამდენად დიდია მათი როლი საზღვრების სტაბილიზაციასა და სეპარატისტული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თვითგამორკვევის პრინციპისგან განსხვავებით ტერიტორიული პრინციპები წარმოშობის მიხედვით უფრო ახალია, რომელმაც პირველად ასახვა პოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, შემდეგ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობირის 1975 წლის დასკვნით აქტში.

თვითგამორკვევის უფლება სხვადასხვა ფორმაში რეალიზდება. ტერიტორიულ პრინციპებთან მიმართებაში განვიხილავთ მის ისეთ ფორმებს, როგორიცაა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ერთი სახელმწიფოდან მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა და სხვა სახელმწიფოსთან მიერთება ან შერწყმა.

თვითგამორკვევის პრინციპთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ხელშეუხებლობისა და საზღვრების ურღვეობის პრინციპები, აგრეთვე, გარკვეულწილად მათ საფუძველზე არსებულ რეგიონალურ ტერიტორიულ პრინციპებსაც. საზღვრების ხელშეუხებლობისა და მისი ურღვეობის პრინციპი ერთი და იგივე ცნებები არ არის, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც შინაარსის, ისე მოქმედების არეალის მიხედვით. 1975 წლის დასკვნითი აქტის თანახმად, საზღვრების ურღვეობის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ ამ აქტის მონაწილე ევროპული სახელმწიფოების, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადისთვის. რაც შეეხება საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპს, უფრო ფართო მოქმედების არეალი ახასიათებს, რადგან საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპია და მოქმედებს ყველა კონტინენტზე, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა სპეციალური შეთანხმებები ამასთან დაკავშირებით.¹

ყველა სახელმწიფო ცდილობს რა უზრუნველყოს სუვერენიტეტი და სახელმწიფო უშიშროება, პირველ რიგში, სახელმწიფო საზღვრების სტაბილურობის საკითხს აწესრიგებს. სახელმწიფოთა ამ სურვილმა თავისი გამოხატულება პოვა საერთაშორისო სამართალში საზღვრების ურღვეობის პრინციპის წინ წამოწევასა

¹ Международное право, отв. ред. Ю. М. Колосов, В. И. Кузнецов, М., 1996, ст. 38.

და განმტკიცებაში, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მათი სტაბილურობა და უცვლელობა. სახელმწიფო საზღვრების სტაბილურობის გარანტიასთან დაკავშირებით სახელმწიფოთა ვალდებულება ხშირად აისახება საერთაშორისო ხელშეკრულებებში მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

უკინოს 1975 წლის დასკვნით, აქტში საზღვრების ურდვეობის პრინციპი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „წევრი სახელმწიფოები პატივს სცემენ რა როგორც ერთმანეთს შორის, ისე ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის არსებული საზღვრების ურდვეობას, თავს შეიკავებენ როგორც ეხლა, ისე მომავალში მათი ნებისმიერი ხელყოფისაგან.“

ზემოადნიშნული პრინციპის შინაარსში სამი მნიშვნელოვანი დებულებაა გათვალისწინებული:

1. სახელმწიფოებს შორის არსებული საზღვრების ცნობა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;
2. უარის თქმა ნებისმიერ ტერიტორიულ პრეტენზიაზე როგორც თანამედროვე პერიოდში, ისე მომავალში;
3. უარის თქმა სხვა ნებისმიერი სახით ამ საზღვრების დარღვევაზე, მათ შორის ძალით მუქარასა და მის გამოყენებაზე.

როგორც ვხედავთ, პრინციპის შემცველი სამივე დებულება სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მაგრამ სპეციფიკურობიდან გამომდინარე მინდა გამოვყო მეორე. ამ დებულების მიხედვით სახელმწიფოს, რომელიც ამ პრინციპის შესაბამისად ერთხელ აღიარებს მეზობელ სახელმწიფოებთან არსებულ საზღვრებს, უფლება არ აქვს მომავალში მათთან დაკავშირებით პრეტენზია გამოთქვას.

ყოველივე ზემოთქმული ხაზს უსვამს სასაზღვრო ხელშეკრულებების უდიდეს მნიშვნელობას. სახელმწიფოებს შორის არსებული საზღვრები აუცილებლად ხელშეკრულებით უნდა იყოს მოწესრიგებული. არაფერი საწინააღმდეგო ჩვეულებით საზღვართან დაკავშირებით არ მაქს, მაგრამ ის ბევრ გაუგებრობას იწვევს და როდესაც სასაზღვრო თუ ტერიტორიული (ამ შემთხვევაში ეს ცნებები იდენტურია) დაგა წარმოიშობა სახელმწიფოებს შორის, მისი არსებობის ან ზოგადად მასთან დაკავშირებული ვალდებულებების არსებობის დადასტურება საკმაოდ რთულია.

მინდა ყურადღება დაგუთმო, აღნიშნულ საკითხთან დაბაგშირებით, საქართველოში არსებულ მდგომარეობას. საქართველოს სასაზღვრო ხელშეკრულება მხოლოდ ერთადერთ მოსაზღვრე სახელმწიფოსთან – თურქეთთან 1922 წელს აქვს

დადებული რუსეთის აქტიური მონაწილეობით. ესეც იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი დიდ ყურადღებას აქცევდა მეზობელ სახელმწიფოებთან არსებული საზღვრების იურიდიულ გაფორმებას. რაც შეეხება მოკავშირე ქვეყნების სახელმწიფო საზღვრებს, მათი დამტკიცებისგან თავს იკავებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ ეს ვერ შეძლო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების გამო. ეს საკითხი გასცდა სამართლის ფარგლებს და პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. საქართველოს აქვს ჩვეულებითი საზღვრები, მაგრამ აქვს ტერიტორიული პრეტენზიებიც მეზობელ სახელმწიფოთა მხრიდან. მაგალითად, სადავოა აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარი გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორმხრივი სამთავრობო კომისია, თუმცა შეთანხმება არ არის მიღწეული ორივე სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პრობლემების გამო. რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ საზღვარს, ის რუსეთის ფედერაციის მიერ ხშირად იცვლებოდა და იცვლება, სამწუხაროდ, საქართველოს ხარჯზე და საზიანოდ. ეს ადრე ფარულად ხორციელდებოდა, ბოლო დროს კი აშკარად მიმდინარეობს. მაგალითად, იალბუზის მთა საქართველოს ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ 1949 წელს გამოიცა ახალი პოლიტიკური რუკა, რომელზეც იალბუზი რუსეთის შედეგენილობაში აღმოჩნდა. ბოლო პერიოდში, ხშირად შეინიშნება საზღვრის საქართველოს ტერიტორიისკენ გადმოწევა რუსეთის მესაზღვრეებისა და შეიარაღებული ძალების მიერ.

ეუთომ თავის პირველივე თათბირზე (1975 წელი) ყურადღება მიაქცია სახელმწიფოებს შორის არსებულ ტერიტორიულ პრეტენზიებს და ისინი ევროპაში ლოკალური კონფლიქტების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა. ალბათ, გასაკვირი არ არის, რატომ აძლევს იგი საზღვრების მოწესრიგებას და მათთან დაკავშირებით სამომავლო პრეტენზიების არარსებობას ამხელა მნიშვნელობას.

დღეს თვითგამორკვევის პრინციპისა და ტერიტორიული პრინციპების გვერდი-გვერდ არსებობა ბევრ პრობლემას წარმოქმნის როგორც შიგასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია იმის გარკვევა, რომ თვითგამორკვევის პრინციპის არსებობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზემოთ წარმოდგენილ ფორმებში იგულისხმება, რადგან წარმომადგენლობითი თვითგამორკვევის მნიშვნელობის საკითხი საერთაშორისო სამართალში დადგებითი შედეგის გამოწვევი ფაქტორი უფროა, ვიდრე უარყოფითის.

აღნიშნული საკითხის კვლევა უნდა დავიწყოთ ისეთი რეგიონალური ტერიტორიული პრინციპით, როგორიცაა ძალის გამოყენების შედეგად შეძენილი ტერიტორიების არცნობის პრინციპი, რომლის იურიდიული შედეგი სახელმწიფო ტერიტორიის მთლიანობა და ხელშეუხებლობაა.

ამ პრინციპის შინაარსი გაეროს გენერალური ასამბლეის ბევრ გადაწყვეტილებაშია ასახული.¹ მაგრამ ყველაზე დეტალური ფორმულირება მოცემულია უკინოს 1975 წლის დასკვნით აქტში: „წევრ-სახელმწიფოები თავს შეიკავებენ ერთმანეთის ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციის ან საერთაშორისო სამართლის დარღვევის გზით ძალის გამოყენების სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი დონისძიებების ობიექტად ან ამგვარი დონისძიებების, ან მათი გამოყენების მუქარის განხორციელებით შეძენის ობიექტად გადაქცევისაგან. არანაირი ოკუპაცია ან ამგვარი სახით შენაძენი კანონიერად არ ჩაითვლება.“

შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ხალხს ან ერს, რომელსაც სურს თვითგამორკვევის უფლების განხორციელება, სახელმწიფოსგან ძალისმიერი მეთოდების ან მუქარის გზით არ შეუძლია ტერიტორიის მოპოვება, თუ ეს ტერიტორია ამ სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. ამ შემთხვევაში მათ, თავისთავად, თვითგამორკვევის უფლება აქვთ, მაგრამ მისი რეალიზაცია გამოყოფის გზით ვერ მოხერხდება, რადგან ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრინციპს და, ზოგადად, სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით ავტონომიის უფრო ფართო მასშტაბების გამოყენებაა შესაძლებელი. ამგვარი პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა ფედერალიზმია.

ფედერაციული სახელმწიფო ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო სახელმწიფო-სამართლებრივი ფორმაა, რომელსაც შეუძლია გაანეიტრალოს სახელმწიფოში არსებული სეცესიონისტური მისწრაფებები. ფედერალიზმის დროს, ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, მაქსიმალურად არის დაცული ეთნიკური და სხვა უმცირესობების უფლებები, კონსტიტუციურ-სამართლებრივად და ინსტიტუციურად გარანტირებულია მართვის დეცენტრალიზებული სისტემა, ჩამოყალიბებულია ეთნიკურად,

¹ იხ. სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობების შესახებ 1949 წლის 6 დეკემბრის დეკლარაციის პრეგეტის 44-ე მუხლი; საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების 1970 წლის 16 დეკემბრის დეკლარაცია.

კულტურულად და სხვა ნიშნის საფუძველზე განსხვავებული ჯგუფების ავტონომიურობის მყარი სამართლებრივი საფუძვლები.¹

თვითგამორკვევისა და ტერიტორიული პრინციპების შედარებითი განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ სეცესიას. სეცესია კ. წ. *jus secessionis*, ფედერაციული სახელმწიფოს დაშლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევაა. ფედერაციული სახელმწიფოს შედგენილობიდან გასვლა ფედერალური ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ ანუ სეცესიის უფლება აკრძალულია ყველა ფედერაციული სახელმწიფოს კონსტიტუციით.²

აღნიშნული საკითხის შესწავლისას, რეგიონალური ტერიტორიული პრინციპებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტი არსებული საზღვრების პატივისცემის პრინციპი. მან ფართო გავრცელება პოვა აფრიკის სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში. ამ პრინციპის ცნობას აფრიკის ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პრაქტიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან რიგი ქვეყნები პრეტენზიებს აცხადებდნენ მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სომალის ტერიტორიული მოთხოვნები ეთიოპიას, კენიასა და ჯიბუტიან, მალსა და ბურკინა ფასოს შორის მომხდარი შეიარაღებული შეტაკება და ა. შ.³

ამიტომ სარგებლობდა დამოუკიდებლობის მიღების მომენტში არსებული საზღვრების პატივისცემის პრინციპი აფრიკის კონტინენტზე ამხელა პოპულარობით. მან ხელი შეუწყო აფრიკელ ხალხს მოეგვარებინათ კოლონიზატორების მიერ მათვის დატოვებული ხელოვნური საზღვრების გამო გამოწვეული ტერიტორიული დავები. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ერთს კულტურული საზღვარი არ ემთხვეოდა სახელმწიფო საზღვარს.⁴

ეს პრინციპი ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ლოგიკურ გაგრძელებას და მის კონკრეტიზაციას წარმოადგენს. მისი მეშვეობით ბევრი სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილება მოხერხდა.

uti possidetis პრინციპი შინაარსით ძალიან პგავს დამოუკიდებლობის მიღების მომენტში არსებული საზღვრების პატივისცემის პრინციპს.

¹ Kimminich, O., A. Federal Right of Self-Determination?, in: C. Tomuschat, Modern Law of Self-Determination, Dordrecht 1993, s. 83.

² გია ხუბუა. ფედერალიზმი და სეცესიის უფლება. 1999, გვ. 3.

³ Л. И. Волова. Нерушимость границ - новый принцип международного права, Р. 1987, ст. 41

⁴ იქვე, გვ. 43.

რეგიონალური პრინციპი uti possidetis (ლათ. სიტყვასიტყვით, „ფლობდე იმას, რასაც ფლობ“) ნიშნავს სახელმწიფოთა შორის არსებული ტერიტორიული პრეტენზიების გაყინვას ხანგრძლივი დროით და გამოიყენებოდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ის განიხილებოდა, როგორც ამ კონტინენტზე სახელმწიფოებს შორის საზღვრების დადგენის ყველაზე ხელსაყრელი იურიდიული ფორმა. თუმცა, მისი გამოყენება იძულებითი ზომა იყო და არ შეეძლო ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებს შორის არსებული დავებისა და კონფლიქტების გადაწყვეტა. სწორედ ამიტომ, ის ლათინური ამერიკის რეგიონალურ პრინციპად დარჩა და სხვა კონტინენტებზე არ გავრცელებულა.¹

როგორც დავინახეთ, თვითგამორკვევისა და ტერიტორიულ პრინციპებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს დიდი ისტორიული წარსული აქვს და ეს პრობლემა ახალი არ არის. მისი გამძაფრება იმან გამოიწვია, რომ თვითგამორკვევის უფლებამ დაკარგა საზოგადოებრივ-ისტორიული, ასევე სამართლებრივი მნიშვნელობა და პოლიტიკური შინაარსი შეიძინა. არსად ისე თვალსაჩინო არ არის პოლიტიკის პრიმატი სამართლზე, როგორც იმ ურთიერთობებში, როდესაც ხდება საერთაშორისო სამართლის იგნორირება სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესი-დან გამომდინარე.

ჩემი აზრით, თვითგამორკვევისა და ტერიტორიულ პრინციპებს შორის რომელი უფრო პრიორიტეტულია, ამაზე საერთო დებულების ჩამოყალიბება შეუძლებელია. ეს საკითხი, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს წარმოდგენილ სამართლებრივ სიკეთეთაგან, თვითგამორკვევისა და ტერიტორიული პრინციპები მაქვს მხედველობაში, რომელიც უფრო აღმატებულია და რომლის რეალიზაციისას არ მოხდება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა.

¹ Hensel, Paul R.; Michael E. Allison and Ahmed Khanani (2006). "Territorial Integrity Treaties, Uti Possidetis, and Armed Conflict over Territory." Presented at the Shambaugh Conference "Building Synergies: Institutions and Cooperation in World Politics," University of Iowa, 13 October 2006.

ქეთევან ჯინჭარაძე
სამართლის დოქტორი

**თვითგამორკვევის უფლება და
ტერიტორიული პრინციპები**

განხილულია საერთაშორისო სამართალში აღიარებული ტერიტორიული პრინციპები ხალხისა და ერების თვითგამორკვევის უფლებასთან კავშირში, რაც იმის დადგენაში დაგვეხმარება, რამდენად დიდია მათი როლი საზღვრების სტაბილიზაციასა და სეპარატისტული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

Ketevan Jincharadze

Doctor of law

**THE RIGHT OF NATION'S SELF-DETERMINATION
AND TERRITORIAL PRINCIPLES**

There is discussed recognition of international law territorial principles in relation to the right of nation's to self-determination. This will help us determine how much is their importance for the stabilization of borders and the fight against the separatist movement.

Кетеван Джинчарадзе,

доктор права

**ПРАВО НА САМООПРЕДЕЛЕНИЕ И
ТЕРРИТОРИАЛЬНЫЕ ПРИНЦИПЫ**

Обсуждаются признанные в международном праве территориальные принципы в связи с правом на самоопределение народа и нации. Это поможет нам определить как высоко их значение для стабилизации границ и в борьбе против сепаратистских движений.

გადამხდელის უფლებები ახალ საგადასახადო კოდექსში

საქართველოს კონსტიტუციის პრემბულის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა „ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლება და თავისუფლება“. ამ მისის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერი და სტაბილური სახელმწიფოს პირობებში. სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება გარკვეულწილად ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური ძალის მხრიდან სწორ საგადასახადო პოლიტიკის წარმართვასა და გადასახადის გადამხდელებს შორის საგადასახადო ტვირთის თანაბარზომიერ გადანაწილებაზეა დამოკიდებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავის რჩენას მცირე ბიზნესის წარმართვით ცდილობს. მიუხედავად ამისა, საქართველოში მცირე ბიზნესი განვითარებული მაინც არ არის. მცირე ბიზნესის განვითარების ხელის შემშლელ ძირითად ფაქტორად დღემდე სწორედ საგადასახადო ტვირთის სიმძიმე სახელდება. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, იმ ქვეყნებში, სადაც მცირე ბიზნესია განვითარებული, იგი არ იძეგრება მსხვილი ბიზნესის პრინციპით.

2005 წლიდან დღემდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსი, დასაბეგრი ბაზის მიხედვით, ერთმანეთისაგან არ მიჯნავდა მცირე და მსხვილ ბიზნესს. ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი არა მარტო მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან და „უმსუბუქებს საგადასახადო ტვირთს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, არამედ განასხვავებს და მცირე ბიზნესისგან ცალკე გამოყოფს მიკრობიზნესის სტატუსს და საერთოდ ათავისუფლებს ამ სტატუსის ქონე პირს გადასახადისგან. ახალი საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვით მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30 000 ლარს“, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა არ არის იმპერატიული ხასიათის, რადგან ამ მუხლის მე-2-4 ნაწილი შეიცავს

დათქმას, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობას შეუძლია ცალკეული საქმიანობის განხორციელების ან გარკვეული შემოსავლის სახის მიღების შემთხვევაში პირს არ მიანიჭოს მიკრობიზნესის სტატუსი და არ დაბეგროს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით. ჩვენი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა მთავრობის პრეროგატივა არ უნდა იყოს და ის საკანონმდებლო აქტით უნდა მოწესრიგდეს. ეს დათქმა საგრძნობლად ზრდის მთავრობის უფლებამოსილებას, კანონმდებელზე მეტადაც კი, საგადასახადო შედავათების მინიჭების საკითხში, აგრეთვე აკნინებს ამ ნორმის მნიშვნელობას და მის მიერ ბიზნესის ინტერესის დაცვის სფეროში შემოთავაზებულ სიახლეს. უფრო მეტიც, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის 88-ე მუხლის მიხედვით: „მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ჯამური ბრუნვა კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 200 000 ლარს“. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, რომელიც 3%-ით იბეგრება, მაგრამ ამ მუხლშიც, როგორც მიკრობიზნესის შემთხვევაში, არის დათქმა, რომ „საქართველოს მთავრობას უფლება აქვს აკრძალოს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ ცალკეული საქმიანობის განხორციელება და მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს ასეთი საქმიანობის ფარგლებში.“¹ აგრეთვე, „საქართველოს მთავრობას უფლება აქვს განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.“²

საგადასახადო კოდექსის პროექტი ცვლილებებს გვთავაზობს გადამხდელთა უფლებების დაცვის მექანიზმშიც. შემოდის გადამხდელთა უფლებების დაცვის ორი ახალი ინსტიტუტი – ომბუდსმენი და აუდიტორთა უმაღლესი საბჭო, რაც, თავის მხრივ, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მათთან დაკავშირებითაც გვაქვს გარკვეული შენიშვნები.

საგადასახადო კოდექსის პროექტის 42-ე მუხლში ძალიან ზოგადადაა წარმოდგენილი საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილება: „საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“. როგორც

¹ ახალი საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

² ახალი საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ვხედავთ, საგადასახადო ომბუდსმენის საქმიანობასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანებს საკითხებსაც მთავრობა წყვეტს, რაც (ვფიქრობთ) ცუდ გავლენას მოახდენს ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის ხარისხსზე, რადგან სწორედ მთავრობა ახორციელებს კონტროლს გადასახადების აღმინისტრირებაზე და, აქედან გამომდინარე, საგადასახადო ომბუდსმენსაც, პირველ რიგში, მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი ევალება. ამიტომ საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოვალეობებისა და მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და ფორმების განსაზღვრა არ შეიძლება მთავრობის უფლებამოსილება იყოს.

საგადასახადო კოდექსის პროექტის 267-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებში ძალიან მოკლედ და გაუგებრადა მოცემული აუდიტორთა საბჭოს დანიშნულება და შემადგენლობა. მე-4 პუნქტის მიხედვით: „საგადასახადო აღმინისტრირების ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით იქმნება აუდიტორთა საბჭო, რომელშიც შედიან ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები“, ხოლო მე-5 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ „თუ საგადასახადო შემოწმების შედეგებზე გადაწყვეტილების მიღება აყალიბებს არსებულისაგან განსხვავებულ დაბეგვრის ან/და სამართალდარღვევაზე სანქციის გამოყენების პრინციპს/მეთოდს საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიმართოს აუდიტორთა საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია მიმართვიდან არა უგვიანეს 20 დღისა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული პრინციპის/მეთოდის გამოყენების ან არგამოყენების თაობაზე. აუდიტორთა საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად საგადასახადო ორგანოსათვის“.

როგორც ვხედავთ, აუდიტორთა საბჭოს ძირითადი ფუნქცია საგადასახადო აღმინისტრირების ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. მაგრამ რას ნიშნავს საგადასახდო აღმინისტრირების ერთიანი პრაქტიკა?! სწორედ ესაა გაურკვეველი. საგადასახადო აღმინისტრირებას შესაბამისი ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად ახორციელებენ, საგადასახადო კოდექსში კი ძირითადად იმპერატიული ნორმებია მოცემული, რომელთა გამოყენებისას ყოველგვარი თვითშემოქმედება დაუშვებელია. საგადასახადო კოდექსის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კანონმდებლობით ზუსტად განისაზღვროს ერთგვარი საგადასახადო ვალდებულება და მისი შესრულების წესი. რაც შეეხება გამონაკლისს საგადასახადო ვალდებულების კუთხით, ის შეიძლება დაშვებულ იქნეს შხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში და არა საგადასახადო ორგანოს ან თანამშრომლის შეხედულებისამებრ.

აქვე უურადღება უნდა გავამახვილოთ ახალი საგადასახადო კოდექსის ისეთ ინოვაციაზე, როგორიცაა ე.წ. „Advance Tax Ruling (ATR)" სისტემა, რაც მიმართულია საგადასახადო ნორმების განმარტებისას მათი ორაზროვანი გაგების წინააღმდეგ. ATR ითვალისწინებს გადამხდელის უფლებას, მიმართოს საგადასახადო ადმინისტრაციას და მოითხოვოს განმარტება საგადასახადო კანონმდებლობის ამა თუ იმ ნორმასთან დაკავშირებით, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ამ შემთხვევაში ვალდებული იქნება განუმარტოს ნორმა. ამ განმარტებას სავალდებულო ძალა ექნება გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის ურთიერთობაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სისტემის შემოღება გარკვეულწილად გაუადვილებს გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კოდექსში მოცემული გაურკვეველი და ბუნდოვანი დებულებების გაგებას და აღქმას, თუმცა აქვს უარყოფითი მხარეებიც. ეს სისტემა, გარკვეულ დონეზე, იმის მაჩვენებელია, რომ საგადასახდო კოდექსი არ არის სრულყოფილი, ის ნათლად არ ასახავს საგადასახადო ვალდებულებებს, მათი შესრულების წესსა და პირობებს და ადმინისტრაციულ ორგანოს კანონის განმარტების უფლება ენიჭება, რაც არ გამორიცხავს სუბიექტივიზმს და შესაძლებელია გახდეს კორუფციის წყარო. ამ მიზეზით აეკრძალა საგადასახადო ორგანოს თავის დროზე ზემოაღნიშნული უფლება. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსი ისე უნდა შედგეს, რომ მისი წაკითხვა და გაგება შესაძლებელი იყოს ნებისმიერი სახის გადასახადის გადამხდელისათვის.

ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით იცვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის უკან დაბრუნების მექანიზმი. 62-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით: „ცალკეულ შემთხვევაში ცალკეული გადასახადის გადამხდელის მიმართ, რომელიც ახორციელებს ელექტრონულ დეკლარირებას, შესაძლებელია განხორციელდეს ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის ავტომატური დაბრუნება. ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის ავტომატური დაბრუნების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი“.

დღეს მოქმედი პრაქტიკის მიხედვით, ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დასაბრუნებლად გადასახადის გადამხდელმა აუცილებლად უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს თანხის დაბრუნების მოთხოვნით. საგადასახადო ორგანო განიხილავს გადამხდელის მოთხოვნას 3 თვის განმავლობაში და გადასახადის გადამხდელს უბრუნებს ან არ უბრუნებს ზედმეტად გადახდილ თანხას.

საგადასახდო ორგანოში გადამხდელის მოთხოვნის წარდგენა გადასახადის დაბრუნებასთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელის მხრიდან გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, რადგან მას მოჰყვება კამერალური, გეგმური ან/და საქონტროლო-საგადასახადო შემოწმება, რომლის მიზანია, როგორც საგადასახადო ჟარგონით განმარტავენ, „ამოწვას ზედმეტობა“. სწორედ ამიტომ, ძალიან ცოტა გადასახადის გადამხდელი მიმართავს დღეს საგადასახადო ორგანოს ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დასაბრუნებლად. საგადასახადო კოდექსში ჩადებული თანხის დაბრუნების ამგვარი მექანიზმი სახელმწიფოს მხრიდან გადასახადის გადამხდელთა უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს, ამიტომ ამ კუთხით ახალი საგადასახადო კოდექსის მიერ შემოტანილი სიახლე თანხის ავტომატურად უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით მოსაწონია.

მნიშვნელოვან ფინანსურ შეღავათს მისცემს ბიზნესს სიახლე, რომლის მიხედვით, დეკლარირების ყოველთვიური სისტემის ნაცვლად პრაქტიკაში დაინერგება დეკლარირების კვარტალური სისტემა, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში ბიზნესმენს შესაძლებლობა ექნება განკარგოს მის ხელთ არსებული სახსრები, აღნიშნული არ ვრცელდება საშემოსავლო გადასახადზე.

ახალ საგადასახადო კოდექსს ბაზრობებზე დასაქმებული მცირე მეწარმეებისათვის შემოაქვს სპეციალური საგაჭრო ზონის ცნება. სპეციალური საგაჭრო ზონის სტატუსი მიენიჭება იმ იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოში ეწევა ვაჭრობის ორგანიზებას, ხოლო ვაჭრობის ორგანიზება არის პირის ან/და პირთა ჯგუფის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბაზრის, ან/და შენობა-ნაგებობის ტერიტორიაზე განლაგებული საგაჭრო ობიექტებისა და საგაჭრო ადგილების გაქირავება. ახალი საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით „სპეციალური საგაჭრო ზონის სტატუსის მქონე იურიდიული პირი ასრულებს საგაჭრო ობიექტებისა ან/და საგაჭრო ადგილების დამქირავებელი გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებას“. როგორც ვხედავთ, ამ დებულების ამოქმედების შემდეგ მოვაჭრები გათავისუფლდებიან საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის „ტვირთისგან“, აგრეთვე ისინი თავიდან აიცილებენ საგადასახადო კანონმდებლობის არცოდნით ან გარკვეული ნორმის არასათანადო გაგებით გამოწვეულ სანქციებს, რადგან ბაზრობის აღმინისტრაციას ეკისრება საგადასახადო აგენტის ფუნქცია და საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზეც ისაა პასუხისმგებელი.

ახალი საგადასახადო კოდექსით, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვნად მარტივდება გასაჩივრების პროცედურა საგადასახადო დავებზე, გამარტივებული

და ადვილად გასაგებია საგადასახადო დავასთან დაკავშირებული დებულებებიც, მაგრამ, თუ აღნიშნულ საკითხს სიღრმისეულად განვიხილავთ დავასკვნით, რომ საგადასახადო დავასთან დაკავშირებით ერთადერთი სიახლე ელექტრონული საჩივრის წარდგენის წესი და საგადასახადო დავის პრინციპებია:

1. საგადასახადო დავის განმხილველი ორგანო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის შედეგად დაუშვებელია მომჩივნის საგადასახადო ვალდებულებების დამძიმება, გარდა გადამხდელის თანხმობით ამავე დავის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების შემთხვევისა.

3. დავების განხილვის საბჭო უფლებამოსილია მომჩივნი გაათავისუფლოს დაკისრებული სანქციისაგან, თუ მისი ქმედებით სახელმწიფო ბიუჯეტს არ მიყენებია ზიანი და ასევე, საბჭო დარწმუნდება, რომ ა) მომჩივნის ქმედება გამოწვეული იყო შეცდომით/არ ცოდნით; ბ) საკანონმდებლო ჩანაწერი, რომლითაც მომჩივნი ხელმძღვანელობდა, სხვადასხვაგვარი განმარტების საშუალებას იძლევა¹.

მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ბაზაში ის ქონება შედის, რომლის რეალიზაციას ქონების მფლობელი მისი შეძენიდან 2 წელიწადში ახდენს. ახალი კოდექსის პროექტში კი ეს ორწლიანი ზღვარი აღარ არსებობს, არ აქვს მნიშვნელობა გადასახდის გადამხდელმა ქონება როდის შეიძინა ერთი, 10 თუ 50 წლის წინ, ნებისმიერ შემთხვევაში ნამატი შემოსავალი 20%-იანი საშემოსავლო გადასახადით იძეგრება. ეს ნოვაცია იწვევს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობის გაუარესებას, რადგან ისინი ქონების რეალიზაციისას ყველა შემთხვევაში გადაიხდიან გადასახადს.

სახელმწიფო გადამხდელთა უფლებების რეალური დაცვის უზრუნველყოფად, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიაზე შიგა პროდუქტის წარმოების ზრდისათვის, ყველა ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან ერთად, აუცილებელია კანონმდებლის მიერ შემოწმებული და შეცვლილი იყოს გადასახადის განაკვეთები, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთი უნდა შეიცვალოს 12%-იანით, დღგ-ის 18%-იანი განაკვეთი – 15%-იანით, მოგების გადასახდი 5%-მდე უნდა

¹ ახალი საგადასახადო კოდექსის 297-ე მუხლი.

შემცირდეს; უნდა განხორციელდეს დივიდენდის განაკვეთის ზრდა, რაც რეალურ გარდატეხას მოახდენს ეკონომიკის განვითარებაში; კიდევ უნდა გამარტივდეს საგადასახადო კოდექსი, მისი შინაარსი წაკითხვადი და გასაგები უნდა იყოს ინტელექტუალური კუთხით ყველა დონის ადამიანისათვის.

1996 წლიდან 2004 წლამდე მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული იყო 22 გადასახადი. ყველა გადასახადის გადახდის შემთხვევაში მეწარმე რამდენიმე თვეში გაპოტრდება. ფაქტობრივად სახელმწიფო საგადასახადო კოდექსით ხელს უწყობდა ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის განვითარებას და აქვეითებდა საგადასახადო კულტურას. ფაქტიურად გადასახადის გადამხდელის უფლებები სრულიად დაუცველი იყო. 2005 წლის საგადასახადო სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა, კერძოდ, გადასახადების რაოდენობის შემცირებამ 22-დან 6-მდე და გადასახადების ადმინისტრირების გამარტივებამ გადამხდელს მეტი გარანტია მიანიჭა. ბიუჯეტის საგადასახადო შენატანების რაოდენობა 200 მილიონიდან 7 მილიარდამდე გაიზარდა. საგადასახადო რეფორმების შედეგი სახეზეა.

ირაკლი გაბისონია
სამართლის დოქტორანტი

გადამხდელის უფლებები ახალ საგადასახადო კოდექსში

განხილულია საქართველოში მიმდინარე საგადასახადო რეფორმასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. კერძოდ, საგადასახადო ვალდებულების შესრულების შედარებით გამარტივებული მექანიზმები, გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის ახალი ინსტიტუტები, საუბარია აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის მინიჭებულ საგადასახადო შეღავათებზე და მათ მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

Irakli Gabisonia
Master of Law

THE RIGHTS OF TAXPAYERS IN THE NEW TAX CODE

There are discussed the important questions of tax reform in Georgia, in particular, a relatively simplified mechanism for the implementation of tax obligations, the new institute for the protection of taxpayers' rights, also referred to the tax benefits granted to representatives of flickering and medium-sized businesses, yet their importance for economic development.

Ираклий Габисония,
магистр права

ПРАВА НАЛОГОПЛАТЕЛЬЩИКОВ В НОВОМ НАЛОГОВОМ КОДЕКСЕ

Рассматриваются важные вопросы, связанные с налоговой реформой в Грузии, в частности, сравнительное упрощение механизмов для реализации налоговых обязательств, новые институты для защиты прав налогоплательщиков; также говорится о налоговых льготах, предоставленных представителям мелкого и среднего бизнеса, еще о важности их для экономического развития страны.

**დამნაშავის პიროვნების
პრობლემა კრიმინოლოგიაში**

კრიმინოლოგიის ლიტერატურაში გავრცელებული დამნაშავის პიროვნების ტრადიციული ცნება, რომლის თანახმად „დამნაშავის პიროვნება არის ადამიანი, რომელიც ბრალეულია სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ მართლსა-წინააღმდეგო ანუ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენაში და რომელსაც უკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“¹ ჩვენი შეხედულებით სისხლის სამართლის მეცნიერების კომპეტენციაა და არა კრიმინოლოგიის.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, დამნაშავის პიროვნების პრობლემა ერთ-ერთი რთული, სადაც და, ამავე დროს, ნაკლებად დამუშავებული საკითხია. იტალიელმა იურისტმა, კრიმინალისტმა რ. გაროფალომ დანაშაულის ჩამდენი პირები დაყო 3 (სამ) კატეგორიად და საფუძველი ჩაუყარა დამნაშავეთა ბიოლოგიურ კლასიფიკაციას. პირველ კატეგორიას მიაკუთვნა ის დამნაშავეები, რომელიც თანდაყოლილი თვისებებით თავიანთ თავში პოულობენ დასაყრდენს ცდუნებებსა და გადახრით მიღრეკილებებთან საბრძოლველად. ასეთ ადამიანებს აქვთ უნარი შეაფარდონ თავიანთი ქმედებები არა მხოლოდ კანონებთან, არამედ უფრო მაღალ იდეალებთანაც კი. მეორე კატეგორია შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც დაჩაგრულები არიან ბუნებისაგან თანდაყოლილი თვისებებიდან გამომდინარე; ეს ადამიანები ადვილად ხდებიან დანაშაულებრივი მიღრეკილებების მსხვერპლი. დამნაშავეთა მესამე კატეგორიას უჭირავს შუალედური მდგომარეობა სსენებულ ორ კატეგორიას შორის. ადნიშნულ კატეგორიაში შემავალ ადამიანებს მიღრეკილება აქვთ დანაშაულის ჩადენისაკენ, ახასიათებთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები და, ამდენად, დანაშაულებრივ გზაზე მათი დადგომა განპირობებულია კონკრეტული პირობებით, გარე ფაქტორებით. მეცნიერის ხედვით, დანაშაული არის ინდივიდის ქცევის შედეგი და, შესაბამისად, დანაშაულის ხასიათი დამოკიდებულია ადნიშნული ინდივიდების თვისებებზე და იმ პირობებზე, რომელშიც ეს ინდივიდები იმყოფებიან.²

თანდაყოლილი დამნაშავის პიროვნების იდეა დასაბუთებული აქვს ცნობილ მეცნიერ-მკვლევარს, იტალიელ ექიმ-ფსიქიატრს, პროფესორ ჩეზარე ლომბროზოს.

¹ ზ. წულაძი. კრიმინოლოგია. ზოგადი ნაწილი. თბ., 2003. გვ. 73.

² М.П. Чубинский. Курс уголовной политики. СПБ. 1912. С. 245.

ჩ. ლომბროზოს თეორიის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მას დამნაშავე წარმოდგენილი პყავს განსაკუთრებულ ფენომენად, რომელიც ავადმყოფი უფროა, ვიდრე დამნაშავე. მისი შეხედულება დამნაშავეზე, როგორც ავადმყოფზე ძალზე ჰუმანურია, მაგრამ საპირისპიროდ არაჰუმანურია მისი შეხედულება დამნაშავეზე ზემოქმედების მექანიზმზე, რომლის თანახმად, დამნაშავე საზოგადოებისაგან იზოლირებულად უნდა იქნეს განთავსებული ან სულაც მოხდეს მისი ლიკვიდაცია, როგორც საზოგადოებისათვის მავნე ელემენტისა.¹

ცნობილი იტალიული მეცნიერი, სოციოლოგი ე. ფერი დანაშაულს ხსნის ერთდროულად სამი ფაქტორის – ანთროპოლოგიურის, ფიზიკურისა და სოციალურის – მოქმედებით განპირობებულ მოვლენას, რომელთაგან თითოეულს თანაბარი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ეტიმოლოგიისათვის. თუმცა ე. ფერი სოციალურ ფაქტორს პიროვნებასთან მიმართებაში წმინდა გარე ფაქტორად წარმოაჩენს, თავად პიროვნული ფაქტორი კი ადამიანის ბიოლოგიურ თავისებურებამდე დაჭყავს. იგი დამნაშავეებს ნორმალური ადამიანებისაგან განასხვავებს ფსიქიური, მემკვიდრეობითი და შეძენილი ნიშნების მიხედვით, რომლის თანახმად, დამნაშავე ითვლება ადამიანთა მოდგმის განსაკუთრებულ სახესხვაობად. შესაბამისად, სასჯელი განიხილებოდა, როგორც საზოგადოების დაცვა ხსენებულ „ადამიანთა მოდგმის განსაკუთრებული სახესხვაობისაგან“.²

მე-20 საუკუნეში ზოგიერთი ფსიქოლოგი ზიგმუნდ ფროიდის იდეებზე დაყრდნობით ასაბუთებდა, რომ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს უვითარდებათ „ამორალური“ და ფსიქოპათური თვისებები; ადამიანთა მორალური თვისებების უმრავლესობა წარმოდგება თვითშეზღუდვებისგან, რომელთაც ინდივიდები ადრეულ ასაკში სწავლობენ, ასევე არსებობს მოზარდთა გარკვეული სახესხვაობანი, რომელთაც მშობლებთან ურთიერთობის პროცესში არ უვითარდებათ მსგავსი თვითშეზღუდვები და, შესაბამისად, არ აქვთ მორალის შეგნება და ყალიბდებიან ამორალურ პიროვნებებად. ფსიქოპათებად კი გვევლინებიან თავიანთ თავში ჩაკეტილი ადამიანები, რომლებიც სიამოვნებას პოულობენ ძალადობაში, რაც მათი მხრიდან, როგორც ამორალური თვისებების მქონე პირების მიერ, მრავალი სახის დანაშაულის და კანონდარღვევის ჩადენას განაპირობებს.³

¹ Д.А. Шестаков. Криминология. СПТ. 2006. С. 49-55.

² Э. Ферри. Уголовная социология. М. 1908. С. 191.

³ А. Гидденс. Социология. М. 1999. С. 124-125.

პრობლემის აქტუალურობა გამოიხატება იმაში, რომ დანაშაული, როგორც ადამიანური ქცევის აქტი და კონკრეტული პირის ნების გამოვლინება, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინდივიდის ხასიათის თვისებებსა და თავისებურებებზე. გარდა ამისა, დამნაშავის პიროვნება დანაშაულობის ისეთი შემადგენელი კატეგორიაა, რომლის შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს შევიმუშაოთ დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ეფექტური ზომები.

დამნაშავის პიროვნება შეისწავლება სისტემური მიღებომით, რაშიც გათვალისწინებულია მისი სოციალურ-დემოგრაფიული, სოციალურ-როლებრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. დამნაშავის პიროვნების გამოყოფა სხვა დანარჩენი მოსახლეობისგან ხდება ორი ძირითადი კრიტერიუმით: იურიდიულით და სოციოლოგიურით (სოციალურ-ფსიქოლოგიურით). იურიდიული კრიტერიუმიდან გამომდინარე, დამნაშავის პიროვნება განისაზღვრება, როგორც პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით გათვალისწინებული ქმედება – დანაშაული. დამნაშავის პიროვნების ამგვარი განსაზღვრება ბუნებრივია ატარებს ფორმალურ ხასიათს. ამდენად, იურიდიული კრიტერიუმი აუცილებელია შეივსოს სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური კრიტერიუმით, რომელთა შესაბამისობაში გამოიკვეთება დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ასოციალური მიმართულების ესა თუ ის ორიენტაცია ან სულ მცირე განსხვავებული ასოციალური ბუნება. მოცემული მდგომარეობა შეეხებათ არა მარტო პოტენციურ დამნაშავებს, არამედ კ.წ. „შემთხვევით დამნაშავებს“ და იმ პირებსაც, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს აფექტის მდგომარეობაში ან გაუფრთხილებლობით. ამასთან, აქვე განიხილებიან ის პირები, რომელთაც ჯერ არ ჩაუდენიათ დანაშაული, თუმცა მათი ასოციალური შეხედულებები და ჩვევები, გამოვლენილი, მაგალითად, ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენაში, იძლევიან საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მომავალში შეიძლება დაადგნენ დანაშაულებრივი ცხოვრების გზას. ამდენად, ჩვენი აზრით, დამნაშავის პიროვნებაში კრიმინოლოგიური გაგებით, იგულისხმება არა პირი (ან პირთა კატეგორია), რომელსაც ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული, არამედ ზოგადად კანონდამრღვევები და დევინტური თვისებების მქონე ის ინდივიდები, რომლებიც ექვემდებარებიან გადაუდებელი სოციალური კონტროლის სამუშაოების წარმოებას. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დამნაშავის პიროვნება, როგორც დანაშაულობა შეფასებითი ცნებაა, ვინაიდან თუ გადავხედავთ მსოფლიო ისტორიას, მრავლად აღმოვაჩენთ ფაქტებს, როდესაც „დანაშაულის“ ჩამდენი პირი შესაძლოა მიჩნეული ყოფილიყო დადებით პიროვნებად; მაგრამ ეს მხოლოდ კონკრეტული და ძალზე შემოფარგლული

საკითხია. აღნიშნული მოსაზრება რომ საფუძველს მოკლებული არ იყოს, დავეურდნობით რეალურ მოვლენეთა ერთ კონკრეტულ მიმართულებას. კერძოდ, უკელა სახელმწიფო თავისი საგარეო ფუნქციების განხორციელებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სახელმწიფო მექანიზმის ისეთ ორგანოებს, როგორებიცაა საგარეო დაზვერვისა და სამსედრო დაზვერვის სამსახურები. საზოგადოებისათვის სადაცო არ არის ის საკითხი, რომ აღნიშნული ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება (განსაკუთრებით საომარი მოქმედების დროს) მოწინააღმდეგე ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელებაა, როგორებიც გათვალისწინებულია ჩვენსა და სხვა სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსებში. როგორც წესი, ამ ორგანოთა თანამშრომლები, რომლებიც მოწინააღმდეგე ქვეყნის ტერიტორიაზე სჩადიან ზემოაღნიშნულ ქმედებებს, საკუთარი სახელმწიფოს მიერ ღირსეულ პიროვნებებად შეირაცხებიან და, ხშირ შემთხვევებში, ღონისძიებათა წარმატებით დასრულებისათვის ენიჭებათ სხვადასხვა მაღალი ხარისხის სახელმწიფო ჯილდოები. ისინი განიხილებიან არა დამნაშავეებად, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის დადებით და სარგებლის მომტან პიროვნებებად, თუმცა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს კანონმდებლობით ისინი განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები არიან და მათთვის დაწესებულია სასჯელთა უმკაცრესი ზომები.

აქედან გამომდინარე, გვსურს აღვნიშნოთ, რომ დამნაშავის პიროვნების ცნება, კრიმინოლოგიური შეხედულებით, არის შეფასებითი, სოციალური კატეგორია, რომელიც რეალობაში არ არსებობს; დამნაშავის პიროვნებად განსაზღვრულია ადამიანი, რომელსაც ასეთად მიიჩნევს კონკრეტული კანონმდებელი კონკრეტულ სახელმწიფოში.

მიხეილ გაბუნია
სამართლის დოქტორი

დამნაშავის პიროვნების პრობლემა კრიმინოლოგიაში

დამნაშავის პიროვნების პრობლემა ერთ-ერთი რთული და სადაცო საკითხია კრიმინოლოგიაში. სტატიაში მოცემულია დამნაშავის პიროვნების ცნების განსაზღვრის კრიმინოლოგიური მიდგომები.

Mikheil Gabunia

Doctor of law

PROBLEM OF CRIMINAL PERSON IN CRIMINOLOGY

Problem of criminal person is one of the difficult and questionable issues of Criminology. Article involves criminological approaches toward the definition of the concept of criminal person.

Михаил Габуния,
доктор права

ПРОБЛЕМА ЛИЧНОСТИ ПРЕСТУПНИКА В КРИМИНОЛОГИИ

Проблема понятия личности преступника - трудный и спорный вопрос в криминологии. В статье рассмотрены криминологические аспекты личности преступника.

ექსპერტიზა, როგორც ძირითადი საპროცესო მოქმედება

ქვეყანაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პირობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დანაშაულის გახსნას. დანაშაულის გახსნისა და გამოძიების პრობლემების გადაჭრაში, სისხლის სამართლის საპროცესო კანონ-მდებლობით დადგენილი წესით, სპეციალური ცოდნის გამოყენებით ექსპერტი მონაწილეობს.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, ორგანიზაციული და საპროცესო ფორმების სრულყოფა, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება სპეციალური მეცნიერული ცოდნის გამოყენების გზით ზრდის სამართლდამცავი ორგანოების შესაძლებლობას დროზე იქნეს გახსნილი სისხლის სამართლის საქმე და დადგინდეს კონკრეტული დამნაშავე პირი. ამაში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტიზას, როგორც ერთ-ერთ ძირითად საპროცესო მოქმედებას და ექსპერტის დასკვნას. ექსპერტის ძირითადი საპროცესო ფუნქცია, მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, არის სპეციალური ცოდნის გამოყენებით და საექსპერტო კვლევის გზით დასმულ საკითხებზე ექსპერტიზის ჩატარება და კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით შესაბამისი დასკვნის გაცემა.

ექსპერტს აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში და გამომძიებლის, პროფურორის ან სასამართლოს (მოსამართლის), ბრალდებულის, დამცველის, დაზარალებულის მიერ დანიშნულია სპეციალური გამოკვლევის ჩასატარებლად და საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებათა შესახებ დასკვნის შესადგენად. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.¹

ექსპერტს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. იმის მიუხედავად, თუ ვინ მიიწვია, ექსპერტი მიუკერძოებელი უნდა იყოს.

¹ ა. შუშანაშვილი. იურიდიული დექსიკონი. თბ., 2000 წ.
საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 2009 წ. მე-3 მუხლის 21-ე პუნქტი.

პროცესის მწარმოებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო (მოსამართლე), ბრალდებული, დამკველი, დაზარალებული პირის ექსპერტად ან კონკრეტულ საექსპერტო დაწესებულებაში ექსპერტიზის დანიშვნამდე უნდა დარწმუნდეს, რომ კონკრეტულ მქსპერტს ან კონკრეტულ საექსპერტო დაწესებულებას აქვს საექსპერტო გამოკვლევის ჩატარების უფლებამოსილება და შესაბამისი ცოდნა.

როგორც წესი, სამართლებრივ საკითხთა გადასაწყვეტად ექსპერტიზა არ გარდება. დაუშვებელია საექსპერტო პვლევის ჩატარება დანაშაულის პვალიფიკაციის, პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ. ამიტომ, აუცილებელია პროცესის მწარმოებელი ორგანოს, პირის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ გამოირიცხოს ექსპერტის წინაშე ასეთი საკითხების დასმა, რადგან ექსპერტის საპროცესო ფუნქციაში შედის მხოლოდ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც სპეციალურ ცოდნას საჭიროებს. მაგ., პირის გარდაცვალების მიზეზის, დაზიანების ხარისხის, ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის, ასაკის დადგენა და ა.შ. ასევე დაუშვებელია მოწმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება.

ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს იმის მიუხედავად, აქვს თუ არა სპეციალური ცოდნა გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს. ამასთან, ექსპერტის დასკვნა არ უნდა სცილდებოდეს ექსპერტის სპეციალური ცოდნის ფარგლებს. ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოების დასადგენად, თუ საამისოდ აუცილებელია სპეციალური ცოდნის გამოყენება.

ექსპერტის საპროცესო სტატუსი და მისი ფუნქციები საკმაოდ ფართოდ არის რეგლამენტირებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, რომლის თანახმად მას უფლება აქვს გაეცნოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო საქმის მასალებს, ამოიწეროს საჭირო ცნობა და გადაიღოს ასლი; მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა; გამოკვლევის პროცესში აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა ობიექტის საცდელი ნიმუში; ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს მოსთხოვოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია; უარი თქვას დასკვნის მიცემასა და ექსპერტიზის შემდგომ გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს ან მისთვის წარდგენილი მასალა საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად; ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ნებართვით დაქსწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას; მონაწილეობა

მიიღოს ექსპერტიზის საგანსა და საექსპერტო კვლევასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევაში; მტკიცებულების აღმოჩენის, გამოკვლევისა და დემონსტრირებისათვის გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.

ამასთან, ექსპერტი ვალდებულია: თუ საექსპერტო კვლევით დადგინდა გარემოება, რომლის შესახებაც ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს ან/და პროცესის სხვა უფლებამოსილ მონაწილეს კითხვა არ დაუსვამს, იგი ასახოს დასკვნაში; დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი, თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ დახარჯულა; კანონით დადგენილი საფუძვლის არსებობისას განაცხადოს თვითაცილება.

ექსპერტი უფლებამოსილი არ არის, სასამართლო ექსპერტიზასთან დაკავშირებით, პროცესის მწარმოებელი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს დამოუკიდებლად აწარმოოს მოლაპარაკება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებთან, დამოუკიდებლად მოიძიოს ექსპერტიზის მასალები და სხვა.

სისხლის სამართლის პროცესში ექსპერტის მოწვევის და დანიშვნის გარემოებას და წინაპირობას წარმოადგენს ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები. სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მათგან მნიშვნელოვანია ფაქტობრივი ანუ წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, რომლებიც წარმოშობს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების გადამოწმების საჭიროებას, რისთვისაც აუცილებელია მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის და ხელობის დარგის სათანადო სპეციალისტის მიერ შესაბამისი გამოკვლევის ჩატარება და სათანადო დასკვნის გაკეთება.¹ გამოძიების ორგანოების, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ბრალდებულის, დამცველის, დაზარალებულის მიერ ექსპერტის მოწვევის მიზანია სათანადო საექსპერტო კვლევის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა და შესაბამისი დასკვნის გაცემა. რაც შეეხება ექსპერტის მოწვევის გარემოების ფორმალურ საფუძველს, ეს არის გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის

¹ სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი. გამოცემული ავტორთა კოლექტივის მიერ. თბ., 2008 წ., გვ. 305.

დადგენილება ექსპერტის დანიშვნის შესახებ. ასევე, როგორც სისხლის საპროცესო კანონმდებლობით არის დადგენილი – სამართალწარმოების მონაწილე მხარის შეთანხმება კონკრეტულ ექსპერტთან ან საექსპერტო დაწესებულებასთან აღტერნატიული ექსპერტის დანიშვნის და ჩატარების შესახებ.

ექსპერტის ჩატარების შესახებ დადგენილებაში და დაცვის მხარის მიმართვაში აღინიშნება ექსპერტის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტის ჩატარება.

ექსპერტის დასკვნის მოპოვების უფლება აქვს მხარესაც. საქართველოს ახალი სსსკ-ის, რომელიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან, 144-ე მუხლის¹ თანახმად, მხარეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით ჩაატაროს ექსპერტიზა იმ გარემოებების დასადგენად, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია ხელი შეუწყოს მისივე ინტერესების დაცვას. საექსპერტო დაწესებულება, ექსპერტი ვალდებულია ჩაატაროს მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზა. ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, მხარეს უნდა წარუდგინოს ნივთიერი მტკიცებულებანი და საექსპერტო გამოკვლევის სხვა ობიექტები. თუ მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს ამ ობიექტებს, იგი უფლებამოსილია საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. მხარის მოთხოვნით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნას მხარე წარუდგენს გამომძიებელს, პროცერორს ან სასამართლოს, რომელიც სავალდებულო წესით დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

ექსპერტის დასკვნა, როგორც სისხლის სამართალწარმოებაში მტკიცებულების ერთ-ერთი დამოუკიდებელი წყარო, არის წერილობით გაფორმებული კატეგორიული დოკუმენტი, რომელშიც იმ პირის მიერ, ვისაც გააჩნია სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში, ჩაწერილია გამოკვლევის შინაარსი, შედეგები და პასუხი გამოძიების ორგანოს ან პირის მიერ მის წინაშე დასმულ კითხვებზე. ექსპერტის დასკვნა არის მატერიალური ობიექტების კვლევის შედეგი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებისათვის².

¹ საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 2009წ. 144-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილი.

² Н. Громов. Заключение эксперта как источник доказательств. // Законность. № 9. 1997.

ექსპერტის დასკვნისათვის, როგორც მტკიცებულების წყაროსათვის, მნიშვნელოვანი და არსებითია, რომ ის ასახავს გამოკვლევის შედეგებს, ეყრდნობა შესაბამის მტკიცებულებებს და საქმის მასალებს, არის საპროცესო წესით დადგენილი ნორმატიული დოკუმენტი.

ექსპერტის დასკვნას ბევრი თავისებურება ახასიათებს. კერძოდ, ის შეიძლება იყოს კატეგორიულად დადებითი ან უარყოფითი, დასკვნა არ შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტულ საქმეზე მტკიცებულებად, თუ ის აგებულია ექსპერტის ვერსიებზე, რადგან ამგვარი დასკვნა ალბათობით ხასიათს ატარებს¹. ამ ვითარებას, გარკვეულად ხელს უწყობს სისხლის სამართლის საქმეში არასაკმარისი საგამოძიებო მასალების არსებობა, რაც ექსპერტს არ აძლევს ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარების და კატეგორიული დასკვნის გაცემის საშუალებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, თანამდებობა), ექსპერტის გაფრთხილება განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ვინ ესწრებოდა, სისხლის სამართლის საქმის რა მასალები გამოიყენა, რა ნივთიერი მტკიცებულებები, ნიმუშები ან სხვა ობიექტები გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩატარა და რა მეთოდი გამოიყენა, საკმარისად საიმედოა თუ არა ისინი, დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე, ექსპერტის ინიციატივით დადგენილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი.²

ექსპერტის დასკვნა უნდა შეესაბამებოდეს კანონის ნორმებს, შეიცავდეს გამოკვლევის ობიექტურობას, მყარ არგუმენტაციას დასმულ კითხვებზე, მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხებს. ის სამი ნაწილისგან შედგება. კერძოდ, შესავალის, ძირითადი ანუ კვლევითი ნაწილისა და დასკვნისაგან.

ექსპერტის დასკვნის შესავალი უნდა ასახავდეს საქმის დასახელებას, ექსპერტიზის დანიშვნის მიზეზს, ექსპერტიზის სახელწოდებას, საგამოძიებო ორგანოს მონაცემებს, ექსპერტიზის დანიშვნის და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე ექსპერტის გვარს, სახელს, განათლებას, წოდებას,

¹ В. А. Марков. Криминалистические экспертизы (назначение, методика исследования). Монография. Самара: Самарская гуманитарная академия. 2007, стр.32

² საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 2009 წ. 146-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სპეციალობას და თანამდებობას, ექსპერტიზაში მონაწილე პირების მონაცემებს და იმ კითხვებს, რომელიც უნდა გადაჭრას ექსპერტმა.

ექსპერტის დასკვნის ძირითადი ანუ კვლევითი ნაწილი უნდა მოიცავდეს კვლევითი პროცესის დროს გამოყენებულ მეთოდებს, მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებებს, ნორმატიულ მასალებს, გამოკვლევის აღწერას, დასაბუთებას და შედეგებს.

დასკვნით ნაწილში გადმოცემული უნდა იყოს ჩატარებული კვლევის საბოლოო შედეგები, შეფასება და არგუმენტაცია. დასკვნითი ნაწილი ექსპერტის დასკვნის ძირითადი ნაწილია და საბოლოო შედეგებს ასახავს, რაც გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს. სწორედ დასკვნა განსაზღვრავს მის მტკიცებულებით მნიშვნელობას.

ექსპერტის დასკვნა სრული და ობიექტური მტკიცებულებაა, სადაც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და განმარტებული ნივთმტკიცებების, ასევე სხვა შესამოწმებელი საგნების და ობიექტების კვლევის შედეგები და საბოლოო დასკვნები. უნდა შეიცავდეს პასუხს ექსპერტის წინაშე დასმულ კითხვებზე. ამასთან, ყველა კითხვაზე გაცემული უნდა იყოს არსებითი პასუხი.

ექსპერტის დასკვნა უნდა იყოს კონკრეტულად განსაზღვრული, დაუშვებელია გაურკვეველი, ორაზროვანი დასკვნების გამოტანა, რომლებიც არაერთგვაროვან განმარტებებს იძლევა მის წინაშე დასმული საკითხების გარშემო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსპერტის დასკვნა უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით და წარდგენილ იქნეს შესაბამის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში. დასკვნის ამგვარი ფორმა გამორიცხავს შეცდომებს, ამაღლებს ექსპერტის პასუხისმგებლობას მის საქმიანობასთან მიმართებაში. რაც შეეხება ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნის განმარტებასა და დაზუსტებას, მისი დაკითხვის დროს, კონკრეტულ კითხვაზე გაცემული პასუხების ზეპირი ფორმა, სასამართლოს მიერ განიხილება ექსპერტის დასკვნის შემადგენელ ნაწილად.

ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის შემდეგ დარჩენილი ნივთიერი მტკიცებულებები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და გრაფიკები, სხვა მასალები, რომლებიც ექსპერტის დასკვნებს დაადასტურებს.

ექსპერტის დასკვნა შეფასებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მიღებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში. ექსპერტის დასკვნის შეფასების შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მისი დაკითხვა ან

განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა. დაკითხვა ხდება დასკვნის ახსნა-განმარტების მიზნით, თუ მასალები არ საჭიროებს დამატებით კვლევას.¹

წერილობით დასკვნას ექსპერტი ხელმოწერით ადასტურებს.

ამდენად, სისხლის სამართლის პროცესში ექსპერტის ძირითად საპროცესო ფუნქციას, მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, წარმოადგენს სპეციალური ცოდნის გამოყენებით და საექსპერტო კვლევის გზით, მის წინაშე დასმულ საკითხებზე ექსპერტიზის ჩატარება და კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით შესაბამისი დასკვნის გაცემა.

როგორც საექსპერტო საქმიანობის პრაქტიკული ანალიზით ირკვევა, ექსპერტიზის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საპროცესო მოქმედების მიმართ, ნდობა დიდია, რადგან იგი დაფუძნებულია ზუსტ მეცნიერულ გამოთვლებზე.

სისხლის სამართლის საპროცესო თეორია და პრაქტიკა, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ერთიანია ექსპერტიზის დასკვნის საპროცესო შეფასებაში. ექსპერტიზა ითვლება დამოუკიდებელ საპროცესო მოქმედებად, ხოლო ექსპერტის დასკვნა - მტკიცებულების დამოუკიდებელ წყაროდ, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს ასრულებს და მასზეა დამოკიდებული კონკრეტული საქმის ბედი.

¹ ექსპერტის დასკვნის შეფასების შესახებ ვრცლად იხილეთ: Ю. К. Орлов. Заключение эксперта и его оценка по уголовным делам. М. 1995.

გივი აბაშიძე
სამართლის დოქტორანტი

ექსპერტიზა, როგორც ძირითადი საპროცესო მოქმედება

განხილულია ექსპერტის საპროცესო სტატუსი, ფუნქციები და როლი კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით ექსპერტიზის ჩატარებისა და დასკვნის გაცემის საქმეში. მოცემულია საკითხები ექსპერტის დასკვნის, როგორც სისხლის სამართალწარმოების, საპროცესო წესით დადგენილი მტკიცებულების ერთ-ერთი დამოუკიდებელი წყაროს და, საერთოდ, ექსპერტიზის, როგორც ძირითადი საპროცესო მოქმედების შესახებ.

Givi abashidze
PHD Student

AN EXAMINATION, AS A BASIC PROCESS ACTION

There is discussed the criminal law expert process status and functions, criterions, which is inevitable to set a person as an expert. Expert is posed as a process participant and special knowledge uses, with expert findings and law enacted process, the expert conducting and conclusion work.

There is discussed issues in expert conclusion, as a criminal law, with a process order evidences and one of the independent emissary. It's posed about the expert conclusion typical and important particularities, their composition rules, content, the role and sense inquest and law-court organs sum in decision work, which needs special knowledge utilization.

Гиви Абашидзе,
докторант права

ЭКСПЕРТИЗА, КАК ОСНОВНОЕ ПРОЦЕССУАЛЬНОЕ ДЕЙСТВИЕ

Рассмотрены процессуальный статус и функции эксперта в уголовном судопроизводстве, роль и значение проведения экспертизы и выдачи заключения в установленной законом форме; рассмотрены вопросы экспертного заключения как установленный в процессуальном порядке уголовного судопроизводства один из независимых источников доказательств.

**მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, როგორც
სამართალწარმოების ცივილიზებული ფორმა**

საპროცესო ლიტერატურაში, სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი გვევლინება ფუძემდებლურ ელემენტად დემოკრატიული მექანიზმის განვითარებისათვის, რაც უზრუნველყოფს პიროვნების უფლებების დაცვას სისხლის სამართალწარმოებაში.

შეჯიბრებითი პროცესი არის თანამედროვე მართლმსაჯულების ცივილიზებული ფორმა, რომელიც სათავეს 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციიდან იღებს, როცა სასამართლო ხელისუფლება გამოეყო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, მოსამართლეები ემორჩილებოდნენ მხოლოდ კანონს, დანაშაულის აღიარება აღარ იყო მტკიცების ძირითადი წყარო, სასამართლო გახდა საჯარო და პაქტობითი, დაკანონდა დაცვის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმეცია, გაჩნდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სხვა.¹

საბჭოთა პერიოდში შეჯიბრებითობა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ფორმა, მხოლოდ რესი მეცნიერის ვ. ნაჟიმოვის კვლევის საგანი იყო.² უფრო ადრე მ. ჩელიცოვ-ბეტუტვის შრომებში შეჯიბრებითობა განხილულია მხოლოდ სისხლის სამართალწარმოების ისტორიული ფორმის ევოლუციის თვალსაზრისით.³ სისხლის სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპისადმი მიძღვნილი სადისერტაციო ნაშრომი საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ორი იყო (მ. სტროგოვიჩი⁴ და ბ. გალკინი).⁵

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, შეჯიბრებითობის პრინციპის არსის საკითხი ერთ-ერთმა პირველმა მ. სტროგოვიჩმა გამოიკვლია. მისი აზრით, ეს პრინციპი თავისთავში მოიცავს სამი ძირითადი – ბრალდების, დაცვის და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის ფუნქციის ცალ-ცალკე (განცალკებული) განხილვას, ბრალდებულისა და ბრალდებლის თანაბარ მდგრმარე-

¹ Петрухин И. Л. Уголовно-процессуальное право Российской Федерации. М., 2006 г., стр.44.

² Нажимов В.П. Типы, формы и виды уголовного процесса //Развитие гражданского, уголовного и процессуального законодательства в советских республиках Прибалтики (1940-1975) – Рига, 1975. стр.81.

³ Чельцов-Бетутов М.А. Курс советского уголовно-процессуального права. - М.: Госюриздан, 1957, стр. 269.

⁴ Стrogович М.С. Природа советского уголовного процесса и принцип состязательности. М.: Юриздан, 1939.стр. 177.

⁵ Галкин Б.А. Функции прокурора в советском уголовном процессе // Советское государство и право.-1957.-№ 12.стр. 311.

ობაში ყოფნას და მათ საპროცესო თანასწორობას.¹ შემდგომში მ. სტროგოვიჩი შეჯიბრებითობის პრინციპის მეოთხე ელემენტად სასამართლოს აქტიურ საპროცესო მდგომარეობას მოიაზრებს.²

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობამ 90-იან წლებში ძირეული ცვლილებები განიცადა და სისხლის სამართლის პროცესის ინკვიზიციური ფორმა შეიცვალა შეჯიბრებითობის პრინციპით, რამაც ასახვა პოვა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც წარმოადგენდა სამართალწარმოების ცივილიზებული ფორმის დასაწყისს და პასუხობდა შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს, უპირველესად პიროვნებისა და მისი უფლებების დაცვას. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან, მხარს უჭერს ყველა პრინციპულ დებულებას, პასუხობს სასამართლო პროცესის დემოკრატიზაციის ამოცანებს, სამართალწარმოების ყველა სტადიაზე შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას, მოქალაქის ძირითადი უფლებისა და თავისუფლების უზრუნველყოფას, შედის სისხლის სამართალწარმოების სფეროში.

შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა სისხლის სამართლის პროცესის ქვაკუთხედია. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობა და დამოუკიდებელი სასამართლო განაპირობებს შეჯიბრებითობის არსეს, რომელიც აგებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაზე.

შეჯიბრებითობის ძირითადი პრინციპია სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეთა თანაბარი უფლებები. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა კი შესაძლებელს ხდის ამ მიმართულებით ყველა სახის პრობლემის გადაწყვეტას.

მართლმსაჯულება შეჯიბრებითია მაშინ, როცა სასამართლო განხილვის მხარეებს შეუძლიათ აქტიურად და თანაბარ საწყისებზე დაამტკიცონ თავიანთი პოზიციის უტყუარობა, მოყვანონ ამისათვის არგუმენტები, განმარტონ ფაქტები და მოვლენები, წარადგინონ მტკიცებულებები. ამასთან, სასამართლო მიზანმიმარ-

¹ Стrogович М.С. Природа советского уголовного процесса и принцип состязательности. М.: Юриздат, 1939.стр. 90.

² Стrogович М.С. Курс советского уголовного процесса. - М.: Изд-во АН СССР, 1958. стр.75.

თუდად უწევს კონტროლს მხარეთა მოქმედებას, უზრუნველყოფს კანონით დადგენილი სასამართლო განხილვის წესების განუხრელ დაცვას.¹

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია და განაწილებული მხარეთა უფლებები. სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქცია ეკისრება პროკურორს, გამომძიებელს, რომელთა ვალია დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირის გამოაშკარავება, რისთვისაც ისინი დებულობენ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ზომებს, ხოლო დაცვის ფუნქციაა კანონის სრული დაცვით უზრუნველყოს ეჭვიტანილისა და ბრალდებულის ინტერესები, გაუწიონ მათ იურიდიული დახმარება სისხლის სამართლარმოების დროს. სასამართლოს მიზანია სისხლის სამართლის საქმე განხილოს და გადაწყვიტოს კანონის ყველა მოთხოვნათა დაცვით და მიიღოს სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქცია ერთმანეთისგან განსხვავდება და მათი ერთ ორგანოზე, ერთი ადამიანის ხელში თავმოყრა შეუძლებელია. სასამართლო, რომელიც დამოუკიდებელია ნებისმიერი გარე გავლენისაგან და თავისუფალია სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასებაში, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად არ არის სისხლის სამართლივი დევნის ორგანო, ის არც დაცვის მხარედ გამოდის და არც ბრალდების. სასამართლო ქმნის ყველა პირობას, რომ განხილვაში მონაწილე მხარეებმა შეასრულონ კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოვალეობანი, რისთვისაც ბრალდებისა და დაცვის მხარეები სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანი არიან. საქართველოს სსს კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. მხარეებს სისხლის სამართლარმოებაში აქვთ გარკვეული საპროცესო ინტერესები, რომლებსაც კანონმა მიანიჭა თანაბარი უფლებები, რათა ჩამოაყალიბონ მტკიცებები და დასკვნები და შეეკამათონ სასამართლო განხილვის მეორე მონაწილეს (მოწინააღმდეგე მხარეს).

შეჯიბრებითობის პრინციპი დიდი ხანი უარყოფილი იყო საბჭოთა პერიოდის და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით. ამის მთავარი მიზეზი იყო უარი ედიარებინათ პროკურორი მხარედ, გაეთანაბრებინათ ის ბრალდებულთან და დამცველთან. ამტკიცებდნენ, რომ პროკურორი პროცესზე არის კანონიერების

¹ სისხლის სამართლის პროცესი. თბ., 2008 წელი, გვ. 148.

ზედამხედველი და არა მხარე, რომ თითქოს ის სასამართლოსთან ერთად ასრულებდა საერთო სახელმწიფო, კერძოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ამიტომ იყო მიუღებელი დამოუკიდებლობამდე ჩვენი ქვეყნის საპროცესო კანონში თვით ცნება „მხარე“, „შეჯიბრებითობა“ და სხვა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ, 1995 წლის 16 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაში გაჩნდა ტერმინი შეჯიბრებითობა, რაც ასახულ იქნა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი შემდგომში ფორმულირებულ იქნა აგრეთვე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში.

საერთოდ, მეცნიერ-იურისტების ნაწილს მიაჩნია, რომ შეჯიბრებითობა არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის პრინციპია, არამედ სისხლის სამართლის პროცესის ტიპი. „შეჯიბრებითობა საშუალებაა გამოიკვლიო მტკიცებულებები, ხერხია პროცესზე მონაწილეებმა დაიცვან თავიანთი პოზიციები საქმეზე მათი უფლებებისა და მოვალეობების შესრულების დროს, ჰეშმარიტების დაღვენის წესი, მისი მოძებნის საშუალებაა.“¹ მეცნიერთა ნაწილი სისხლის სამართლის პროცესში უპირატესობას ანიჭებს შეჯიბრებითობის ფორმას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა საქმის ყველა გარემოების სრულად და ობიექტურად გამოძიებისათვის.

მხარეთა პოზიციების შეჯერება მიმდინარეობს არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ შეჯიბრებითობას ადგილი აქვს სისხლის სამართალწარმოების მთელ პროცესში, კერძოდ, წინასწარი გამოძიების წარმოებისას. ვფიქრობთ, საინტერესოა საკითხი, თუ როგორ და რამდენად სრულყოფილად ხორციელდება შეჯიბრებითობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

წინასწარი გამოძიების მონაწილეები ასრულებენ სისხლის სამართლის სხვადასხვა საპროცესო ფუნქციებს, დასახული აქვთ სხვადასხვა მიზნები. წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საპროცესო თვალსაზრისით, მხარეები იმყოფებიან თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში, რათა რეალურად, სრულად განხორციელდეს შეჯიბრებითი პროცესი. მეცნიერ-იურისტების ერთი ნაწილის მტკიცებით, წინასწარი გამოძიების დროს, ძნელია ისაუბრო სრულყოფილი

¹ Макаров Л.В. Участие обвиняемого и его защитника в уголовно-процессуальном доказывании: Автoreф. дисс. на соиск. учен. степенн канд. юрид. наук. Саратов, 2002.

შეჯიბრებითობის საწყისებზე.¹ მათ მიაჩნიათ, რომ თითქოს წინასწარი გამოძიების სტადიაზე, მხარეები იმყოფებიან მიახლოებით თანაბარ მდგომარეობაში, პროკურორის, როგორც სისხლის სამართლის მდევნელის, საპროცესო სტატუსი არ ემთხვევა ბრალდებულისა და მისი დამცველის საპროცესო სტატუსს და, ამის გამო, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ერთგვარად შეზღუდული ფორმით ხორციელდება. მათი აზრით, ეს შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ წინასწარი გამოძიების დროს პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას და თვითონვე დებულობს გადაწყვეტილებას საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ყველა საკითხზე, ასევე ბრალდებული და მისი დამცველი დაცვის ფუნქციას ისეთ პირობებში ახორციელებენ, როცა მათ არ აქვთ მტკიცებულებების შეგროვების და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა. ამიტომ, თვლიან, რომ ასეთ პირობებში შეჯიბრებითობას ნაკლები ადგილი რჩება, ხოლო, კანონის თანახმად, გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებაზე დაწესებული სასამართლო კონტროლი, რაც დაკავშირებულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვასთან, ვერ ავსებს ამ ნაკლს. აღნიშნულ საკითხზე უფრო კატეგორიულები არიან სხვა მეცნიერები, რომელთა აზრით, პროცესის აღნიშნული სტადია აგებულია ისე, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენება უბრალოდ შეუძლებელია.² ზოგიერთს მიაჩნია, რომ შეჯიბრებითობის ადგილი სასამართლო განხილვაა და არა წინასწარი გამოძიება.³

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების მიუხედავად, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, წინასწარი გამოძიების სტადიაზე ისე, როგორც სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, მხარეები იმყოფებიან თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში და მათ შორის შეჯიბრებითობა, წმინდა საპროცესო თვალსაზრისით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სრული ფორმით ხორციელდება. როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, აქვს მტკიცებულებების შეგროვების და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა. სხვა საკითხია, ცალკეულ შემთხვევებში, გამოძიების მწარმოებელი ორგანოები, პრაქტიკულად რამდენად რეალურად იცავენ ამ

¹ Кобликов А.С. Принципы уголовного процесса/Под ред. А.С. Кобликова. М., 1995. С. 39.

² Якимович Ю.К., Семухина О.Б. О некоторых принципах уголовного процесса//Сибирские юридические записки: Ежегодник Ассоциации юридических вузов «Сибирь». Вып. 2, Красноярск. 2002. С. 162.

³ Чичканов А.Б. Принцип состязательности в российском уголовном судопроизводстве//Правоведение. 2001. № 5. С. 129.

პრინციპს. აქ მთავარია ამ ორგანოების ნება მხარეები ჩააყენონ კანონით დადგენილ თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში და შექმნან სათანადო პირობები მხარეთა შორის სრული შეჯიბრებითობის განსახორციელებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში მართლმსაჯულება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, რომელიც სრული სახით ვლინდება სასამართლოში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო (მოსამართლე) არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას, ის ვალდებულია არ ჩაერიოს ასევე მტკიცების პროცესში, მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები მათი უფლებების და ინტერესების დასაცავად და თავი შეიკავოს ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა ძიებისაგან, რადგან მათი აღმოჩენა და წარმოდგენა მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება. მთელ ამ პროცესში სასამართლოს მხოლოდ ის ფუნქცია აკისრია, რომ, თუ მხარეს ან მხარეებს უმნელდებათ მტკიცებულებათა აღმოჩენა და წარდგენა, ხელი შეუწყოს მათ მტკიცებულებათა გამოთხოვაში.

სასამართლო განხილვაში მხარეები მონაწილეობენ ყველა სასამართლო მოქმედებაში. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირობებში მხარეებს სრული შესაძლებლობა აქვთ დაიცვან თავიანთი კანონიერი უფლებები. სწორედ სისხლის სამართალწარმოების ამ სტადიაზე მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში და გამოთქვან აზრი შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რაც განაცხადეს სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეებმა.

შეჯიბრებითობის პრინციპმა ჭეშმარიტების დადგენისა და საქმის სამართლიანად გადაწყვეტისათვის მტკიცებულებათა შეგროვების ძირითადი სიმძიმე გაანაწილა ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის. ასეთ პირობებში მოსამართლე მიუკერძოებელი არბიტრია, რომელიც თვალს ადევნებს შეჯიბრებითობის მიმდინარეობას მხარეთა შორის, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულებათა წარმოდგენას სასამართლოში. ამასთან დაკავშირებით, პროფესორი მ. ჩელიცოვი წერდა: „შეჯიბრებითობის ფორმით პროცესის თანამიმდევრული ჩატარება მოითხოვს, რომ პროცესზე მტკიცებულებების წარმოდგენა და გამოკვლევა მოხდეს მხარეების მიერ, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თანაბარი უფლებებით, ხოლო სასამართლო წარმოადგენს ბრალმდებელსა და დაცვას შორის დავის მიუკერძოებელ გადამწყვეტს.“¹

¹ Чельцов. М.А. Система основных принципов советского уголовного процесса. //Ученые записки ВЮНа. Вып.1947 г

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს სისხლის სამართლის სამი ძირითადი საპროცესო, კერძოდ, ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქცია. მართლმსაჯულების განხორციელება გულისხმობს სწორედ ამ სამი ფუნქციის განხორციელებას. თავისთავად, თუ ეველა ამ ფუნქციის განხორციელება თავმოყრილი იქნებოდა ერთი ორგანოს ხელში, მაშინ სასამართლო აღარ იქნება მიუკერძოებელი და, მით უმეტეს, ობიექტური. ამიტომ, აუცილებელი გახდა ბრალდების, დაცვის და საქმის არსებითად გადაწყვეტის ფუნქციის დაყოფა პროცესის სუბიექტებს შორის. სწორედ, ამგვარად იქნა აგებული ჩვენი სისხლის სამართლის პროცესი, სადაც სახელმწიფო ბრალდების ორგანოდ გამოდის პროკურატურა, საქმის გადაწყვეტის ორგანოდ მოსამართლე, ხოლო დაცვის ფუნქცია განაწილებულია ბრალდებულსა და მის დამცველს შორის.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობამ ფაქტიურად სასამართლო გაათავისუფლა ბრალდებისა და დაცვის ფუნქციისაგან, ამასთან მკვეთრად იქნა გამიჯნული ეს ფუნქციები. სასამართლოს მიერ განხორციელებული საქმის გადაწყვეტის ფუნქცია გაიწმინდა ბრალდებისა და დაცვის ელემენტებისაგან, რითაც კიდევ ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული შეჯიბრებითობის პრინციპის განვითარებისათვის. კერძოდ: 1. კანონმდებელმა სასამართლოს აუკრძალა ახალი ბრალდების წაყენება განსასჯელისა და ახალი პირის მიმართ; 2. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია არ გააგრძელოს მტკიცებულებათა გამოკვლევა და ჩაატაროს შეკვეცილი სასამართლო პროცესი; 3. დამატებით გამოძიებაში სისხლის სამართლის საქმის დაბრუნება დასაშვები გახდა მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე და არა სასამართლოს ინიციატივით; 4. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, როცა მას დაზარალებული ეთანხმება, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი აზრით, მცდარია ზოგიერთი მეცნიერ-იურისტის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ეს უკანასკნელი დებულება არღვევს მხარეთა თანასწორობისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს. პროკურორი, რომელიც არის სისხლისსამართლებრივი დეპნის სუბიექტი, აძლევს დამნაშავე პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, ადგენს საბრალდებო დასკვნას და საქმეს აგზავნის სასამართლოში განსახილველად, შესაბამისი კანონიერი საფუძვლების არსებობისას კი აქვს კანონით მინიჭებული უფლება საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, უარი თქვას ბრალდებაზე. ვთვლით,

აღნიშნულით არ იზღუდება სასამართლოს დამოუკიდებლობა და არ იღავის მისი ავტორიტეტი.

ამრიგად, საპროცესო ფუნქციების დაყოფის განხორციელება პრაქტიკაში უზრუნველყოფს სრულ პარმონიას მართლმსაჯულებისა და ბრალდებულის კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის დროს მოსამართლე არ შეიძლება იყოს სასამართლო გამოძიების პასიური მეთვალყურე. მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მარტო უნდა შექმნას მხარეებისათვის ყველა პირობა საქმის გარემოების გამოსაკვლევად (მაგ., მხარეთა შუამდგომლობით გამოძახებულ იქნეს საჭირო მოწმე, მოითხოვოს ესა თუ ის დოკუმენტი, დანიშნოს ექსპერტიზა და სხვა), არამედ, აუცილებლობის შემთხვევაში, დაუსვას კითხვები სასამართლოზე დასაკითხ პირებს და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლის საპროცესო სამართალწარმოებაში მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრია. შეჯიბრებითობის დემოკრატიული პრინციპი და საპროცესო საწყისი ქმნის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს ჭეშმარიტების დასადგენად და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად. შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი სასამართლოს ეკისრება და თავის რეალურ გამოხატულებას სწორედ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე პოულობს.

გივი აბაშიძე
სამართლის დოქტორანტი

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, როგორც სამართალწარმოების ცივილიზებული ფორმა

განხილულია თანამედროვე მართლმსაჯულების ცივილიზებული ფორმა – შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, მისი წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიული ასპექტები.

გადმოცემულია შეჯიბრებითობის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიული პრინციპის არსი და მნიშვნელობა, მისი განხორციელების თავისებურებები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე, მეცნიერ-იურისტების მოსაზრებები შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების თაობაზე, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით მოცემულია ჩვენი შეხედულებები და არგუმენტები მათი მოსაზრების გარშემო.

Givi abashidze

PHD Student

EQUALITY OF PARTICIPENTS AND COMPETITIVENESS IN CRIMINAL LAW PROCEDURE

There is discussed the competitiveness in criminal law procedure as the civilized form of modern justice. It is innovation in criminal law procedural legislation of independent Georgia. Justice is executed in Georgia on the basis of equality and competitiveness. The article presents brief historical aspects of its origin and its development.

Author introduces competitiveness as the essence of democratic principles in the criminal law procedure, matters about independent law court, main principles of competitiveness and equality of participants, peculiarities of its execution at the pre-inquiry and on the stage of the case discussion in the law court.

The opinions of scientists of law are given concerning execution of competitiveness as well as autor's own considerations and arguments based on different sources. It is analyzed on importance

of functional separations of participants, dissociation matters, that have significant practical importance in execution of competitiveness procedural case. Author mentions the important role of the law court in ensuring the principles of competitiveness.

Гиви Абашидзе,

докторант права

**РАВНОПРАВИЕ И СОСТЯЗАТЕЛЬНОСТЬ СТОРОН,
КАК НАЧАЛО ЦИВИЛИЗОВАННОЙ ФОРМЫ
СУДОПРОИЗВОДСТВА**

Рассмотрена цивилизованная форма современного правосудия – состязательность в уголовном процессе, краткие исторические аспекты его происхождения и развития; переданы сущность и значение состязательности как демократического принципа уголовного процесса, особенности ее осуществления на стадиях предварительного следствия и судебного рассмотрения.

Приведены соображения ученых-юристов о принципах состязательности. Опираясь на соответствующие источники, приведены наши взгляды и аргументы относительно их соображений.

**ადმინისტრაციული ხელშეკრულება,
როგორც ადმინისტრაციული აქტი**

ადმინისტრაციული სამართალი მოწოდებულია იმისთვის, რომ მოაწესრიგოს და დაარეგულიროს როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ისე სახელმწიფოს და მოქალაქეს შორის წარმოშობილი ურთიერთობები. ამ მოწესრიგებას ადმინისტრაციული ორგანოებისთვის საჯარო კანონმდებლობის გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო სამართლის ნორმებიც უზრუნველყოფს, ხოლო ახალი გამოწვევები სახელმწიფო განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს აიძულებს, ეს ნორმები გახდეს უფრო სრულფასოვანი და კონკრეტული ახალი რეალიების გათვალისწინებით.

დღესდღეობით სახელმწიფოს ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის – საჯარო დაწესებულების საქმიანობაში სულ უფრო ხშირად შეინიშნება ტენდენცია, როცა ადმინისტრაციული საქმიანობა პორიზონტალურ ხასიათს იძენს. ამის ერთ-ერთი გამოხატულება სწორედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმაა. შევეხოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ფორმულირებულ ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსე: ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, ასევე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადგებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ნორმის ინტერპრეტაციის უფლებამოსილებაზე დაყრდნობით, „ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია სწორედ ის, რომ უშეალო სამართლებრივი შედეგი არა ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების, არამედ ხელშეკრულების მხარეთა ორმხრივი ნების დამთხვევით დგება“.¹

განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონმდებელმა ადმინისტრაციულ ორგანოს მიანიჭა დისკრეციული უფლებამოსილება, კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

¹ http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=185&lang=1.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგმომ-სზაპ) 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ; ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები გამოიყენება.¹

აღვნიშნავთ, რომ ეს მოთხოვნები სხვაგვარადაა გაწერილი ევროპულ სამართალში. მაგალითად, გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში: კანონში ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ (62-ე პარაგრაფში) ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი ნორმები და თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, შემდეგ გამოიყენება სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები. მართალია, აღნიშნული დათქმა ქართულ კანონმდებლობაში იდენტურად არ დუბლირდება, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო კერძო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ სახელშეკრულებო თავისუფლებას მთლიანად ვერც ქართულ სინამდვილეში დაეყრდნობა: სზაპ-ის 65-ე მუხლის იმპერატიული დათქმის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მხოლოდ კანონით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებათა ფარგლებში.“ ასეთ ხელშეკრულებებს სწორედ ეს დათქმები უნარჩუნებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ბუნებას, ხაზს უსვამს მის სახელწიფოებრივ-ადმინისტრაციული წარმოშობის ხასიათს და ბევრ შემთხვევაში ფუნქციასაც.²

მიუხედავად გარიგების შესაძლო კერძოსამართლებრივი შინაარსისა, მასზე ტარდება ყველა ის ადმინისტრაციული დონისძიება, რაც ზოგადად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისთვის არის გათვალისწინებული. აღნიშნული დათქმები სზაპ-ში არის ჩამოყალიბებული, სპეციალური კანონები კი მათ კონკრეტიზაციას ახდენს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება პრაქტიკულად განიხილება, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თვით კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დონეზე, ხელშეკრულების დასადებად მხარეები აფორმებენ ოფიციალურად დამტკიცებული ფორმის მქონე უწ. ოქმს, რომლებიც კანონიერი ნდობის საფუძველს წარმოადგენს ან ასეთი თქმები შემდგომ სხვა ხელშეკრულების დადებას განაპირობებს. ასე, მაგალითად, სახელ-

¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. V თავი.

² მ. კოპალეიშვილი. ადმინისტრაციული გარიგება. IV თავი. გვ. 92. 2003 წ.

შწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამჟიდველისა და მყიდველის მიერ ხელი ეწერება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს, რომელიც შემდგომ წერილობითი ხელშეკრულება¹ ხდება.

საკანონმდებლო განმარტების თვალსაზრისით, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასა და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შორის მსგავსება ნიშანდობლივია: სზაპ ტერმინთა განმარტებისას (მე-2 მუხლი) ამბობს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ხოლო სზაპის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. მიზნობრივი და რეზულტატიური თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ადმჭურველობის ფაქტი თრივე შემთხვევაში უცვლელია, განსხვავდება მხოლოდ ურთიერთობის ფორმა – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ხელშეკრულება, მაგრამ რეგლამენტირებული საჯარო საქმიანობისთვის დამახასიათებელი შემზღვეველი წესებით. მაშასადამე, ფუნქციებისა თუ მოვალეობების განხორციელება ან შეზღუდვა არის როგორც კლასიკური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ისე ადმინისტრაციული ხელშეკრულების სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი: ურთიერთობის მონაწილე მხარეები ერთიანდებიან რა საერთო ინტერესის გარშემო, ერთმანეთთან აწესებენ, ცვლიან ან ადასტურებენ მოვალეობებს და უფლებებს. მეტიც, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, მეტადრე თუ ის კერძოსამართლებრივია და ადმჭურველობის ფუნქცია მისი ძირითადი მახასიათებელია, მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს, ერთგვარად წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ფორმად, არასუბორდინაციული ხასიათიდან გამომდინარე, ხელშეკრულება აირჩევა.²

რაც შეეხება თავად ხელშეკრულების ფორმას: სზაპ ამბობს, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება

¹ საქართველოს 2010 წლის 21 ივნისის კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ.

² ნ. წევბლაძე, პ. ტურავა. ადმინისტრაციული სამართლის დამსარე სახელმძღვანელო. გვ. 94. 2010 წ.

დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების დადგებისას ისევე ტარდება ადმინისტრაციული წარმოება, როგორც ადმინისტრაციული აქტის მომზადების, გამოცემის ან აღსრულებისას. აღნიშნულს ადასტურებს სზაკ-ის მე-2 მუხლიც, სადაც ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული წარმოება ტარდება აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას. სზაკ არაფერს ამბობს წარმოების იმ ფორმაზე, რომელსაც ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელშეკრულების დადებისას უნდა მიმართოს. აქ წარმოების თვალსაზრისით, შესაძლოა განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს ქმნიდეს ის, თუ რა ტიპის ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე – საჯარო-სამართლებრივთან თუ კერძოსამართლებრივთან. ამ საკითხზე საკანონმდებლო სიკრცე რეგულირებას არ გვაძლევს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე გვაქვს რა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი ამბობს, რომ მასზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ კოდექსი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების სავალდებულო ბუნებაზე ცალსახად არ მიუთითებს, თუმცა მითითება „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ“, მიანიშნებს წარმოების ჩატარების შესაძლებლობაზე. კოდექსი არაფერს ამბობს წარმოების ფორმაზეც, თუმცა არსებობს ერთი გამონაკლისი: სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების განკარგასთან, ლიცენზირებასთან, გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასა და სატელეკომუნიკაციო სისტემის განაწილებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება საჯარო-ადმინისტრაციული წარმოების წესი.¹ ამ წესს აზუსტებს და განაკრცობს მსგავსი საქმიანობის მარეგულირებელი სპეციალური კანონები და კანონქვემდებარე აქტები. აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებულ მხარესთან აფორმებს ხელშეკრულებას. ხელშეკრულების დადების წინარე პროცესი – აუქციონის და მისი შედეგების საჯარო გამოცხადება, პირდაპირი და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე მიყიდვის დია ფორმით ხორციელდება, საერთაშორისო-საინფორმაციო საშუალებებში მისი გამოქვეყნება,

¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავი.

დაინტერესებული პირების მიერ ქონების დათვალიერების შესაძლებლობა, კომისიის დიად სხდომები და ა.შ. ეს ყველაფერი შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ადმინისტრაციული წარმოება ხელშეკრულების დასადებად, რომელიც საჯარო წარმოების ხასიათისაა და შეესაბამება სზაკის იმპერატიულ მოთხოვნას: 115-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჯარო წარმოების ფორმა უნდა იყოს გამოყენებული.

წარმოების რა ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული ყველა სხვა შემთხვევაში?! ვფიქრობთ, იგი დღესდღეობით მხოლოდ განსჯის საგანი შეიძლება იყოს და მისი საკანონმდებლო დონეზე კონკრეტიზაცია ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა უფრო მეტად განვითარება-განვრცობის შემდგომ დადგება დღის წესრიგში. თუმცა, საკანონმდებლო დონეზე რეგულაციას (სხვა ქვეყნების პრაქტიკის და საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით) თუ წინმსწრები ხასიათი ექნებოდა, ვფიქრობთ, ის ხელს შეუწყობდა საჯარო მმართველობის ამ ფორმის სრულყოფა-განვითარებას.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ხელშეკრულების დასაბუთებას: თუ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროდუქტია ანუ არსებობს ადმინისტრაციული აქტი ხელშეკრულების დადების ჯეროვნების შესახებ და იგი დამოუკიდებლობის ნიშნებით არ ფიგურირებს, შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველი აქტის დასაბუთების ნაწილი ერთგარად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დასაბუთების შემცველიც იქნება. შესაბამისად, ვფიქრობთ, არ იკვეთება ხელშეკრულებაში მისი (დასაბუთების) გადატანის აუცილებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას ხელშეკრულების საგნის სპეციფიკური ან რაიმე სხვა თავისებურება არ მოითხოვს. ასეთ მრავალფეროვნებას კი სამოქალაქო ბრუნვა ვერ გაექცევა და, ვფიქრობთ, მისი დასაბუთების აუცილებლობა მაინც წარმოიშობა.

ეს წესი სავალდებულოა მაშინ, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს კანონით დადგენილ შემთხვევებში პირდაპირ აქვს მინიჭებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ადმინისტრაციული ხელშეკრულება მისი დასაბუთების ნაწილში უნდა შეიცავდეს ისეთ გარემოებებზე მითითებას, როგორებიცაა მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები (ხორმატიული ბაზა), ფაქტები და გარემოებები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელშეკრულების პირობებს და ფარ-

გლებს, ექსპერტის დაკვნას, თუ გარემოება ითვალისწინებს მის არსებობას და ა.შ. საგულისხმოა, რომ, თუ გადავხედავთ ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ამჟამად მოქმედ ტიპურ ფორმებს, დასაბუთების ნაწილში ნორმატიული ბაზა მეტნაკლები სიზუსტით მითითებულია. მართალია, დასაბუთების აუცილებლობას ესა თუ ის კანონი ღიად არ მოითხოვს, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი აუცილებლობა პრაქტიკოსმა იურისტებმა მაინც დაინახეს, რადგან იგი თუნდაც ძუნწად, მაგრამ მაინც გვხვდება კანონქვემდებარე აქტებით დამტკიცებულ სახელშეკრულებო ფორმებში. აქ მხოლოდ იმის დამატება გვინდა, რომ მიზანშეწონილია, თუ დასაბუთება უფრო ამომწურავი და ზუსტი იქნება ყველა გარემოების მითითებით. შესაბამისად, დასაბუთების ნაწილი უნდა მიუთითებდეს იმ გარემოებასა და ფაქტებზე, რასაც ჰქვია ზღვარი საჯარო ადმინისტრირებასა და სახელშეკრულებო თავისუფლებას შორის, ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობა, მისი კერძო და საჯარო-სამართლებრივი ბუნება და ა.შ.

ადმინისტრაციულ წარმოებაში ხაზგასმულადაა დაცული მესამე პირთა უფლებები.¹ ეს უფლებები მათ არც ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დროს ეზღუდებათ. სზაკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს რაიმე ვალდებულებას, შეიძლება ძალაში შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება. ხელშეკრულების დადებამდე დაინტერესებულ მხარეს (მესამე პირს) უფლება აქვს საკუთარი მოსაზრებები წარადგინოს. საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, აზრის გახმოვანების ფორმალურ ხასიათს არ ატარებს. იგი გაცილებით ფართო უფლებრივი სპექტრის მატარებელია და, მესამე პირთა ინტერესების გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში არსებითი ცვლილებების ან დამატებითი პირობების შეტანის ალბათობას მოიცავს. მეტიც, თუ ასეთი თანხმობა ხელშეკრულების დადებისას არ შედგა, შეიძლება გაბათილდეს კიდეც.

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე, როგორც სამართლებრივ აქტზე, საუბრისას აუცილებელია შევეხოთ კანონიერი ნდობის პრინციპს. ადმინის-

¹ 6. წევპლაძე, პ. ტურავა. ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო. გვ. 97. 2010წ.

ტრაციული ხელშეკრულების დადებისას მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ყველა შემთხვევაში სახეზეა კანონიერი ნდობის წარმოშობის აუცილებელი პირობა – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზე მხარემ შესაძლებელია იურიდიული მნიშვნელობის ქმედება განახორციელოს, გასწიოს გარკვეული ხარჯები და ა.შ. განსხვავებულ რეეიმს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეებისთვის ადმინისტრაციულ ხელშეკრულების შესახებ სზაპის სპეციალური ნორმები არ აღინიშნა. ამდენად, მხარეს კანონიერ ნდობაზე არ შეუძლია აპელირება, თუ მას მისი უკანონო ქმედება დაედო საფუძვლად.

შევეხოთ ადმინისტრაციულ წარმოებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით (კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებას მისი მომზადების, დადების და გაუქმების მოთხოვნით). ადმინისტრაციული აქტის რაობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოებას რაფორმითაც იყო მიღებული, ისევე უნდა განხორციელდეს მისი გაუქმების შემთხვევაშიც. ანუ განხორცილდეს ყველა ის ადმინისტრაციული ღონისძიება, რაზედ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. არ არის გამორიცხული, ადმინისტრაციული წარმოება, ხელშეკრულების გაუქმების მიზნით, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებით დაიწყოს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების გაუქმების წარმოშობის საფუძვლები, ახლად აღმოჩენილი გარემოებანი, გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა, გაუქმების ვადის მითითება თარიღის დაზუსტებით, კონკრეტული პირობების გათვალისწინება, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების საკითხი და ა.შ.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ძალაში შესვლას, თუ სახეზეა კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგება ძალაში შედის ამ გარიგებით განსაზღვრული უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და მათ მიმართ ვრცელდება უტყუარობის პრეზუმეცია მანამ, სანამ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. იგივე პირობას იმეორებს საჯარო კანონმდებლობაც, მაგრამ რეგისტრაციის გარდა სხვა პირობებსაც აწესებს. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, ქონების განკარგვისას იგი აწესებს საკრებულოს

თანხმობის აუცილებლობას, რისი უგულებელყოფაც ბათილობის საფუძველს ქმნის.¹

რაც შეეხბა ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადგების შემთხვევებს (მაგალითად, როგორიცაა სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობას შორის დადებული ხელშეკრულება უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე),² კანონი მის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობას არ ადგენს, ვინაიდან აქ გარიგების საჯარო ხასიათი ცხადია და ეხება არა ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, არამედ სახელმწიფო მმართველობის (უფლებამოსილების) დელეგირებას ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთ დროს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ძალაში შესვლას, უმეტეს შემთხვევაში, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთობლივად წყვეტენ (ქონების გადაცემის, ფინანსების მობილიზაციის და სხვა ტექნიკური პირობების გათვალისწინებით).

დასასრულ შემოგთავაზებთ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანის საპროცესო თავისებურებას. ადმინისტრაციული აქტისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო დავებთან დაკავშირებით არ გამოიყენება ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის აუცილებლობა. აღნიშნული ხასიათის დავები მხოლოდ სასამართლოსათვის მიმართვის გზით განიხილება, რითაც კიდევ ერთხელაა ხაზგასმული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ბუნება.³

¹ საქართველოს 2010 წლის 25 მარტის კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ.

² საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

³ მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ქარდაგა, პ. ტურავა. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. გვ. 381. 2008წ.

ადმინისტრაციული ხელშეკრულება,
როგორც ადმინისტრაციული აქტი

ადმინისტრაციული ხელშეკრულება, როგორც ადმინისტრაციული აქტი, თანდათან უფრო აქტიურ აღგილს იჭერს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში. მხარეთა არასუბორდინაციული ურთიერთობიდან გამომდინარე, იგი მკვეთრად განსხვავდება მმართველობის ისეთი ფორმისგან, რასაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პქვია. ვფიქრობთ, საქართველოს ზოგადადმინისტრაციულ კოდექსში ან სპეციალურ კანონებში საჭიროა მეტი დეტალიზაცია მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფორმების შესახებ. აღნიშნულის მეტად განვიცობა ხელს შეუწყობს ამ საჯარო მართველობის ინსტრუმენტის უკეთ განვითარებას და უზრუნველყოფს მის ეფექტურობას როგორც სახელმწიფოსთვის, ისე კერძო პირისთვის.

მმართველობის ამ ფორმას უკვე წლებია, რაც ევროპის განვითარებული ქვეყნები აქტიურად იყენებენ და მათი საკანონმდებლო ბაზაც, შესაბამისად, მაქსიმალურად დახვეწილია. ანალოგიურის საჭიროება უკვე ქართულ რეალობაშიც იკვეთება. ბუნებრივია, ამ პროცესში მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო უცხოური, არამედ ჩვენი სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და გააზრებაც, თუმცა ის ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს. სასამართლო პრაქტიკის ტენდენციებსა და ანალიზს მომავალში შევეხებით.

Ketevan Berekashvili
PHD student

ADMINISTRATIVE AGREEMENT, SUCH AS ADMINISTRATIVE ACT

Administrative Agreement, such as administrative act, becomes more and more importance in administrative organs activities. Due to parties of non-subordinate relationship, it is abruptly different from board of directions, what is called individual administrative judicial act. We consider, that in General Administrative Code of Georgia and in other specialized laws must be determined

each point of the administrative activities and its forms. Continuation and concretization of already mentioned terms will support development of public governance institutions and will ensure its effectiveness for states, as well as for private person.

This form of public governance is already examined by European Countries for many years and its legislation is correspondingly sophisticated. Argent necessity need for such analogies is revealed for Georgia's reality. Obviously, it will be essentially important to learn not only foreign Court practice, but also to learn and comprehend Georgian Court practice. Although, this is not the subject of our research. Tendencies and analysis for Court Practice we will discuss in the future.

Кетеван Берекашвили,
докторант права

АДМИНИСТРАТИВНЫЙ ДОГОВОР КАК АДМИНИСТРАТИВНЫЙ АКТ

Административное соглашение, такое как административный акт, становится наиболее важным в административных действиях органов. Ввиду отсутствия субординации между сторонами они резко отличаются от тех форм управления, которые называют отдельным административным судебным актом. Мы считаем, что в общем Административном Кодексе Грузии и в других специализированных законах должен быть определен каждый пункт административных действий и его форм. Продолжение и конкретизация уже упомянутых сроков поддержат развитие общественных учреждений управления и гарантируют их эффективность для государств, так же как для частного человека.

Эта форма общественного управления уже исследована европейскими странами в течение многих лет, и ее законодательство соответственно усовершенствовано. Очевидно, будет чрезвычайно важно изучить не только иностранную практику Суда, но также изучить и постигать грузинскую практику суда. Хотя, это не предмет нашего исследования. Тенденции и анализ для практики суда мы обсудим в будущем.

**ქურდული სამყაროს წევრობა – დასჯადობა
სტატუსისთვის თუ ქმედებისთვის**

ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლამ საქართველოში განსაკუთრებულად აქტიური ხასიათი 2005–2006 წლებში მიიღო. სწორედ აღნიშნულ ეტაპზე განხორციელდა ყველა საკანონმდებლო ცვლილება, რითაც მოხდა პოლიტიკური პროცესების სამართლებრივი რეგლამენტაცია ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში. აღნიშნული მიზნით, 2005 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეპეტის შესახებ“. ამავე დღეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლითაც მოხდა ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაცია¹.

ზემოხსენებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით ნიშანდობლივია რამდენიმე საკითხის განხილვა, რომელსაც მნიშვნელოვანი თეორიულ-სამართლებრივი დატვირთვა აქვს აღნიშნული საკანონმდებლო ნოვაციის პრაქტიკაში დანერგვის საქმეში, კერძოდ, წინამდებარე სტატიაში განიხილება, მოხდა თუ არა მითითებული საკანონმდებლო სიახლით კ.წ. სტატუსის კრიმინალიზაცია და თუ ასეა, როგორ სამართლებრივ რეჟიმში ექცევა სტატუსის კრიმინალიზაციის კონტექსტში კანონის უკუძალის საკითხი. ასევე, ინტერესმოქლებული არ უნდა იყოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ედება საფუძვლად შესაბამისი მუხლებით პირთა მსჯავრდებასა და ქონების ჩამორთმევას.

როგორც ცნობილია, სისხლის სამართალი „ქმედების სამართალია“ და დანაშაულად ითვლება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალებული ქმედება. კ.ი. სისხლის სამართლის წესით დასჯადობისათვის აუცილებელია ქმედების – მოქმედების ან უმოქმედობის არსებობა. ამგვარი საკანონმდებლო სინამდვილის ფარგლებში ისმის კითხვა, ქურდული სამყაროს წევრობის ან კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციით ხომ არ მოხდა კ.წ. სტატუსის კრიმინალიზაცია. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკითხი იურისტთა წრეებში ცხარე დებატების ობიექტია მას შემდეგ, რაც

¹ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე“, №2355. 20.12.2005.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 223¹ მუხლი დაემატა. აღნიშნულ პითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია განმარტებულ იქნეს ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის ცნება. თუ არ გვეცოდინება ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის, როგორც დანაშაულის ელემენტები, შეუძლებელი იქნება მისი დანაშაულად პგალიფიკაცია და, შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის რეგულირების რეჟიმში მოქცევა. ქურდული სამყაროს წევრისა და კანონიერი ქურდის რაობის, არსისა და მნიშვნელობის განმარტებას სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს. იმისათვის, რომ ქმედება ინკრიმინირებულ იქნეს, აუცილებელია მისი რაობის გარკვევა. აღნიშნულ მიზანს ემსახურება კანონის განმარტებითი ნორმები, რაც კანონის ნორმათა განმარტების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს. როგორც წესი, სისხლის სამართალში განმარტებითი ნორმა თავის თავში მოიცავს ქმედების აღწერას. მაგალითად, „ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“¹. რაც შეეხება ქურდული სამყაროს წევრობასა და კანონიერ ქურდობას, აღნიშნულ ქმედებათა განმარტებას სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება არა ქმედება, არამედ სტატუსი, რაც რეალობას არ შეესაბამება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაცია განხორციელდა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან ერთად. ამდენად, კანონმდებელმა საჭიროდ აღარ ჩათვალა კრიმინალური ქმედების განმარტება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმაში, ვინაიდან აღნიშნულ განმარტებას ცალკე კანონი შეიცავდა. ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულად ითვლება მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ნორმა აუცილებლად ქმედების აღწერას უნდა მოიცავდეს და განმარტებით ხასიათს ატარებდეს. ქმედების კრიმინალიზაციისათვის ანუ დასჯადად გამოცხადებისათვის საკმარისია ქმედების მითითება სისხლის სამართლის კოდექსში, რათა, სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, იგი „ამ კოდექსით გათვალისწინებულ“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებად იქცეს, რაც შეეხება უშუალოდ ქმედების განმარტებას, მის

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 177.

დეფინიციას სხვა კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს. სამართლის თეორია აღწერილობით ნორმებთან ერთად იცნობს ასევე ბლანკეტურ ნორმებს, როდესაც ერთი ნორმა მეორეზე უთითებს და მათი გამოყენება, ხშირ შემთხვევაში, ერთობლივად ხორციელდება. ამგვარ ნორმას შეიცავს საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის თანახმად, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრისა და კანონიერი ქურდის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონ-მდებლო აქტებით. ამავე კანონის მე-3 მუხლი კი იძლევა ქურდული სამყაროს წევრისა და კანონიერი ქურდის განმარტებას, რომელთა დანაშაულად ანუ აკრძალულ ქმედებად გამოცხადება და შესაბამისი სანქცირება სისხლის სამარ-თლის კოდექსით მოხდა. ამდენად, კითხვაზე პასუხი იმასთან დაკავშირებით, ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის დასჯადობით მოხდა თუ არა სტატუსის და არა ქმედების კრიმინალიზაცია, უნდა ვეძებოთ საქართველოს კანონში „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქურდული სამყაროს წევრი არის ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად ანუ ქურდული სამყაროს წევრობა თავის თავში მოიცავს აქტიურ ქმედებებს, რომელიც ქურდული სამყაროს მიზნების (ქურდულ გარჩევებში მონაწილეობა, გავლენის სფეროების მოპოვება და გაზრდა, ბიზნესების მფარველობა, ქურდული სალაროს შევსება და ა. შ.) განსახორციელებას ემსახურება. რაც შეეხება კანონიერ ქურდს, ამავე მუხლის მე-4 პუნქტი იძლევა აღნიშნული ქმედების აღწერას, კერძოდ, ხსენებული საკანონმდებლო დეფინიციის თანახმად, კანონიერი ქურდია ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს, ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციით არ მომხდარა სტატუსის კრიმინალიზაცია, ვინაიდან ქურდული სამყაროს წევრობაც და კანონიერი ქურდობაც თავის თავში მოიცავს აქტიურ ქმედებას – მოქმედებას ან უმოქმედობას ქურდული სამყაროს წესების შესაბამისად და ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

აქვე უნდა იქნეს განხილული სწორედ ზემოაღწერილი აქტიური ქმედებების დასჯადობასთან დაკავშირებით კანონის უკუძალის საკითხები. აღსანიშნავია, რომ

აღნიშნული ქმედებები დასჯადად იქცა სისხლის სამართლის კოდექსში 2005 წლის 20 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად. ისმის კითხვა, ხომ არ ვრცელდება კანონის აღნიშნული დანაწესი სწორედ 2005 წლის 20 დეკემბრის შემდეგ „მონათლულ“ ქურდული სამყაროს წევრებსა და კანონიერ ქურდებზე. მითითებულთან დაკავშირებით უარყოფითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული, ვინაიდან კანონიერი ქურდი შეიძლება იმაზე ადრე იქნეს „მონათლული“, ვიდრე ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა გამოცხადდებოდა დასჯადად, მაგრამ კანონმა, როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, სტატუსის კრიმინალიზაცია კი არ მოახდინა, არამედ აღნიშნული სტატუსით საქმიანობის. ამდენად, დასჯადია ყველა ის ქმედება – მოქმედება თუ უმოქმედობა, რომელიც განხორციელდა 2005 წლის 20 დეკემბრის შემდეგ ქურდული სამყაროს წესების შესაბამისად და ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ამდენად, სახეზეა კანონის რეტროსკეპტული უკუმალა¹, რომლიც დასჯადად აქცევს იმ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება კანონის ძალაში შესვლამდე დაიწყო, თუმცა კანონის ძალაში შესვლის შემდეგაც გრძელდება. აღნიშნული სახის უკუმალას კანონი არ კრძალავს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუმალა არა აქვს, ეხება კანონის რეტროაქტიულ უკუმალას ანუ კანონის ძალაში შესვლამდე დასრულებულ ქმედებებზე კანონის მოქმედების გავრცელების აკრძალვას.

ამდენად, ზემოაღნიშნულმა მსჯელობამ ცხადყო, რომ ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის დასჯადად გამოცხადებით სტატუსის კრიმინალიზაცია კი არა, ქმედების კრიმინალიზაცია მოხდა, რაც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის რეგულირების რეჟიმში ექცევა და მოქმედი სისხლის სამართლის, როგორც ქმედების სამართლის, პრინციპებს არ ეწინააღმდეგება. რაც შეეხება აღნიშნული ქმედებების უკუმალას, ასევე ნათელი გახდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით არ მომხდარა ნორმისათვის ნამდვილი უკუმალის მინიჭება. უფრო მეტიც, აღინიშნა, რომ არანამდვილ ანუ რეტროსკეპტულ უკუმალას სამართლის თეორია და პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს და აქტიურად გამოიყენება ერთიანი დანაშაულის სახეების ანუ დენად და განგრძობად დანაშაულებთან ბრძოლის საქმეში.

¹ ხუბუა გორგო. სამართლის თეორია. გვ. 146. „მერიდიანი“, 2004 წელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა სასამართლო პრაქტიკის განხილვა და განზოგადება. საკანონმდებლო ცვლილების ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია მის პრაქტიკაში განხორციელებასა და დანერგვასთან. ამდენად, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით განხორციელდა იმ პირთა მსჯავრდება, რომელთაც ბრალად ქურდული სამყაროს წევრობა ან კანონიერი ქურდობა შეერაცხათ.

სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი ცხადყოფს, რომ ქურდული სამყაროს წევრობა უმეტესწილად გამოხატულებას პოულობს შემდეგი სახის ქმედებებში: ქურდული სამყაროს აღიარება, ცხოვრების წესით მისდამი მხარდაჭერის გამოხატვა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ქურდული სამყაროს ლიდერებთან აქტიური ურთიერთობა, მათგან დავალებების მიღება და ქურდული სამყაროს მართვაში ხელშეწყობა, თანხების შეგროვება ე.წ. „ქურდულ საერთოში“ შესატანად და ა. შ. აღნიშნული ქმედებები, როგორც წესი, დადასტურებულია განსასჯელთა აღიარებითი ჩვენებით, ხოლო აღნიშნული საქმიანობის არ აღიარება, სხვა სახის მტკიცებულებების არსებობის პირობებში, სასამართლოს მიერ შეფასებულია, როგორც პასუხისმგებლობისგან თავის არიდების სურვილით განპირობებული ქმედება და, შესაბამისად, მხედველობაში არ მიიღება. ზემოაღწერილი ქმედებების დასადასტურებლად გამოიყენება ასევე უბნის ინსაჟექტორ-გამომძიებელთა ჩვენებები, რომლებიც სწავლობენ მათი დაკვირვების ობიექტების ცხოვრების წესს უბანში. მნიშვნელოვანია ასევე მეზობელთა და იმ პირთა ჩვენებებიც, რომლებიც, როგორც წესი, სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა ნათესავები ან ნაცნობები არიან და რომლებსაც აღნიშნული პირები ართმევენ ფულს „თავნის“ სახით ან ე.წ. „ქურდული საერთოს“ შევსების მიზნით სასჯელადსრულებით დაწესებულებაში შესაგზავნად.

ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის შედეგად შესაძლებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაპე-თება, კერძოდ, როგორც წესი, პირები, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლით არიან მსჯავრდებულნი, დამნაშავედ არიან ცნობილნი ამავე კოდექსის 236-ე მუხლითაც (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუკოლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება).

ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს საზოგადოებაში ე.წ. ეკონომიკური სამართლიანობის აღდგენა, კანონი-ერი ქურდებისა და ქურდული სამყაროს წევრებისათვის ქონების ჩამორთმევა, მისი ნამდვილი მესაკუთრისათვის დაბრუნება ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფოსათვის გადაცემა. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები¹.

2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ქურდული სამყაროს წევრისათვის, მათ შორის კანონიერი ქურდისათვის, ქონების ჩამორთმევას. ამასთან, ქონების ჩამორთმევის თაობაზე სარჩელის აღმვრის უფლება აქვს პროცეურორს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის განმავლობაში². ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღიძრას ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის დროს პროცესუალურად უნდა განვასხვაოთ მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი, კერძოდ, ქონების უკანონობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელის ანუ მოცემულ შემთხვევაში პროცეურორის მხარეზეა და თუ ის არ წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს ქონების უკანონობის დასასაბუთებლად, სარჩელი ქონების უკანონოდ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდება. განსხვავებულ სამართლებრივ დანაწეს შეიცავს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი ქონების დაუსაბუთებლად ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოპასუხეს აწევს ანუ ქურდული სამყაროს წევრს, მისი ოჯახის წევრს ან მასთან დაკავშირებულ პირს. ამგვარი სარჩელის არსებობის შემთხვევაში, სწორედ მათ უნდა ამტკიცონ, რომ ქონება დასასაბუთებლია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი საპროცესო-სამართლებრივი საკითხის განხილვა, კერძოდ, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი მოპასუხეს გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს, თუმცა, ამავე კოდექსის 233-ე მუხლი კრძალავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების

¹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, №2357. 20.12.2005.

² საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, №3035. 04.05.2010.

გამოტანას ან აწესებს ასეთის გაუქმების ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოების შესახებ. ამდენად, საქმის ფაქტობრივი გარემოების არცოდნის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების პერსპექტივა ყოველთვის არსებობს. ამიტომ, საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და ამგვარ დანაშაულთან ბრძოლის სირთულის გათვალისწინებით, კანონმდებელმა გამონაკლისი დაუშვა და სამოქალაქო-საპროცესო კოდექსში ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მასთან დაკავშირებული პირისათვის ქონების ჩამორთმევის საქმეებზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების საფუძვლები ნაწილობრივ შეცვალა. კერძოდ, ამგვარ საქმეებზე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებები არ უქმდება, თუ მოპასუხეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ დროულად არ ეცნობა.¹ გარდა ამისა, აღნიშნული სახის გადაწყვეტილებები, განსხვავებით ჩვეულებრივი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან, სააპელაციო წესით გასაჩივრდება და არა საჩივრით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში². კანონმა გაითვალისწინა კიდევ ერთი იმპერატიული დანაწესი და ერთგვარი გამონაკლისი წარმომადგენლობის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნებიდან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ მხარის ნოტარიულად ან საკონსულო წესით დამოწმებული ხელმოწერის არსებობის პირობებში³.

რაც შეეხება ქურდული სამყაროს წევრისათვის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მასთან დაკავშირებული პირისათვის ქონების ჩამორთმევის სამოქალაქო მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებს, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადგება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. თუმცა, სასამართლო პრაქტიკით დადგენილ იქნა, რომ თუ სხვა მტკიცებულებებით დასტურდება ქონების ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, ამასთან, არსებობს ამავე ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, არ არის აუცილებელი საჯარო რეესტრის ჩანაწერი ქონების მესაკუთრის დადგენისათვის, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ქონების საჯარო რეესტრში აღრიცხვისაგან თავის არიდება

¹ საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, 356⁶ მუხლის პირველი ნაწილი.

² საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, 356⁶ მუხლის მე-2 ნაწილი.

³ იხ. სქოლით 7.

სწორედ იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ ქონება არ იქნეს მიჩნეული უკანონოდ და დაუსაბუთებლად. ამდენად, დასაშვებია ქურდული სამყაროს წევრისათვის იმ ქონების ჩამორთმევა, რომლის თაობაზე დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება და უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება მისით ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, თუმცა, იგი საკუთრების უფლებით აღრიცხული არ არის საჯარო რეესტრში. ამასთან, აღსანიშნავია კიდევ ერთი სამართლებრივი „ხრიკი“, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ქონების „დაკანონების“ მიზნით, კერძოდ, უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებაზე ჩუქების ან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის შედეგადაც ქონება კვლავ მჩუქებლის ან გამყიდველის მფლობელობასა და სარგებლობაში რჩება. მოცემულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ ხდება დასაჩუქრებული პირის ან მყიდველის კეთილსინდისიერების საკითხის გარკვევა და აღნიშნული ქონება რომ დასაჩუქრებულის ან მყიდველის საკუთრებად აღირიცხოს საჯარო რეესტრში, გარიგება, როგორც თვალობაქცური, მაინც ბათილად მიიჩნევა და ქონება ჩამორთმევას ექვემდებარება. ამდენად, ცალსახაა, რომ უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისტორის პრეზუმფცია არ მოქმედებს, ვინაიდან არსებობს სხვა უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც ჩანაწერის უზუსტობა დასტურდება. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა:

„საჯარო რეესტრში რეგისტრაციით ხდება მესაკუთრის აღრიცხვა, საჯარო რეესტრში მესამე პირებისათვის აუცილებელი ინფორმაციის განთავსება. უძრავ ნივთზე სანივთო უფლების წარმოშობის საფუძველი არის ნივთის გამსხვისებელსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პირი უფლებამოსილი ხდება მოითხოვოს საჯარო რეესტრში მისი უფლების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია არ წარმოადგენს ხელშეკრულების ფორმას. შესაბამისად, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლად მოცემულ შემთხვევაში ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულება¹.“

სასამართლო შეეხო ასევე ქონების ჩამორთმევის კანონიერების საკითხს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის კონტექსტში, რომელიც საკუთრების უფლების უზრუნველყოფას ეხება და განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას არ ხელყოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრების უფლება და ასევე შექმნას

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-238-571-07. 12.04.2007.

გარანტიები აღნიშნული უფლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განჩინებაში განმარტა:

„წინარე დებულება ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაპრებლის, ან/და ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სადაც ქონება ხვდება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. მოხდა ქონების ხელყოფა, ვინაიდან ხდება ქონების ჩამორთმევა და მისი სახელმწიფოსთვის გადაცემა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ხელყოფა ანუ ჩამორთმევა საჯარო ინტერესებს ემსახურება, ვინაიდან დადგენილია, რომ სადაც ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ხელყოფა პროპორციულია, ვინაიდან ვერანაირი სხვა ჩარევა, გარდა ჩამორთმევისა, ვერ უზრუნველყოფდა საერთო ინტერესის დაცვას. ეს ხელყოფა შეესაბამება კანონის გასაგები ფორმით არსებობის პრინციპსაც, ვინაიდან „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის X IV¹ თავი, არაორაზროვნად და გასაგებად ითვალისწინებს დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ კრძალავს ქონების ჩამორთმევას, თუ ა) მიზანი არის საზოგადოებრივი ინტერესი, ბ) გამოყენებული ზომა არის მართლზომიერი (ემყარება კანონს და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს), გ) გამოყენებული ზომა მიზნის მიღწევის პროპორციულია ანუ პირისა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის თანაფარდობა დაცულია¹.

ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობა განავითარა თავის გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულებები ანაზღაურების თაობაზე შეეხება კანონიერი გზით შეძენილ ქონებას, რომლის საკუთრების უფლება დავას არ იწვევს და ვერ გავრცელდება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რადგან ამ შემთხვევაში ითვლება, რომ სწორედ საკუთრების უფლებაა დავის საგანი და მისი არსებობა

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-238-571-07. 12.04.2007.

ეჭვის ქვეშაა დაყენებული. ამიტომაც არ შეიძლება ჩამორთმევის კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მქამე პუნქტოან მიმართებით¹.“

ქონების ჩამორთმევის კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხს შეეხო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებით განხილულ საქმეებზე და განმარტა შემდეგი: „სასამართლო აცნობიერებს რა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სირთულეს მიიჩნევს, რომ ქონება, რომელიც დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგადაა შეძენილი, ამგვარი დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შემდის მიზნით და სამართლიანი ბალანსის დაცვის ფარგლებში, ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან ჩამორთმევას. კონფისკაცია არის ეფექტური დონისძიება ამგვარ ავთვისებიან წარმონაქმნთან ბრძოლის საქმეში“².

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა სამართლებრივ სახელმწიფოში მრავალეტაპიანია. აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელობა იმდენად მასშტაბურ ხასიათს ატარებს, რომ მასში აქტიურად არის ჩართული ხელისუფლების სამივე შტო. უნდა ითქვას, რომ განუსაზღვრელია აღმასრულებელი ხელისუფლების როლი აღნიშნულ საქმეში, განსაკუთრებით ხაზგასასმელია სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული ეფექტური დონისძიებები, თუმცა ზემოაღწერილმა კვლევამ ცხადყო, რომ დღეს არსებული შედეგი მიღწეულ იქნა ხელისუფლების სამივე შტოს კოორდინირებული მოქმედების შედეგად, კურძოდ, საუბარია იმ საკანონმდებლო ნორმებზე, რომლებიც მიღებულ იქნა საკანონმდებლო ორგანოს მიერ და ნიშანდობლივია ასევე სასამართლოს საქმიანობაც, რომელმაც ადგვატური ინტერპრეტაცია მისცა კანონის ნორმებს და სისხლისსამართლებრივი თუ სამოქალაქო-სამართლებრივი კუთხით მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საქართველოში 2003 წლამდე ესოდენ მომძლავრებულ დანაშაულებრივ სინდიკატს.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/5/309,310,311. 13.07.2005.

² Case of Raimondo vs Italy, Application #1295/87, 22.02.1994.

ქურდული სამყაროს წევრობა – დასჯადობა სტატუსისთვის თუ ქმედებისთვის

2005–2006 წლებში საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით არაერთი ეფექტური ნაბიჯი გადაიღება. ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ქმედებები მრავალმხრივი აღმოჩნდა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც კანონიერი ქურდობისა და ქურდული სამყაროს წევრობის კრიმინალიზაცია მოხდა. თუმცა, აღნიშნულ ნოვაციებს იურისტთა წრებში, იურიდიულ ტერმინთა თეორიული განმარტების თვალსაზრისით, გარკვეული მითქმა-მოთქმა მოჰყვა. წინამდებარე ნაშრომი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში სწორედ თეორიული კუთხით საკვანძო და პრობლემური საკითხების ინტერპრეტაციას დაეთმო და განიმარტა, რომ ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის დანაშაულად გამოცხადებით სტატუსის კრიმინალიზაცია არ მომხდარა. ასევე განხილულია სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით.

Davit Meskhishvili
PHD Student

MEMBERSHIP OF THE “THIEVES’ WORLD” – PUNISHABLE STATUS OR ACTION

In 2005-2006 years several efficient measures were taken for combat organized crime in Georgia. The activities, conducted by the Government varied in their character. Special attention should be focused on legislative reform by virtue of which the ‘thieves in law’ and membership of ‘the thieves’ world’ were declared as crime. Although, from the point of theoretical interpretation of terms, these novelties caused serious discussion among lawyers. The article is dedicated to interpretation of theoretically important and problematic issues and affirms that criminalization of

the ‘thieves in law’ and membership of ‘the thieves’ world’ does not include punishment by the status. The article also includes analysis of Civil Procedure Law and legal practice concerning confiscation as a measure against organized crime.

Давит Месхишивили,

докторант права

ЧЛЕНСТВО “ВОРОВСКОГО МИРА” - НАКАЗУЕМОСТЬ ЗА СТАТУС ИЛИ ДЕЯНИЕ

В 2005-2006 годах в Грузии в борьбе с организованной преступностью были предприняты неоднократно эффективные меры. Действия, осуществлённые со стороны властей, носят многоплановый характер. Особо нужно отметить те законодательные изменения, в связи с которыми произошла криминализация «воровства в законе» и членства «воровского мира», однако в отмеченных новациях в кругах юристов произошли разногласия вокруг теоретического содержания юридических терминов. В труде большое место отведено именно толкованию с точки зрения теории проблемных и узловых вопросов в области борьбы с организованной преступностью и разъяснено, что с объявлением преступлением «воровства в законе» и членства «воровско мира» не произошла криминализация статуса. Вместе с тем, рассмотрены гражданско-процессуальное законодательство и судебная практика по поводу конфискации имущества в связи с борьбой с организованной преступностью.

**ადამიანის უფლებები და თავისუფლება
საგანგებო მდგომარეობის პირობებში**

თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფო სისტემის თვისებრივ მახასიათებლებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის განსაზღვრისათვის. ეს ეხება როგორც ძლიერ, ასევე სუსტ სახელმწიფოებს¹. სამართლებრივი სახელმწიფო საერთაშორისო საზოგადოების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის იდეას დირსეული ადგილი უკავია ზოგადსაკაცობრიო პუმანიტარულ აზროვნებაში². სწორედ სამართლებრივი სახელმწიფო უზრუნველყოფს ისეთი სამართლებრივი სისტემის დამკვიდრებას, რომლითაც მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები მხოლოდ კანონით რეგულირდება, გამორიცხულია სახელმწიფოს თვითნებობა და უკელა თანასწორია კანონის წინაშე. სამართლებრივ სახელმწიფოში განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოება, არსებობს პოლიტიკური დემოკრატიის ინსტიტუტები, ეფექტურად მოქმედებს სახელმწიფოს სამართალდამცავი ინსტიტუტები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები მშვიდ რეჟიმში მიმდინარეობს.

ნებისმიერი სახელმწიფო, მათ შორის სამართლებრივი სახელმწიფო, გარკვეულ ეტაპზე შეიძლება შეეჯახოს ისეთ ვითარებას, როდესაც მართლწესრიგის დასაცავად უწევს განსაკუთრებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ზომების მიღება. ეს შეიძლება იყოს როგორც შიგასახელმწიფოებრივი, ასევე გარე ფაქტორებით გამოწვეული მიზეზები; შიგასახელმწიფოებრივი მიზეზები შეიძლება იყოს პოლიტიკური და ეკონომიკური. სოციალურ გარემოებათა დეფორმაცია იმდენად მძლავრია, რომ სახელმწიფოს უწევს განსაკუთრებული ზომების მიღება. სოციალური გარემოების დეფორმაცია შეიძლება გამოწვეულ იქნეს როგორც სოციალური კონფლიქტებით, მასობრივი არეულობებით, ასევე ბუნებრივი კატაკლიზმებით. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საჭირო ხდება, ვინაიდან ზომები და საშუალებები, რომელიც სახელმწიფოს ხელთაა ვერ უზრუნველყოფს ვითარების განმუხტვას.

¹ Лившиц Р.З. О легитимности закона // Теория права-новые идеи, 1995, стр.18.

² Алексидзе Л. Некоторые вопросы теории международного права. Императивные нормы (jus cogens). Тб.: ТГУ, 1982, стр. 136-141.

სოციალური დაბაბულობები ახასიათებთ როგორც განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებს, ასევე იმ ქვეყნებს, რომლებიც დემოკრატიის გზას არცოუ ისე დიდი ხანია დაადგნენ. არც საქართველოა გამონაკლისი. სამართლებრივ სახელმწიფო საგანგებო მდგომარეობა რეგულირდება, როგორც წესი კონსტიტუციური ნორმითა და სპეციალური კანონით.

საქართველოს კანონით “საგანგებო მდგომარეობის შესახებ” საგანგებო მდგომარეობა სახელისუფლებო ორგანოების მოქმედების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმია, რომლის შემოღების მიზანია შიგა და გარე საფრთხეებისგან დაცვა. საგანგებო მდგომარეობა დროებითი დონისძიებაა, რომელიც ცხადდება მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა თუ შეიარაღებული ამბოხების ან ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების, ან ხტიქიურ უბედურებათა დროს, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას. საგანგებო მდგომარეობის შემოღების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწერიგის აღდგენა.

ამრიგად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას სახელმწიფოს ფართო კომპეტენციები ენიჭება. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხი. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა შეზღუდვასთან. საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანის უფლებათა მოქმედების საკითხს საომარი თუ საგანგებო მდგომარეობის დროს. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი როგორც უნივერსალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე ადგენს იმ მინიმალური უფლებების ნუსხას, რომელიც უოველთვის მოქმედებს. როგორც შიგასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემა, საერთაშორისო სამართალიც მიჯნავს საომარ და საგანგებო მდგომარეობას. იმის გასარკვევად, თუ რა სტანდარტები უნდა იყოს დადგენილი ადამიანის უფლებების მოქმედების სფეროში, საჭიროა საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა ამ საკითხებთან მიმართებაში.

ადამიანის უფლებათა საერათაშორისო სამართლისა და პუმანიტარული სამართლების მოქმედების სფერო

ადამიანის უფლებათა სამართლი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგია. როგორც უნივერსალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე მრავალი დოკუმენტი მოქმედებს. მიუხედავად იმისა, ბევრი პრაქტიკული თუ თეორიული საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს დამუშავებას. მით უფრო, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხი, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ზედმიწევნით შესწავლას მოითხოვს.

საერთაშორისო სამართლში ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი დარგი, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი და პუმანიტარული სამართლი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე დარგი ერთი და იგივე ამოცანას ემსახურება – ადამიანის უფლებათა დაცვას, მათი ჩამოყალიბება და განვითარება დამოუკიდებლად ხდება. ასევე განსხვავდება მათი მოქმედებისა და გავრცელების არეალი.

ვინაიდან მშვიდობის დაცვა და შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება გაეროს უპირველესი ამოცანაა, ამავე დროს ადამიანის უფლებათა დაცვა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. გაერო თავისი საქმიანობის განხორციელებისას დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებათა დაცვას საერთაშორისო კონფლიქტების დროს. უფრო მეტიც, გაეროს ეგიდით შემუშავებული და მიღებული ნორმატიული მასალა პირდაპირ გავლენას ახდენს საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის შემდგომ ჩამოყალიბებაზე¹. ასევე გაეროს ორგანოები თავისი საქმიანობის განხორციელებისას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ეყრდნობა უენევის კონვენციებსა (1949 წ.) და დამატებით ოქმებს (1977 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის და საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის მიზანი საბოლოო ჯამში ერთია – ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების გარანტია და დაცვა – მათი მოქმედების სფერო განსხვავდება.

საერთაშორისო სამართლით დადგენილი ადამიანის უფლებები ყოველთვის გამოიყენება. მათი მოქმედების შეზღუდვა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა,

¹ Сассоли М. Имплементация международного гуманитарного права и международного права права человека: сравнение. Швейцарский Ежегодник международного права. том XLIII 1987г. Стр 6.

როდესაც სახელმწიფოში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. მხოლოდ მაშინ, როდესაც „ერის სიცოცხლე საფრთხეშია და ეს ოფიციალურად გამოცხადდა, სახელმწიფოს შეუძლია გადაუხვიოს პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, მაგრამ მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე“.

პუმანიტარული სამართლის ნორმათა გამოყენება უშუალოდ დაკავშირებულია საომარი მოქმედების დაწყებასთან. მათი მოქმედება წყდება შეიარაღებული კონფლიქტის დამთავრებისთანავე. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პუმანიტარული სამართალი ვრცელდება იმ სუბიექტებზე, რომლებიც მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩნდება¹.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ვრცელდება პირთა ფართო წრეზე, უფრო ზუსტად განურჩევლად უველა ადამიანს ეხება. მაგალითად, უკროპისა და ამერიკის ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციები მიუთითებს, რომ კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფება უველა პირი, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს იურისდიქციას მიეკუთვნება. ამასთან, საერთაშორისო სამართალში არსებობს სხვა ისეთი კონვენციური ნორმები, რომელთა ამოქმედებაც, როგორც შენევის კონვენციების ნორმებისა, დამოკიდებულია გარკვეული გარემოების არსებობაზე. საერთაშორისო პუმანიტარულ სამართალს დაცვის ქვეშ აჟავს პირთა გარკვეული ჯგუფი (მაგ., კომბატანტები, არაკომბატანტები, სამოქალაქო პირები, სამედიცინო და სასულიერო პირები და სხვა), ხოლო ადამიანთა უფლებების საერთაშორისო სამართალი ვრცელდება უველა ადამიანზე, განურჩევლად მისი სოციალური კუთვნილებისა, სამართლებრივი სტატუსისა, რასისა, სქესისა.

ზოგადად, ნებისმიერი ძალის გამოყენება იწვევს ადამიანის უფლებათა შელახვას. ეს ნათლად აისახა თეირანის 1968 წ. კონფერენციის მიმართვაშიც: „ადამიანის უფლებების საყოველთაო დაცვის მირითად პირობას წარმოადგენს მშვიდობა“, ხოლო ომი ყოველთვის მათ (ადამიანის უფლებების) დარღვევას ნიშნავს. „კონფერენციამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა პუმანიტარული სამართლის განვითარების პერსპექტივებს და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს სწორედ პუმანიტარული სამართლის ნორმებია ის მოქმედი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას“.

¹ Свинарски Кристофф. „Основные понятия и институты международного гуманитарного права как система защиты человека.“ МККК 1997г. Стр. 27.

გამოიყენება თუ არა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები სამხედრო კონფლიქტის დროს?

პასუხი ამ კითხვაზე არაერთგვაროვანია. საერთაშორისო პაქტები არ არის შეზღუდული მოქმედების სფეროთი ან პირთა წრის მიხედვით. ამ უფლებით სარგებლობს განურჩევლად ყველა ინდივიდი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ადამიანის უფლებები უცვლელი რჩება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, მაგრამ საომარი მოქმედების წარმოების დროს ადამიანის უფლებები იზღუდება გარკვეულ გარემოებათა გამო. ეს არ ეხება ადამიანის უცვლელ ბირთვად წოდებულ უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვით ცალკეული პირები სარგებლობენ, მათი უზრუნველყოფა სახელმწიფოს ეკისრება. ადამიანის უფლებების სფეროში კი ყოველი ინდივიდი საკუთარ უფლებათა დაცვას სახელმწიფოსგან დამოუკიდებლადაც ახორციელებს.

ადამიანის უფლებების აღიარება ინდივიდს ანიჭებს შესაძლებლობას განვითარდეს როგორც პიროვნება, განახორციელოს მინიჭებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები. სამართლის ეს დარგი იცავს პიროვნებას სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი განუკითხაობისა და დაბრკოლებებისაგან. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს კონკრეტული ინდივიდის სრულყოფილ განვითარებას ცალკეულ სახელმწიფოებში.

რაც შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ძირითადი ამოცანაა ინდივიდს სამხედრო კონფლიქტების მიმდინარეობისას შეუქმნას ისეთი პირობები, რომელიც არ შელახავს მის ღირსებას, დაეხმარება ძალადობის და მისი გამოყენების შედეგებით გამოწვეული ტანჯვის გადალახვაში, იცავს მის სოციალურ გარემოცვას (ოჯახს, სახლს, პროფესიას), მაგრამ ვერ იძლევა ინდივიდის განვითარების საშუალებას.

ამგვარად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ყოველგვარ პირობას უქმნის ინდივიდს, რათა მას მიეცეს საშუალება, იცხოვროს სამართლებრივ საზოგადოებაში, განავითაროს პიროვნული თვისებები, გამოიყენოს უფლებების დაცვის ფართო სპექტრი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კი იცავს მხოლოდ გარკვეულ კონკრეტულ ინდივიდთა ჯგუფს¹.

¹ Henkin L. U.S. Ratification on Human Rights Conventions // American Journal of International Law. 1995. Vol.89 N 2 p.344.

უდავოა, რომ საერთაშორისო სამართლის ორივე დარგი პიროვნების დაცვას უზრუნველყოფს, თუმცა ერთი შეხედვით სხვადასხვა მიზანს ემსახურება, ამის მიზეზი კი ის არის, რომ მათი გამოყენების სფერო პრაქტიკაში განსხვავდება.

მიუხედავად ამ გარემოებისა, ვერ ვიტყვით, რომ ეს ორი სფერო ერთმანეთისაგან განცალკევებულად არსებობს. პირიქით, ისინი ავსებენ ერთმანეთს, უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი გავლენას ახდენს საერთაშორისო პუმანიტარული ნორმების შემდგომ განვითარებაზე.

საგანგებო მდგომარეობა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი უმნიშვნელოვანები საერთაშორისო დოკუმენტები

(სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ადამიანის უფლებათა 1966 წლის საერთაშორისო პაქტი და მისი მე-4 მუხლი, ადამიანის უფლებათა დაცვის უკროპული კონვენცია და მისი მე-15 მუხლი)

გარდა საომარი ვითარებისა, ადამიანის უფლებათა სამართლის მოქმედება იზღუდება ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობებშიც. ორი უმნიშვნელოვანები დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (1966 წელი) და ადამიანის უფლებათა დაცვის უკროპული კონვენცია – განსაკუთერულ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლი სახელმწიფოს უფლებას ანიჭებს შეზღუდოს ადამიანის უფლებათა მოქმედება საგანგებო ვითარების დროს, რომელიც ემუქრება ერის სიცოცხლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საგანგებო მდგომარეობა ოფიციალურად არის გამოცხადებული ანუ გადაუხვიოს პაქტით ნაკისრ ვალდებულებას იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე.

პაქტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ასევე განსაზღვრავს იმ უფლებათა ჩამონათვალს, რომლიდან გადახვევა დაუშვებელია, თუნდაც საგანგებო მდგომარეობის დროს. ეს უფლებებია:

- სიცოცხლის უფლება (მუხლი 6);
- წამების აკრძალვა (მუხლი 7);
- მონაბეჭდისა და მონათვაჭრობის აკრძალვა და დაბეჭავებულ მდგომარეობაში ცხოვრების აკრძალვა (მუხლი 8, პუნქტი 1 და 2);

- სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა (მუხლი 11);
- სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ჩადენის მომენტში ან შიგასახელმწიფო ბრივი კანონმდებლობით ან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, აკრძალვა. ასევე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის უფრო მძიმე სასჯელის, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ ჩადენის მომენტში, აკრძალვა (მუხლი 15);
- სამართალსუბიექტურობის უფლება (მუხლი 16);
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება (მუხლი 18).

პაქტის მე-40 და 41-ე მუხლების თანახმად, ადამიანის უფლებათა კომიტეტს წევრ-სახელმწიფოების მიერ ვალდებულებების შესრულებაზე საზედამხედველო ფუნქცია ეკისრება. მის მთავარ კომენტარში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, პაქტის მე-4 მუხლთან დაკავშირებით, კომიტეტი აცხადებს, „მრავალ შემთხვევაში კომიტეტმა გამოთქვა შეშფოთება იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებმაც პაქტით დაცულ უფლებებს გადაუხვიეს ან რომელთა ეროვნული სამართალიც უშვებს მსგავს გადახვევას იმ ვითარებებში, რომლებიც მე-4 მუხლით არ არის გათვალისწინებული.”¹ გადახვევა მხოლოდ იმდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს და მხოლოდ იმ მიზნით, რომელიც „უკიდურესი ვითარებიდან პირდაპირ გამომდინარეობს.” მათი აუცილებლობა და პროპორციულობა ეროვნული და საერთაშორისო მეთვალყურეობის საგანი უნდა იყოს. აღნიშნული ზედამხედველობა უმთავრესი მნიშვნელობისაა. სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი დარღვევები ხდება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების კონტექსტში და აღნიშნული სახელმწიფოები შესაძლოა მიიღწვიან, საგანგებო ვითარების მომიზეზებით, გამოიყენონ გადახვევის უფლებამოსილება სხვა მიზნებისათვის ან უფრო ფართოდ განავრცონ, ვიდრე ეს აუცილებელია შექმნილი ვითარებით.² გადახვევის უფლება საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფოს მინიჭებული აქვს ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-15 მუხლით. ეს მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფო-

¹ Comment no. 29/2001.

² Opinion no. 359 / 2005 ON THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS IN EMERGENCY SITUATIONS. Adopted by the Venice Commission at its 66th Plenary Session, March 2006.

ებისათვის, რომლებიც ევროპის საბჭოს წევრები არ არიან. ამ მუხლის მე-2 პუნქტი იძლევა იმ უფლებების ჩამონათვალს, რომლებიდანაც გადახვევა სახელმწიფოს არ შეუძლია, თუნდაც საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს:

- სიცოცხლის უფლება (მუხლი 2);
- წამების აკრძალვა (მუხლი 3);
- მონობისა და ძალმომრეობით მდგომარეობაში ყოფნის აკრძალვა (მუხლი 4, პუნქტი 1);
- სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ჩადენის მომენტში ან შიგასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, აკრძალვა. ასევე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის უფრო მძიმე სასჯელის, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ ჩადენის მომენტში, აკრძალვა (მუხლი 15).

ამრიგად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტისა და ევროპული კონვენციის ზემოაღნიშნული მუხლების რეგულაციის ობიექტი ანალოგიურია. თუმცა არსებობს განსხვავებაც:

- განსხვავებით ევროპული კონვენციისაგან, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლში ერთმანეთისაგან არ იმიჯნება საგანგებო და საომარი მდგომარეობა;
- პაქტისა და კონვენციის შესაბამისი მუხლების მე-2 პუნქტში მოცემულ უფლბათა ჩამონათვალი, საიდანაც სახელმწიფოს არ შეუძლია გადახვევა, განსხვავდება ერთმანეთისაგან.

საქართველო ორივე დოკუმენტის მონაწილეა და, შესაბამისად ნაკისრი აქვს ვალდებულებები თრივე დოკუმენტის საფუძველზე. დეტალურად შევჩერდეთ ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის შინაარსის განმარტებაზე. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად გავიგოთ რა საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები თუ უფლებები აქვს მონაწილე სახელმწიფოს აღებული ამ ნორმის საფუძველზე. ამის საშუალებას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა გვაძლევს. ზოგადად აღვნიშნავთ, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონვენციის განმარტების საშუალებაა. სასამართლო პრაქტიკის ცოდნა მნიშვნელოვანია შიგასახელმწიფოებრივ ნორმაგამოყენებითი პრაქტიკისთვის¹.

¹ ქ. ქორგელია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. ევროპის საბჭო, თბ., 2004.

ვინაიდან ორივე დოკუმენტით ნათლადაა განსაზღვრული, თუ რომელი უფლებიდან გადახვევა არ შეუძლია სახელმწიფოს, ჩვენი კვლევის მნიშვნელოვანი საკითხია რა პირობების არსებობისას შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტების საფუძველზე მინიჭებული უფლების გამოყენება. ამ კუთხით საინტერესოა ეპროპული სასამართლო პრაქტიკის შესწავლა.

როგორც ადგნიშნეთ, ზოგიერთ შემთხვევაში, კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოს შეუძლია გადაუხვიოს კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებებისა. ეს აკრძალვა აბსოლუტურია მე-3 მუხლის და მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (მონობა და იძულებითი მდგომარეობა) მიმართ. ხოლო მე-7 მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის კანონების ex post facto წინაღობას წარმოადგენს, უშვებს “ნებისმიერი პირის ნებისმიერი მოქმედების თუ უმოქმედობისათვის სასამართლოში გადაცემას და დასჯას იმ ქმედებისათვის, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს ცივილიზებულ ქვეყნების მიერ აღიარებული სამართლის საერთო პრინციპების თანახმად”. გადახვევის ეს აკრძალვა უფრო სუსტია სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი უშვებს “სიცოცხლის უფლების ხელყოფას, თუ “სიცოცხლის მოსპობა წარმოადგენს ომის კანონზომიერ შედეგს”. კონვენციის მე-6 ოქმის მე-2 მუხლით “სახელმწიფოს შეუძლია გაითვალისწინოს თავის კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯა იმ ქმედებებისათვის, რომელიც ჩადენილია ომის ან მისი გარდაუვალი საფრთხის არსებობის დროს”. როგორც ვხედავთ, ეს დებულება უფრო მყიფე (რბილი) სტანდარტია, ვიდრე თვით კონვენციის მე-15 მუხლის მოთხოვნა¹. ბუნებრივია, რომ ისეთი სერიოზული საკითხის მიმართ, როგორიცაა საყოველთაო უფლებების მოქმედებისაგან გადახვევა, კონვენცია მოითხოვს განსაკუთრებულ მკაცრ სტანდარტებს შეზღუდვების ამოქმედების პროცედურებთან დაკავშირებით. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ იმსჯელა კონვენციის მე-15 მუხლთან (განსაკუთრებით სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნებთან) დაკავშირებით.

საქმეში საბერძნეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ², საბერძნეთის მხარე ამტკიცებდა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ დაარღვია მე-15 მუხლის პირობები. საქმე ეხებოდა კუნძულ კვიპროსს, რომელიც იმ დროს იმართებოდა ბრიტანული ადმინისტრაციის მიერ. ბრიტანეთის მიერ შემოფებული იყო

¹ Гомъен Д., Харрис Д., Зваак Л. Европейская конвенция о правах человека. Право и практика. 1998 г. Стр 478.
² № 176/56. Dec 2, 6, 56.- Yearbook 2, p 174-176.

საგანგებო კანონები და დადგენილებები. საბერძნეთი ამტკიცებდა, რომ კუნძულზე ბრიტანეთის ადმინისტრაციის მიერ სხეულებრივი და ძალმომრეობითი დასჯის ზომების გამოყენება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაა, რომელიც, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არ შეიძლება გადახვევის ობიექტი იყოს. ევროპულ კომისიას მიაჩნია, რომ მის კომპეტენციაში შედის არა მხოლოდ კონკრეტული უფლებების დარღვევების ფაქტების დადგენა, არამედ სახელმწიფოს მხრიდან გადახვევის კანონიერების საკითხის განხილვა მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ჭრილში. საგანგებო მდგომარეობის შესახებ სახელმწიფოს მხრიდან განცხადების გაკეთება არ წარმოადგენს ერთადერთ და საკმარის საფუძველს უფლებების მოქმედების გადახვევის დადგენისათვის. სწორედ ამ საქმეს უკავშირდება სტრანდურგის ორგანოების პრაქტიკაში “წინდახედულობის ფარგლების” კონცეფციის შემუშავება. შემდგომში ამ კონცეფციის საფუძველზე ჩამოყალიბდა “შეფასების საზღვრები”. სასამართლოს მიერ ეს კრიტერიუმები გამოიყენება მათ შორის “საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული აუცილებელი ზომების” დადგენის (მიღების) შეფასებისას (ანუ რამდენად არსებობდა საგანგებო მდგომარეობის უფლების აუცილებლობა). აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით კომისიამ უფლება დაიტოვა ემსჯელა საგანგებო მდგომარეობის შემოღების კანონიერებაზე. თუმცა თავად საქმის არსებითად განხილვის დროს მხარეებმა მეგობრულ შეთანხმებას მიაღწიეს და ზემოაღნიშნული საკითხი განუხილველი დარჩა.

ირლანდიის რესპუბლიკური არმიის წევრის ლოულესის საქმეში¹ განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ირლანდიის მთავრობის მიერ მისი დაპატიმრების პირობები და პროცედურები წარმოადგენდა, მათ შორის, მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევას. სასამართლომ, პირველ რიგში, იმსჯელა რამდენად შეესაბამებოდა არსებული ვითარება საგანგებო მდგომარეობას და, აქედან გამომდინარე შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული უფლების მოქმედებაზე შეზღუდვების დაწესება. საბოლოო გადაწყვეტილებაში სასამართლომ დადგინა, რომ ფაქტორები ლოულესის საქმეში შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც საგანგებო გარემოება მე-15 მუხლის გაგების ჭრილში.

საქმეში საბერძნეთი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ კომისიამ განმარტა: “საგანგებო ვითარება, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს” მოიცავს

¹ Loules v. United Kingdom . Series A, No. 3, p.56, para 28.

საფრთხის ფართო ცნებას და ამიტომ აუცილებელია შემდეგი ელემენტების დადგენა”:

- საფრთხე უნდა იყოს რეალური და გარდაუვალი;
- მისი შედეგები უნდა ეხებოდეს მთელ ერს;
- საფრთხე უნდა ემუქრებოდეს საზოგადოების ნორმალური ცხოვრების პირობებს;
- კრიზისი და საფრთხე უნდა იყოს განსაკუთრებული ხასიათის იმ გაგებით, რომ უსაფრთხოების, მართლწერიგისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის ჩვეულებრივი ზომების გამოყენება არასაკმარისია¹.

ამ საქმიდან გამომდინარე, სასამართლომ ცნო, რომ საბერძნეთმა ვერ დაასაბუთა შესაბამისი პირობების არსებობა.

მე-15 მუხლთან დაკავშირებით სასამართლო ასევე მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს არსებული ვითარებისა და გამოყენებული ზომების თანაზომიერების საკითხს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია გამოიყენოს მე-15 მუხლით დადგენილი გადახვევები ნებისმიერი შესაძლებელი ზომების დასამოწმებლად. სახელმწიფო ვალდებულია დაასაბუთოს მყარი კავშირი გამოყენებულ ზომებსა და არსებულ ვითარებას შორის. ანუ სახელმწიფომ ნათლად უნდა დაასაბუთოს, რომ ვითარება საჭიროებს განსაკუთრებულ კონტროლს.

საქმე ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ეხებოდა ბრიტანეთის მიერ გადახვევების გამოყენებას ჩრდილოეთ ირლანდიაში სამოქალაქო კონფლიქტის დროს. სასამართლომ განაცხადა:

პირველ რიგში, დასადგენია ემუქრება თუ არა საფრთხე ერის სიცოცხლეს. თუ კი, მაშინ გასარკვევია რაოდენ მკვეთრი და გადამწყვეტი ზომებია მისადები სახელმწიფოს მხრიდან საგანგებო ვითარების დასაძლევად. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს შევასების საკმაოდ ფართო შესაძლებლობები აქვს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება განუსაზღვრელია. სასამართლო პასუხისმგებელია ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფაზე, აქედან გამომდინარე, უფლებამოსილია იმსჯელოს და

¹ Greece v. United Kingdom . Comm. Report 5.11.69. para. 153-Yearbook 12, p 72.

მიიღოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რამდენად გადააცილა სახელმწიფომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებს¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მხარეები არ დაობდნენ იმის შესახებ, იყო თუ არა საგანგებო მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში. არავის დაუყონებია საკითხი წარმოადგენს თუ არა ჩრდილოეთ ირლანდია “ერს” (“nation”) მე-15 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, რადგან კონსტიტუციურად ის გაერთიანებული სამეფოს ნაწილია. ამ საქმესთან დაკავშირებით, კომისიამ მოხსენებაში განიხილა მე-15 მუხლის ჭრილში თანაზომიერების საკითხი. კომისიამ აღნიშნა, რომ მთავრობას არ შეუძლია უკელა შესაძლო ზომების გამოყენების დასაბუთება საგანგებო ვითარებით, მან უნდა დასაბუთოს თანაზომიერება გამოყენებულ ზომებსა და არსებულ ვითარებას შორის. ამასთან კომისიამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს სრულყოს კონკრეტული ზომები, რომელსაც ის მიმართავს და ეს არ უნდა იწვევდეს დადანაშაულებას მე-15 მუხლის დარღვევაში. ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ და კომისიამ დაადგინა, რომ ძალადობის ხარისხი აჭარბებდა იმ დონეს, რომელსაც შეიძლება სამოქალაქო უწესრიგობა ვუწოდოთ. ცხადი იყო, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში “საგანგებო მდგომარეობა” არსებობდა.

მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ითხოვს, რომ გადახვევის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფომ მიაწოდოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. საქმეში ლოულესი ირლანდიის წინააღმდეგ სასამართლომ განიხილა საკითხი, იყო თუ არა გენერალური მდივანი სათანადოდ ინფორმირებული საგანგებო ვითარების შემოდების თაობაზე. ირლანდიის მთავრობამ გენერალურ მდივანს ინფორმაცია მიაწოდა 12 დღის შემდეგ, როდესაც ძალაში შევიდა ზომები კონვენციიდან გადახვევის შესახებ. სასამართლომ ჩათვალა, რომ დოკუმენტების 12 დღის განმავლობაში წარდგენა საშუალებას აძლევს გენერალურ მდივანს საკმარისი ინფორმაცია მიიღოს განხორციელებულ ზომებსა და მიზეზებზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ დოკუმენტაციის დაუყოვნებლივი მიწოდება ინფორმირებულობის ერთ-ერთი ელემენტია, თუმცა ეს ცხადად არ არის გათვალისწინებული მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში. ამ კონტექსტში კომისიამ ასევე გამოიყენა სიტყვები “რაიმე სახის დაუსაბუთებული შეყოვნება”.

¹ Ireland v.United Kingdom. 1978. Series A no 25, p 78-79, para. 207.

კომისიამ მიიჩნია, რომ ამ მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანი რგოლია მონაწილე მხარეების მოვალეობების შესრულების უზრუნველსაყოფად და ურომ-ლისოდაც თავად კომისია არ იქნება ინფორმირებული იმ ფაქტებზე, რომლებიც მისი განხილვის იურისდიქციაში შედის¹.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს როგორც საომარი, ასევე საგანგებო მდგომარეობის დროს.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებულ უურადღებას აქცევს ადამიანის უფლებათა მოქმედების საკითხს საომარი თუ საგანგებო მდგომარეობის დროს. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი როგორც უნივერსალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე ადგენს იმ მინიმალური უფლებების ნუსხას, რომელიც ყოველთვის მოქმედებს. ისევე, როგორც შიგასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემა საერთაშორისო სამართალიც მიჯნავს საომარ და საგანგებო მდგომარეობებს. იმის გასარკვევად, თუ რა სტანდარტები უნდა იყოს დადგენილი შიგასახელმწიფოებრივ დონეზე ადამიანის უფლებების მოქმედების სფეროში, აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა ამ საკითხებთან მიმართებაში. აღნიშნული თემის განხილვამ დაგვანახა, რომ საერთაშორისო სამართალი არა მხოლოდ უფლებათა დეფინიციას ან უფლებებიდან გადახვევის პირობებს, არამედ ძალზე მკაფიო კრიტერიუმებს ადგენს, რის საფუძველზე უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან საომარი ვითარების გამოცხადება. ამით ნათელი ხდება რა კრიტერიუმებისა და სტანდარტებზე დაყრდნობით შეუძლია სახელ-მწიფოს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და რომელი უფლებების დაცვის აუცილებლობის პასუხისმგებლობა ეკისრება საომარი მდგომარეობის დროს.

¹ Loules v. United Kingdom . Series A, No. 3, p.56, para 28.
Greece v. United Kingdom . Comm. Report 5.11.69. para. 153-Yearbook 12, p 72.

ადამიანის უფლებები და თავისუფლება საგანგებო მდგომარეობის პირობებში

განხილულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და პუმანიტარული სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი დარგის ჩამოყალიბება დამოუკიდებლად მიმდინარეობდა, მიზანი რომელსაც ეს დარგები ემსახურება ერთია: ადამიანის უფლებათა დაცვა. განხილულია ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და პუმანიტარული სამართლის მოქმედების სფერო და პირთა წრე, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული დარგების მიერ დადგენილი ნორმები. მნიშვნელოვანია მრავალრიცხვანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმეტების შესწავლა, რათა დაზუსტდეს, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი საგანგებო მდგომარეობის დროს, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, სახელმწიფოს მხრიდან გადახვევა. კვლევის ობიექტია ის ორი უმნიშვნელოვანები საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე საქართველოც არის. ესენია: ა) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი და ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. მოცემულია საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ (როგორიცაა ევროპული სასამართლო საგანგებო მდგომარეობის დროს) ნებადართული გადახვევის ჩარჩოები და ლიმიტაცია. საერთაშორისო კრიტერიუმების შესწავლა და დამუშავება დაგვეხმარება ეროვნული სტანდარტების შესწავლასა და რეკომენდაციის შემუშავებაში.

Irakli Kobaladze

Student of Doctorate in Law

THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS AND FREEDOM IN THE STATE OF EMERGENCY

There is discussed the establishment and development phases of the international human rights law and the humanitarian law. Notwithstanding the fact, that both laws were established as independent fields, they both serve towards the protection of human rights. The article explains the operation area of the international human rights law and the humanitarian law and deliberates on the

groups of people to whom the norms set forth by the respective laws are applied. It is important to scrutinize the corpus of numerous international legal documents to minutely specify the cases of diversion from human rights protection for a nation-state in the state of emergency. The article draws its focus upon the two essential international legal documents, to which Georgia is a signatory. These documents are a) the International Pact on Civil and Political Rights (1966) and b) European Convention for the Protection of Human Rights. The discussion touches upon the frames and limitations for diversion from human rights protection for a nation-state in the state of emergency permitted by such an international control organ as the European Court. The thorough study of the international standards will assist the scrutiny of the national standards and development of recommendations for their further improvement.

Ираклий Кобаладзе,
докторант права

ПРАВО И СВОБОДА ЧЕЛОВЕКА ВО ВРЕМЯ ЧРЕЗВЫЧАЙНОГО ПОЛОЖЕНИЯ

Рассматриваются вопросы становления и этапы развития международного права прав человека и гуманитарного права. Также рассматривается вопрос сферы действия и круг лиц, на который распространяется действие этих областей. Несмотря на то что развитие этих отраслей происходило независимо друг от друга, конечная цель у них одна- это защита прав человека.

Важное значение имеет изучение многочисленной международно-правовой базы , для того чтобы установить, в каких случаях при военном положении или действии чрезвычайного положения, возможно приостановление действия прав человека со стороны государства. Объектом исследования, в данном случае, являются два важнейших международно-правовых документа, стороной которых является и Грузия. Это: а) Международный пакт о политических и гражданских правах 1966 года и б) Европейская конвенция прав человека. В статье рассматривается практика таких органов, как Европейский суд по правам человека. Изучение практики суда по данному вопросу играет важнейшую роль в деле установления границ действия и рамок допустимости ограничения действия международно-правовой нормы со стороны государства при военном или чрезвычайном положении. Изучение международных критериев поможет также при изучении существующих национальных стандартов и при подготовке соответствующих рекомендаций.

ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკებს შორეული წარსულის ისტორია აქვს. “ნარკოტიკი” ეტიმოლოგიურად სიგიჟეს, ძილს, გაშეშებას, ლტოლვას, მიღრეკილებას ნიშნავს. ნარკოტიკები, კლასიკური გაგებით, არის ნივთიერება ან ნივთიერებათა ნაზავი, რომელიც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს და რომელთა მიღებას ახლავს ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების და შესაძლოა ორგანიზმის სტრუქტურის ცვლილებაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნარკოტიკების შესახებ უძველესი დროიდანაა ცნობილი. მეცნიერთა ვარაუდით, ნარკოტიკი აღმოჩენილ იქნა სამხრეთ ევროპაში, ბოდენის ტბასთან, არქეოლოგიური გათხრებისას. ნარკოტიკების უძველესი კვალია აღმოჩენილი დღევანდელი შვეიცარიის ტერიტორიაზე. მეცნიერები თვლიან, რომ მას იყენებდნენ ქვედა მესოპოტამიის მიწებზე მცხოვრები შემერები, ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინ (ამჟამად, ეს თანამედროვე ერაყის ტერიტორიაა). ჩინელები ათასწლეულების მანძილზე ეწეოდნენ ოპიუმს სტრესის მოსახსნელად და საძილე საშუალებად; უძველესი არაბეთის მცხოვრები ამავე მიზნით მოიხმარდნენ ჰაშიშს. ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში ასევე ცნობილი იყო და ფართოდ გამოიყენებოდა ნარკოტიკები ტკივილგამაყუჩებელ ან სისუსტის საწინააღმდეგო საშუალებად.

დაპყრობითი ლაშქრობების, ხალხთა შორის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის აქტივაციამ, ყველაფერთან ერთად, ისიც განაპირობა, რომ ნარკოტიკების გამოყენების ტრადიციებმა ახალ ტერიტორიებზე შეადგიეს. მაგალითად, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ევროპელებმა გაიგეს, თუ რა იყო შორეულ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ოპიუმი და ჰაშიში. მოგვიანებით, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში, ევროპელების მიერ ახალი კონტინენტებისა და მიწების ათვისებამ ცივილიზებული სამყარო გააცნო ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს.

XX საუკუნემ კი ნარკოტიზმი აღმოაჩინა, როგორც მავნე ნიშან-თვისებების ქონე სოციალური მოვლენა.

XXI საუკუნეში კაცობრიობამ შეაბიჯა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყოველთაო პრობლემის, ნარკომანიის გავრცელების შეზღუდვის ეფექტური გზების მიებით. თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც)

ნარკომანიის პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო და ყველა სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდა.

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მოხმარება, მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური შედეგები საქართველოსთვის უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. 1990-იანი წლებიდან საქართველოში აღინიშნება ნარკომანიის ესკალაცია. ერთი მხრივ, საბჭოთა რეჟიმის დარღვევას მოჰყვა ნარკომანიასთან ბრძოლის ტოტალური, სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სისტემის დაშლა. მეორე მხრივ, ქვეყანაში განვითარებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა წარმოშვა ბევრი ფაქტორი, რომლებმაც ნარკოტიკების მოხმარების ინტენსიურ ზრდას შეუწყო ხელი. კერძოდ, დაუცველი საზღვრები, უკონტროლო ტერიტორიები, კრიმინალური სიტუაციის მკვეთრი გაუარესება, კორუფცია, რომელიც ზრდის ნარკოტიკების გავრცელების საშიშროებას და მათ ხელმისაწვდომობას.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსი, ფასეულობათა კრიზისი საზოგადოებაში, სოციალური პესიმიზმი, უმუშევრობა ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარების ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში აღინიშნება ეკონომიკის განვითარება, სამწუხაროდ, ნარკოტიკებით არალეგალური გაჭრობა და მოხმარება კვლავაც მატულობს.

ზემოაღნიშნულის გარდა, სიტუაციას უფრო ამძაფრებს საქართველოს გაოგრაფიული მდებარეობა, რაც ქვეყანას აზიიდან ევროპისაკენ ნარკოტიკების ტრანზიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტრასად აქცევს. ამ თვალსაზრისით, საქართველო მოგვევლინა იმ მარშრუტების უშუალო დამაკავშირებლად, რომელთა მეშვეობით ნარკოტიკები ავდანეთიდან და ცენტრალური აზიიდან ევროპისკენ მიედინება. აღნიშნული ნარკოტიკების ნაწილი საქართველოში რჩება და ხელს უწყობს მათი მოხმარების ზრდას ქვეყანაში.¹

საქართველოში დღეს არსებული ნარკომდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში განუხრელად იზრდება ნარკოტიკების შემოტანის, გავრცელების, გასაღების კერები და, შესაბამისად, იზრდება ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობაც.² საერთაშორისო ორგანიზაციების 2005–2006 წლების კვლევის მიხედვით, ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბით საქართველო ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი დღეისათვის, ოფიციალური

¹ www.greensparty.ge.

² www.police.ge.

მონაცემებით, 300 ათასს აღემატება. ნამდვილად არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ნარკომანთა რეალური რაოდენობა ბევრად უფრო მეტია.¹

სამწუხაროდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნარკომანია გაახალგაზრდავდა. ნარკოტიკების არასრულწლოვან მომხმარებელთა რიცხვი უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. ამჟამად, ნარკომანთა უმრავლესობა 30 წლამდე ასაკის პირია. ასაკობრივი ზღვარი განუხრელად კლებულობს და მან 13-11 წლამდე დაიწია.

საკითხები, რომლებიც ეხება დამნაშავეობასთან ბრძოლას, კერძოდ, ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვას, რეგლამენტირებულია სამართლის სხვადასხვა დარგით. სპეციფიკიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლის სამართალს, რაც იმითაა განპირობებული, რომ სისხლის სამართლის ნორმები ყველაზე მწვავედ რეაგირებს ამ ანტისოციალურ მოვლენაზე. აქედან გამომდინარე, დამნაშავეობასთან ბრძოლის სამართლებრივი რეგულირების საკითხებში დიდი როლი ენიჭება სისხლის სამართლის კანონმდებლობას და კრიმინოლოგიას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის თავიდან აცილებაში. იგი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოყვანის, დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნისათვის.²

ნარკოტიკული დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავშია მოცემული. მოიცავს 260-დან 274-ე მუხლებს. სსკ-ის ამ თავში გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მოსახლეობის (საზოგადოების) ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობა, ასევე ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბრუნვის კანონით დადგენილი წესრიგის დაცვას. ამ დანაშაულთა უმრავლესობას აქვს თავისი საგანი, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი (სსკ 260-ე, 262-ე, 266-ე, 273-ე მუხლები), ასევე ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება (სსკ 261-ე, 263-ე 264-ე) და ყალბი რეცეპტი (სსკ 267-ე, 268-ე მუხლები).

¹ www.healthministry.ge.

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. ობილისი, 1999 წლის 22 ივნისი. 2009 წლის ივლისის მდგრმარეობით.

ობიექტური მხრივ ნარკოტიკულ დანაშაულთა უმრავლესობა აქტიური ქმედებითაა ჩადენილი. ოუმცა, ზოგიერთის ჩადენა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (სსკ 269-ე და 274-ე მუხლები).

დანაშაულის სუბიექტი საერთოა (ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი), მაგრამ გვხვდება სპეციალური ამსრულებლებიც, კერძოდ, ისინი, ვინც ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას, მაგალითისათვის სსკ 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის “გ” პუნქტი.

სუბიექტური მხრივ ნარკოტიკულ დანაშაულთა უმრავლესობა განზრახია. იშვიათ შემთხვევაში ნარკოტიკულ დანაშაულთა ჩადენა შეიძლება გაუფრთხილებლობითაც (სსკ 269-ე, 270-ე მუხლები).

საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც ძირითადად რეგულირდება ნარკოტიკებთან დაკავშირებული ურთიერთობები მოიცავს: საქართველოს კანონს “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”, “ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ”, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსებს. არსებობს ასევე არაერთი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ: გაეროს 1961 წლის კონვენცია “ნარკოტიკული საშუალებების შესახებ”, გაეროს 1988 წლის კონვენცია “ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” და სხვ.¹

მიუხედავად ნარკოტიკული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა სიმრავლისა, პრობლემის საკანონმდებლო მოწესრიგების საკითხი დია რჩება და არსებული რეალობის გათვალისწინებით გარკვეული კორექტირების შეტანას მოითხოვს. მაგალითისათვის განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ნორმა, რომელიც ნარკოტიკულ დანაშაულს ეხება.

უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი, რომელშიც რეგლამენტირებულია შემდეგი: “პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე რაოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ისჯება ჯარიმით ან

¹ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I. თბილისი: მერიდიანი, 2006 წ. გვ. 599, გვ. 600.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ასოთხმოც საათამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

შენიშვნა. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ უნდა იყოს ამ ქმედებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ჯარიმის ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები”.

როგორც ვხედავთ, ნარკოტიკების მოხმარებისათვის პირს თავდაპირველად ეკისრება ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით,¹ ხოლო შემდგომში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და, უმრავლეს შემთხვევაში, როგორც ამას სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს თავისუფლების აღკვეთაა. აქედან გამომდინარე, ხშირად სანქციის ამგვარი ფორმა ეკისრება ისეთ პირებს, რომელებიც არ არიან ნარკოტიკების სისტემატური მომხმარებლები, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ნარკოტიკების მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დამოკიდებულება და მათი ყოველდღიური ქცევა არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას.

სიტუაციის ანალიზს მეტად აქტუალურ საკითხამდე მივყავართ, კერძოდ, ვეჯახებით პრობლემას, რომ კანონის საფუძველზე სამართლიანად როდი ხდება ნარკოტიკების მომხმარებელთა პირობით კატეგორიებად დაყოფა და, აქედან გამომდინარე, მათთვის შესაბამისი სახდელის ან სანქციის მართებულად დაკისრება. დღევანდელი კანონმდებლობის შესაბამისად, ნარკოტიკების ყველა მომხმარებლის მიმართ ხორციელდება თანაბარი საკანონმდებლო ზემოქმედება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად საშიშია იგი საზოგადოებისათვის ან/და არის თუ არა პირი ნარკოტიკების იშვიათი მომხმარებელი, ნარკოტიკებზე დამოკიდებული თუ მათი სისტემურად მომხმარებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ აუცილებელია, საქართველოს ნარკოვითარების გათვალისწინებით, საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ნარკოტიკების მომხმარებელთა კატეგორიებად დაყოფა და მათზე შესაბამისი ზემოქმედების ზომების განხორციელება. ვფიქრობ, საკითხისადმი ამგვარი მიღვომა ნაწილობრივ მაინც გამოსაწორებს ნარკოვითარებას.

ასევე, გამოვდივარ ინიციატივით, რომ სსკ-ის 273-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და გაუქმდებულ იქნეს სასჯელის სახე – თავისუფლების აღკვეთა. ინიციატივას ზურგს უმაგრებს ფაქტი, რომლის მიხედვითაც, ნარკოტიკების მომხმარებლისათვის თავისუფლების აღკვეთით არ მიიღწევა მთავარი მიზანი, მისი

¹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი. 2008 წლის 10 იანვრის მდგრმარებით.

ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებისათვის ნარკომანთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსება არ ამცირებს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობას. მეორე მხრივ, სტატისტიკური მონაცემებით ჩანს, რომ თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ნარკოტიკების იშვიათად თუ ხშირად მომხმარებლები არა თუ არ ამბობენ უარს მათ მოხმარებაზე, არამედ პირიქით, გათავისუფლების შემთხვევაში, სჩადიან სხვადასხვა დანაშაულს.

სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე¹, მიზანშეწონილად მიმართია ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ ფართოდ იქნეს გამოყენებული სანქციის ალტერნატიული სახე – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.² მაგალითად, სანქციის სახით შერჩეულ იქნეს უსასყიდლოდ, დასუფთავების სამსახურში დასაქმება. შეგვიძლია ალბათობის მაღალი ხარისხით ვივარაუდოთ, რომ სანქციის ეს ფორმა ნარკოტიკების მომხმარებლისათვის უფრო სათაკილო, სასირცხვილო და მტკიცნეულად აღსაქმელია, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენება მეტად ეფექტური იქნებოდა ნარკოტიკების მომხმარებლებთან (განსაკუთრებით დამწყებისთვის) საბრძოლველად და მათი რაოდენობის შესამცირებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არსებობს საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ნარკომანიის გავრცელების თავიდან აცილებას, კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვას ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების პრევენციას.

ამ კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს 3 წლით ჩამოერთმევა:

- ა) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;
- ბ) საექიმო საქმიანობის უფლება;
- გ) საადვოკატო საქმიანობის უფლება;
- დ) პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება;
- ე) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება;
- ვ) პასიური საარჩევნო უფლება;
- ზ) იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

მიუხედავად კანონით

¹ სსკ. თავი X, მუხლი 39.

² სსკ. თავი X, მუხლი 44.

დაწესებული შეზღუდვების სიმრავლისა, ნარკოტიკული დანაშაულის მაჩვენებლები რაოდენობრივად მაინც განიცდის ზრდას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ საქართველოს კანონს “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” დაემატოს კიდევ ერთი შეზღუდვა – პირისათვის პირადობის მოწმობის ჩამორთმევა. აღნიშნული შეზღუდვა, ჩემი აზრით, კანონის ეფექტიანობას ერთიორად გაზრდის და ხელს შეუწყობს ნარკოტიკების მომხმარებელთა შემცირებას, ვინაიდან დღეს მოქმედი შეზღუდვები სრულად ვერ მოიცავს იმ პირთა წრეს, რომლებზეც ამ კანონის კონკრეტული ნორმები შეიძლება გავრცელდეს. მაგალითად, პირი არ მუშაობს სახელმწიფო და ადგილობრივი ოფიციალური სახაზინო დაწესებულებებში, არ ეწევა საადვოკატო საქმიანობას, ასევე არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება და ა.შ. პირადობის მოწმობის ჩამორთმევით კი ნარკოტიკების ნებისმიერი მომხმარებელი ყოველდღიურად წააწყდება შეზღუდვებს და მოუწევს საკუთარ საქციელზე დაფიქრება, ვინაიდან პირადობის მოწმობის გარეშე მათ გაუჭირდება ურთიერთობა სახელმწიფო სამსახურებთან, საბანკო სფეროსთან, გაუჭირდება შეიძინოს ან გაყიდოს მასზე რეგისტრირებული ქონება და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ნარკომანიასთან ბრძოლის წინააღმდეგ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. აქვე კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მხოლოდ კანონის გამკაცრება არ იძლევა სასურველ შედეგს. მიზნის მისაღწევად საჭიროა ლიბერალური პოლიტიკის გატარება, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ძალზე შრომატევადი, რთული და მასიურია, თუმცა უკიდურესად საჭირო. ამგვარი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების აუცილებლობით, ვინაიდან დღეისათვის არსებული საკანონმდებლო ბაზა ამ მხრივ არასაკმარისად ეფექტიანია და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს ადეკვატურ პასუხს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულის ჩადენაზე.

კარლო სუხიტაშვილი
სამართლის ბაკალავრი

ნარკოტიკული დანაშაული

განხილულია ნარკომანიის ისტორიული გენეზისი, მისი წარმოშობა და განვითარება საქართველოში, მისი გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები, საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე ნარკომანიასთან ბრძოლისა და პრობლემის გადაჭრის რაციონალური მეთოდები და ხერხები.

Karlo Sukhitashvili
The bachelor of law

DRUG CRIME

This article concerns historical genesis of narcomania, its origin and development in Georgia; factors promoting its spreading; also hindrances in the legislation at struggle against drugs and progressive methods and ways of the problem solution.

Карло Сухиташвили
бакалавр права

ПРЕСТУПЛЕНИЯ, СВЯЗАННЫЕ С НАРКОТИКАМИ

Статья касается исторического генезиса наркомании, её происхождения и развития в Грузии; факторов способствующих её распространению; также помех в законодательстве в борьбе с наркоманией и рациональных методов и способов решения проблемы.

ქურდული სამყაროს წევრობა კანონიერი ქურდობა

სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში სსკ) 223¹ მუხლი (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა) ახალი ნორმაა ქართულ კანონმდებლობაში. იმისთვის, რომ განვიხილოთ ეს მუხლი (რომლითაც რამდენიმე ათეული ადამიანი გაასამართლეს), ლოგიკურია, მოკლედ გადავავლოთ თვალი ქურდული სამყაროს წარმოშობას და მის შემდგომ განვითარებას. განვსაზღვროთ, რაში მდგომარეობს „ქურდული სამყაროს“ არსი.

ადსანიშნავია, რომ იგი თავდაპირველად სახელმწიფომ შექმნა საკუთარი ინტერესების და მიზნების განსახორციელებლად, მოგვიანებით კი ეს მცდარი გადაწყვეტილება მწარედ იწვნია საკუთარ თავზე. ყოფილმა საბჭოთა კავშირმა თავადვე დააფუძნა ე.წ. „ქურდული სამყარო“, რომელსაც საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ იყენებდა. სწორედ მან წარმოშვა „კანონიერი ქურდის“ მოდელი. იგი ერთხანს საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა მაშინ არსებული ხელისუფლების სასარგებლოდ და რეალურად ამართლებდა იმ მიზანს, რისთვისაც შეიქმნა. სულ ცოტა ხანში კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რადგან თავად ქურდებმა გადაწყვიტეს თუ ვის და რა საქმეს „მოქმედსახურებოდა“ მათი ავტორიტეტული „ქურდული კლანი“, რაც საბჭოთა კავშირის (ამ შემთხვევაში დამკვეთის) ინტერესებს სცდებოდა. სახელმწიფომ საკუთარი ინიციატივით ჩამოყალიბებულ კლანს ბრძოლა თავადვე გამოუცხადა, თუმცა უშედეგოდ. ხალხში „ქურდული სამყაროს“ ავტორიტეტი, მისდამი პატივისცემა, მორჩილება და ნდობა გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე სახელმწიფოს რომელიმე ორგანოსი (ან თუნდაც მთლიანად სახელმწიფოსი).

ნათქვამია, დამნაშავეობა საზოგადოების ერთგვარი სარკეო, რადგან რეალურად ასახავს იმ მოვლენებს, რაც ქვეყანაში ხდება. „ქურდულმა სამყარომ“ იმდენად გაიდგა ფესვები, რომ, მიუხედავად მისდამი უკომპრომისო ბრძოლისა, კრიმინალური ავტორიტეტის დაკავებისა, მალოვანი სტრუქტურების მიერ ამ სამყაროს იდეოლოგიის გაშიფრისა, იგი მაინც არსებობს და დიდი პოპულარულობით სარგებლობს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. სახელმწიფო ქურდული სამყაროს მიმდევრებს თითქმის აკონტროლებს, მაგრამ იყო დრო, როდესაც „კანონიერი ქურდები“ თავად აწესებდნენ კონტროლს სახელმწიფოზე. ეს

იყო დამნაშავეობის სამყარო, სახელმწიფო სახელმწიფო ში, რომლის ძალაუფლების სფეროები სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.¹

საინტერესოა, რაში დასჭირდა საბჭოთა რესპუბლიკას „პანონიერი ქურდის“ შექმნა, რის საფუძველზე ხდებოდა მსგავსი ტიტულის მინიჭება. ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე მრავალი ციხე იყო, რომლებიც მეტ-ნაკლებად კონტროლდებოდა. კონტროლი მხოლოდ დაკავებულის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფასა და მათთვის საკნების გამოყოფაში არ გამოიხატება. რა იდეალურ პირობებშიც უნდა იყოს პატიმარი, თუ ციხეში არ არის სიმკაცრე და დისციპლინა, ყოველთვის იქნება ბუნტის, კრიმინალური გარჩევების და შიგა დაპირისპირების რეალური საშიშროება. „პანონიერი ქურდის“ მეშვეობით კი ციხის აღმინისტრაცია ახერხებდა არსებული დავების, უთანხმოებების აღმოფხვრას. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოეთმა ეს ფენომენი შექმნა, რათა პქონოდა სიმშვიდის დამატებითი გარანტია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელ მოვლენას ექნებოდა ადგილი „ქურდის“ მეშვეობით შეძლებდა მის მოგვარებას. შესაბამისად ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც პატიმრების გარკვეულ ნაწილს კურირებდა („უყურებდა“), გაცილებით უკეთეს პირობებში იხდიდა სასჯელს, ვიდრე სხვა დანარჩენი. ეს ბუნებრივია, რამდენადაც კრიმინალური ავტორიტეტები და ციხის აღმინისტრაცია „ანგარიშვალდებულნი“ იყვნენ ერთმანეთთან.

ვინ არის „პანონიერი ქურდი“ და ზოგადად რა ფენომენთან გვაქვს საქმე?

პანონიერი ქურდი იბადება კრიმინალური სამყაროს წიაღში და ბოლომდე ჭიდრო კავშირს ინარჩუნებს მასთან, რადგან კრიმინალური საქმიანობის ორგანიზაციია, მაგრამ ამავდროულად სამოქალაქო ფუნქციების მატარებელიც.²

პანონიერი ქურდების მასშტაბები, თავისი განვითარების პიქზე, საქმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა: 14–15 წლის ასაკიდან დაწყებული, თითქმის ყველა თაობა, რაიმე გამწვავებული კონფლიქტის შემთხვევაში, მტკუან-მართლის გასარჩევად „ქურდს“ მიმართავდა. მათ მიერ გამოტანილი განაჩენი კი კასაციას არ ექვემდებარებოდა. თუ მაინც შეიცვლებოდა იგი, მაშინ პირველი ინსტანციის „ქურდი“ დისკრედიტირებული ანუ „გაფუჭებული“ ხდებოდა, მისი რეაბილიტაცია კი გამორიცხული იყო.

როგორც უკვე ითქვა, ქურდის ფენომენი წარმოიშვა და განვითარდა ყოფილ საბჭოთა კავშირში, მისი შექმნის ადრეულ ეტაპზე. იგი ჩამოყალიბდა გ.წ. გულაგის არქიპელაგზე, CCCP-ის საკონცენტრაციო ბანაკებში. „პანონიერი ქურდების“

¹ გიორგი პოდლეხსკისი, ანდრეი ტერეშონკი. პანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისაკენ. ბათუმი, 1995 წ.

² http://ka.wikipedia.org/wiki/პანონიერი_ქურდის_მიხედვით.

ინსტიტუტი, როგორც თავდაპირველი იდეის მატარებელი, მუდმივად ვითარდებოდა და პიქს 1980-იანი წლების დასაწყისში მიაღწია. იმ დროისათვის მან სხვადასხვა ფორმით საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში შეაღწია, რის შედეგადაც თანდათან ბანალურ-კრიმინალური ჯგუფის მეთაურად გარდაიქმნა. უფრო კონკრეტულად კი „კანონიერი ქურდი“ არის დამნაშავეობის სამყაროდან გამოსული ავტორიტეტი, რომელმაც გაიარა „კურთხევის“ (ნათლობის) პროცედურა და რომელიც ცნეს კოლეგად ამ სამყაროს დანარჩენმა ლიდერებმა. „კურთხევის“ შემდეგ დამნაშავეს იღებენ თავიანთ ერთობაში და ანიჭებენ ქურდის ყველა უფლებას. ისინი მიმოიხილავენ კანდიდატის („მომავალის“) განვლილ კრიმინალურ გზას, მის მიერ გაკეთებულ საქმეებს, საუბრობენ, თუ როდის და რით გამოიჩინა თავი, რა გააქეთა ქურდული სამყაროსათვის. რწმუნდებიან, რომ არის მათი ტრადიციების ერთგული.

პირის ქურდად აღიარება დანარჩენი ქურდების მიერ ხდება კრებაზე ე.წ. „სხადნიაკზე“. ამისათვის იგი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ პირობებს. კანდიდატურის არჩევისას უმთავრესი ყურადღება ექცევა იმას, ხომ არ ყოფილა იგი შემჩნეული სამართალდამცველებთან თანამშრომლობაში, ხომ არ უმუშავია სახელმწიფო ორგანოებში. არკვევენ, რომ შეუძლია ახალი შემოსავლის წეაროების ორგანიზება, აქვს თანამოაზრეთა შორის აბსოლუტური ავტორიტეტი და ძალუბს დავების და გარჩევების „სამართლიანად“ გადაწყვეტა (ქურდულ კანონებზე დაყრდნობით). პირის ქურდად კურთხევის ინფორმაცია ე.წ. „ქურდული ფოსტით“ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იგზავნება.

არის რამდენიმე ძირითადი და განსაკუთრებული რამ ქურდების ქცევაში რაც მათ სხვებისგან გამოარჩევს:¹

1. ხალხის თვალში ქურდი გმირი უნდა იყოს. გამბედავი, მკაცრი, თავის ძალებში დარწმუნებული. ის, ვინც ერთხელ მაინც შეცდება და სისუსტეს გამოიჩინს, ქურდი აღარაა! „კანონიერი ქურდი“ წინდახედული და ანგარიშიანია, ვინაიდან გარემომცველ სამყაროსთან მუდმივ კონფლიქტში იმყოფება.

2. ქურდი, როგორც წესი, ყველაფერს აკეთებს სხვისი ხელით. იგი პირადად არ მონაწილეობს აქციებში, რათა არ შეურაცხყოს ქურდული წოდების „დირსება“. სწორედ ამით აიხსნება, მათ გარშემო თავმოყრილ დამნაშავეთა ფენიდან გამოსულ აღმსრულებელთა სიმრავლე.

¹ გიორგი პოდლეხვაძისი, ანდრეი ტერეშონოვი. კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისაკენ. ბათუმი, 1995 წ. (კანონიერ ქურდთა მოქმედების თავისებურებანი. დანართი, გვ. 168-169).

3. არც ერთი პოლიტიკური რეჟიმის დროს ქურდი არ ემსახურება სახელმწიფოს. ამიტომ, მას არ შეუძლია ითანამშრომლოს არც თავის და არც უცხო ქვეყნის სამსახურებთან. თუ იძულებით აღმოჩნდება მსგავს კონტაქტში, მან უნდა დაიჭიროს დამნაშავეთა მხარე.

4. ქურდი, გარემოებიდან გამომდინარე, სწრაფად იცვლის ტაქტიკას ანუ აქვს შემგუებლობის დიდი უნარი. კრიმინალურ ავტორიტეტს მუდამ უნდა ჰქონდეს უახლესი ინფორმაციები არსებული მდგომარეობისა და სიტუაციის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავს იმ მოვლენების მართვის უნარს, რომლებიც მიმდინარეობს დამნაშავეთა სფეროში. შესაბამისად, შესუსტდება მისი გავლენა „საძმოში.“

5. ურთიერთპატივისცემა და თანადგომა აუცილებელია, რადგან ქურდები ურთმანეთთან მიმართებაში თანასწორნი არიან. ვინც ამ წესს არ დაიცავს, მკაცრად დაისჯება. ამიტომ თავს იკავებენ შიგა კონფლიქტებისგან, ცდილობენ, არ დასცენ თანამოაზრეთა ავტორიტეტი.

6. ქურდები მკაცრად უსწორდებიან განდგომილთ, მათ კანონებზე უარის თქმა დალატის ტოლფასია, შესაბამისად, სასჯელიც მკაცრია - სიკვდილი!

7. კანონიერ ქურდს არ უნდა ჰქონდეს არავითარი ვალდებულებები, სოციალური კავშირები. იგი არ უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებრივი ინსტიტუტების საქმიანობაში, არ უნდა ზრუნავდეს მათ კეთილდღეობასა და განმტკიცებაზე.

აღსანიშნავია ქურდული სამყაროს დოგმატური წესების „დამთხვევა“ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ რელიგიასთან. შეუძლებელია ეს შემთხვევითი იყოს. ალბათ, თავის დროზე ამ იდეოლოგიის შემქმნელებმა გათვალეს და ამით კიდევ უფრო „გააბუნებრივეს“ ეს დანაშაულებრივი მოვლენა. თვალსაჩინოებისთვის ჩამოვთვლი რამდენიმეს:

1. ნათლობა მართლმადიდებლურ რელიგიაში უმნიშვნელოვანები მოვლენაა. თუ ადამიანი მოუნათლავია, მას ეკრძალება საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა. ნათლობამდე კი ხდება გარკვეული საფეხურების გავლა, რათა ადამიანი მოემზადოს ამ უდიდესი მადლის მისაღებად.

ქურდულ სამყაროშიც „ნათლავენ“ კანდიდატს. ამის შემდეგ ანიჭებენ უფლებებს. მანამდე კი „მომავალი“ კანდიდატი გადის მოსამზადებელ გზას, რომელიც მოიცავს მის კრიმინალურ წარსულს, ქურდული სამყაროს იდეოლოგიის გაზიარებას, დანაშაულებრივ წრეში ავტორიტეტიდ ცნობას, საერთოს ფულის - „ობშიაკის“ შეგროვებას.

2. „ობშიაკი“ („საერთო“) ქურდული სამყაროს წევრების ძირითადი შემოსავალია ანუ ის ხალხის მიერ გადებული ერთგვარი „შემოწირულობაა.“ „საერთოს“ აკრეფა და მისი ზონაზე ქურდებთან შეგზავნა პრიორიტეტით ითვლება და ძალზე პოპულარულია იმ პირებისთვის, რომლებიც აღიარებენ ქურდულ კანონებს ან მომავალში აპირებენ ამ დანაშაულებრივ სამყაროში მოღვაწეობას. თუ კვლავ რელიგიასთან გავავლებთ პარალელს, ვნახავთ, რომ ტაძრების და, ზოგადად, სასულიერო პირების ძირითადი შემოსავალი მხოლოდ ხალხის კეთილი ნებით შეწირული მცირედი თანხაა.

3. ქურდის ადგილი ციხეა, სასულიერო პირისა კი – მონასტერი. ქურდი თავის და სხვის ცხოვრებას საკუთარი „დაუწერელი კანონის“ მეშვეობით არეგულირებს. მდვდელიც მხოლოდ კანონებს ემორჩილება. რასაკვირველია, ეს კანონი, ქურდულისაგან განსხვავებით, წმიდათაწმინდა შეუცვლელი და შეუბდალავია.

4. მორჩილს ბერად კურთხევისას სახელი ეცვლება. ასევე ქურდიც. მას არქმევენ მეტსახელს („კლიჩკას“), რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ატარებს. როგორც მართლმადიდებლურ რელიგიაში, ქურდულ სამყაროშიც (გაცილებით პრიმიტიულად, მაგრამ მაინც) არსებობს ერთგვარი იერარქიული დაყოფა... ფაქტია, რომ დამახინჯებულად და გაუძუღმართებულად, ძალიან ბევრი რამ აქვთ გადმოღებული და მოპარული მათ ეკლესიიდან.

„კანონიერი ქურდი“, როგორც ქურდული სამყაროს წევრი, დიდ საშიშროებას და პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის. თავდაპირველად ქვეყანა ასე თუ ისე ახერხებდა მათთან გამკლავებას. სამართალდამცველები უშედეგოდ, მაგრამ მაინც ებრძოდნენ ამ სამყაროს. შემდგომ კი ყველანაირმა ბრძოლამ აზრი დაკარგა, რადგან საზოგადოების უდიდეს ნაწილს მყარად ჰქონდა შესისხლხორცებული ქურდული კანონები, მათი მენტალიტეტი და იდეოლოგია. ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის, რადგანაც „კანონიერი ქურდი“ იყო ყველგან, ჰყავდა თავის „წარმომადგენელი“ ხელისუფლების ყველა სტრუქტურაში (მათ შორის, სამართალდამცველ ორგანოებში). შესაბამისად, დანაშაულებრივი სამყაროს „იურისდიქცია“ დიდ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა. ადამიანი, განურჩევლად თავისი პროფესიას, აღიარებდა მათ და ნებისმიერ დაგას „ქურდული კანონებით“ აგვარებდა, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნდა. სახელმწიფოს მხრიდან საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება, აქტიური და ეფექტური მოქმედება.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (28.IV.2006), რის შედეგადაც მოხდა ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდების კრიმინალიზაცია. 223¹ მუხლი დღემდე მოქმედებს და ორი ნაწილისგან შედგება: I. ქურდული სამყაროს

წევრობა; II. კანონიერი ქურდობა, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

1. ქურდული სამყაროს წევრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით გადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან ჯარიმის გარეშე.
2. კანონიერი ქურდობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით გადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან ჯარიმის გარეშე.

აღნიშნული კანონის საფუძველზე დღემდე არაერთი ადამიანი გაასამართლეს. ამგვარ ბედს გაიზიარებს ყველა, რომელიც აღიარებს „კანონიერ ქურდობას“ ან თუ დაუმტკიცებენ „ქურდული სამყაროს წევრობას“. ერთი შეხედვით გაუმჯობესდა მდგომარეობა, რადგან 223¹ მუხლზე დაყრდნობით მოხერხდა დანაშაულებრივ სამყაროს ლიდერთა უმეტესი ნაწილის საზოგადოებისგან განცალკევება. შესაბამისად, სახელმწიფო მეტად არის დაცული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისგან, მაგრამ თუ ამჟამინდელ მდგომარეობას გადახედავთ და დღეს არსებულ რეალობას შევაფასებთ, დავინახავთ, რომ ეს „ავაქტური“ ბრძოლა გაუმართდებელი და მეტიც – უკანონო! ქვეყანამ მართალია, შეძლო დანაშაულებრივი სამყაროს მთავარი ბირთვის იზოლირება, მაგრამ ქურდული „მრწამსის“ მიმდევრები დღევანდელ დღესაც ძალზე ბევრია. ფაქტია რომ, დღეს მოზარდები კონფლიქტს აგვარებენ ე.წ. ქურდული წესებით, რომლებიც წინა თაობებისგან მემკვიდრეობით მიიღეს და წარმატებით გაითავისეს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა: „სანამ მე საქართველოს პრეზიდენტი ვარ, ქურდები საქართველოში ვეღარ გაიჯეჯილებენ, ქურდებს დავანგრევთ, როგორც კლასს და ვეღარასოდეს ვეღარ აღორძინდებიან, ამოვძირკვავთ ბოლომდე თავის ფესვებიანად.“

კანონპროექტის განხილვისას კი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჭაშვილმა თქვა: „ეს არის პოლიტიკური აქტი, რომლითაც სახელმწიფო ბრძოლას უცხადებს ქურდულ სამყაროს, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ნამდვილად დიდი გავლენა აქვს“.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 92-მა დეპუტატმა 4-ის წინააღმდეგ პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ პრეზიდენტის ინიცირებულ კანონპროექტს, რომელიც ქურდულ სამყაროს-თან ბრძოლასა და რეკეტის გზით შეძენილ ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებდა.

საინტერესოა, რამდენად კანონიერად ხდება „პოლიტიკური აქტით“ ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა, რათა ვეღარ „გაიჯეჭილონ“ ჩეგნ ქვეყანაში. სახელმწიფო დაინახა თუ რამხელა პრობლემა დგას მათ წინაშე ქურდული სამყაროს სახით. მან მართლა გამოუცხადა ბრძოლა ქურდულ სამყაროს. დღესდღეობით საკნები სავსეა ამ მუხლით გასამართლებული ადამიანებით, მაგრამ ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად საზოგადოებას მხოლოდ მმართველი (კრიმინალური ავტორიტეტი) მოაკლდა. უხეშ, მაგრამ მკაფიო შედარებას გავაკეთებ: ეს იგივეა, დააპატიმრო მდვდელი თავისი მრწამსის გამო და გამოკეტო ციხეში, რითაც მრევლს წინამდოლი დაკლდება და მოძვრის გარეშე მაინც გააგრძელებს ცხოვრებას იმ ღირებულებებით და იდეალებით, რაც მის აღმსარებლობას ჰქონდა... 223¹ მუხლზე დაყრდნობით, ხელისუფლება ახერხებს საზოგადოების დაცვას დანაშაულებრივი კლანისგან (უფრო სწორად, მათი ხელმძღვანელებისგან), მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად სამართლიანად მიმდინარეობს ზემოხსენებული უკომპრომისო ბრძოლა.

2005 წლის 20 დეკემბრის კანონის (კანონი ორგანიზებული დანაშაულის და რეკუტის შესახებ) მე-3 მუხლის თანხმად, ქურდული სამყარო არის პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი (ან აღიარებული) წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულისკენ წაქეზებით მისი წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღება.

რეკეტის შესახებ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ქურდული გარჩევა ნიშნავს ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტას, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება. მუქარის და იძულების არსი მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე და სსკ 151-ე მუხლებში. დაშინება კი მოიცავს ნებისმიერ ხერხსა და მეთოდს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ადამიანის ფსიქიკაზე (გარდა სსკ-ის 151-ე მუხლში ნაგულისხმევისა). რაც შეეხება დუმილის პირობას, იგი სსკ-ში განმარტებული არაა. მასში ნაგულისხმევია ისეთი შემთხვევა, როდესაც ქურდული სამყაროს წევრი იდებს გარკვეულ სარგებელს კონკრეტულ ვითარებასა ან საქმეზე დუმილის სანაცვლოდ.

223¹ მუხლის I ნაწილი ორობიერებიანია, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

I. პირმა უნდა აღიაროს ამ სამყაროს მიერ დადგენილი წესები, ტრადიციები, მიზნები ანუ ზოგადად ქურდული სამყარო;

II. პირმა უნდა იმოქმედოს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

სუბიექტური მხრივ, 223¹ მუხლი განზრას დანაშაულია, მისი ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ადამიანს გათვითცნობიერებული აქვს, რომ აღიარებს ქურდულ (დანაშაულებრივ) სამყაროს და ასევე აცნობიერებს, რომ ჩადის სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს. ქურდული სამყაროს წევრი (ამსრულებელი) შეიძლება იქოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, რომლის მოქმედება შეესაბამება ეწ. „ქურდულ წესებს“. საინტერესოა, სასამართლო რასთან ავლებს პარალელს ან რას ეყრდნობა, როდესაც სურს გაარკვიოს, პირი მოქმედებდა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში „ქურდული კანონების“ შესაბამისად. სასამართლოს, რასაპირველია, რაიმე სპეციალური წესები არ გააჩნია და მის მოსაპოვებლად არც განსასჯელის ჩვენება, არც მოწმეთა აზრი არ გამოდგება, ვინაიდან „კანონიერი ქურდები“ მოქმედებენ იმ „დაუწერელ კანონებზე“ დაყრდნობით, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება, იხვეწება და სულ უფრო მჭიდროდ ერგება ქვეყანაში არსებულ ამა თუ იმ ვითარებასა და რეჟიმს. ქურდული სამყაროს წევრს, ავტორიტეტულობიდან გამომდინარე, ადგილის დამკვიდრება ნამდვილად არ უჭირს, იგი ხალხში თითქმის ყოველთვის „სათანადო“ სიმაღლეზე დგას. ნაწილი საზოგადოებისა გულრწყელად, ზოგიც შანტაჟის, დაშინების ან მუქარის გზით აღიარებს „ქურდის“ ერთპიროვნულ ავტორიტეტს. იგი ხელშეუხებელია, მისი სიტყვა კი – კანონი!

სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი გასული ათწლეულებიდან მოყოლებული დღემდე აფასებს დანაშაულებრივი სამყაროდან გამოსული „სიმართლის მამების თავდაუზოგავ შრომასა და ღვაწლს“. ახალგაზრდობა „კანონიერი ქურდების“ მაგალითზე იზრდება და მათი მიბაძვით, ბუნებრივია, კრიმინალურ გზას ადგება. უდავოა, რომ ბრძოლა მათ წინააღმდეგ საჭიროა, მაგრამ უკანონობასთან უკანონობით დაპირისპირება სისულელეა. დღეს სასამართლო ნამდვილად ჩიხშია შესული, რადგან ფაქტობრივად მისოვის არარსებულ და მიუწვდომელ „ქურდულ წესებს“ უფარდებს ამა თუ იმ განსასჯელის ქმედებას. შეუძლებელია მოიპოვო რაიმე „ქურდული წესები“, რომლებიც ამ კლანის შექმნიდან დღემდე რამდენჯერმე შეიცვალა და მომავალშიც შეიტანეს „ავტორიტეტები“ მათში გარკვეულ ცვლილებებს.

როდესაც ქურდული სამყაროს წევრი ჩაიდენს რომელიმე კონკრეტულ დანაშაულს, ამ სამყაროს მიზნის განსახორციელებლად, ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით. დანაშაული დამთავრებულად ითვლება ქურდული

სამყაროს აღიარებასთან ერთად ერთ-ერთი ქმედების ჩადენისთანავე. მნიშვნელობა არ აქვს მიაღწია თუ არა ამ პირმა მიზანს ანუ მიიღო თუ არა სარგებელი.¹ მაგალითად, გაქურდავს ბინას ან ბანკს, ქმედება კვალიფიცირდება როგორც სსტის 177-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ბ“ პუნქტით **ქურდობა, ე. ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საღვამში ან საცავში უკანონო შეღწევით), ასევე 223¹ მუხლის I ნაწილით, ვინაიდან ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი გამოხატულია ქურდობის ჩადენაში ანუ ადგილი აქვს აქტიურ მოქმედებას (ქურდული სამყაროს მიზნების მისაღწევად). საკითხის ამგვარი გადაწყვეტა აღოგიურია, რადგან გამოდის, რომ პირის ერთსა და იმავე ქმედებას ორჯერ ეძლევა სამართლებრივი შეფასება (177-ე პ. II ნაწ. „ბ“ პ. + 223¹ პ. I ნაწ.), რაც უხეშად აღღვევს ადამიანის უფლებებს.**

223¹ მუხლის მე-2 ნაწილის ნაკლოვანებების აღნიშვნამდე, უმჯობესია 224¹ მუხლთან პარალელის გავლება (**რეკუტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა**)², რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში ასევე ნოვაციას წარმოადგენს. „რეკეტი“ კანონმდებლობაში 2004 წლიდან დამკვიდრდა, შესაბამისად, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობდა ამ სიტყვის განმარტება. ზოგადად, რეკეტი გამოძალვას ნიშნავს, მაგრამ ჩვენი კანონმდებლები მას ამ კონტექსტში არ განიხილავენ. როგორც აღვნიშნეთ, 2005 წლის 20 დეკემბერს ამოქმედდა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, რეკეტირის მიმართ მთელი რიგი შეზღუდვები იქნა გათვალისწინებული, ხოლო 2006 წლის 25 ივნისის კანონით სსკ-ის კერძო ნაწილს დაემატა **224¹ მუხლი – რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა**. რომლის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება. სახეზე გვაქვს დანაშაულის ფორმალური შედგენილობა. ობიექტური მხრივ, იგი მოქმედებაში გამოიხატება და დანაშაულის დამთავრებულად ცნობის-თვის მძიმე შედეგის დადგომა სავალდებულო არ არის.

აუცილებელია **სსკ-ის 17¹ მუხლის განხილვაც** (**რეკეტი, რეკუტული დაჯგუფება, რეკეტირი**), სადაც განმარტებულია რეკეტის არსი, თუმცა მოქმედი ანტირეკეტული ნორმები ფაქტობრივად უსარგებლოა, რამდენადაც წლების განმაფლობაში სასამართლო წარმოებაში რეკეტიან დაკავშირებული სისხლის სამარ-

¹ აგტორთა კოლექტივის მიხედვით (ობილისი, III გამოცემა 2008წ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თავი XIII).

² გ. გორაშვილი. ქართული ანტირეკეტული კანონმდებლობის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შედარებით – სამართლებრივი საფუძველი (საქართველოს უზენაესი სასამართლო – „მართლმსაჯულება“ (2007წ. №3)).

თლის საქმეები არ განხილულა. აღსანიშნავია ის „უჩვეულო მოვლენა, რაც მოჰყვა 223¹ და 224¹ მუხლების შემოღებას. ქართულ სისხლის სამართალში დამკვიდრდა პასუხისმგებლობა პირის საშიში მდგომარეობისთვის. იმისათვის რომ, სსკ-ის ურთიანობის რღვევა რომ არ გამოწვეულიყო, ზოგად ნაწილში დადგენილი ცნების საფუძველზე (სსკ-117¹) შეიქმნა კერძო ნაწილში აღწერილი დანაშაულის დისკონტიცია. სსკ-224¹ - გადმოღებულია 1970 წელს ამერიკაში მიღებული კანონიდან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ანუ “RICO-ACT” (Racketeering influenced and corrupt organizations act), რომლის ძირითად მიზანს მაფიის და „ნათლიმამების“ წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა: „ეონგრესი აღგენს, რომ ორგანიზებული დანაშაულებრიობა შეერთებულ შტატებში არის მუტად რთული, მრავალფეროვანი და ფართოდ გავრცელებული მოვლენა. ყოველწლიურად მრავალი მიღიარდი დოლარით ზარალობს ამერიკის ეკონომიკა უკანონო ძალადობის, თაღლითობისა და კორუფციის შედეგად“.

აშშ-ში „რიკოს“ მიღება მიზნად ისახავდა ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლას. ანალოგიური მიზანი ჰქონდა ქართველ კანონმდებელსაც, რომელმაც 2004 წელს სსკ-ში შეიტანა ანტირეკეტული ნორმა, 2005 წელს კი შექმნა სპეციალური კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ მის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ „ამ კანონის მიზანია ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულის, ქურდული სამყაროსა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლას და თავიდან აცილებას“. „რიკო“-ს დახმარებით, აშშ-ში ბრალდების მხარეს შესაძლებლობა აქვს წარმოადგინოს დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობის სრულყოფილი სურათი ანუ შესაძლებელია პირს დაუდგინდეს დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც მან ჩაიდინა მთელი ცხოვრების მანძილზე (ნაცვლად რომელიმე კონკრეტული დანაშაულებრივი აქტის მტკიცებისა). მიუხედავად ამისა, ამერიკული ანალოგისგან განსხვავებით, ქართული ანტირეკეტული ნორმები უკარო და უფუნქციო აღმოჩნდა ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხაზგასასმელია ის ფაქტორიც, რომ აშშ-ის იუსიტიციის სამინისტროში შეიქმნა “CRS” (ორგანიზებულ დანაშაულსა და რეკეტთან ბრძოლის სპეციალური განყოფილება), რომელიც ზედამხედველობას უწევს „რიკოს“ კანონის გამოყენებას. იგი გასცემს სანქციას „რიკოს“ კანონით სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად. შესაბამისად, სამართლებრივი თვითნებობის საშიშროების პრობლემა მთლიანად მოხსნილია. საქართველოში კი ბუნდოვანია კანონმდებლის ქცევა, რადგან ბუნდოვანია თუ რა მოიაზრება ზოგადად რეკეტულ საქმიანობაში. თუ

კანონმდებელი რეკტის თვლის გამოძალვის ერთ-ერთ სახედ (სსკ. 181-ე მუხლი) მაშინ გაუგებარია რატომ არსებობს გამოძალვის ზოგადი და სპეციალური შემადგენლობები.

საქართველოში დანაშაულის განმეორების შემთხვევაში პირი პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისთვის და მისი განმეორება მიიჩნევა პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად. აშშ-ში კი სისხლის სამართლის ნორმების ნაცვლად პიროვნება პასუხს აგებს „რიკოს“ მიხედვით.

ვთქვათ, პირი ეწევა ორგანიზებულ დანაშაულებივ საქმიანობას და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს 5 წლის განმავლობაში ორჯერ ან მეტჯერ ჩაიდენს (მაგ., ტრეფიკინგს, სსკ-143¹ მუხლი) და თუ იგი პასუხისმგებლობაში მიცემული იქნება მხოლოდ რეკეტიორობისთვის, გამოდის, რომ ნაცვლად სასჯელის დამდიმებისა, შეუმსუბუქდა პასუხისმგებლობა.

ჩემი აზრით, ქართველმა კანონმდებლებმა ზოგადად „რეკეტის“ არსი არასწორად გაიგეს და სხვა კუთხით დაინახეს. უდავოა, რომ სსკ-224¹, როგორც სსკ-223¹ მუხლი, გადახედვას საჭიროებს, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია სსკ პასუხისმგებლობა „კანონიერი ქურდობისათვის.“

223¹ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად:

კანონიერი ქურდობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით გადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან ჯარიმის გარეშე.

მნიშვნელოვანია „სისხლის სამართლის კერძო ნაწილის“ I წიგნში გამოთქმული მოსაზრება, რომ კანონმდებელი უფრო კორექტული იქნებოდა, სიტყვა კანონიერი ბრჭყალებში ჩაესვა, რადგან გაუმართლებელია კოდექსში სიტყვა „კანონიერება“,¹ უკანონობის მნიშვნელობით იყოს გამოყენებული. თუ მოცემულ ლოგიკას გავყვებით, მაშინ რატომ არის დასჯადი ქურდობა, თუ კანონმდებლებმა იგი დაგვიკანონებ(?!).

223¹ მუხლის II ნაწილის ობიექტური მხარე გამოხატულია პირთა გარკვეული წრის, ქურდული სამყაროს წევრების მართვაში, მათი „სპეც. წესების“ შესაბამისად. იმ წესებზეა საუბარი, რომელთაც სასამართლო ჩიხში შეჰყავს (შესაბამისად, ტაბუდადებული, მტკიცნებული და უხერხული თემა) და რომელთა მოპოვება თითქმის შეუძლებელია. სასამართლო უძლეური და უუნაროა უმტკიცოს პირს, შეესაბამებოდა თუ არა მისი მოქმედება „ქურდულ კანონებს“, რომელიც დროთა განმავლობაში ცხოვრების ცვლასთან ერთად იცვლება, გარდა ამისა, შესაძ-

¹ აგტორთა კოლექტივი, გვ.498, 2008წ, III გამოცემა.

ლებელია, „ქურდი“ მოქმედებდეს მისთვის ხელსაყრელი „კანონის“ შესაბამისად. თვალსაჩინოებისთვის გამოვყოფ „კანონიერი ქურდის“ ორ კატეგორიას:

1. ქურდული ადათ-წესების მიმდევარი „ქურდები“, რომლებიც საკუთარ თავს თვლიან ამ იდეის მატარებლად, შესაბამისად, იმავე იდეოლოგიით და სულისკვეთებით ზრდიან სამართალდამრდველთა ახალ თაობას.

2. ქურდები, რომლებიც ასევე ქურდული იდეოლოგიის მატარებლებად მიიჩნევიან, მაგრამ შეაქვთ გარკვეული კორექცია „ქურდულ ცხოვრებაში“ და დანაშაულებრივი წესის ტრადიციებში.

მაგალითად, ერთ-ერთი „კანონის“ თანახმად, ქურდს არ პქონდა პირადი საპუროების ქონის უფლება, მაგრამ შეეძლო საკუთარი სურვილებისა და შეხედულებების მიხედვით ესარგებლა სხვა დამნაშავე ელემენტების ქონებით. თუ თავდაპირველად ცოლ-შვილის ყოლის უფლებასაც არ აძლევდა მათი დაუწერელი წესები, მოგვიანებით ისინი (ან ამ სამყაროს შემდგომი წევრები, რომლებიც აგრძელებდნენ „კანონიერი ქურდის“ ტიტულით ცხოვრებას) ცოლსაც ირთავდნენ, შვილებიც ჰყავდათ და დიდალ გაონომიკურ კაპიტალსაც აგროვებდნენ. მათ მფლობელობაში შედიოდა ფეშენებელური სახლები, აგარაკები, სხვადასხვა ბიზნესწილები, ძვირად ღირებული ავტომობილები. დაუწერელი კანონი ქურდებს რამდენიმე ალერნატივას აძლევდა და ისინიც ძირითადად მათთვის ყველაზე ხელსაყრელს იყენებდნენ.

ასევე გამოუგალ მდგომარეობაში იქნება სასამართლო, თუ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: ვთქვათ, კანონიერი ქურდი, ამ სამყაროს დანარჩენ ავტორიტეტებთან ერთად, წინასწარი განზრახვით გაქურდავს ბინას. შესაბამისად, ქმედება კვალიფიცირდება როგორც სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტი (ქურდობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), ასევე სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით (ბინაში უკანონო შეღწევით). მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი, თანააღმსრულებელია ანუ იგულისხმება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქონების მართლსაწინააღმდეგო ფარული დაუფლება, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი პირი (წინასწარ შეთანხმებული ქურდობის ჩასადენად). ზემოთ ჩამოთვლილ კვალიფიკაციას დაემატება 223¹ მუხლის I ნაწილი, თუ პირი ქურდული სამყაროს წევრია, ხოლო II ნაწილი, თუ „კანონიერი ქურდია“. დანაშაულებრივი ქმედების ამგვარი შეფასება არამართებულია. საინტერესოა, როგორ მოიქცევა სასამართლო ანალოგიურ მაგალითზე, თუ კ.წ. კანონიერი ქურდი დაარღვევს შეთანხმებას ანუ თანააღმსრულებლებთან ერთად გაქურდავს ბინას, მაგრამ წინასწარ დათქმულ წილს არ მისცემს

ქურდობაში მონაწილე პირებს: მაგალითად, რამდენიმე ადამიანი, მათ შორის „კანონიერი ქურდი“, წინასწარი განზრახვით ქურდავს ბინას იმ პირობით, რომ დაუფლებულ თანხას მასში მონაწილე დამნაშავეები თანაბრად გაიყოფენ. მათ მართლაც მიაღწიეს საწადელს, გაქურდეს ბინა, მაგრამ „კანონიერმა ქურდმა“ დაარღვია წინაპირობა თანხის თანაბრად გაყოფის შესახებ, მთელი ნაქურდალი თანხა მიითვისა და მიიმალა. ეს დანაშაულებრივი (ამ შემთხვევაში ქურდული სამყაროს თვალთახედვით), „არაქურდული საქციელია“ და შანსი იმისა, რომ ამ საქციელის გამო პირი მკაცრად დაისაჯოს კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტების მიერ, ძალიან დიდია.

რა უნდა ქნას სასამართლომ? თუ კანონიერი ქურდი ჩადის დანაშაულს, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ იგი ქურდი ადარაა? თუ არასწორი ანუ არაქურდული საქციელის გამო „კოლეგებმა“ დასაჯეს: „გააჩერეს“ ან „გააფუჭეს“?¹ ისედაც „სპეც. წესების“ არქონით ჩიხში შესული სასამართლო, საბოლოოდ არალოგიკურ და მცდარ გადაწყვეტილებას მიიღებს მიუხედავად იმისა, პირს შეუფარდებს თუ არა 223¹ მუხლს. სამწუხაროდ მსგავსი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება...

„კანონიერი“ ქურდის პასუხისმგებლობაში მიცემისთვის საკმარისი არაა მხოლოდ ფაქტი, რომ საზოგადოებაში იგი კანონიერი ქურდის სახელითაა ცნობილი. მას უნდა დაუმტკიცონ, რომ მართავდა ქურდულ სამყაროს (პირებს ან ორგანიზაციას), დაუწერელი ქურდული კანონების შესაბამისად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არარეალურია განსასჯელს „დაუმტკიცდეს“, მოქმედებდა თუ არა დანაშაულის ჩადენის დროს ქურდულ სამყაროში აღიარებული წესებით.

„ქურდული სამყარო“ არის იდეოლოგია, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ადამიანის ცხოვრების წესი. იგი, შეხედულებებიდან გამომდინარე, ერთგვარი „მრწამსია“.

მომდევნო მაგალითით 223¹ მუხლის კიდევ ერთ ხარვეზის წარმოჩინება შეიძლება: ვთქვათ, პირთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც არ არიან ქურდული სამყაროს წევრები, დავის გადასაწყვეტად (ან საშველად) მიმართავენ პიროვნებას, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ხალხის ფართო მასებში. იგი არ არის ქურდული სამყაროს წევრი, თუმცა ნაწილობრივ აღიარებს მათ დაუწერელ კანონებს. ეს კი შემდეგში გამოიხატება: არ თანამშრომლობს სამართალდამცველ

¹ ქურდულ სამყაროში არის შემთხვევები, როდესაც ერთი ან რამდენიმე კანონიერი ქურდი დროებით ან სამუდამოდ უჩერებს მის კოლეგას უფლებამოსილებას. „გააჩერებული ქურდი“ კლავ კრიმინალური ავტორიტეტია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ არ შეუძლია „მონათლოს“ კანდიდატი ან თავად „გააჩეროს“ სხვა კანონიერი ქურდი. იგი სამუდამოდ იქნება „გააჩერებული“, თუ ის კანონიერი ქურდი, რომელმაც შეუწერა „უფლებამოსილება“ (ანუ გააჩერა) გარდაიცვლება. ავტ.

ორგანოებთან, არ არის ჩაწერილი არსად (რაც ქურდული კანონის ერთ-ერთი მოთხოვნაა), არ მონაწილეობს საზოგადოებრივი ინსტიტუტების საქმიანობაში და ა.შ. ამ უკანასკნელმა „გადაუწყვიტა“ დავა საშველად მისულ პირებს. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ თუ პირი აღიარებს ქურდული სამყაროს წევრობას, მას დაეკისრება სსკ-ის 223¹ მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. აგრეთვე საინტერესოა, თუ რატომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრალდებულის ჩვენების იმის თაობაზე, არის თუ არა ის „ქურდი“. მათივე დაუწერებული წესების შესაბამისად, ძირითადად უარს ამბობენ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებისთვის ჩვენების მიცემაზე ისევე, როგორც ჩადენილ დანაშაულზე. სავსებით შესაძლებელია, უპასუხოდ დატოვოს ბრალდებულმა ეს შეკითხვა და ბოლომდე ისარგებლოს დუმილის უფლებით.

223¹ მუხლი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პრინციპებს, რამდენადაც დანაშაულად აღიარებულია არა ქმედება, არამედ იდეოლოგია.¹ ეს ნათელი ხდება, თუ გავაანალიზებთ სსკ-ის მეშვიდე მუხლს, რომლის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი არის დანაშაული, ანუ სსკ-ის გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგოვო და ბრალდული ქმედება (იგი ზოგადი ცნებაა და მოიცავს მოქმედებასა და უმოქმედობას).

„კანონიერი ქურდობა“ კრიმინალურ სამყაროში გავრცელებული წოდებაა და მოქმედებას არ წარმოადგენს. თუმცა, არც უმოქმედობაა, ვინაიდან ამ ტიტულის მოპოვებამდე „ქურდული წესები“ კანდიდატს ავალდებულებს გარკვეული საფეხურების გავლას, რაც კრიმინალური სამყაროში დირსეული ადგილის დამკვიდრებას გულისხმობს ანუ მთელი რიგი უმართებულობის განხორციელებას. აგრეთვე შესაძლებელია გაიზიარო ქურდული სამყაროს წესები, შეხედულებისამებრ მიიღო და არც ერთი დანაშაული არ ჩაიდინო არც მოქმედებით და არც უმოქმედობით.

სახელმწიფო უნდა შეიმუშაოს სამართლიანი და ეფექტური მექანიზმი. დღევანდელი „უკომპრომისო ბრძოლა“ ქურდულ სამყაროსთან გაუმართლებელია. კანონმდებელი 223¹ მუხლით ებრძვის დიდ პრობლემას (ქურდული სამყაროს სახით), უფრო სწორად შედეგს. რეალურად კი აღმოსაფხვრებია მიხეზი. საინტერესოა, რამ გამოიწია ამდენი „კანონიერი“ ქურდის არსებობა? რატომ ანიჭებს საზოგადოების დიდი ნაწილი უპირატესობას არაკანონიერი გზით პრობლემის გადაწყვეტას და არა სამართლდამცველ ორგანოებთან თანამშრომლობას? რატომ არის, რომ დღემდე ქუჩის ურთიერთშელაპარაკებები წყდება დაუწერებ „ქურდულ კანონებზე“ დაყრდნობით? თან ეს ყველაფერი იმ ფონზე,

¹ http://www.vbat.ge/index.php?dl_file=Kanonieri+kurdoba.pdf

როდესაც 223¹ მუხლით უამრავი ადამიანი მიეცა სისხლის სამართლის პასუხის-გებაში. საქმე ისაა, რომ პრობლემა კანონიერ ქურდებში, ქურდული სამყაროს წევრებში ან ამ დანაშაულებრივი იდეის გამზირებლებში კი არა, არამედ თავად სახელმწიფოშია. სამწუხაროდ, ქვეყანა ქმნის იმ ნიადაგსა და კლიმატს, რომ იარსებოს დანაშაულებრივმა (ამ შემთხვევაში „ქურდულმა“) ინსტიტუტმა.

ქართული წარმოშობის „კანონიერი ქურდების“ და ავტორიტეტების მნიშვნელოვანი კონტიგენტი რესპუბლიკის გარეთ, უმეტესწილად მოსკოვში საქმიანობს. 90-იანი წლების დასაწყისისთვის საბჭოთა კავშირში ითვლიდნენ 716 „კანონიერ ქურდს“, რომელთაგანაც 2/3 იყვნენ რუსები (33,1%) და ქართველები (31,6%), დანარჩენი – სომხები(8,2%), აზერბაიჯანელები (5,25%), უზბეკები, უკრაინელები, ყაზახები და სხვა (21,9%).¹ ეს პროპორციები რამდენჯერმე შეიცვალა, თუმცა არც ისე მნიშვნელოვნად. მართალია, თანამედროვე ქართული დაჯგუფება რუსეთში უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე სხვა ეთნიკური დანაშაულებრივი წარმონაქმნები, მაგრამ მისი როლი და აქტივობა საკმაოდ მაღალია და მნიშვნელოვან შემოსავლიან კრიმინალურ სფეროებს მოიცავს. ერთი შეხედვით ჩრდილში მყოფი „ქართული მაფია“ სერიოზულ ტრადიციულ კავშირებს ფლობს ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში და თუ გავითვალისწინებთ, რომ დანაშაულისთვის პასუხისმგებაში არც ერთი „კანონიერი ქურდი“ არ ყოფილა მიცემული, ხმამაღალი ნათვამი არ იქნება თუ დავასკვნით, რომ ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი დღემდე ანგარიშგასაწევი ძალაა გლობალურ კრიმინალურ სამყაროში.

ბოლო დროს საქართველოს ფარგლები ძალიან ბევრმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა დატოვა, რაც დაკავშირებულია სამართალდამცველი ორგანოების გააქტიურებასა და იმ სამართლებრივ ნორმებთან, რომლებიც ახდენენ „კანონიერი ქურდის“ სტატუსის კრიმინალიზებას.

საკითხის ამოსაწურად ქვემოთ მოყვანილი კიდევ ერთი მაგალითის მეშვეობით განვიხილოთ შემდეგი სახის საკმაოდ საინტერესო შემთხვევა: როგორ გადაწყდება პიროვნების საკითხი, როდესაც იგი ეწ. ქურდული სამყაროს წევრობისთვისაა დაკავებული, მოიხდის კანონით განსაზღვრულ ვადას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პატიმრობისას კრიმინალურ სამყაროში „დაწინაურდა“ და კანონიერი ქურდის ტიტულის მატარებელი გახდა? ან რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: თუ პირი „კანონიერი ქურდობისთვის“ (*სხვ. 223¹ მუხლის II ნაწ.*) მოიხდის სასჯელს, თუმცა ციხიდან გამოსული კვლავაც „კანონიერი ქურდი“ იქნება?! ამგვარი შემთხვევის

¹ გიორგი დლონტი. კანონიერი ქურდები საქართველოში (თავი V, გვ. 89-90 2009წ).

დადგომისას (რაც სავსებით რეალურია მოხდეს) გამოდის, რომ იგი კვლავ დამნაშავეა და შესაბამისად ახალ სასჯელს იმსახურებს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის IV პუნქტიში კი ვკითხულობთ: „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისთვის“. საქმის ამგვარ ჭრილში განხილვამ დაგვანახა, რომ მთელ რიგ ნაკლოვანებებსა და არასრულფასოვნებასთან ერთად სსკ-223¹ მუხლი შეუსაბამობაში მოდის ქვეყნის უზენაეს კანონთან ანუ დარღვეულია ერთი და იგივე ქმედებისთვის ორჯერ მსჯავრდების დაუშვებლობის კონსტიტუციური პრინციპი! (“**ne bis in idem**”).

თუ დღეს არსებულ რეალობას თვალს გავუსწორებთ დავინახავთ, რომ სახელმწიფოს უკომპრომისო და უსამართლო ბრძოლა არაეფექტურიც ყოფილა, რადგან ქურდული სამყაროს წევრებისა და კანონიერი ქურდების იზოლირებამ შედეგი არ გამოიღო. დროთა განმავლობაში ხალხს მენტალიტებში გაუჯდა ე.წ. „დაუწერებლი კანონები“ და სპეციალური წესები, რაც კვლავ სახელმწიფოს ბრალია.

კანონის მიღებისას უსათუოდ გასათვალისწინებელია ის ტრადიციები, ზნეჩვეულებები და ადათ-წესები, რომლებიც ხალხს (საკუთარ მოქალაქეებს) აქვს.

კანონი უნდა იქმნებოდეს ადამიანისთვის და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში არაკანონიერი ალტერნატივა გამოიძებნება. საზოგადოება გააცნობიერებს თავისი ქმედების უკანონობას, თუმცა დასახმარებლად, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად და პრობლემის მოსაგვარებლად კრიმინალურ გზას აირჩევს, მაგრამ არ უდალატებს იმ ჩვეულებებსა და ლირებულებებს, რომლებიც უკვე შესისხლხორცებული აქვს. სამწუხაროა, რომ „ქურდული ინსტიტუტი“ დღემდე ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

XXI საუკუნეში, როდესაც დემოკრატიული ქვეყნისთვის დიდი თავსატეხია XX საუკუნის 30-იან წლების საბჭოეთში შექმნილი დანაშაულებრივი კლანი. ეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ბრალია. სირცხვილია, როდესაც ხელისუფლება მას უხეში მეთოდებით, დაუხვეწავი კანონებით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევით ებრძვის და კატასტროფაა, თუ ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ვერ ახერხებს მის დამარცხებას.

ქურდული სამყაროს წევრობა კანონიერი ქურდობა

განხილულია „ქურდული სამყაროს“ არსი, მისი შექმნის აუცილებლობა საბჭოთა რესპუბლიკის ადრეულ ეტაპზე და შემდგომი განვითარების საფეხურები. წარმოჩენილია „კანონიერი ქურდის“ ბუნება, იდეოლოგია და მენტალიტეტი. თვალსაჩინოებისთვის არგუმენტები გამყარებულია მაგალითებით, შედარებებითა და რეალური ფაქტებით. პრობლემური საკითხები დანახულია სხვადასხვა ჭრილში.

ასევე განხილულია სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლი, მისი შინაარსი, საჭიროება, კანონიერება, შესაბამისობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და საქართველოს კონსტიტუციასთან. საუბარია პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ (კანონიერ) გზებსა და საშუალებებზე.

Zaza Khukhunaishvili

Bachelor of Law

MEMBERS OF THIEVISH COMMUNITY (WORLD)

LEGAL THIEVERY

There is considered the essence of "thievish world", the necessity of its creation in the early time of the Soviet Union and the other development steps. Here is represented the nature, ideology and mentality of the "legitimate thief". For better obviousness there is given examples and real facts taken from the thief's life. The more problematical matters are considered in different ways.

There is also considered the 223th paragraph of the criminal law, its contents, necessity and lawfulness. Its correspondence with the human's fundamental rights and with the Georgian constitution as well. There is considered the other legitimate ways and potentialities of solving the problems.

Заза Хухунаишвили,
бакалавр правоведения

ЧЛЕНСТВО ВОРОВСКОГО МИРА ВОРА В ЗАКОНЕ

Рассмотрены суть "Воровского мира", необходимость его создания на начальном этапе Советской республики и последующих ступеней его развития. Представлена природа "Вора в законе", идеология и менталитет. Для лучшего представления картины аргументы подтверждаются примерами, сравнениями и реальными фактами. Проблемные вопросы рассмотрены в реальных аспектах.

Также рассмотрена статья 223¹ уголовного кодекса, ее содержание, необходимость, законность, совместимость фундаментальных прав человека с конституцией Грузии. Речь идет о решении проблем альтернативными методами.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიის როგორც საუკეთესო, ასევე უკეთესი მონაპოვარია“ ასე იწყებს კეფერნ აბარსონი თავის ცნობილ წიგნს: „ჩვენი მსაჯულები“. ეს ფრაზა დაგვეხმარება ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე. მოგეხსენებათ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საფუძველი ჩაეყარა დიდ ბრიტანეთში 10 საუკუნის წინ. დიდი ბრიტანეთის შემდეგ იგი დამკვიდრდა აზიაში, აფრიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხოლო საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ დამკვიდრდა საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიასა და შვეიცარიაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დღეისათვის უკეთეს წარმატებულად ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს. სტატისტიკური მონაცემებით, აქ უკელვალიურად ნაფიცი მსაჯულები 120000-ზე მეტ საქმეს განიხილავენ და გამოაქვთ ვერდიქტი. ეს მაჩვენებელი მსოფლიოში მიმდინარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების 30% შეადგენს. ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ განსხვავებით ევროპის ქვეყნებისგან, აშშ-ში ნაფიცი მსაჯულები იხილავენ არა მარტო სისხლის სამართლის საქმეებს, არამედ ნებისმიერ სამოქალაქო საქმეებს. ევროპის სახელმწიფოებში ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის საქმეების განხილვაში მონაწილეობენ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ნაფიცი მსაჯულები სამოქალაქო დავებს არ განიხილავენ, ხოლო გერმანიასა და საფრანგეთში ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტი გამოაქვთ პროფესიულ მოსამართლეებთან ერთად.

2004 წლის თებერვალში, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში ამოქმედდება ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.¹ საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – პარლამენტმა შეიმუშავა და 2009 წლის 9 ოქტომბერს მესამე მოსმენით მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტი, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ცალკე თავი ეთმობა. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტი-

¹ საქართველოს კონსტიტუცია. 1995 წლის 24 აგვისტო. გვ. 36.

ლებით აღნიშნული კანონპროექტი ამოქმედება 2010 წლის 1 ოქტომბრიდან და სავალდებულო ძალა შეიძინა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოს მართლმსაჯულების სისტემისთვის ნოვაციას წარმოადგენს და საზოგადოების დიდი ინტერესს იწვევს. აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტი საზოგადოების რიგით წევრებს საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაებან მართლმსაჯულების განხორციელებაში და გამოიტანონ ვერდიქტი ბრალდებული პირის მიმართ კანონპროექტის თანახმად. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატთა შერჩევა ერთიანი საარჩევნო სიიდან ხდება, რომელსაც შესაბამისი საარჩევნო ადმინისტრაცია მიაწვდის სასამართლოს. კომპიუტერული პროგრამა შემთხვევითი ამორჩევის პრინციპით საარჩევნო სიიდან ამოირჩევს 50 კანდიდატს, საიდანაც შემდგომში შეირჩევა 12 ნაფიცი მსაჯული, რომლებიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას საქმის განხილვაში და ორი სათადარიგო მსაჯული. ნაფიცი მსაჯული შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო ხმის უფლება და ფლობს სახელმწიფო ენას. საქართველოს მოქალაქეობის არქონის ან სახელმწიფო ენის არცოდნის შემთხვევაში ავტომატურად მოხდება ამ კანდიდატის ჩამოცილება. კანონპროექტი პირდაპირ განსაზღვრავს, ვინ არ შეიძლება იყოს ნაფიცი მსაჯული. მაგალითად, ნაფიცი მსაჯული ვერ იქნება პროფესიით იურისტი ფსიქოლოგი, პოლიტიკური თანამდებობის პირი და ა.შ. თუ არ არსებობს ნაფიცი მსაჯულთა აცილების ან თვითაცილების სამართლებრივი საფუძველი, ნაფიცი მსაჯული ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება სახელმწიფო ბეგარა. ნაფიცი მსაჯულები, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ, გადაწყვეტილების სახით ერთსულოვნად იღებენ ვერდიქტს. თუ ექვსი საათის განმალობაში ვერ შეძლებენ გადაწყვეტილების ერთსულოვნად მიღებას, მაშინ გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება, ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

აღნიშნული კანონპროექტი ზოგადად დადებით შეფასებას იმსახურებს. ეს არის მცდელობა, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს ჭეშმარიტი და სამართლიანი მართლმსაჯულება. საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში კეთილშობილური მიზანია, მაგრამ მას ქართულ რეალობაში ფუნქციონირება გაუჭირდება. 21-ე საუკუნეში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება სახელმწიფოში, სადაც არა თუ ნაფიცი მსაჯულის, არამედ კანონის უზენაესობის ტრადიციაც კი არ არსებობს

უკიდურესად სარისკო ნაბიჯია და შეუძლებელი საზოგადოების სამართლებრივი მომზადების გარეშე განხორციელდეს, მით უმეტეს, თუ პროექტის თანახმად, მართლმსაჯულებას პრაქტიკულად საზოგადოება ახორციელებს. პროექტის განხორციელებამდე საჭიროა ქართული საზოგადოების სამართლებრივი ცოდნის ამაღლება, რადგან საზოგადოებას, რომელსაც კანონის უზენაესობის ტრადიციაც კი არ გააჩნია და დაბალი სამართლებრივი თვითშეგნება აქვს ვერ შეძლებს სამართლიანი და ობიექტური ვერდიქტის გამოტანას. სახელმწიფომ უფრო აქტიურად უნდა იმოქმედოს საზოგადოების სამართლებრივი დონის ამაღლებაში. პრესით, სატელევიზიო გადაცემებით, სხვადასხვა გამოკითხვის საშუალებით რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს საზოგადოებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით. საზოგადოება მზად უნდა იყოს მართლმსაჯულების უფლებამოსილების განხორციელებისთვის, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული ვერდიქტის სამართლიანობა და ობიექტურობა. ვერდიქტის ობიექტურობას ეჭვის ქვეშ აყენებს და აღნიშნული კანონპროექტის ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის სიმცირე და, მათ შორის უმრავლესობის ერთმანეთთან ახლო და ნათესაური დამოკიდებულება. მოსახლეობის სიმცირე შეუძლებელს ხდის მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაკომპლექტებას, რადგან არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ ნაფიცი მსაჯული შეიძლება აღმოჩნდეს დაინტერესებული პირი, რომელიც სასამართლოში საქმის განხილვისას არაობიექტური იქნება და შესაბამისად უსამართლო და არაობიექტურ ვერდიქტს გამოიტანს. ნაფიც მსაჯულთა არაობიექტურობისა და არაპროფესიონალიზმის გამო შესაძლოა საზოგადოების-თვის საშიში დამნაშავე სასჯელის მიღმა აღმოჩნდეს და საფრთხე შეუქმნას საზოგადოების უსაფრთხოებას. ამიტომ, პროექტის სამართლებრივად მომზადების გარდა განსაკუთრებული უურადღება უნდა დაეთმოს ნაფიც მსაჯულთა მომზადებას და მათი სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას.

აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმის ზეპირი განხილვის შემდგომ გადაწყვეტილების სახით გამოაქვს ვერდიქტი, რომელიც სავალდებულოა მოსამართლისთვის გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში. მოსამართლეს არ ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით, რადგან, პროექტის თანახმად, იგი ვალდებულია გაითვალისწინოს ვერდიქტის შინაარსი ანუ მოსამართლე პრაქტიკულად კარგავს დამოუკიდებლობას გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში და ვერდიქტის ზეგავლენის ქვეშ ექცევა. აღნიშნული ფაქტი წინააღმდეგობაში

მოდის 84-ე მუხლთან. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. „ვერდიქტის სავალდებულობის შემთხვევაში კი მოსამართლეს გადაწყვეტილება გამოაქვს არა კანონის და კონსტიტუციის შესაბამისად, არამედ ვერდიქტის შინაარსის მიხედვით, რაც შესაბამისად არაკონსტიტუციურია.”¹

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საჭიროა პროექტში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, უნდა მოხდეს აღნიშნული ნორმის კონსტიტუციასთან შესაბმისობაში მოყვანა. ვერდიქტის სავალდებულო ხასიათი უნდა შეიცვალოს სარეკომენდაციო ხასიათით. მოსამართლე გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში უფლებამოსილი უნდა იყოს და არა ვალდებული გაითვალისწინოს ვერდიქტის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე პრაქტიკულად კარგავს მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილებას და ეზღუდება დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც არაკონსტიტუციურია.

ამ ვითარებაში როგორ გაამართლებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ძნელი სათქმელია, მაგრამ დღევანდები სახით წარმოდგენილ კანონპროექტს სკეპტიკურად ვუყურებ. გარდა ამისა, პროექტის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ჯერ მხოლოდ თბილისში ჩადენილ დანაშაულთა საქმეებს განიხილავს, რის გამოც ამაში ვხედავ სამართლის ნორმის ნატიკონსტიტუციურობას, ვინაიდან არ შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი მიღვომა გქონდეს დანაშაულის ჩამდენ პირის მიმართ იმის მიხედვით, თუ სად ჩაიდინა დანაშაული. მაგალითად, თუ პირმა ქუთაისში ჩაიდინა მკვლელობა და სურს, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს, მას ამის უფლება არ აქვს. თუ ანალოგიურ ქმედებას თბილისში ჩაიდენს ვინმე, მას აქვს უფლება მოითხოვოს მისი საქმე ნაფიც მსაჯულებმა განიხილონ. ეს თავიდანვე არაკონსტიტუციურია.

რა დადებით და უარყოფით მოვლენებს გამოიწვევს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში ამას მისი ამოქმედების შემდეგ გავიგებთ, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნულ კანონპროექტს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა სამი მოსმენით უკვე მიიღო, ბევრი ხარვეზი აქვს და მისი ამოქმედება ქართული მართლმსაჯულების სისტემაში ნაჩქარევი და არამართებული გადაწყვეტილება.

¹ საქართველოს კონსტიტუცია. 1995 წლის 24 აგვისტო. გვ. 36.

გიორგი სვიანაძე
სამართლის ბაკალავრი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში

აღნიშნული სტატია ეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც ნოვაციას საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში. განხილულია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი “ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ, მისი მიზანშეწონილობა საქართველოს რეალობაში, აგრეთვე ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებაზე.”

Giorgi Svanadze

The bachelor of law

JURY IN JUST SYSTEM OF GEORGIA

The mentioned article deals with trial jury, which represents a novelty for Georgian justice. There is considered draft law “On the trial jury”, which is passed by the Parliament of Georgia, its expediency in the Georgia reality, as well as those legislative defects, which may have an impact on the effective implementation of justice in Georgia.

Георгий Свианадзе,

бакалавр права

СУД ПРИСЯЖНЫХ В ПРАВОВОЙ СИСТЕМЕ ГРУЗИИ

Статья касается суда присяжных, который является новацией для грузинского правосудия. Рассмотрен законопроект «О суде присяжных», принятый парламентом Грузии, его целесообразность в реалиях Грузии, а также те законодательные недостатки (пробелы), которые могут оказать влияние на эффективное осуществление правосудия в Грузии.

ტრეფიკინგი

ტერმინი ტრეფიკინგი მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან traffic, რაც ტრანსპორტირებას, მოძრაობას ნიშნავს. კონკრეტულად იგულისხმება აკრძალული საქონლით ვაჭრობა. დროთა განმავლობაში ეს ზოგადი ტერმინი დავიწროვდა და ადამიანებით უკანონო ვაჭრობის მნიშვნელობა შეიძინა.

ადამიანებით ვაჭრობა არ არის ჩვენს დროში წარმოშობილი პრობლემა. იგი სათავეს ჯერ კიდევ მონათმფლობელურ ეპოქაში იღებს, როდესაც ადამიანებს მონობაში ამყოფებდნენ და ეპყრობოდნენ, როგორც ნივთებს. 21-ე საუკუნეში ადამიანების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება ყოვლად დაუშვებლად და წარუმატებლად გვხვენება, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას თანამედროვე მსოფლიოს წინაშე. ტრეფიკინგი, როგორც დანაშაული, საშიშროების ხასიათით, გავრცელების მასშტაბით და არალეგალური სახსრების რაოდენობით მესამე აღგილზეა ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, ყოველწლიურად მოგების სახით მიღებული არალეგალური სახსრების რაოდენობა 32 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ტრეფიკინგის მსხვერპლი კი 4 მილიონი ადამიანი ხდება. დაუდგენელია შიგა ტრეფიკინგის შემთხვევათა რაოდენობა. ეს გამოწვეულია შესაბამის ქამენებში, აღნიშნულ დანაშაულთა ბრძოლის დაბალი დონით. ამრიგად, ტრეფიკინგი გლობალური პრობლემა და ტრანსნაციონალური დანაშაულია. ეს არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და ჩამორთმევა. გულისხმობს ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას, გადამალვას, მუქარის ძალის გამოყენებით იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას, ან მონობის მსგავს მდგომარეობას და ორგანოებით ვაჭრობას.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდება ტრეფიკინგიც, იზრდება მისი მასშტაბები, სისასტიკე და მოთხოვნილებები.

აღნიშნულ პრობლემას ინტენსიურად სწავლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებში სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები.

მონობის წინააღმდეგ კონვენცია, ჯერ კიდევ 1926 წლიდან მოქმედებს. ადამიანებით ვაჭრობისა და მემავთა ექსპლუატაციის შესახებ კონვენცია მიღებული იქნა 1945 წელს. 1996 წელს ძალაში შევიდა დამატებით კონვენცია მონობის

გაუქმების, ადამიანებით უკანონო ვაჭრობის შესახებ. არსებობს ასევე რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმება: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ – 1996 წ., კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ – 1989წ., მიგრაციათა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის კონვენცია – 1990 და ა.შ.

შვედეთი პირველი ქვეყანა იყო, სადაც მიიღეს რადიკალური კანონი ტრეფიკინგის, კონკრეტულად კი ქალის სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ. 2000 წელს აშშ-ში ძალაში შევიდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს ავალებს წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოში ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვისაც. საგანგაშოა საქართველოს მოქალაქეთა უკანონო შრომითი მიგრაციის დონე. საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების არალეგალური ცხოვრება კი საგრძნობლად ზრდის ტრეფიკინგის საფრთხეს.

მიუხედავად გადადგმული ქმედითი ნაბიჯებისა, საქართველოში (როგორც მსოფლიოში) ტრეფიკინგთან ბრძოლა არაეფექტურია. საქართველოს შემთხვევაში მასზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, რომელიც საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს „სასურველ გარემოს“ უქმნის ამ მოვლენაში ჩასათრევად. ეს ფაქტორებია: სიღარიბე და უპეთესი ცხოვრების სურვილი, ტრეფიკინგის შედეგების იგნორირება, საზოგადოებრივი ფასეულობის დევალვაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, იაფი მუშახელის მოთხოვნა და ა. შ.

ტრეფიკინგის ამოსავალი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაა. ადამიანებს არ აქვთ სამუშაოს შოვნის პერსპექტივა. ასეთი ადამიანები უუფლებონი არიან. არ არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომელიც იტყვის, რომ სურს იყოს ძალადობის ობიექტი. ამასთან, მიდიან ისეთებიც, რომლებსაც აქვთ პროფესია, განათლება, გამომუშავებული აქვს სამუშაო უნარ-ჩვევები და გამოცდილება. ასეთი ადამიანები ადვილად თანხმდებიან ნებისმიერ სამუშაოს.

საქართველოდან ჩასულები იმ სინდიკატების ხელში ვარდებიან, რომლებიც ცოცხალი „საქონლით“ ვაჭრობენ. აეროპორტებში სააგენტოებიც კი არის გახსნილი, რომლებიც დამის კლუბების და სხვა მსგავს დაწესებულებების მომარაგებაზე ზრუნავენ. მთელი უბედურება ის არის, რომ ამ სიტუაციას ჩვენი თანამემამულები უწყობენ ხელს. ძალიან ბევრი საშუალებლო და ტურისტული ფირმა მოტყუების გზით ახერხებს ხალხის გადაყვანას აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში და ფაქტობრივად ტრეფიკინგის ხელშემწყობნი ხდებიან.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, ყოველწლიურად ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება დაახლოებით 500 ქართველი ქალი. ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმეტესობას 18 – 25 წლამდე ასაკის ადამიანები შეადგენენ.

საქართველოში ტრეფიკინგის გავრცელებას ხელს უწყობს მისი გაოპოლიტიკური მდებარეობა. იგი, როგორც ტრანზიტული ქვეყანა, ხელს უწყობს ტრეფიკირებული ხალხის მოხვედრას თურქეთსა და სხვა ქვეყანაში.

ტრეფიკინგი უფრო საშიშია მცირერიცხოვანი ერებისთვის, არ შეიძლება თავის დამშვიდება იმით, რომ ეს გლობალური მოვლენაა. გლობალიზაციას უამრავი დადებითი ფაქტორები ახლავს, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, არასტაბილური მდგომარეობის მქონე ქვეყნები მისგან „საჩუქრად“ მხოლოდ უარყოფითს იღებენ.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალი სახელმწიფოს ტრეფიკინგისადმი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა. სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ტრეფიკინგი საერთაშორისო დანაშაული, ხოლო ტრეფიკირებული ადამიანები აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლი (არა დამნაშავეები) არიან. შესაბამისად, მრავალმა სახელმწიფომ საკუთარ კანონმდებლობაში გაითვალისწინა მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები, რაც საშუალებას იძლევა მათი დაპატიმრების ან დაუყოვნებელი დეპორტაციის ნაცვლად მოხდეს მათთვის სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების აღმოჩენა, მათი პირადი და ოჯახის წევრთა უშიშროების უზრუნველყოფა. ასევე მრავალმა სახელმწიფომ შეიმუშავა პრევენციული ღონისძიებები ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რაც შეეხება საქართველოს:

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად¹, ადამიანის პატივი, დირსება და თავისუფლება ხელშეუვალია, დაუშვებელია თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, შრომა თავისუფალია და სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

2003 წლის 6 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები, კერძოდ კოდექსს დაემატა 143-I და 143-II

¹ საქართველოს კონსტიტუცია. მე-18 მუხლის I და II ნაწილი, გვ.11, იქვე 30-ე მუხლის I და II ნაწილი, გვ. 16.

მუხლები, რომლითაც მოხდა როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილების განხორციელებამდე იყო ქვალიფიკაციის პრობლემა, აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებით. კონკრეტულად აღნიშნული დანაშაული, ხშირ შემთხვევაში, კვალიფიცირდება, როგორც თაღლითობა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო. ამ ქმედების კრიმინალიზაციით, სახელმწიფომ აღიარა ეს პრობლემა და, უფრო მეტიც, ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად პირველი ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სსსკ-ით თანაბრად დასჯადია ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციისათვის¹. მნიშვნელოვანია, რომ ამ დებულებათა მოქმედება ვრცელდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულზე (შიგა ტრეფიკინგის ფაქტებზე), ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ დანაშაულის მსხვერპლთა ექსპლუატაციისათვის. კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის დეფინიცია სრულ შესაბამისობაშია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან, რომლის რატიფიკაცია საქართველომ 2006 წელს მოახდინა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ მუხლების შესაბამისად ამ დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, დანაშაულის ჩამდენთა დამამდიმებელ გარემოებადაა მიჩნეული.

მნიშვნელოვანია ასევე კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 28 აპრილს² მიიღო.

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში ტრეფიკინგის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებს. აგრეთვე ტრეფიკინგის მსხვერპლთა, სამართლებრივ მდგომარეობას, მათ სოციალურ და სამართლებრივ დაცვის გარანტიებს.

ასევე მნიშვნელოვანია ამ მხრივ ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შექმნა.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 149¹ მუხლი, გვ.70. იქვე 143¹ მუხლი, გვ.72.

² საქართველოს კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მუხლი I, გვ.1.

მიუხედავად აღნიშნულისა, პრობლემა უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს. როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან. განსაკუთრებით სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ჩემი აზრით, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ადამიანების ნებისმიერი შრომითი ექსპლუატაციის კრიმინალიზაცია, მათი ამკრძალავი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აქტების შესაბამისად.

ფართო გაგებით, ტრეფიკინგთან ბრძოლა მოიცავს იძულებით შრომასაც. მნიშვნელოვანია იძულებითი შრომის, როგორც სპეციფიკური დანაშაულის წინააღმდეგ საკანონმდებლო ზომების მიღება, რადგან იძულებითი შრომა სულაც არაა აუცილებელი ტრეფიკინგის შედეგი იყოს.

საქართველოს შრომის კოდექსი არ განსაზღვრავს იძულებითი შრომის ცნებას და იმ გარემოებებზე მიუთითებს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს იძულებით შრომად, უფრო მეტიც დღეს მოქმედი კოდექსი აყალიბებს ბუნდოვან დებულებებს, რაც საფუძველს იძლევა ვარაუდისთვის, რომ აღნიშნული კანონის ზოგიერთი ნორმა შეიცავს იძულებითი შრომის ელემენტებსა და დამსაქმებელს უფლებას აძლევს გაუმართლებლად გამოიყენოს დასაქმებულის შრომა. კონკრეტულად კოდექსი არ განსაზღვრავს ზეგანაკვეთური შრომის მაქსიმალურად დასაშვებ ხანგრძლივობას¹. შეიძლება ითქვას, რომ შრომის კოდექსის მიხედვით დამსაქმებელი არაა ვალდებული აანაზღაუროს ზეგანაკვეთური შრომა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება ევროპის სოციალური ქარტიის იმპერატიული მოთხოვნაა, რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 2005 წელს. პრაქტიკულად ზეგანაკვეთური შრომა, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ტრანსფორმირდეს იძულებით შრომად.

შრომითი კოდექსის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების დადება შეიძლება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით². ზეპირი ხელშეკრულების არსებობისას დასაქმებული პრაქტიკულად მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას დაადასტუროს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები და საერთოდ ასეთი ხელშეკრულების არსებობა. ეს კი ქმნის განსაზღვრულ ალბათობას,

¹ საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 17, გვ.10.

² იქვე მე-6 მუხლის I ნაწილი. გვ.6.

რომ ტრეფიკინგი და შრომითი ექსპლუატაცია ზეპირი ხელშეკრულებით დადგენილ ნორმალურ შრომით ურთიერთობად გასაღდეს.

შრომის კოდექსის მიხედვით დამსაქმებელი ცალმხრივადაა უფლებამოსილი შეცვალოს შრომის პირობები¹. მას შეუძლია სამუშაო დრო 90 წუთით გაზარდოს, რაც ბუნებრივია შეიცავს იძულებითი შრომის ელემენტებს.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შრომის კანონმდებლობის დარღვევისა და შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის, პრაქტიკაში ეს დებულებები თითქმის არ გამოიყენება. 2005 – 2007 წლებში გამოძიებაში მყოფი ასი საქმიდან სასამართლოს მხოლოდ ერთი საქმე წარედგინა შრომის კანონმდებლობის დარღვევის მუხლით და ექვსი საქმე უსაფრთხოების წესების დარღვევის მუხლით. აქედან არც ერთი არ ეხებოდა შრომით ექსპლუატაციას.

აქედან გამომდინარე ვფიქრობთ საჭიროა იძულებითი შრომის და ნებისმიერი სახის შრომითი ექსპლუატაციის კრიმინალიზაცია, მით უმეტეს საქართველოს შრომის კანონმდებლობა ქმნის ხელშემწყობ პირობას შიგა ტრეფიკინგის და იძულებითი შრომის განვითარებისთვის.

ტრეფიკინგის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია მიგრაცია, განსაკუთრებით არალეგალური მიგრაცია. მიგრაცია ბუნებრივი პროცესია. ვერაფერი შეაჩერებს ადამიანის სურვილს იცხოვროს იმაზე უკეთ, ვიდრე ცხოვრობს, თუმცა, თუ ის დიდ მასშტაბებს აღწევს, ქვეყანა კარგავს თავისი საუკეთესო ადამიანური რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. ეს პრობლემა საქართველოსთვის ძალიან აქტუალურია. საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია მიგრაციის მართვის პოლიტიკა, რაც მისი მიგრაციული პროცესების კონტროლს აფერხებს. კერძოდ, მისაღებია კანონი მიგრაციის შესახებ.

ტრეფიკინგის მკაცრი დევნის მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ ნარჩენდება გარემო, რომელიც ხელს უწყობს ამგვარი დანაშაულის წარმოშობას. მაგალითად, ძალიან ბევრი ტურისტული და საშუალებლო ფირმა მოქმედებს არალეგალურად, ხალხი გადაჰყავთ მოტყუების გზით საზღვარგარეთ და, ხშირ შემთხვევაში ეს ადამიანები ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლი. ამიტომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გააკონტროლოს ასეთი ფირმების საქმიანობა, აღკვეთოს მათ მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებები და დააკისროს პასუხისმგებლობა. ასევე

¹ საქართველოს შრომის კოდექსი. მე-11 მუხლის III ნაწილის „ბ” პუნქტი, გვ. 8.

აუცილებელია სახელმწიფოს მიერ პრევენციული ზომების მიღება. აუცილებელია საქართველოს მოქალაქეების დახმარება და დაცვა საზღვარგარეთ მუშაობისას, რაც გამოიხატება ორმხრივი საემიგრაციო ხელშეკრულების დადებით იმ ქვეყნებთან, სადაც ისინი ცხოვრობენ, სადაც იქნება კონკრეტული დებულებები შრომითი მიგრანტების დასაცავად, შრომითი ატაშეების დანიშვნა საქართველოს საელჩოებში, პარტნიორობის გააქტიურება ევროკავშირის ქვეყნებთან და ა.შ.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა მოიხსნას ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა: დაუსაქმებლობა, დისკრიმინაცია, არასათანადო სამუშაო პირობები, სოციალური დაცვის გარანტიების სიმცირე და ა.შ.

აუცილებელია საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სახელმწიფო კონტროლის გამკაცრება. მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირებულობის დონის კიდევ უფრო ამაღლება, აღმოჩენილი ფაქტების იდენტიფიცირება, დოკუმენტირება და გასაჯაროება.

სწორედ ზემოაღნიშნული წარმოადგენს ანტიტევიკინგული და იძულებითი შრომის წინააღმდეგ მიმართულ პრევენციულ ღონისძიებებს.

ამრიგად, სახელმწიფომ კიდევ უფრო ქმედითად უნდა განახორციელოს ბრძოლა ამ მოვლენის წინააღმდეგ, ვინაიდან ტრევიკინგი კვლავ რჩება ერთ-ერთ უველაზე მტკიცნეულ და ფართომასშტაბიან პრობლემად. ამიტომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მიზანმიმართული პოლიტიკა და გამოიყენოს ყველა სამართლებრივი საშუალება ამ მწვავე პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტრეფინგი

განხილულია “ტრეფინგი”, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული, მისი აქტუალურობა საქართველოს რეალობაში, არსებული ხელშეწყობი ფაქტორები, ტრეფინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და პრევენციული დონისძიებები.

Эдишер Шакаришвили,
бакалавр права

ТРЕФИКИНГ

Рассматриваются трефкинг как транснациональное преступление, его актуальность в грузинской реальности, существующие препятствующие факторы, правовые механизмы и превентивные мероприятия по борьбе с трефкингом.

Edisher Shakarishvili
The bachelor of law

TRAFFICKING

There is considered “trafficking” as transnational crime, its relevance for Georgian reality, existing prohibitive factors, governing mechanisms and preventive measures in struggle against trafficking.

საერთაშორისო სამართლი

მერაბ რაფავა

ძალის გამოუყენებლობის პრინციპი

უგჭველია, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არ არის საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ომის საშიშროების თავიდან აცილებას, განიარაღებას და ძალის გამოუყენებლობას საერთაშორისო კონფლიქტებში. ამავე დროს, მნელად თუ მოიძებნება უფრო რთული პრობლემა, ვინაიდან აქ ერთმანეთშია გადახლართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური ობიექტებით თუ სუბიექტებით მხარეები და ასპექტები და რა რთულიც არ უნდა იყოს ამ ამოცანის გადაწყვეტა, მას ალტერნატივა არ აქვს.

ცნობილია, რომ საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბება შორეულ წარსულში დაიწყო. მისი სათავეები იმ წესებშია შემონახული, რომლებიც ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების ეპოქაში შეიმუშავეს. ეს წესები არეგულირებს გვაროვნულ და ტომობრივ ურთიერთობებს. უკვე იმ უძველეს ხანაში შეიქმნა ომისა და მშვიდობის პრობლემებთან დაკავშირებული ტომთაშორის ურთიერთობათა საკითხები, მატერიალური დოკუმენტით ამისა და ვაჭრობის საშუალებით ნაწილდებოდა. მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ზოგიერთი რეგიონები ხან სისხლიანი ბრძოლის გელად იქცეოდნენ, ხან გაცხოველებული ვაჭრობის ასპარეზად.

სახელმწიფოთა წარმოქმნასთან ერთად ომი კვლავ რჩებოდა იმ საშუალებად, რომელიც ეროვნული სიმდიდრის იძულებით გადანაწილებას ახდენდა; ომი განაპირობებდა საწარმოო ძალთა როგორც ზრდას, ასე მათ განადგურებასაც. მასობრივი განადგურების იარაღის გამოგონებამდე ომის შედეგები იმაში ვლინდებოდა, რომ დაპყრობილ ქვეყნებში ნადგურდებოდა საწარმოო ძალები, დამპყრობელ ქვეყნებში კი ადგილი ჰქონდა მათ გაზრდას. მასობრივი განადგურების საშუალებებისა და მეთოდების გაჩენასთან ერთად ომს დამღუპველი შედეგები მოჰქონდა მეომარი ქვეყნებისთვის. ყოველივე ამის შედეგად ომმა, როგორც საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის ფორმამ საბოლოო ჯამში ამოწურა თავისი თავი.

ომის საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალებად გამოყენების მრავალსა-უგუნოვანმა პრაქტიკამ ჩამოაყალიბა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ შეიარაღებული დაპირისპირების რთულ და მრავალ-

უეროვან ურთიერთობებს. შორეულ წარსულში საერთაშორისო სამართლებრივი ადათ-წესები ომს მიიჩნევდნენ ქვეყნის ინტერესების დაცვისა და საერთაშორისო კონფლიქტების მოწესრიგების კანონიერ საშუალებად. ეს ადათ-წესები ადგენდნენ ომის გამოცხადების, მისი წარმოებისა და შეწყვეტის ნორმებს. თანდათანობით, მრავალსაუკუნოვანმა პრაქტიკამ შეიმუშავა საერთაშორისო სამართლის ისეთი ნორმები, რომლებიც კრძალავდნენ საკუთრების ძარცვას, კონფისკაციასა და განადგურებას შეიარაღებული კონფლიქტის დროს. შედარებით არცოუ ისე შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა ნორმები, რომლებიც ომს უროვნული პოლიტიკის განხორციელების საშუალებად მიიჩნევენ.

ომის წარმოების დღევანდებული საბრძოლო საშუალებები თავისთავად წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობათა და ადამიანთა საზოგადოების შენარჩუნების შესაძლებლობის უარყოფას.

საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია მოწმობს, რომ მისი სისტემის შემადგენელ ელემენტებს ყოველთვის წარმოადგენს ომისა და მშვიდობის ურთიერთობა. სახელმწიფოთა ურთიერთქმედების სხვა მშვიდობიან ფორმებთან ერთად ომი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე წარმოადგენდა სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმას. სართაშორისო სამართლის რეგიონალური, მოგვიანებით კი საერთო სისტემა ორ მსხვილ ქვესისტემას შეიცავდა: “ომის სამართალს” და “მშვიდობის სამართალს”. იმის მიხედვით, როგორ იღებდა ომი უფრო მეტ დამანგრევებულ ხასიათს და უფრო დიდ წინააღმდეგობად იქცეოდა საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, საერთაშორისო სამართლის სისტემაში უფრო ხშირად ასრულებდა წამყვან როლს “მშვიდობის სამართალი”. “ომის სამართლისა” და “მშვიდობის სამართლის” როლების შეცვლის პროცესი საერთაშორისო სამართლის სისტემაში და მისი გადაქცევა “მშვიდობის სამართლად” და “ომის სამართლად” XIX საუკუნის დასაწყისში დასრულდა.

ამ დროიდან “მშვიდობის სამართლის” ნორმატიული მასივი განსაკუთრებით დიდი ტემპით იზრდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა და მისი წესდების მიღება მოასწავებდა საერთაშორისო სამართლის სისტემის საბოლოო ფერისცვალებას “მშვიდობის სამართლიდან” და “ომის სამართლიდან” “მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის სამართლად”.

საერთაშორისო ურთიერთობა ლიტერატურაში განისაზღვრება, როგორც ეპონომიკური, სამართლებრივი, დიპლომატიური, სამხედრო კავშირების ერთობლიობა და ურთიერთობები ხალხებს, სახელმწიფოებსა და სახელმწიფო სისტემებს შორის.

არსებობს საფუძველი იმისათვის, რათა საერთაშორისო ურთიერთობები განისაზღვროს, როგორც ისეთი ურთიერთობები, რომლებიც მოიცავენ ყოველგვარ ურთიერთობებს, რომლებიც სახელმწიფო საზღვრებს სცილდება. ესაა საერთაშო-

რისო ურთიერთობები ფართო გაგებით. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, შეადგენენ თუ არა ისინი ერთიან სისტემას. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ასეთ სისტემას ქმნიან ისეთ წარმონაქმნებს შორის, რომლებიც საჯარო ხელისუფლებას ფლობენ. ეს ურთიერთობები დაკავშირებულია ერთმანეთთან, მაგრამ არ შეადგენს ერთიან სისტემას არასახელმწიფოებრივი ხასიათის სხვა საერთაშორისო ურთიერთობებთან. ჩემი აზრით, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სისტემის ცნება ძალიან ახლოსაა საერთაშორისო საზოგადოების ცნებასთან. საერთაშორისო საზოგადოება – ესაა სახელმწიფოთა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტთა ერთობლიობა. საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის სისტემაში მეცნიერი გ. ტუნგინი აერთიანებს შემდეგ კომპნენტებს: სახელმწიფოებს, ხალხებსა და ერებს, რომლებიც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძვიან, სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ორგანიზაციებს, საერთაშორისო კომფერენციებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოებს (კომისიებს, სასამართლოებსა და არბიტრაჟებს), საერთაშორისო სამართალსა და ამ სისტემაში მოქმედ სხვა სოციალურ ნორმებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ძირითადი ადგილი პოლიტიკურ ურთიერთობებს უჭირავს. პოლიტიკური რეგულირების ეფექტურობა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში და მათი მარეგულირებელი საშუალებათა ბუნებამ განსაზღვრა. პოლიტიკურ რეგულირებას ყოველთვის ორი ფორმა ჰქონდა: ძალადობა და კომპრომისი. წარსულში საერთაშორისო სამართალი უარყოფს ძალის მუქარას და გამოყენებას. საერთაშორისო სამართალი გადამწყვეტ მნიშვნელობას მხოლოდ კომპრომისს ანიჭებს.

საერთაშორისო ურთიერთობებში დიდია ინდივიდუალურ გადაწყვეტათა ხელითი წილი, როდესაც კონკრეტული საკითხი მხოლოდ ზოგადი წესების საფუძველზე არ წყდება. აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას პოლიტიკური რეგულირება იძენს. ი. ლუკაშუკის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკური რესურსების დიდი ხელითი წილი იმაზე მეტყველებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა მართვის ერთიან სისტემაში რეგულირების სამართლებრივ საშუალებებს უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ვიდრე პოლიტიკურს. ამასთან, სამართლებრივი საშუალებები აუცილებელია, სამართლებრივი რეგულირება უფრო მყარია, ვიდრე პოლიტიკური, იგი ნაკლებადაა დამოკიდებული პოლიტიკის მერყეობაზე და მისი შედეგების გათვალისწინებაც უფრო ადვილია. ამას გარდა, პრაქტიკულად შეუძლებელია მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირების პოლიტიკური საშუალებებით განხორციელება.

საერთაშორისო სამართლის თეორიაში ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემა, მისი კომპონენტები.

თავიანთ სამეცნიერო გამოკვლევებში დასახული მიზნების შესაბამისად მეცნიერები ასახელებენ საერთაშორისო ურთიერთობათა და სამართლებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა სახეს, რომელთა გამოყოფას საფუძვლად სრულიად განსხვავებულ კრიტერიუმებს უდებენ. საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობათა ოეორიის სხვადასხვა პრობლემას იკვლევდნენ ი. ლისოვსკი, ვ. სოკოლოვი, ა. ტალალაევი, ე. უსენკო, ნ. უშაკოვი, ვ. შურშალოვი და სხვები.

საერთაშორისო ურთიერთობანი და სამართალურთიერთობანი ლიტერატურაში დაყოფილია სახეობებად (ჯგუფებად):

- ა) ურთიერთობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის;
- ბ) ურთიერთობა კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებს შორის;
- გ) ურთიერთობა ორი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ქვეყნებს შორის;
- დ) ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებსა და განვითარებადი ქვეყნების ჯგუფებს შორის;
 - ე) კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობა განვითარებად ქვეყნებთან;
 - ვ) საერთაშორისო ურთიერთობათა ეს საკლასიფიკაციო სისტემა აგებულია დასახელებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის გათვალისწინებით.
- ვ. სოკოლოვი საერთაშორისო ურთიერთობათა გამიჯვნის ძირითად კრიტრიუმად მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. ამ კრიტერიუმის მოშველიებით ავტორი ყოველგვარ საერთაშორისო ურთიერთობებს შემდეგ სახეობებად ყოფს:
 - ა) ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის;
 - ბ) ურთიერთობა სახელმწიფოებსა და ისეთ ერს შორის, რომელმაც ბრძოლის მსვლელობისას შეიძლებული წინააღმდეგობის ორგანოები შექმნა (ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფოები);
 - გ) სახელმწიფოთა ურთიერთობები მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან;
 - დ) სახელმწიფოთა ურთიერთობათა სახელმწიფოთა მსგავს წარმონაქმნებთან;
 - ე) ურთიერთობა მთავრობათაშორის ორგანიზაციებს შორის.

ლიტერატურაში განსახილველი საკითხის ირგვლივ სხვა თვალსაზრისიც არსებობს. როგორც ჩანს, საერთაშორისო ურთიერთობათა კლასიფიკაციის კრიტრიუმებისაგან დამოუკიდებლად ძალის გამოუყენებლობის პრიციპი ვრცელდება ყოველგვარ საერთაშორისო ურთიერთობებზე, რომლებიც სახელმწიფოთა ფარგლებს სცილდება.

თანამედროვე ისტორიული ეპოქის სულისკვეთება, ცხოვრების ლოგიკა ყველა სახელმწიფოსაგან მოითხოვს ძალის გამოუყენებლობის პრიციპის დაცვას საერთაშორისო ურთიერთობებში. ძალის გამოუყენებლობის პრინციპის უნივერსალური აღიარებისაკენ გზაშ თრი მსოფლიო ომის განსაცდელზე გაიარა.

სამწუხაროდ ომის ისტორია ადასტურებს, რომ ზოგიერთი სახემწიფო სამხედრო ძალას იყენებდა საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების ან/და არსებული საერთაშორისო საზღვრების დარღვევის მიზნით.

ცნობილია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ყველა საყოველთაოდ აღიარებული პრიციპი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მჭიდრო ურთიერთკავშირშია აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობებიც. საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების ურთიერთკავშირი გამოიხატება მათ თანაბარ მნიშვნელობასა და სახელმწიფოთა მოვალეობაში დაამყარონ ასეთი ურთიერთობა და თითოეული პრიციპი გამოიყენონ მხოლოდ ისე, რომ არ დაარღვიონ რომელიმე სხვა. ეს არ ნიშნავს, რომ, გარემოებათა შესაბამისად, სახელმწიფოები არ იყვნენ უფლებამოსილი დაეყრდნონ საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ ცალკეულ პრინციპს.

საერთაშორისო სამართლი მოიცავს ზოგადი ხასიათის მქონე პრინციპებს იდეებსა და პრინციპებს, ნორმებს, მაგრამ არსებობს საერთაშორისო სამართლის ისეთი ძირითადი პრინციპებიც, რომლებიც მხოლოდ ნორმებს კი არ წარმოადგენს, არამედ აღჭურვილია უმაღლესი იურიდიული ძალით – უს ცოგენსი (იმპერატული ნორმა). თეორიასა და პრაქტიკაში საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების ეს სტატუსი ფართოდაა აღიარებული.

მალის გამოუყენებლობის პრინციპის მოქმედების სფერო უნივერსალურია საერთაშორისო ურთიერთობათა როგორც სუბიექტების, ისე სახეობების მიხედვით. განუსაზღვრელია ამ პრინციპის მოქმედების როგორც საგნობრივი, ისე სივრცობრივი სფეროები.

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში განსახილველი პრინციპი აღნიშნულ ურთიერთობებზე ზემოქმედებას ახდენს არა მარტო სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის საშუალებით, არამედ ნორმატივით რეგულირების პოლიტიკური და მორალური მექანიზმის დახმარებითაც.

მალის გამოუყენებლობის პრინციპის უმნიშვნელოვანების პრინციპია ზოგადსაკაცობრიო ინტერესებისა და ფასეულობების (პირველ ყოვლისა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მშვიდობისა და უშიშროების, საერთაშორისო თანამშრომლობის) პრიორიტეტის უზრუნველყოფა.

1987 წელის დეკემბერში მიღებულ გაეროს დეკლარაციაში საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მუქარაზე ან/და მის გამოყენებაზე უარის თქმის პრინციპის ეფექტურობის გაძლიერების შესახებ მოცემულია იმ ქმედებათა ჩამონათვალი, რომელთა ჩადენისგანაც თავი უნდა შეიკავონ სახელმწიფოებმა: ნახევრად გასამხედროებულ, ტერორისტულ ან ძირგამომთხრებულ ქმედებათა (მათ

შორის სხვა ქვეყნებში დაქირავებულთა ქმედება) ორგანიზაცია, წაქეზება, მათვის დახმარების აღმოჩენა ან მონაწილეობა (მე-6 პუნქტი).

სახელმწიფო მოგალეა თავი შეიკავოს სახელმწიფოს სამართალსუბიექტურობის ან/და მისი პოლიტიკური ჩარევის, ან მუქარის ყველა სხვა ფორმისგან (მე-7 პუნქტი). არც ერთმა სახელმწიფომ, ნათქვამია დეკლარაციაში, არ უნდა გამოიყენოს ან/და წააქეზოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ან/და სხვა სახის ზომების მიღება, სხვა სახელმწიფოს დამორჩილების მიზნით, მის მიერ სუვერენული უფლებების გამოყენებისა და აქამდე უპირატესობის მისაღებად. თანამედროვე სამართალი, კრძალავს რა აგრესიულ ომს, როგორც საგარეო პოლიტიკის საშუალებას, ამავე დროს ყოველ სახელმწიფოს უფლებას ანიჭებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ან ტერიტორიულ მთლიანობაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში გამოიყენოს “ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლება, ე.ი შეიარაღებულ თავდასხმას დაუპირისპიროს საკუთარი შეიარაღებული ძალები ან მოკავშირე ქვეყნების ჯარები. მას შეუძლია სხვა საჭირო დახმარებაც მოიშველოს.”

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ზოგიერთი სახელმწიფო დედამიწის მთელ რიგ რაიონებს თავისი “სასიცოცხლო ინტერესების” ზონებად აცხადებს, საერთაშორისო ურთიერთობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ძალის მუქარაზე ან/და გამოყენებაზე უარის თქმის პრინციპის ეფექტურობის გაძლიერების შესახებ დეკლარაციის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად განსახილველი პრინციპი თავისი ხასიათით უნივერსალურია და სავალდებულო თითოეული ქვეყნისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ან კულტურული სისტემის ან/და მოკავშირული ურთიერთობების მიუხედავად.

ძალის გამოყენებლობის პრინციპის მკაცრად დაცვას, მისი ნორმატიული შინაარსის შემდგომ განვითარებას ყველა ხრიკის აღსაკვეთად, რომლითაც შეეცდებოდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების გამართლებას საერთაშორისო ურთიერთობათა და საერთაშორისო უშიშროების სრულყოფის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფოთა ერთგულება ამ პრინციპის მიმართ საერთაშორისო თანამშრომლობისა და უშიშროებისადმი მათი დამოკიდებულების მაჩვენებელია.

ძალის გამოუყენებლობის პრინციპი

ნაშრომი შეეხება საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფას, ძალის გამოუყენებლობის პრინციპს საერთაშორისო კონფლიქტებში.

განხილულია საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბება, მისი პრინციპები. საერთაშორისო სამართლის სისტემაში “ომის სამართლისა” და “მშვიდობის სამართლის” როლი. პოლიტიკის როლი საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირებაზე.

გარდა ამისა, ავტორი იკვლევს ომისა და მშვიდობის პრობლემებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და მის შედეგებს მეომარი ქვეყნებისათვის, ასევე სამართლებრივ, დიპლომატიურ, სამსედრო კავშირებისა და ურთიერთობებს ხალხებს, სახელმწიფოებსა და სახელმწიფო სისტემებს შორის.

Merab Rapava

Doctor of law

PRINCIPLE OF NON-VIOLENCE

The research encompasses the issues of international security, principle of non-violence in International conflicts;

There are reviewed the following issues: the formation of international law. Its principles; the role of “Law of War” and “Law of Peace” in international law system; the role of politics in international relations;

Moreover, the author investigates the relations regarding to the issues of war and peace and its consequences for belligerent state. There is examined the relationship among legal, diplomatic, military connection and humans, state and state systems.

Мераб Рапава,

доктор права

ПРИНЦИП НЕИСПОЛЬЗОВАНИЯ СИЛЫ

Работа касается обеспечения международной безопасности, принципа неприменения силы в международных конфликтах.

Рассмотрены вопросы формирования международного права, роль „права войны” и „права мира.” Роль политики в регулировании международных отношений.

Кроме того, автор исследует взаимоотношения, связанные с проблемами войны и мира, их результаты для воюющих сторон. Также правовые, дипломатические и военные связи и взаимоотношения народов, государств, а также взаимоотношения между государственными системами.

გაეროს მიერ რუსეთისათვის მანდატის
შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები

გაერო, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, 1945 წლის 24 ოქტომბერს დაარსდა. ფაშიზმსა და ნაციზმზე გამარჯვებული გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებულ იქნა ისეთი გადაწყვეტილება, რომ შემდგომში მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს ომის წარმოების უფლება არ პქონოდა. სანამ გაერო შეიქმნებოდა, საერთაშორისო სამართალში ომის წარმოების უფლება და მისი გამოცხადების წესები არსებობდა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი სულ იმას პედალირებდა, რომ გერმანია ომის გამოუცხადებლად დაეხსა თავს ანუ იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არსებობდა ისეთი საერთაშორისო სტანდარტები, როცა ერთი სახელმწიფო თუ მეორის მიმართ ომის დაწყებას გადაწყვეტდა, მაშინ მას ეს მოწინააღმდეგისთვის უნდა ეცნობებინა.

გაეროს დაარსებამდე ერთა ლიგა არსებობდა. იგი ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაცია იყო, რომელიც გაეროს წინამორბედად ითვლება. თუმცა, ერთა ლიგა დებელაციის პრინციპს აღიარებდა. დებელაცია ნიშნავს დაპყრობილ ტერიტორიაზე დამპყრობლის იურისდიქციის განხორციელებას, რაც დღევანდელ შემთხვევაში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზეა გავრცელებული.

დღეს რუსეთი დაუბრუნდა ერთა ლიგის წესდებას და იმ ნორმებს, როცა დამპყრობელ სახელმწიფოს დაპყრობილ ტერიტორიაზე შეეძლო დებელაციის პრინციპის განხორციელება.

არც პიტლერი, არც მუსოლინი, არც ლენინი და არც სტალინი არ ცნობდნენ ერთა ლიგის გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგამ საქართველო აღიარა ლორეთით, ზაქათალათი, კახით, ნუხით, ბელაქანით, სოჭის და ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეული ტერიტორიებით და, რაც მთავარია, დღევანდელი თურქეთის ლაზისტანით, ყარსით, არდაგანით და ა.შ.

ჩვენთვის ეს ერთ-ერთი საერთაშორისო დოკუმენტია, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციას საქართველო მოცემულ საზღვრებში პქონდა აღიარებული. თუმცა, წითელმა რუსეთმა ეს აღიარება დაარღვია და საქართველოს ტერიტორია სულ სხვაგვარად განაწილდა.

1945 წლის ოქტომბერში, როდესაც გამარჯვებული სახელმწიფო შეიკრიბნენ, მათთან ერთად 50-მა სახელმწიფო გაეროს წესდება შეიმუშავა. მათ განსაზღვრეს, რომ არავის არ უნდა ჰქონდეს ომის დაწყების, საომარ მოქმედებათა განხორციელების უფლება. ეს გაეროს წესდებით, პირველ რიგში, არის აკრძალული. ომი სამართლიანი მხოლოდ ერთ შემთხვევევაშია, თუ იგი თავდაცვითია.

2008 წლის აგვისტოში, ჩვენ შემთხვევაში, ომი სამართლიანი იყო. იმიტომ, რომ იგი თავდაცვითი ხასიათის მატარებელი იყო და რუსეთი გახლდათ დამპყრობელი.

რაც შეეხება უშიშროების საბჭოს მუდმივ და არამუდმივ წევრობას, გაეროს წესდებაში ნათქვამია იმაზეც, რომ არ შეიძლება იყოს სუსტი და ძლიერი სახელმწიფო. წესდებაში ამაზე პირდაპირაა აღნიშნული, მაგრამ ძლიერი სახელმწიფოები მაინც არიან წარმოდგენილი უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებად.

სხვათაშორის, დღეს არსებულ ევროკავშირს რიგრიგობით ჰყავს თავმჯდომარე და ვეტოს უფლება იქ არ არის. ეტყობა, ევროკავშირმა გაეროს ეს ხარვეზი გაითვალისწინა და დღეს უფრო გამართული საერთაშორისო ორგანიზაციია.

გაეროს შემთხვევაში კი წესდების თავში დევს, რომ უშიშროების მუდმივ წევრ სახელმწიფოს თუ დასჭირდა, ყოველთვის შეუძლია გაეროს წესდებას ფეხი დაბიჯოს და იგი თავისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიხედვით დაარღვიოს, რაც, ამ შემთხვევაში, რუსეთმა გააპეთა.

ერთ მაგალითს მოვიყვანთ. თავის დროზე, როდესაც ნიკარაგუასთან აშშ-მა საომარი მოქმედებები დაიწყო, გაერომ ვაშინგტონის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამერიკას შეეძლო დაებლოკა, მაგრამ არ გააპეთა.

ამერიკის დიპლომატიამ ამით სხვებს ცუდი მაგალითი არ აჩვენა და წინდახედულად მოიქცა, რომ სამარცხვინო ნაბიჯი არ გადადგა და რეზოლუცია არ დაბლოკა. თუმცა, ამის გამო, ძალიან დიდი თანხის გადახდა მოუწია, მას ნიკარაგუას სახელმწიფოსათვის მიუენებული ზარალი აანაზღაურებინეს.

თავისთავად, აღრეც აღვნიშნავდით და ახლაც ვიმეორებთ, თუ გაეროს წესდებაში ცვლილებები არ მოხდა ჩათვალეთ, რომ იგი არაფრის მომცემი და არაფრის მქნელი საერთაშორისო ორგანიზაციაა. 16 წლის მანძილზე, რაც საქართველოში გაეროს მისია არსებობს და რაც რეზოლუციები მიიღეს,

შევარდნაძის დროიდან დაწყებული ბოლო პერიოდამდე, სრულად არც ერთი რეზოლუცია არ შესრულებულა.

ისმის კითხვა, რა აზრი პქონდა ახლაც რომ მიეღოთ საქართველოსთვის სასარგებლო რეზოლუცია, თუ ის არ შესრულდება? არანაირი. ადრე მიღებულ გაეროს ყველა რეზოლუციაში წერია ლტოლვილების უპირობო დაბრუნება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ა.შ. მაგრამ რა?! არ შესრულდა.

ახლა გადავიდეთ იმ თემაზე, რასაც მანდატის გაუქმება ჰქვია. ჩვენი აზრით, რუსეთის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დადასტურდა ზბიგნევ ბერზინსკის შემდეგი გამონათქვამი: "რუსეთს აქვს ატომური ბომბი, ბალისტიკური რაკეტები, მაგრამ ეს მსოფლიოსათვის იმდენად დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს, რამდენადაც რუსულ დიპლომატიაში სინდისის არარსებობა".

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც გვსურს ხაზი გავუსვათ ისაა, რომ პატარა თუ დიდმა სახელმწიფომ, არა აქვს მნიშვნელობა იგი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია თუ არა, რუსეთის ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა.

როცა ლაპარაკია, რომ რამდენიმე სახელმწიფომ თავი შეიკავა, ეს ნიშნავს, რომ ისინი რუსეთის მოწინააღმდეგა არიან. ანუ ამას ჰქვია რუსეთის მოწინააღმდეგა ქვეყნების პასიური მომხრე. ის სახელმწიფოც კი, მხედველობაში გვაქვს ნიკარაგუა, რომელსაც სათავეში დიქტატორი უდგას და ვითომცდა რუსეთს მორალური მხარდაჭერა გამოუცხადა, იმანაც კი, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭოში დღის წესრიგში ეს საკითხი კენჭისყრაზე დადგა, რუსეთს მხარი არ დაუჭირა.

აი, ამ დიქტატორული სახელმწიფოს დიპლომატიამაც გაეროს წესდება არ დაარღვია. სამწუხაროდ, არც ერთმა პოლიტიკოსმა ამაზე განცხადება არ გააკეთა, არადა ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

არ გვაქვს უფლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ ალექსანდრე ლუკაშენკომ, რომელსაც არა მოკავშირედ, არამედ მტრად აღვიქვამთ, კენჭისყრამდე რამდენიმე დღით ადრე გააშიშვლა რუსეთი და მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ რუსეთს მხარს არ დაუჭირდა.

არ შეიძლება ეს არ დაინახო. მიუხედავად იმისა, რომ ის დიქტატორადაა წოდებული, თავის სახელმწიფოში პრობლემები აქვს და ამას მთელი მსოფლიო აღიარებს არ შეიძლება არ დააფასო, რომ მან თავის დიპლომატიას ფეხი არ დააბიჯა და ისეთ სამარცხევინო სიტუაციაში არ ჩააყენა, როგორც ეს რუსეთმა გააკეთა. ასე რომ, რუსეთი ამ შემთხვევაში მარტო დარჩა.

ალბათ რუსეთმა კიდევ ერთხელ მოსინჯა, არის თუ არა მსოფლიოში ისეთი სახელმწიფო, რომელიც მას ამაში მხარს დაუჭერდა.

ერთადერთი გამოსავალია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, რომელსაც ვეტოს უფლება აქვს, მიუკერძოებელი და ნეიტრალური იყოს. თუ რაიმეთი დადასტურდა, რომ უშიშროების საბჭოს ვეტოს უფლების მქონე მუდმივ წევრს განსახილველ საკითხში რაიმე ინტერესი გააჩნია, ასეთ შემთხვევაში მას უნდა ჩამოერთვას ამ საკითხზე არა მარტო ვეტოს გამოყენების, არამედ ხმის მიცემის უფლებაც.

ამის შესახებ ვწერდით კიდეც. ვამბობდით, რომ თუ ეს არ მოხდება, მაშინ ის შედეგი გვექნებოდა, რაც ახლა გვაქვს.

ვერც გაითვალისწინებდნენ, რადგან სანამ პრეცედენტი არ იქნებოდა წინასწარ ხომ ვერ იმსჯელებდნენ. უბრალოდ, ვარაუდი გამოვთქვით, რომ ჩვენ რუსს და რუსულ პოლიტიკას ვიცნობთ და ვიცით, რომ იგი ამას გააკეთებს, მაგრამ ხომ არ ჰქონდა გაკეთებული? ახლა უკვე ფაქტი წინ გვიდევს. ამიტომ, გაეროს უშიშროების საბჭო უნდა დაიხუროს ან თავის წესდებაში ცვლილებები უნდა შეიტანოს და რეფორმირება განიცადოს.

როდესაც წესდებაში ცვლილების შეტანა უნდა, მაშინ არ არის საჭირო მაინცდამაინც უშიშროების მუდმივი საბჭოს ნებართვა. აქ სხვა მომენტია, სხვა პროცედურებია და გაეროს წესდებაში შეუძლია ცვლილება შეიტანოს. გაერო – არის სახელმწიფო სახელმწიფოში. იგი ის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის წევრობა სახელმწიფოს აძლევს საერთაშორისო სამართლის სუბიექტურობას.

რუსეთმა ცხინვალსა და სოხუმში საელჩოები გახსნა, ცხინვალმა და სოხუმმა კი მოსკოვში - თავისი საელჩოები.

მიუხედავად ამისა, იქ მომუშავე ადამიანები არანაირი იმუნიტეტით არ სარგებლობენ და ცხადია, არც დიპლომატები არიან, ვინაიდან ელჩი შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს ანუ გაეროს მიერ აღიარებულ სახელმწიფოს. ანუ ყველაფერი, რასაც თვითონ რუსეთი აკეთებს, ბლეფია. მეტიც, იმის გამო, რომ რუსეთმა არაერთგზის დაარღვია გაეროს წევრი სახელმწიფოს – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და გაეროს წესდება, მან უნდა იმსჯელოს რუსეთისთვის მანდატის შეჩერების საკითხზე, რათა რუსეთის ასეთი ქმედება არ გახდეს მაგალითი სხვა სახელმწიფოებისათვის.

თუ გაერომ, წესდების დარღვევის გამო, რუსეთი არ დასაჯა, შესაძლოა, მან აიძულოს აფრიკული და აზიური ქვეყნები, აღიარონ აფხაზეთი და სამაჩაბლო.

აფრიკულ და აზიურ ქვეყნებს რუსეთის ძალიან დიდი ვალი აქვს და, შესაძლოა, მან სწორედ ამ ვალების გაქვითვის სანაცვლოდ მოხსოვოს სეპარატისტული რეგიონების აღიარება.

თუმცა, რუსი ისეთ საშინელებას აკეთებს, რაც შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს. შესაძლებელია, რომ რუსეთს ეს მალე ბუმერანგივით მოუბრუნდეს და ძალიან მტკიცნეულად მოხვდეს. იმიტომ, რომ რუსეთის სახელმწიფო კონსტიტუციის მიხედვით ფედერაციულია და მასში შედიან ისეთი ქვეყნები, რომლებიც რუსი ერის გაჩენამდე უკვე იყვნენ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებული.

გაეროს ყოფნას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე საქართველოსათვის არც მანამდე არაფერი გაუკეთებია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაეროს უფლება აქვს კონფლიტურ ზონებში შეიყვანოს შეიარაღებული კონტიგენტი, წესდების 39-ე მუხლიდან 51-ე მუხლის ჩათვლით.

გაეროს წესდებაში მე-6 თავია, რომელიც ითვალისწინებს მთელ პროცედურას, როგორ უნდა შეიყვანოს სამხედრო კონტიგენტი და დაამყაროს იქ წესრიგი. მაგრამ, აქ დღის წესრიგში ერთი საკითხი დგება, თუ საქმე გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს ეხება, მაშინ რა გამოდის, გაეროს უფლება არა აქვს, რომ იმ სახელმწიფოში შეიარაღებული ძალები შეიყვანოს?

დსთ თითქმის საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია იყო. როდესაც დსთ-ს წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს აფხაზეთის იზოლაციას, ეს გაეროს წესდებიდან გამომდინარე იმის აღიარება იყო, რომ იქ სეპარატისტული რეჟიმი იყო და იგი ისეთ პირობებში უნდა ჩაეყენებინათ, რომ მას საქართველოს მიერ შეთავაზებული პირობები მიეღო.

ამიტომ იყო იზოლაციაში რომ მოაქციეს, მაგრამ აქაც რუსეთმა დაარღვია პირობა და დადგენილი საიზოლაციო პირობები ცალმხრივად გააუქმა. თუ რუსეთს თავის ნებაზე მივუშვებთ, მას შეუძლია ნებისმიერი მიმდებარე სახელმწიფოს ტერიტორიები დაიპყროს, მერე მისი ცალმხრივად დამოუკიდებლობა აღიაროს, გახსნას საელჩოები და ა.შ.

მერე კი გაერომ უშიშროების საბჭოზე დააყენოს ესა თუ ის საკითხი და რუსეთმა ამას კვლავ ვეტო დაადოს. ანუ ეს უტოპიაა, რაც რუსეთმა უკვე მოიმოქმედა და გააკეთა. რუსეთი ვერანაირად ვერ გამოვა ისე, რომ თავად არ დაზარალდეს. რუსეთი ძალიან დიდ დანაკარგს მოიმკის და ძალიან მალე დადგება დრო, როცა რუსეთს ამ დანაკარგის დათვლა მოუწევს.

მერაბ რაფაგა, ზვიად გაბისონია
სამართლის დოქტორები

გაეროს მიერ რუსეთისათვის მანდატის შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები

ნაშრომი შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციის, გაეროს მიერ მსჯელობის აუცილებლობას რუსეთისათვის მანდატის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულია რომ, საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა სახელმწიფოს აძლევს საერთაშორისო სამართლის სუბიექტურობას. აღნიშნულია გაეროს წესდებაში რეფორმების აუცილებლობის შესახებ, რათა აცილებულ იქნეს 2008წ. აგვისტოს მოვლენების განმეორება.

გარდა ამისა, განხილულია რუსეთის მხრიდან გაეროს წესდების არაერთგზის დარღვევის ფაქტი და გაეროს მხრიდან აუცილებლობა, რუსეთისათვის მანდატის შეჩერებაზე, რუსეთისა და სხვა სახელმწიფოების დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

Merab Rapava, Zviad Gabisonia

Doctor of law

UN LEGAL BASIS TO STOP THE MANDATE FOR RUSSIA

The research refers to the essential discussion of United Nation regarding to mandate termination for Russia;

The author points out that the membership of international organization gives the state possibility to become the subject of international law. Moreover, the researcher makes the point regarding to the importance of reforms in UN Charter in order to prevent the repetition of August 2008 events of Georgia.

Furthermore, the research emphasizes on the Russia's behavior, which systematically breaches the Charter of UN. The research illustrates the essentiality of Russia's mandate termination process. The research reviews the states attitudes toward the above - mentioned issues.

Мераб Рапава, Звиад Габисония,

доктор права

**ПРАВОВЫЕ ОСНОВЫ ООН
ПРИОСТАНОВЛЕНИЯ МАНДАТА РОССИИ**

Труд касается международной организации, обязательного обсуждения в ООН вопроса о приостановлении мандата России.

Автор отмечает, что главенство Организации Объединённых наций даёт государству субъективность международного права. Также автор отмечает необходимость реформы законодательств ООН, чтобы избежать повторения событий августа 2008 года. Кроме того, в работе рассматривается вопрос о неоднократном нарушении Россией законов ООН, приостановления мандата России, отношение России и других государств к этому вопросу.

ალექსანდრე ტალიაშვილი

ძველი რომის სისხლის სამართლის პროცესი

ძველი რომის სამართლმა მსოფლიოს სამართალგანვითარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა. როგორც პროფესორი მარიამ ცაცანაშვილი აღნიშნავს: „რომის სამართლისაგან დავალებულია როგორც ძველი სამყაროს სახელმწიფო-კბრიობა და სამართალი, ასევე შემდგომი პერიოდის სამართალგანვითარებაც. თანამედროვე სამართლებრივი სისტემები გარკვეულწილად ეყრდნობა რომის სამართალს“¹. რომის სამართალს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ასობით ნაშრომი აქვს მიძღვნილი. ეს პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს პროფესორ გიორგი ნადარეიშვილს თუ დავესესხებით: „დღეს მსოფლიოში გამოდის თერთმეტი სპეციალური ჟურნალი, რომელთა მიზანია რომის სამართლის საკითხებზე კვლევითი ხასიათის სამეცნიერო წერილების გამოქვეყნება“²

რომის სამართლის მკვლევრები ძირითად ყურადღებას რომის კერძო სამართალს უთმობენ, რომელიც ყველაზე დასრულებული ფორმითაა შექმნილი და დღევანდელი ევროპული ცივილური სამართლის საფუძველს წარმოადგენს.

რომის სისხლის სამართალი და პროცესი ცალკე განვითარდა. მასზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენდა ის ცვლილებები, რომელიც კერძო სამართლის სფეროში მიმდინარეობდა. ამას გარკვეულად განაპირობებდა ის გარემოება, რომ რომის სისხლის სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა კანონები: სახალხო კრების დადგენილებები, სენატის მიერ გამოცემული აქტები, იმპერატორის კონსტიტუციები. რაც შეეხება პრეტორის ედიქტებსა და რომაელ იურისტთა მოღვაწეობას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რომის ცივილური სამართლის განვითარებაში, სისხლის სამართლის სფეროზე მცირე გავლენა იქნია.

სამწუხაროდ, რომის სისხლის სამართალი და პროცესი ქართველი მეცნიერების მიერ არ არის შესწავლილი. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისია პროფესორ ვალერიან მეტრეველის რომის სამართალი (საფუძვლები), რომელშიც,

¹ მარიამ ცაცანაშვილი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. I ტ. თბილისი. 2004 წ. გვ. 87-88.

² გიორგი ნადარეიშვილი. რომის სამოქალაქო სამართალი. თბილისი, 2001 წ. გვ. 9.

ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ზოგადად წარმოდგენილია რომის სისხლის სამართალი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესუალური სამართალი.

როგორც პროცესორი ვალერიან მეტრეველი მიუთითებს: „რომის სისხლის სამართლის შესწავლისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტები მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა, ისინი ვითარდებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა და ამიტომაც მათი განხილვა უნდა მოხდეს რომის სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის პერიოდიზაციის შესაბამისად.“¹

რომის ისტორიის მკვლევრები სახელმწიფოს განვითარების სამ ეტაპს გამოყოფენ: რექსების ხანა (ძვ.წ.VIII-VII ს.წ.), რესპუბლიკის ხანა(ძვ.წ.V-I ს.წ.) და იმპერიის ხანა (ახ.წ.I-V ს.წ.).

სასამართლო და პროცესი რექსების ხანაში

ამ პერიოდის სასამართლოსა და პროცესზე შედარებით ნაკლები ცნობებია შემორჩენილი, მაგალითად, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში გვაროვნული წყობილების დროს გავრცელებული სისხლის აღების ინსტიტუტზე მხოლოდ ცალკეული ცნობების მიხედვით შეიძლება მსჯელობა. თორმეტი ტაბულის კანონებში შემორჩენილია ტალიონის პრინციპი სხეულის დაზიანების დროს და ისიც მაშინ, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ დაზარალებულის სასარგებლოდ ჯარიმის გადახდაზე. თუმცა, ამ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ თვითგასწორება ოფიციალური ჯარიმით შეიცვალა.

განსხვავებით ზოგიერთი მეცნიერისაგან, ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი, ნობელის პრემიის ლაურიატი, რომის ისტორიის მრავალტომეულის ავტორი თეოდორ მომზენი თვლის, რომ „სახელმწიფოს ენერგიული ჩარევის შედეგად სისხლის აღება რომში მაღე მოისპო.“²

რომში გარკვეული პერიოდი არსებობდა სასამართლო ორთაბრძოლები და ორდალიები, მაგრამ ეს ინსტიტუტები არ განვითარებულა, ამიტომ მათზე ცნობები არ შემონახულა.

სასამართლო ხელისუფლება რექსების პერიოდში მეფის ანუ რექსის ხელში იყო თავმოყრილი. რექსი – ტომის წინამძღვრი, რომელიც შემდგომში სახელ-

¹ ვალერიან მეტრეველი. რომის სამართალი (საფუძვლები). თბილისი, 1995 წ. გვ. 100.

² Т. Моммзен. История Рима. Т1. 1936 г. Ст. 141-142.

მწიფოს მმართველი გახდა. ისტორიკოსების ნაწილი მას მეფეს უწოდებს. რექსის თანამდებობა არჩევითი იყო, მისი ხელისუფლება იზღუდებოდა სახალხო კრების მიერ, არ შეეძლო სახალხო კრების გარეშე კანონის შეცვლა, გაუქმება და ახლის მიღება. ეს უფლება ხალხს ეპუთვნოდა. მეფის მიერ გამოტანილი განაჩენი არ იყო საბოლოო და მოქალაქეს უფლება ჰქონდა სახალხო კრებისათვის მიემართა.

რექსი სასამართლო პროცესს ატარებდა იმ მოედანზე, სადაც სახალხო კრება იმართებოდა. რექსი მართლმსაჯულებას ახორციელებდა მხოლოდ თავისუფალი მოქალაქეების მიმართ. მონების გასამართლების უფლება მხოლოდ მათ ბატონებს ჰქონდათ.

სასამართლოზე ბრალდება კერძო ხასიათს ატარებდა. თუ პროცესი საჯარო ინტერესს შეიცავდა, მეფე ბრალდებას პირადად უყენებდა და დამნაშავეს სასამართლოზე თვითონ წარადგენდა.

სახელმწიფო პროცესი ტარდებოდა დანაშაულზე, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგს. იგი მოიცავდა როგორც სახელმწიფოს დალატს, ისე ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევად ითვლებოდა ასევე მკვლელი, ცრუმოწმე, ხანძრის გამჩენი, პირი, რომელიც სახალხო მიწებზე მოსავალს ანადგურებდა, იპარავდა პურს...

პროცესებსა და საქმეებს, რომლებიც სახალხო ინტერესებიდან გამომდინარე ტარდებოდა, მოგვიანებით რომაელმა იურისტებმა iudicia publica (იუდიცია პუბლიკა) უწოდეს.

სასამართლო განხილვისას რექსი გარკვეულ წესს იცავდა. იგი სასამართლოზე იბარებდა და უსმენდა ორივე მხარეს, შემდეგ სენატორებისაგან არჩეული მრჩევლები გამოთქვამდნენ მოსაზრებებს და მხოლოდ ამის შემდეგ ადგენდა რექსი განაჩენს.

რექსს შეეძლო პროცესის ჩატარება დაევალებინა მოადგილის ან ორი სენატორისათვის. მოგვიანებით რექსის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის კოლეგიური მოადგილეების დანიშვნამ სისტემატური ხასიათი მიიღო.

სახელმწიფო პროცესებზე ბრალდებული, როგორც წესი, პატიმრობაში იმყოფებოდა და მის დაკავებაზე რექსი ზრუნავდა.

კერძო ბრალდების საქმეებზე ბრალდებულს არ ჰქონდა შეზღუდული თავისუფლება და სასამართლოზე მისი წარდგენა ბრალმდებელს ანუ დაზარალებულს უნდა უზრუნველეყო.

თავისუფალ მოქალაქეთა წამება ნებადართული არ იყო. სასჯელი გამოირჩეოდა სისასტიკით, სიკვდილით დასჯა სხვადასახვა სახის იყო, ცრუ მოწმეებს კლიდიან აგდებდნენ, მოსავლის ქურდები სახრჩობელაზე აჰყავდათ, ხოლო სანძრის გამჩენებს – კოცონზე წვავდნენ.

გამოტანილი განაჩენის შეცვლის ან გაუქმების უფლება რექსს არ ჰქონდა. იგი ნებას რთავდა მსჯავრდებულს, გაესაჩივრებინა განაჩენი სახალხო კრებაზე, რომელიც უმაღლესი ორგანო იყო.

რექსების ხანის სასამართლო პროცესს ბევრი ჰქონდა საერთო შემდგომი, რესპუბლიკის ხანის ადრინდელი პერიოდის სისხლის სამართლის პროცესთან. მასზე დაწვრილებით შევჩერდებით რექსის შემცვლელი პირველი კონსულების ფუნქციების განხილვისას.

სასამართლო და პროცესი რესპუბლიკის პერიოდში

მეფობის გაუქმების შემდეგ სასამართლო ხელისუფლება რომში მაგისტრებისა და, პირველ რიგში, უმაღლესი მაგისტრების – კონსულების ხელში გადავიდა. მაგისტრატურა რომში ორგანიზებული იყო კოლეგიური ორგანოს მსგავსად: ორი კონსული, ორი პრეტორი და ა.შ.

ერთი დონის მაგისტრები მუშაობდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ძალაუფლებასაც ცალ-ცალკე ფლობდნენ. თითოეულ მაგისტრს შეეძლო მეორის გადაწყვეტილებისათვის ვეტო დაედო; კონსულს, მაგალითად, შეეძლო თავისი კოლეგის ნებისმიერი განაჩენის აღსრულება შეეჩერებინა და საქმე სახალხო კრებაზე გადაეტანა განსახილველად. სწორედ ამაში ხედავდნენ რომაელები მაგისტრების მუშაობის ურთიერთშეთანხმებასა და კონტროლს.

მეფის (რექსის) სასამართლო კომპეტენციისა და კონსულების კომპეტენციის შედარებისას ნათელი ხდება, რომ კონსულებმა მეფის (რექსის) სასამართლო ძალაუფლება შეზღუდვებით მიიღეს. მაგალითად, რექსს შეეძლო მხარისათვის შეეზღუდა საქმის აპელაციაში – სახალხო კრებაზე გადატანა, კონსულების განაჩენი, თუ არ ჩავთვლით საომარ მდგომარეობას, აპელაციას შეუზღუდავად ექვემდებარებოდა.

კონსულები სახელმწიფო საქმეებით იყვნენ დაკავებული და, როგორც რექსები, მოსამართლის მოვალეობას მათ მიერვე შერჩეულ პირებს აკისრებდნენ. ასეთ პირებს უფლებამოსილება უწყდებოდათ მხოლოდ კონსულის უფლებამო-

სილების გასვლისას. ვინაიდან დანიშნული მოსამართლების უფლებამოსილება გამომდინარეობდა კონსულის უფლებამოსილებიდან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მნიშვნელოვანი საქმეების განხილვისას, კონსულს საქმის კურსში აყენებდნენ. მოსამართლის გამოტანილი განაჩენი ითვლებოდა კონსულის განაჩენად და მას არ შეეძლო განაჩენის შეცვლა ან გაუქმება. განსხვავებით განაჩენის დადგენისა, კონსულს არ შეეძლო საქმის დაწყება და ბრალდების წაყენება სხვა პირისათვის დაევალებინა. ეს უშუალოდ კონსულის მოვალეობა იყო და ამ უფლებას სხვას ვერ გადასცემდა.

სისხლის სამართლის საქმეების დაწყებისა და შეჩერების უფლება ჰქონდათ სახალხო ტრიბუნებს, რომლებიც, ამავე დროს, ვეტოს უფლებით სარგებლობდნენ.

რომში რესპუბლიკის პერიოდის სახალხო ტრიბუნი მისი მოქალაქეთა ინტერესების ნამდვილი დამცველი იყო. იმისათვის, რომ ტრიბუნის დახმარებით შეუზღუდავად ესარგებლა მოქალაქეს, მას უფლება არ ჰქონდა დამე ქალაქგარეთ გაეთია, მისი სახლის კარი ყოველთვის დია უნდა ყოფილიყო.

ტრიბუნს შეეძლო ვეტო დაედო არა მარტო მაგისტრის, არამედ სახალხო კრების გადაწყვეტილებისთვის. ტრიბუნისათვის ნებისმიერი წინააღმდეგობის გაწევა უმკაცრესად ისჯებოდა. ტრიბუნს შეეძლო გამოძიების დაწყება ნებისმიერი მოქალაქის, მათ შორის კონსულის მიმართ და თუ არ დაემორჩილებოდა, უფლება ჰქონდა დაეპატიმრებინა.

ტრიბუნის ბრძანება დაპატიმრების შესახებ სისრულეში მოჰყავდათ ედილებს, რომლებსაც თანამდებობაზე ტრიბუნებთან ერთად ირჩევდნენ და ასეთივე ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ. ედილები უფლებამოსილი იყვნენ გაერჩიათ ნაკლებ-მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეებიც. ასეთ საქმეებზე სასჯელად გათვალისწინებული ფულადი ჯარიმა იყო.

პარალელის გავლების შემთხვევაში დავინახავთ, რომ ტრიბუნების, ედილების კომპეტენცია უთანაბრდება კონსულის კვესტორების კომპეტენციას.

გერმანელი ისტორიკოსის ტ. მომზენის აზრით, კონსულებსა და ტრიბუნებს უკუთვნოდათ მთლიანი და პარალელური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია, თუმცა კონსულები ამ ფუნქციას ახორციელებდნენ სხვა პირთა მეშვეობით, ხოლო ტრიბუნები პირადად. ტრიბუნები ასრულებდნენ ერთგვარი საკასაციო სასამართლოს ფუნქციას, რომელიც მაგისტრატების თვითნებობას ზღუდავდა.¹

¹ Т. Моммзен. История Рима. Т1. 1936 г. Ст. 267.

მაგისტრებთან ერთად სასამართლო ხელისუფლებას სენატი ახორციელებდა, რომელიც კოლონიებისა და პროვინციების საქმეებს იხილავდა. თავდაპირველად სენატს გადაწყვეტილება გამოჰქონდა რომაელი ადგილობრივი მმართველობის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებზე, ხოლო შემდგომ იხილავდა ყველა საქმეს, რომელიც თანამდებობრივ დანაშაულს ეხებოდა.

სენატი საქმეებს განიხილავდა მთელი შემადგენლობით ან წევრებისაგან შექმნილი დროებითი კომისიის საშუალებით. საქმის დროებითი კომისიის მიერ განხილვის წესი სულას მმართველობის დაწყებამდე არსებობდა.

ახალ წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში შეიქმნა პირველი მუდმივი კომისია – კვესტია. ეს იყო სენატორებისაგან დაკომპლექტებული სასამართლო, რომელსაც დროებითი კომისიები უნდა შეეცვალა.

მოსამართლე-მსაჯულად სასამართლოს შემადგენლობაში ყოფნა საპატიო მოვალეობად ითვლებოდა. ამ ადგილებზე მუდმივი ქიშპობა იყო მხედრების წარმომადგენლებსა და სენატორებს შორის.

ძვ. წ. 123 წელს ტრიბუნმა გაი გრაკემა, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდებოდა მის მიერ გატარებული აგრარული კანონმდებლობისათვის, სახალხო კრებას მიაღებინა კანონი, რომლის თანახმად, მუდმივ კომისიაში, სადაც იხილებოდა გამოძალვის საქმეები, მსაჯულებად სენატორთა ნაცვლად მხედრები უნდა არჩეულიყვნენ.

ძვ.წ. 91 წელს ლივი დრუზდმა, როგორც სახალხო ტრიბუნმა, სახალხო კრებას მიაღებინა კანონი, რომლის მიხედვით, მსაჯულები მუდმივ კომისიაში ირჩეოდნენ მხედრებისა და სენატორთა შემადგენლობიდან თანაბარი პროპორციოთ.

ძვ.წ. 83 წელს კორნელი სულა გამარჯვებული დაბრუნდა მცირე აზიდან. მან ძალაუფლება აიღო რომში, სასტიკად გაუსწორდა მოწინააღმდეგებებს, სენატი შეაგვით თავისი ერთგული 300 ოფიცრით და მოახდინა მუდმივი კომისიების რეფორმირება.

სულას კანონებით შეიქმნა რვა მუდმივი კომისია, რომელიც დაქოფილი იყო განსახილველი სისხლის სამართლის კატეგორიების მიხედვით:

1. რომაელი ხალხის სიდიადის შეურაცხოფა. აქ შედიოდა: ღმერთების, ქალაქის, სენატის შეურაცხოფა, არმიის დატოვება, მაგისტრების წინააღმდეგ გამოსვლა და მათი გადაყენების მცდელობა, ტრიბუნების ძალაუფლების იგნორირება. იულიუს ცეზარმა სპეციალური კანონის დამატებით შეიტანა მტრისთვის მიწისა და ხალხის გადაცემა, ტყვეების გათავისუფლება, შეთქმულება.

ამ დანაშაულებისათვის სასჯელად გათვალისწინებული იყო გაძევება (იკრძალებოდა გაძევებულისათვის წყლისა და ცეცხლის მიწოდება).

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მაგისტრებისა და სხვა თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი გამოძალვა და მექრთამეობა; ამ კატეგორიის საქმის განხილვას წინ უსწრებდა სენატის სპეციალური კომისიის დასკვნა. სასჯელად გათვალისწინებული იყო ჯარიმა, გაძევება, სენატის წევრობის ჩამორთმევა.

3. სახელმწიფო ხაზინის ბოროტად გამოყენება. ეს იყო თანამდებობრივი დანაშაული, რომელიც გამოიხატებოდა ასევე საღვთო ქონების მითვისებასა და გამაგრებული ნაგებობების დაზიანებაში. სასჯელად გათვალისწინებული იყო გაძევება.

4. წინასაარჩევნო წესის დარღვევა, მოსყიდვა. კანონი მიღებულ იქნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში. დასჯადი გახდა ამომრჩევლებისათვის სუფრების მოწყობა, გავლენიანი ადამიანების მოსყიდვა, მოსამართლებზე ზეწლა. დანაშაულისათვის სასჯელად გათვალისწინებული იყო გაძევება და მოქალაქის უფლების ჩამორთმევა.

5. მკვლელობა. რომის მოქალაქის მკვლელობასთან ერთად აქ შედიოდა ქალისათვის ორსულობის შეწყვეტა, გემის დაწვა, რასაც ერთი ან რამდენიმე ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.

სასჯელად გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა.

6. მოწამვლა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაული. კანონში მითითებული იყო დანაშაულის შედგენილობა და იგი აწესებდა თანაბარ პასუხისმგებლობას ვინც მოკვლის განზრახვით „მოამზადებდა, გაყიდდა, იყიდდა, შეინახავდა თუ მისცემდა საწამლავს.“ თანამონაწილები ერთად არ გასამართლებოდნენ, თითოეულს ბრალი ცალ-ცალკე უნდა წარდგენოდა. კანონით ერთი მონაწილის მიმართ გამოტანილ განაჩენს თანამონაწილის საქმის განხილვაზე არ უნდა ემოქმედა, თუმცა უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას პრეუდიციის მნიშვნელობა ექნებოდა.

მოწამვლის საქმეების განხილვის მუდმივ კომისიაში მსაჯულ მოსამართლედ, სულას კანონის თანახმად, 32 სენატორი შედიოდა და განაჩენი სიკვდილით დასჯა იყო.

7. საჯარო ძალადობა. მოიცავდა მაგისტრისათვის მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლას, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. სასჯელად გათვალისწინებული იყო გაძევება.

8. მოტყუება. აქ შედიოდა ისეთი დანაშაულები, როგორიცაა ყალბი ფულის დამზადება-გასაღება, ხელშეკრულების გაფორმებისას ნდობის ბოროტად გამოყენება, ზომა-წონაში მოტყუება, ყალბი ანდერძის შედგენა და სხვა. ასეთი ქმედებები რომის მოქალაქისათვის შეუფერებლად ითვლებოდა და სასჯელის ზომად გათვალისწინებული გაძევება იყო.

სულას კანონმდებლობით მოხდა ასევე მთელი რიგი დელიქტების კრიმინალიზაცია. ცემა, სხეულის დაზიანება, სხვის სახლში შეჭრა – ამოღებულ იქნა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სფეროდან და მათზე სასჯელი (ძირითადად ჯარიმის სახით) დაწესდა. კორუფციისათვის შემოღებულ იქნა ახალი სასჯელი – 10 წლით მაგისტრის თანამდებობაზე არჩევის უფლების ჩამორთმევა.

საქმის წარმოება მუდმივ კომისიებში, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენდა, ორ ნაწილად იყოფოდა: წინასწარი გამოძიება, რომელსაც მაგისტრი აწარმოებდა და სასამართლო განხილვა.

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობდა პრეტორის თავმჯდომარეობით. სასამართლო შედგებოდა 32, 50, 75 მოსამართლისაგან (მსაჯულისაგან), რომლებსაც ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას მსაჯულთა ყოველწლიური სიიდან კენჭისყრით ირჩევდნენ.

რესპუბლიკის ბოლო პერიოდში მუდმივმა კომისიებმა სახალხო კრებას მთლიანად ჩამოართვეს სასამართლო ფუნქცია.

სულას მიერ გატარებული რეფორმების შემდეგ გამოიყო 8 სპეციალური პრეტორი, რომლებიც თავმჯდომარეობდნენ მუდმივ კომისიებს. პრეტორს სამ შემთხვევაში ჰქონდა უფლება მიეღო შემაჯამებელი გადაწყვეტილება ისე, რომ საქმე არ გადაეცა სასამართლოსათვის: 1. როდესაც საქმის აღმკრისთანავე ბრალდებული თავს ცნობდა დამნაშავედ; 2. როდესაც დამნაშავეს შეიპყრობდნენ დანაშაულის ადგილზე; 3. როდესაც დანაშაული არ იყო გათვალისწინებული არსებული კანონით.

პრეტორს ჰყავდა რამდენიმე თანაშემწე, რომელთაც შეეძლოთ პრეტორის დავალებით საქმის წინასწარი გამოძიება და სასამართლოს თავმჯდომარეობის გაწევა.

მუდმივი კომისიის სასამართლოებში ბრალმდებლად ნებისმიერი რომის მოქალაქეს შეეძლო გამოსვლა, კერძო პირის ბრალდება ბრალდების ძირითად ფორმად ითვლებოდა.

რომში თვლიდნენ, რომ ყოველი მოქალაქის მოვალეობა იყო რესპუბლიკის კეთილდღეობის დაცვა და დამნაშავის გამომედავნება.

სასამართლოში ბრალმდებლად გამოსვლისათვის საჭირო იყო პრეტორის ნებართვა, ბრალმდებლის მუშაობა არ იყო ანაზღაურებადი, ამასთან, თუ ბრალმდებელი ვერ დაამტკიცებდა მის მიერ წაყენებულ ბრალდებას, დაზარალებულს შეეძლო მისთვის ბრალდება ცილისწამებისათვის წაეყენებინა.

ამ ზოგად წესთან დაკავშირებით, ციცერონი გამოთქვამდა თავის აზრს: „არავინ არ შეიძლება მსჯავრდებულ იქნეს შესაბამისი ბრალდების გარეშე, უდანაშაულო ადამიანს შეიძლება წაეყენოს ბრალდება, თუკი დადგინდება, რომ არსებობს ეჭვის გარკვეული საფუძველი და ბრალმდებელმა მოიძია მტკიცებულებები, რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს ეს ფაქტი, ბრალმდებელს ეს შეცდომა უნდა ეპატიოს.“¹

თუ ბრალმდებლის მხარდამჭერი რამდენიმე იყო, პრეტორი არჩევდა ძირითად ბრალმდებელს, დანარჩენებს შეეძლოთ დახმარებოდნენ ბრალმდებელს და შეევსოთ მისი გამოსვლა.

იულიუს ცეზარის კანონის თანახმად, ბრალდება წერილობით, მოქალაქის ხელმოწერილი, სასამართლოში უნდა წარდგენილიყო და სასამართლო ოქმს დართოდა.

სისხლის სამართლის პროცესი იწყებოდა ბრალმდებლის გამოსვლით, შემდეგ პრეტორი აცნობდა ბრალდების შინაარს ბრალდებულს და იღებდა მის განმარტებას. თუ ბრალდებული დუმილს არჩევდა, ეს შეიძლება დანაშაულის აღიარებად შეფასებულიყო.

თუ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობდა, მაშინ პრეტორი ნიშნავდა საქმის განხილვის დღეს, როცა მხარეებს უნდა წარმოედგინათ თავიანთი მტკიცებულებები.

პრეტორი მხარეებს აძლევდა დამატებითი მტკიცებულებების შესაგროვებლად ფართო უფლებამოსილებას. ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა არ იყო საგალდებულო, მისი სასამართლოზე გამოუცხადებლობა ბრალის აღიარებას

¹ М. Туллий Цицерон. Речь за Росцию. XX56. Полное собрание речей под редакцией Ф. Земинского. Т-І. спб. 1901. ст. 45.

ნიშნავდა, ბრალმდებლის გამოუცხადებლობლობის შემთხვევაში კი წყდებოდა საქმის წარმოება, მაგრამ შეიძლებოდა დამდგარიყო მისი პასუხისმგებლობის საკითხი ცილისწამებისათვის.

ბრალმდებლის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მუშაობაზე წარმოდგენას გვაძლევს ციცერონის საბრალდებო სიტყვა სიცილიის პრეტორის წინააღმდეგ, რომელშიც მიუთითებს, რომ „50 დღის მანძილზე მან მოიარა მთელი სიცილია და შეაგროვა წერილობითი მტკიცებულებები, თუ რა ზიანი მიაყენა ვერესის მთავრობამ ქალაქებსა და კერძო პირებს.“¹

ბრალდებულს შეეძლო ესარგებლა დამცველის დახმარებით. რომი ითვლებოდა ადვოკატურის კლასიკურ ქვეყნად. ტერმინი ადვოკატი რესპუბლიკის პერიოდის რომში ნიშნავდა მეგობარს, ნათესავს, რომელიც სასამართლოზე ეხმარებოდა მხარეს, იმპერიის პერიოდში სიტყვა *advocatus* მიიღო დამცველის მნიშვნელობა და დღესაც ამ სახით იხმარება.

ადვოკატები რომში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, მათი სიტყვა გამოირჩეოდა თავისუფალი აზროვნებითა და სიღრმით. ისინი არ დებულობდნენ ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოსათვის. როგორც მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, დაქირავებული შრომა რომში თავისუფალი მოქალაქისათვის სირცხვილად ითვლებოდა და ამიტომ მოგონილ იქნა კლიენტისგან საჩუქრის მიღების ფორმა, რასაც პონორარიუმი ეწოდებოდა და ნიშნავდა საქმის დამთავრების შემდეგ კლიენტისაგან მიღებულ პატივისცემას.

სასამართლო წარმოება იწყებოდა მსაჯულთა (მოსამართლის) შერჩევით, რომელშიც მხარეები მონაწილეობდნენ, მათ პქონდათ მსაჯულის აცილების უფლება.

შემდეგ იწყებოდა საქმის არსებითი განხილვა, რომელიც ორ წესს ითვალისწინებდა: თითოეულ საკითხზე უსმენდნენ ორივე მხარეს, ბრალდებულს პქონდა იგივე უფლებები, რაც ბრალმდებელს, მოსმენილი უნდა ყოფილიყო მეორე მხარეც, მოსარჩელეს (ბრალმდებელს) არ უნდა პქონდა იმის უფლება, რის უფლებაც არ პქონდა მოპასუხეს (ბრალდებულს). პრეტორი პირველ სიტყვას აძლევდა ბრალმდებელს, შემდეგ სიტყვა ეძლეოდა დამცველს. საბოლოო გამოსვლის შემდეგ სადაცო საკითხების გასარკვევად ბრალმდებელს შეეძლო

¹ М. Туллий Цицерон. Речь против Веррекса. Т-II. Ст. 110.

დაქსვა შეკითხვები, რაზედაც განმარტებას იძლეოდა ბრალდებული ან მისი დამცველი.

პროცესის შემდეგი ნაწილი ეძღვნებოდა მტკიცებულებების გამოკვლევას. მოწმეთა დაკითხვას მხარეები აწარმოებდნენ. პირველად მოწმეს პკითხავდა ის მხარე, რომელმაც მოწმე გამოიძახა, ჩვენებები იწერებოდა ოქმში. თუ მხარეები ვერ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას და მოხდებოდა საქმის ხელახალი განხილვა, სასამართლო ოქმი ქვეყნდებოდა.

მოწმეები დაკითხვის წინ ფიცს დებდნენ. მოწმედ არ დაიშვებოდა: გააზატებული მონა პატრონის წინააღმდეგ, შვილი მშობლის წინააღმდეგ. მოწმეთა რაოდენობა არ შეიძლებოდა ორზე ნაკლები ყოფილიყო. „testis unus, testis nullus“ (ერთი მოწმე, არა მოწმე).

მონის დაკითხვისას წამებას მიმართავდნენ. მონას შეეძლო მონათამფლობელის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა, მხოლოდ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის დროს. თუ მონა ჩვენებას აძლევდა სხვა თავისუფალი მოქალაქის წინააღმდეგ, საჭირო იყო მონათმფლობელის თანხმობა წამების გამოყენებაზე. იყო შემთხვევები, როდესაც მონათმფლობელი მონას სახლში აწამებდა. ასეთ შემთხვევაში მიღებული ჩვენება ფიქსირდებოდა გარეშე დამსწრე პირების თანდასწრებით, სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდით.

მონა არ განიხილებოდა სამართლის სუბიექტად. შესაბამისად, როდესაც მონის მიმართ სასამართლო ტარდებოდა, იგი მიმდინარეობდა გამარტივებული წესით. პროცესუალური გარანტიები, რომლითაც ფართოდ სარგებლობდნენ რომის მოქალაქეები, მონებზე არ ვრცელდებოდა.

თავისუფალი მოქალაქის წამების პირველი მონაცემები გვხვდება იულიუს ცეზარის კანონებში „რომაელი ხალხის სიდიადის შეურაცხოფის შესახებ“.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ სიტყვით გამოდიოდნენ „laudatores“. მათ ეკავათ საშუალო ადგილი დამცველებსა და მოწმეებს შორის. ისინი ლაპარაკობდნენ არა ფაქტებზე, არამედ ბრალდებულის პირვენებაზე, მის წარსულ დამსახურებაზე და საქებარ სიტყვებს წარმოთქვამდნენ მის შესახებ.

„laudatores“ გამოსვლის შემდეგ იწყებოდა წერილობითი მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა.

რომის სამართალი მსაჯულებს არ ზღუდავდა მტკიცებულებების შეფასებაში. მათ შეეძლოთ მიეღოთ ან, პირიქით, არ გაეთვალისწინებინათ წარმოდგენილი ჩვენებები და საბუთები.

წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ იწყებოდა მსაჯულთა თათბირი და დგინდებოდა განაჩენი. სასამართლოების ჩამოყალიბების ადრეულ პერიოდში მსაჯულთა კენჭისყრა ზეპირად ხდებოდა.

კომისიებში მსაჯულთა ხმის მიცემას ორი თავისებურება ჰქონდა: 1. აუცილებელი არ იყო ამ დროს შერჩეული ყველა მსაჯულის დასწრება. თუ მსარეები პროტესტს არ გამოთქვამდნენ, მათ შეეძლოთ სასამართლო გამოძიებასა და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიეღოთ; 2. დაცვის მოთხოვნით შეიძლებოდა კენჭისყრა ჩატარებულიყო დიად დადგენილი რიგითობის მიხედვით.

რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდში შემოდებულ იქნა ფარული კენჭისყრა, თითოეული მსაჯული ხის დაფაზე წერდა, გამართლების შემთხვევაში – „A“ (adsolvo) – ვათავისუფლებ, დამნაშავედ ცნობისას – „C“ (Condemno) – ვამტყუნებ. თუ არ იქნებოდა საკმარისი მტკიცებულებები განაჩენის დასადგენად – „ne“ (nonliguet) – არ არის საკმარისად დამტკიცებული.

პრეტორი ითვლიდა ურნაში მოთავსებულ დაფებს და აცხადებდა ხმის დათვლის შედეგებს, ხმების გაყოფის შემთხვევაში ბრალდებული გამართლებულად ითვლებოდა.

არასაკმარისი მტკიცებულების შემთხვევაში გადაწყვეტილება არ მიიღებოდა და პრეტორი ნიშნავდა საქმის ახალ განხილვას, მაგრამ ადრინდელი ბრალდება არ იცვლებოდა.

პროცესი შეჯიბრებითობის ელემენტებს შეიცავდა. მსარეები თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ. ბრალმდებელი პასუხისმგებელი იყო მის მიერ წარდგენილ ბრალდებაზე, ბრალდებულს გამართლების შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას უფლება ჰქონდა ცილისწამებისათვის ბრალმდებლისათვის პასუხი მოეთხოვა.

რომის სამართალწარმოებას ახასიათებდა ასევე ისეთი პროცესუალური გარანტიები, როგორიცაა: საჯაროობა და ზეპირობა.

შეჯიბრებითობის პროცესის ძირითადი ელემენტები საქმის განხილვისას უზრუნველყოფდა მსარეთა თანასწორობას. შემთხვევითი არ არის, რომ რომის

სამართლის ისტორიის მკვლევრები რომის სასამართლო პროცესში ხედავენ „რომის მოქალაქეთა თავისუფლების მანიფესტაციას“¹

ოქტავიანე ავგუსტის მმართველობის პერიოდიდან (ძვ.წ.30წ. ა.წ.14წ.) იზრდებოდა მაგისტრების როლი მართლმსაჯულების განხორციელებისას. სახალხო ბრალმდებლების ნაცვლად, რომლებიც პროცესში მონაწილეობდნენ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით ანაზღაურების გარეშე და პასუხს აგებდნენ ბრალდების ობიექტურობაზე, ამ პერიოდიდან კომისიაში მონაწილეობენ „დამბეჭდებლები“, რომლებსაც პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ და იმის გამო, რომ მსჯავრდებულის კონფისკაციაქმნილი ქონებიდან დებულობდნენ გასამრჯელოს, დაინტერესებულები იყვნენ საქმის შედეგით.

„ხელისუფლების შეურაცხყოფის“ საქმეებზე მონები სიამოვნებით გამოდიოდნენ თავიანთი ბატონის წინააღმდეგ. რომაელი მოქალაქეები თანდათანობით კარგავენ თანდაყოლილ უფლებას თავისუფლებასა და ხელშეუხებლობაზე. ორდინარული სასამართლოს ადგილს იკავებს ექსტრაორდინარული სასამართლოები (ე.ი. საგანგებო სასამართლო, რომელიც, ჩვეულებრივი პროცესისაგან განსხვავდით, საგანგებო შემთხვევაში იქმნებოდა).

პრინცეპსისის საბჭო და გვარდიის სარდალი (ოქტავიანეს მმართველობიდან იწყება პრინციპატის – შენიდბული მონარქიის ხანა) იდებენ უფლებას განიხილონ სისხლის სამართლის საქმეები. საქმეებს იხილავს ასევე რომის პრეფექტი, ხოლო შედარებით წვრილმან საქმეებს – პოლიციის უფროსი. პროვინციებში საქმეებს იხილავენ პროვინციის გამგებლები და მათი თანაშემწევები.

იმპერატორის (პრინცეპსის) ბრძანებით იქმნება დანაშაულთა ახალი სახეები: გაუფრთხილებელი მკვლელობა, თაღლითობა, ფიცის გატეხვა, ცრუმოწმეობა. ქურდობა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო დავის საგანი იყო, სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად იქცა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ დანაშაულებად გამოცხადდა სარწმუნოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, პომოსექსუალიზმი.

გამკაცრდა სისხლის სამართლის სასჯელები. ფართოდ გამოიყენებოდა დამნაშავის დაწვა, ჯვარზე გაკვრა, გადასახლება, კატორდული სამუშაოები.

ერთი მხრივ, უკეთესობისაკენ შეიცვალა მონების მდგომარეობა. ისინი სამართლის სუბიექტები გახდნენ. მონის მკვლელობა გახდა დასჯადი, მეორე

¹ И.А. Покровский. Частная защита общественных интересов в древнем Риме. Сборник статей по истории права. 1904 г. Стю27-28, аხვევ T.Momse. Strafrecht. 1899. გვ. 343.

მხრივ, მონათმფლობელის მკვლელობისათვის დაუშვეს ყველა იქ დამსწრე მონის სიკვდილით დასჯის პრეცენდენტი, კერძოდ, „როდესაც რომის პრეფექტი პედანია სეკუნდა საცოლის შეურაცხყოფისათვის მოკლა მონამ, სენატმა სახლში მყოფ 400 მონას გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, მკვლელობის ჩადენის დროს გამოჩენილი უმოქმედობისათვის“¹

სისხლის სამართლის პროცესმა არსებითი ცვლილებები განიცადა, მეტი უურადღება დაეთმო ბრალდების შინაარსა და ფორმას, დასმენების გახშირების გამო, მკაცრი კანონი მიიღეს ცრუ დამსმენთა წინააღმდეგ. ძებნა ხორციელდებოდა სპეციალურად ამისთვის გამოყოფილი პირების მიერ, თვითონ რომში ბრალდებულთა ძებნას აწარმოებდა პოლიციის უფროსი, რომელიც შემდეგ გამოდიოდა პრეფექტის სასამართლოს წინაშე. მცირე მნიშვნელობის საქმეებზე პროვინციებში შეიძლებოდა პიროვნების დასჯა სასამართლო განხილვის ნაცვალის მიერ.

მძიმე თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების განხილვის დროს შემოღებულ იქნა სენატორთა რიგებიდან იმპერატორის ან სენატის მიერ სპეციალური ბრალდებლის დანიშვნა, ასეთი ბრალდებული ასრულებდა გამომძიებლის ფუნქციასაც და აგროვებდა მტკიცებულებებს, შემდგომში ამან ფართო გამოყენება პოვა. სისხლის სამართალწარმოებისას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო გამომძიებლისა და მოსამართლის მიერ ჩატარებულ დაკითხვებს.

პრაქტიკაში შემოვიდა დაკითხვისას ბრალდებულის სავალდებულო წამება. თავიდან წამებას იყენებდნენ მაწანწალების დაკითხვისას, შემდეგ, მოსამართლის შეხედულებით, ნებისმიერი ბრალდებულის დაკითხვისას დაიწყეს წამების გამოყენება. სისხლის სამართლის პროცესმა მიიღო ინკვიზიციური ფორმა, თუმცა შეჯიბრებითობის პროცესისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ელემენტებით.

სამძებრო პროცესის შემოღებასთან დაკავშირებით რომაელმა იურისტებმა შეიმუშავეს შვიდი მირითადი კითხვა, რომლებსაც პასუხი უნდა გასცემოდა გამოძიების დროს: „ვინ ჩაიდინა, რა ჩაიდინა, სად ჩაიდინა, როდის ჩაიდინა, რა მიზნით ჩაიდინა, რა საშუალებით ჩაიდინა, ვისი დახმარებით ჩაიდინა“.

რომაელმა იურისტმა კლავდი სატურნიმ ა.წ.წ. მეორე საუკუნეში ჩამოაყალიბა შვიდი პუნქტი, რომლებითაც მოსამართლეებს უნდა ესარგებლათ დანაშაულის სიმძიმისა და სასჯელის განსაზღვრისას: „causa“, „persona“, „locus“, „tempus“, „qualitas“, „quantitas“, „eventus“, ე.ი. დანაშაულის მიზეზი, პიროვნება (ბოროტ-

¹ И.С. Перетерский. О правах положении рабов в древнем Риме. „Ученые записки „МИОИ“, М. 1939 г. Ст. 135.

მოქმედის და დაზარალებულის), ადგილი (წმინდა ადგილი ხომ არ იყო), დრო (დამჯ, დღე), ხარისხი (ფარული დანაშაული, აშკარა), რაოდენობა (გატაცებულის), შედეგი (დამთავრებული ან დაუმთავრებელი დანაშაული).¹

იმპერატორ კონსტანტინეს დროს (306–337 წ. ა.წ.) დადგინდა, რომ საზოგადო ინტერესიდან გამომდინარე, მაგისტრატებს უნდა ეწარმოებინათ სისხლისსამართლებრივი დევნა, გარდა ამისა, სასამართლოებთან ჩამოყალიბდა ადვოკატთა კორპორაციები, რომლებიც აერთიანებდა მეცნიერ იურისტებს. შეიქმნა კანონები, რომლებმაც მოაწესრიგა მათი შრომითი ანაზღაურება. ადვოკატები რომში სარგებლობდნენ დიდი ავტორიტეტით, ცალკეული მათი წარმომადგენლის განმარტება უთანაბრდებოდა კანონს, მათ შორის განსაკუთრებული უურადღების დირსნი არიან: პაპიანე, პავლე, ულპიანე, გაიუსი, მოვდესტინე. როგორც პროფესორი ჩერნილოვსკი მიუთითებს: „კონკრეტულ საქმეზე გამოჩენილი იურისტის კონსულტაციაზე ისევე შეიძლებოდა დაყრდნობა, როგორც კანონზე, მხოლოდ ეს არნახულ შესაძლებლობებს უქმნიდა სამართლისა და იურისდიქციის განვითარება-სრულყოფას.“²

მეხუთე საუკუნის ბოლოს, დასავლეთ რომის დაცემის შემდეგ, რომის სამართლის ტრადიციების მატარებელი ბიზანტია გახდა. იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობის პერიოდში (527–565 წ.), მისი ინიციატივით და დავალებით მოხდა სამართლის სისტემატიზაცია და კოდიფიკაცია. შედგენილ იქნა რომის კანონმდებლობის უზარმაზარი კრებული, რომელმაც შემდგომ დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ სამართლებრივ კულტურაზე. თუ როგორი გავლენა მოახდინა რომის სამართალმა, კერძოდ, სისხლის სამართალმა და პროცესმა ქართულ სამართალზე, ეს საკითხი ჯერჯერობით შეუსწავლელია, მაგრამ, როგორც პროფესორი ვალერიან მეტრეველი მიუთითებს: „რომის სამართლის გავლენის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში შესული „სამართალი ბერძნული“, რომელიც, თავის მხრივ, რომის სამართლის რეცეპციონებულ ვარიანტს წარმოადგენს.“³

¹ П.В. Диегести Юстиниана 48-я книга о наказаниях. М. 1948 г. ст.19

² ზ. ჩერნილოვსკი. სახელმწიფოსა და სამართლის მხოლოდი ისტორია. თ. I. თბილისი 1992 წ. გვ. 90.

³ ვ. მეტრეველი. რომის სამართალი (საფუძვლები). გვ. 17.

ბეჭედი რომის სისხლის სამართლის პროცესი

რომაელი იურისტები ბუნებით სამართალს განიხილავდნენ, როგორც ზოგად სამართალს და სხვა მათ მიერ აღიარებულ სამართალთან ერთად მას მიიჩნევდნენ ურთიან მოქმედ სამართლად.

მომდევნო პერიოდის იურისტებმა, განსაკუთრებით ფრანგმა განმანათლებლებმა, ბუნებითი სამართლის თეორია დაამუშავეს და მისი იდეები გამოიყენეს ფეოდალური წყობილების კრიტიკისათვის.

„კალმასობაში” ქართველი ენციკლოპედისტი იოანე ბაგრატიონი ეყრდნობა იუეისტების ნააზრევს და თვლის, რომ არსებობს ძირითადი სამგვარი სამართალი, რომელთანაც მთავარი ბუნებითი სამართალია, ხოლო დანარჩენი სახალხო ანუ საერო სამართალი და სამოქალაქო სამართალი – გონივრულ საწყისებზე აგებული და ბუნებითი სამართლის მსგავსი. იოანე ბაგრატიონი ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებებით განმანათლებელია. იგი ბუნებითი სამართლიდან გამომდინარე ამართლებს ტირანის წინააღმდეგ აჯანყებას.

სამართალი, ქართველი ენციკლოპედისტების აზრით, არ შეიძლება ვებიოთ ქვეყანაში, რომელიც ჩამორჩენილია. კანონმდებლობა დაფუძნებული უნდა იყოს გონივრულ საწყისებზე. განათლების გარეშე არ არსებობს ჰუმანიზრი სამართალი.

Aleksandre Taliashvili
Doctor of law

CRIMINAL TRIAL OF ANCIENT ROME

Roman lawyers discussed inherent right as generally law and together with rules recognized by them, it was considered as general rule in forse.

Lawyers of the following period, especially French enlighteners, worked out theory of inherent right and used its ideas for criticism against feudalism.

In „Kalmasoba” Georgian encyclopaedist is supported to thinking of Roman lawyers and considers that there are three major laws and inherent right is the basic among them, but the other two – public or secular law and civil law should be formed on intelligible sources and should be

similar with inherent right. At the same time, Ioane Bagrationi is enlightener with his philosophic and political views. He, according to inherent right, justifies rebellion against oppression.

Law, according to Georgian encyclopaedist, can't be searched in the country which is retarded, legislation should be based on intelligible sources. There is no humane law without education.

Александрэ Талиашвили,
доктор права

ПРОЦЕСС УГОЛОВНОГО ПРАВА СТАРОГО РИМА

Римские юристы рассматривали природное право, как право вообще, и наряду с признанным ими другим правом, признавали в качестве единого действующего права.

Юристы последующего периода, особенно французские просветители, разработали теорию природного права и его идеи использовали для критики феодального строя.

Грузинский энциклопедист в «Калмасоба» опирается на взгляды римских юристов и считает, что в основном существует право трех видов, главным из которых является природное право, а остальные два – народное или светское право и гражданское право – должны быть построены на разумных началах и должны быть подобны природному праву. Вместе с тем, Иоан Багратиони по своим философским и политическим взглядам является просветителем. Он, исходя из природного права, оправдывает восстание против тирана.

Право, по мнению грузинского энциклопедиста, нельзя искать в отсталой стране, законодательство должно быть основано на разумных началах. Без просвещения не существует гуманного права.

შინაარსი

პერძო სამართალი

ზეიად გაბისონია. საერთაშორისო სავაჭრო ემბარგო და პერძოსამართილებრივი ხელშეკრულებების მოქმედების შეზღუდვა	3
ლევან ხეცურიანი. არბიტრაჟის ბანკისარების ისტორიული რაპურსი	13
ლაშა გორგაძე. მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ინსტიტუტის ბანკისარების თავისებურებათა მოკლე დახასიათება	19
გიორგი გელაშვილი. ამხანაგობის ფიკის იურიდიული პირის ცნება და სახეები	24
გიორგი მისაბიშვილი. ინცისტიციის ცნება და მისი საკანონმდებლო რეგლამენტირება	30
თამილა ხურციძე. ვრენშაიზინგი – პროგლემები და პერსპექტივები	
საქართველოში	38

საჯარო სამართალი

ლალი შაიშმელაშვილი. საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულის (ქართული დიასკორის) სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი	44
ქეთევან ჯინჭარაძე. თვითბამორკვევის უფლება და ტერიტორიული პრინციპები	51
ირაკლი გაბისონია. ბადამხდელის უფლებები ახალ საბადასახადო კოდექსში	58
მიხეილ გაბუნია. დამნაშავის პიროვნების პროგლემა პრიმიტოლოგიაში	66
გიგი აბაშიძე. ექსპერტიზა, როგორც ძირითადი საპროცესო მოქმედება	71
გიგი აბაშიძე. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, როგორც სამართალარმოების ცივილუზებული ფორმა	79
ქეთევან ბერეკაშვილი. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, როგორც ადგინისტრაციული აქტი	89
დავით მესხიშვილი. ქურდული სამყაროს წევრობა – დასჯადობა	
სტატუსისთვის თუ ქმნდებისთვის	99

თრაკლი კობალაძე. ადამიანის უფლებები და თავისუფლება საბანგებო	
მდგრმარეობის პირობებში 111	
კარლო სუხიტაშვილი. ნარკოტიკული დანაშაული 126	
ზაზა ხუსუნაიშვილი. ქურდული სამყაროს წევრობა. კანონითი ქურდობა 134	
გიორგი სვიანაძე. ნავოც მსაჯულთა სასამართლო საქართველოს	
მართლმსაჯულების სისტემა 152	
ედიშერ შაქარიშვილი. ტრეჭიკინი 157	

საერთაშორისო სამართალი

მერაბ რაფაელ. ძალის გამოყენებლობის პრინციპი 165	
მერაბ რაფაელ, ზვიად გაბისონია. გაეროს მიერ რუსეთისათვის მანდატის	
შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები 173	

სამართლის ისტორია

ალექსანდრე ტალიაშვილი. ძველი რომის სისხლის სამართლის პროცესი 181	
---	--

CONTENTS

CIVIL LAW

Zviad Gabisonia. INTERNATIONAL TRADE EMBARGO AND LIMITATION OF ACTIONS OF PRIVATE LEGAL AGREEMENTS	3
Levan Khetsuriani. HISTORICAL ASPECT OF ARBITRATION DEVELOPMENT	13
Lasha Gorgadze. SHORT CHARACTERISTIC OF FEATURES OF THE INSTITUTE ABANDONMENT REQUESTS AND DEBT TRANSFERRING	19
Giorgi Gelashvili. DEFINITION OF PARTNERSHIP TYPE OF LEGAL ENTITY	24
Giorgi Misabishvili. THE CONCEPTION OF AN INVESTMENT AND ITS LEGAL DEFINITION	30
Tamila khurtsidze. FRANCHISING - PROBLEMS AND PERSPECTIVES OF THE DEVELOPMENT	38

PUBLIC LAW

Lali Shaishmelashvili. SOME LEGAL STATUS ASPECTS OF THE COMPATRIOT (GEORGIAN DIASPORA) LIVING ABROAD	44
Ketevan Jincharadze. THE RIGHT OF NATION'S SELF-DETERMINATION AND TERRITORIAL PRINCIPLES	51
Irakli Gabisonia. THE RIGHTS OF TAXPAYERS IN THE NEW TAX CODE	58
Mikheil Gabunia. PROBLEM OF CRIMINAL PERSON IN CRIMINOLOGY	66
Givi abashidze. AN EXAMINATION, AS A BASIC PROCESS ACTION	71
Givi abashidze. EQUALITY OF PARTICIPENTS AND COMPETITIVENESS IN CRIMINAL LAV PROCEDURE	79
Ketevan Berekashvili. ADMINISTRATIVE AGREEMENT, SUCH AS ADMINISTRATIVE ACT	89
Davit Mesklishvili. MEMBERSHIP OF THE 'THIEVES' WORLD' – PUNISHABLE STATUS OR ACTION	99

Irakli Kobaladze. THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS AND FREEDOM IN THE STATE OF EMERGENCY	111
Karlo Sukhitashvili. DRUG CRIME	126
Zaza Khukhunaishvili. MEMBERS OF THIEVISH COMMUNITY (WORLD) LEGAL THIEVERY	134
Giorgi Svanadze. JURY IN JUST SYSTEM OF GEORGIA	152
Edisher Shakarishvili. TRAFFICKING	157

INTERNATIONAL LAW

Merab Rapava. PRINCIPLE OF NON-VIOLENCE	165
Merab Rapava, Zviad Gabisonia. UN LEGAL BASIS TO STOP THE MANDATE FOR RUSSIA	173

HISTORY OF LAW

Aleksandre Taliashvili. CRIMINAL TRIAL OF ANCIENT ROME	181
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО

Звиад Габисония. МЕЖДУНАРОДНОЕ ТОРГОВОЕ ЭМБАРГО И ОГРАНИЧЕНИЕ ДЕЙСТВИЙ ЧАСТНО-ПРАВОВЫХ ДОГОВОРОВ	3
Леван Хецуриани. ИСТОРИЧЕСКИЙ РАКУРС РАЗВИТИЯ АРБИТРАЖА	13
Лаша Горгадзе. КРАТКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ОСОБЕННОСТЕЙ РАЗВИТИЯ ИНСТИТУТА УСТУПЛЕНИЯ ПРОСЬБ И ОБРЕМЕНЕНИЯ ДОЛГОМ	19
Георгий Гелашвили. ОПРЕДЕЛЕНИЕ ЮРИДИЧЕСКИХ ЛИЦ ТИПА ТОВАРИЩЕСТВ	24
Гиоргий Мисабишвили. ИНВЕСТИРОВАНИЕ И ЕГО ПРАВОВОЕ РЕГЛАМЕНТИРОВАНИЕ	30
Тамила Хурцидзе. ФРЕНЧАЙЗИНГ – ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ	38

ПУБЛИЧНОЕ ПРАВО

Лали Шаишмелашвили. НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПРАВОВОГО СТАТУСА СООТЕЧЕСТВЕННИКА (ГРУЗИНСКОЙ ДИАСПОРЫ), ЖИВУЩЕГО ЗА ГРАНИЦЕЙ	44
Кетеван Джинчарадзе. ПРАВО НА САМООПРЕДЕЛЕНИЕ И ТЕРРИТОРИАЛЬНЫЕ ПРИНЦИПЫ	51
Ираклий Габисония. ПРАВА НАЛОГОПЛАТЕЛЬЩИКОВ В НОВОМ НАЛОГОВОМ КОДЕКСЕ	58
Михаил Габуния. ПРОБЛЕМА ЛИЧНОСТИ ПРЕСТУПНИКА В КРИМИНОЛОГИИ	66
Гиви Абашидзе. ЭКСПЕРТИЗА, КАК ОСНОВНОЕ ПРОЦЕССУАЛЬНОЕ ДЕЙСТВИЕ	71
Гиви Абашидзе. РАВНОПРАВИЕ И СОСТАЯЗАТЕЛЬНОСТЬ СТОРОН, КАК НАЧАЛО ЦИВИЛИЗОВАННОЙ ФОРМЫ СУДОПРОИЗВОДСТВА	79
Кетеван Берекашвили. АДМИНИСТРАТИВНЫЙ ДОГОВОР КАК АДМИНИСТРАТИВНЫЙ АКТ	89

Давит Месхишвили. ЧЛЕНСТВО “ВОРОВСКОГО МИРА” - НАКАЗУЕМОСТЬ ЗА СТАТУС ИЛИ ДЕЯНИЕ	99
Ираклий Кобаладзе. ПРАВО И СВОБОДА ЧЕЛОВЕКА ВО ВРЕМЯ ЧРЕЗВЫЧАЙНОГО ПОЛОЖЕНИЯ	111
Карло Сухиташвили. ПРЕСТУПЛЕНИЯ, СВЯЗАННЫЕ С НАРКОТИКАМИ	126
Заза Хухунаишвили. ЧЛЕНСТВО ВОРОВСКОГО МИРА ВОРА В ЗАКОНЕ	134
Георгий Свианадзе. СУД ПРИСЯЖНЫХ В ПРАВОВОЙ СИСТЕМЕ ГРУЗИИ	152
Эдишер Шакаришвили. ТРЕФИКИНГ	157

МЕЖДУНАРОДНОЕ ПРАВО

Мераб Рапава. ПРИНЦИП НЕИСПОЛЬЗОВАНИЯ СИЛЫ	165
Мераб Рапава, Звиад Габисония. ПРАВОВЫЕ ОСНОВЫ ООН ПРИОСТАНОВЛЕНИЯ МАНДАТА РОССИИ	173

ИСТОРИЯ ПРАВА

Александре Талиашвили. ПРОЦЕСС УГОЛОВНОГО ПРАВА СТАРОГО РИМА	181
---	-----

რედაქტორები: ლ. მამალაძე, მ. პრეობრაჟენსკაია, დ. ქურიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა ხ. უნგიაძის

გადაეცა წარმოებას 25.11.2010. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.01.2011. ქაღალდის ზომა
60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 12,5. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

